

**ადამიანის უფლებათა  
ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილებების თემატური  
საძიებელი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ადამიანის უფლებათა ცენტრი**

თბილისი

2013

**EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
THE THEMATIC DIRECTORY OF THE  
DECISIONS**

**The Supreme Court Of Georgia  
Human Rights Centre**

Tbilisi  
2013



კრებული შეადგინეს და დაამუშავა

**თინათინ ბეჟაშვილი და ნანა ბიგვაძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სტილისტი

**თინათინ ქოქრაშვილი**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**



The Collection was compiled and elaborated in the  
Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia by

**Tinatin Bezhashvili and Nana bigvava**

Style Editor

**Tinatin Kokrashvili**

Graphics Editor

**Marika Maghalashvili**

## წინასიტყვაობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ყოველწლიურ გამოცემებს შეემატა კიდევ ერთი ახალი გამოცემა - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების თემატური საძიებელი.

ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის გამოყენება მჭიდროდ უკავშირდება სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხს. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოებისთვის არა მხოლოდ მიზანშეწონილი, არამედ აუცილებელიცაა, რომ კონვენციასთან ერთად გამოიყენოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც.

კონვენცია მოქმედია ეროვნულ დონეზე და ის უკვე იქცა იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოთა შიდა სამართლის ნაწილად, რომელთაც აიღეს ვალდებულება, დაეცვათ კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოებს მართებთ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის გამოყენება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ ლიტერატურის გამოცემა.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თემატურად დაჯგუფებულ საძიებელს, რომელშიც ასახულია სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და განჩინებები. კრებულის მიზანია, ეროვნულ დონეზე, მოსამართლეებს, ადვოკატებს და ყველა დაინტერესებულ პირს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ როგორია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მიდგომები და პრეცედენტული სამართალი. წიგნის მიზანს სწორედ ასეთი პრაქტიკის გაღრმავება და დახვეწა წარმოადგენს.

## PREFACE

The Supreme Court of Human Rights Center has opened another new edition of its annual publications - the thematic directory of the decisions and judgments delivered by the European Court of Human Rights.

Application of the European Convention by national courts is closely linked to the issue of the reasoning of judicial decisions. Consequently, it is not only expedient, but necessary for the national courts to apply the convention and the Court's case-law as well.

After the Convention is recognized as the part of the national legislation the Contracting States took the obligations to protect the rights secured by the Convention. Therefore, the national courts should apply the case-law of the European Court of Human Rights to interpret the provisions of the Convention. The case-law of the Court may assist national courts in applying the provisions of the Convention. Therefore it is utmost important to publish the literature concerning the Court's case-law.

This compilation of the Court's judgments and decisions is classified by thematically index, which reflects the Court's most important decisions and judgments. The aim of this book is to provide the judges and lawyers and all the interested persons at the national level with information about the practice of the European Court of Human Rights, its approaches and the case-law. The main goal of this publication is to deepen and improve such practice.

## პრეცედენტული სამართალი ევროკავშირთან მიმართებით

ევროპის კავშირი ამჟამად არ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) ხელშემკვერელ მხარეს. შესაბამისად, მისი (ევროკავშირის) აქტები, როგორც ასეთი, არ შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „სასამართლო“) განხილვის საგანი.

ამის მიუხედავად, თანამეგობრობის სამართალთან დაკავშირებული საკითხები რეგულარულად წამოიჭრება ხოლმე სასამართლოსა და ყოფილ ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიასთან მიმართებით.<sup>1</sup>

### ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ დადგენილი პრინციპები

#### სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რომელიც თანმიმდევრობით აწერს ხელს ორ ხელშეკრულებას

ჯერ კიდევ 1958 წელს კომისიამ დაადგინა, რომ: „თუ სახელმწიფო თანახმაა, შეასრულოს ხელშეკრულების ვალდებულებები და, შესაბამისად, აფორმებს სხვა საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც ქმედუწუნაროს ხდის სახელმწიფოს პირველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, იგი პასუხს აგებს ადრინდელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის“ (no. 235/56, Commission decision of 10 June 1958, Yearbook 2, p. 256). განსაკუთრებით ეს იმ შემთხვევებში ხდებოდა, როცა სადავო ვალდებულებები მოქცეული იყო ხელშეკრულების, კონვენციის ფარგლებში, რომლის გარანტიებიც ზეგავლენას ახდენენ „ევროპის საზოგადოებრივ წესრიგზე“ (no. 788/60, Austria v. Italy, decision of 11 January 1961, Yearbook 4, p. 116).

#### ევროპული თანამეგობრობის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადების დაუშვებლობა

საფრანგეთის შრომის დემოკრატიული კონფედერაცია (Confederation Francaise Democratique du Travail) ევროპული თანამეგობრობების წინააღმდეგ, ალტერნატივის სახით: მათი წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ – ა) ერთობლივად და ბ) ცალ-ცალკე (განაცხადი №8030/77)

10/07/1978 (გადაწყვეტილება)

საფრანგეთის პროფკავშირი ჩიოდა იმ ფაქტის თაობაზე, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ შესთავაზა მას დასანიშნი კანდიდატი – ევროპული თანამეგობრობების საბჭოს მიერ – საკონსულტაციო კომიტეტში, რომელიც წარმოადგენდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების (ECSC) უმაღლესი ინსტანციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

კომისიამ დაადგინა, რომ ევროპული თანამეგობრობების წინააღმდეგ შეტანილი განაცხადები უნდა გამოცხადებულიყო დაუშვებლად, რადგან ისინი მიმართული იყო „პიროვნების“ წინააღმდეგ, რომელიც არ წარმოადგენს კონვენციის მონაწილე მხარეს.

<sup>1</sup> 1954-1999 წლებს შორის მოქმედი კომისია, რომელიც სასამართლოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან ერთად ზედამხედველობდა ხელშემკვერელი სახელმწიფოების მიერ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას.

**სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღძვრის შესაძლებლობა ეროვნული  
ლონისძიებებისათვის, რომლებიც გავლენას ახდენს თანამეგობრობის სამართალზე  
(სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი)**

**Etienne Tete v. France (განაცხადი №11123/84)**

**09/12/1987 (გადაწყვეტილება)**

ფრანგი პოლიტიკოსი ჩიოდა ევროპის პარლამენტში საფრანგეთის წარმომადგენლების მიერ შეტანილ საარჩევნო კანონზე, რომელსაც იგი განიხილავდა, როგორც დისკრიმინაციულს და თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევად. იგი ამტკიცებდა, *inter alia*, რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ეფექტური ზომები ამასთან დაკავშირებით.

აპლიკანტის საჩივრები ეხებოდა კანონს, რომელიც მოქმედებდა იმ სფეროში, სადაც სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი. კომისიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ, პრინციპში, შესაძლებელი იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან ეს არ შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო წვერი სახელმწიფოების მიერ კონვენციაზე კომპეტენციის გადაცემის გზით. ამავ დროს მას შეეძლო ამოერიცხა ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვეულებრივ კონვენციის მიერაა მოცული და რომლებიც მასშივეა გამყარებული და გარანტირებული. ამის მიუხედავად, სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღძვრის შესაძლებლობა ეროვნული ლონისძიებებისათვის, რომლებიც გავლენას ახდენს თანამეგობრობის სამართალზე (სადაც სახელმწიფოს არ გააჩნია შეფასების ზღვარი), მაგრამ არსებობს პრეზუმფცია, რომ ევროპული თანამეგობრობები უზრუნველყოფენ ფუნდამენტური უფლებების დაცვას იმ დონეზე, რომელიც ეკვივალენტურია კონვენციის მიერ უფლებების დაცვის უზრუნველყოფისა.

**M & Co. v. Federal Republic of Germany**

**განაცხადი №13258/87; 09/01/1990 (გადაწყვეტილება)**

აპლიკანტი კომპანია ჩიოდა იმ ფაქტის გამო, რომ გერმანიამ აიძულა ევროპული კომისიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდა (ანტიმონოპოლიური განხილვებისას), რასაც მხარი დაუჭირა უზენაესმა სასამართლომ. აპლიკანტმა მიიჩნია, რომ დაირღვა მისი რამდენიმე უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჩათვლით.

კომისიამ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო დამდგარიყო გერმანიის პასუხისმგებლობა იმ ქმედების საფუძველზე, რომ მან ეს გააკეთა თანამეგობრობის სამართალზე გავლენის მოსახდენად (რომელთან მიმართებითაც სახელმწიფოს არ ჰქონდა შეფასების ზღვარი). ამის მიუხედავად, სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად გამოაცხადა, რადგან ევროპული თანამეგობრობების სამართლებრივი სისტემა უზრუნველყოფს ფუნდამენტური უფლებების დაცვას იმ დონეზე, რომელიც ეკვივალენტურია კონვენციის მიერ გარანტირებული ზომებისა. კომისიამ ასევე მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ეს შეენიანააღმდეგებოდა თავად საერთაშორისო ორგანიზაციაზე ძალთა გადანაწილების იდეას, რომ წევრ სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა ყოველი ინდივიდუალური საქმის განხილვისათვის, ვიდრე იგი გასცემს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ბრძანებას, თუკი კონვენციის თანახმად გათვალისწინებული სამართლიანი განხილვის უფლება დაცული იქნებოდა ზემოხსენებული განხილვებისას.



## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები

სახელმწიფოს წინააღმდეგ საქმის აღძვრის შესაძლებლობა ეროვნული  
ლონისძიებებისათვის, რომლებიც გავლენას ახდენს თანამეგობრობის სამართალზე  
(სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი)

**Cantoni v. France** (განაცხადი №17862/91)

15/11/1996 (გადანყვეტილება)

სუპერმარკეტის მენეჯერი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას ფარმაცევტული პროდუქციის უკანონოდ გაყიდვის თაობაზე იგი წინასწარ ვერ განჭვრეტდა, რადგან ტერმინი „სამედიცინო პროდუქცია“ დაუზუსტებელი იყო ფრანგულ კანონმდებლობაში, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით ეფუძნებოდა თანამეგობრობის დირექტივას.

სასამართლომ აზრით, ბოლოს ნახსენებმა ფაქტმა „არ ამოშალა [სადავო ნორმა] კონვენციის მე-7 მუხლის არეალიდან“ (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე). მოპასუხე სახელმწიფოს ჰქონდა შეფასების ფართო ზღვარი თანამეგობრობის კანონის გამოყენებისას და, შესაბამისად, უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევისათვის. საქმის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-7 მუხლი არ დარღვეულა.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იმ ხელშეკრულების შედეგებზე, რომლის  
ხელმოწერაშიც იგი მონაწილეობდა

**Mattews v. The UK** (განაცხადი №24833/94; 18/02/1999)

გაერთიანებული სამეფოს რეზიდენტი გიბრალტარში აცხადებდა მისი თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლების დარღვევის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ გაერთიანებულმა სამეფომ არ მოახდინა გიბრალტარში საპარლამენტო არჩევნების ორგანიზება.

სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ კონვენცია არ გამოორიცხავს საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის კომპეტენციების გადაცემას იმ პირობით, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებები ისევე უნდა იყოს „დაცული“. ნევრ სახელმწიფოებს კომპეტენციის გადაცემის შემდეგაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა. სასამართლომ შემდგომში აღნიშნა: როდესაც გადაწყდა პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების გზით ევროპის პარლამენტში წარმომადგენლების არჩევა, დაკონკრეტდა, რომ გაერთიანებული სამეფო გამოიყენებს შესაბამის ნორმებს მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში (მაგრამ არა გიბრალტარში). მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ევროპის პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდასთან ერთად, გაერთიანებულმა სამეფომ უნდა შეცვალოს თავისი კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოს თავისუფალი არჩევნების უფლება, რომელიც გამოიყენებოდა „კანონმდებლობის არჩევანისას“ და გარანტირებული იყო გიბრალტარში. გაერთიანებული სამეფო დაუბრკოლებლად გახდა მაასტრიხტის ხელშეკრულების მონაწილე. ამდენად, ამ ხელშეკრულების სხვა მონაწილეებთან ერთად, კონვენციის თანახმად, ისიც პასუხისმგებელია ხელშეკრულების შედეგებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა თავისუფალი არჩევნების უფლება.

თანამეგობრობის კანონით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებების დაცვა,  
რომელიც მიჩნეულია ეკვივალენტურად კონვენციის სისტემით უზრუნველყოფილ  
დაცვასთან

**“Bosphorus Airways” v. Ireland** (განაცხადი №45.36/98; 30/06/2005)

აპლიკანტი კომპანიის მიერ იუგოსლავიური კომპანიისათვის არენდირებული თვითმფრინავი 1993 წელს დააკავეს ირლანდიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა თანამეგობრობის რეგულაციების თანახმად. თანამეგობრობა ახორციელებდა გაეროს მიერ იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაზე დაკისრებულ სანქციებს.

სასამართლომ განაცხადა, რომ, როდესაც სახელმწიფო სუვერენულ უფლებებს გადასცემს საერთაშორისო ორგანიზაციას, რითაც „სრულიად ათავისუფლებს ხელშემკვრელ სახელმწიფოს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან, რომელიც მოიცავს ამგვარი გადაცემის არეალს, ეს შესაბამისა კონვენციის მიზნებსა და ამოცანებთან; კონვენციის ნორმები შეიძლება შეიზღუდოს ან ამოირიცხოს სურვილის მიხედვით, რითაც ჩამოერთმევა მას იმპერატიულობა და დააზიანებს კონვენციის გარანტიების პრაქტიკული და ეფექტური გამოყენების ხასიათს“. თავდაპირველად სასამართლომ გადაწყვიტა არსებითად განეხილა საჩივარი, რომელიც ეხებოდა თანამეგობრობის სამართალზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით გატარებულ ზომებს, სადაც სახელმწიფოს არ ჰქონდა შეფასების ზღვარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ირლანდიამ, უბრალოდ, შეასრულა მასზე დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებები, ევროპული თანამეგობრობის წევრობიდან გამომდინარე. ამას გარდა, და რაც ყველაზე მთავარია, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის აუცილებელი განიხილო: პროპორციული იყო თუ არა გამოყენებული ზომები დასახული მიზნის მისაღწევად, იმის გათვალისწინებით, რომ „თანამეგობრობის სამართლის მიხედვით ფუნდამენტური უფლებების დაცვა არის ... „ეკვივალენტური“... კონვენციის სისტემასთან“. შესაბამისად, ამოქმედდა „პრეზუმფცია, რომ ირლანდიას არ გადაუხვევია კონვენციის მოთხოვნებისგან, როდესაც მან განახორციელა სამართლებრივი ვალდებულებების იმპლემენტაცია, მისი ევროპული თანამეგობრობის წევრობიდან გამომდინარე“.

## დაპატიმრების ევროპული ორდერი

### Pietro Pianese v. Italy and The Netherlands (№14929/08; 27/09/2011)

განმცხადებელი დაობს მისი დაპატიმრების ევროპული ორდერის კანონიერებაზე. აპლიკანტი ასაჩივრებს დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე მისი დაკავების კანონიერებას.

აპლიკანტი იტალიის მოქალაქეა, რომელიც დააკავეს დაპატიმრების ევროპული ორდერის საფუძველზე. იგი ჩივის, რომ თვითნებურად შეეზღუდა თავისუფლება და არ ჰქონდა რაიმე ეფექტური სამართლებრივი საშუალება თავის საჩივრებთან მიმართებით, რომელიც კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) სავარაუდო დარღვევას ეხებოდა.

განაცხადის დასაშვებობის კრიტერიუმების განხილვისას (კონვენციის 35-ე მუხლი) სასამართლომ უარყო აპლიკანტის საჩივრები, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი და ვადების დარღვევით შემოტანილი.

## ამჟამინდელი რჩეული საქმეები

### M.S.S. v. Belgium and Greece (№30696/09; 21/01/2011)

აპლიკანტი ავღანეთის მოქალაქეა, რომელმაც ევროკავშირის საზღვრები საბერძნეთის გავლით გადაკვეთა, ვიდრე ჩაფრინდებოდა ბელგიაში, სადაც მან მოითხოვა თავშესაფარი. ბელგიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიმართეს საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განაცხადის თაობაზე საბერძნეთის მხარეს აეღო პასუხისმგებლობა (შესაბამება ე.წ. „დუბლინური სისტემა“, რომლის მიზანია, განსაზღვროს, რომელი წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის განაცხადის მოთხოვნაზე, რომელიც მესამე სახელმწიფოს მოქალაქეს შეაქვს ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე). აპლიკანტი განსაკუთრებით ჩიოდა, რომ მას ემუქრებოდა არაადამიანური მოპყრობა ან შესაძლოა, მისი სიცოცხლე დამდგარიყო საფრთხის ქვეშ.

სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების თანახმად დადგინდა, რომ ბელგიის მხარეს არ უნდა განედევნა თავშესაფრის მაძიებელი საბერძნეთში და მიიჩნია, რომ კონვენცია დაარღვია როგორც საბერძნეთმა, ასევე – ბელგიამაც.

ამჟამად უამრავი მსგავსი საქმეები იხილება სასამართლოში. ამ თემასთან დაკავშირებით ასევე შეგიძლიათ იხილოთ „დუბლინური საქმეები“.

**Karoussiotis v. Portugal (№23205/08; 01/02/2011)**

ამ საქმემ სხვა საკითხებთან ერთად წამოჭრა ახალი სამართლებრივი საკითხი დასაშვებობასთან დაკავშირებით. ეს არის მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ „პროცედურების დარღვევა“, რომლის შესახებაც ევროპულ კომისიას ადრე წარედგინა: შესაძლებელია თუ არა, რომ ამ ფაქტის საფუძველზე სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნოს იმ მოტივით, რომ საკითხი „უკვე იყო წარდგენილი სხვა პროცედურებისათვის საერთაშორისო მოკვლევისა თუ მოგვარების მიზნით?“ (კონვენციის 35-ე მუხლი, დასაშვებობის კრიტერიუმი).

სასამართლომ თავის განჩინებაში უარყოფითი პასუხი გასცა ამ შეკითხვას და განაცხადი დასაშვებად მიიჩნია (თუმცა აღნიშნულ საქმეზე მაინც არ დადგინდა რაიმე არსებითი დარღვევა).

**Ullens de Schooten and Rezebek v. Belgium (№№3989/07; 3853/07 – 20/09/2011)**

საქმე ეხება ბელგიის საკასაციო სასამართლოსა და სახელმწიფო საბჭოს უარს, გადაეგზავნა შეკითხვები მართლმსაჯულების სასამართლოსათვის წინასწარი რეგულირებისათვის, რომელიც ეხებოდა ევროპის კავშირის სამართლის ინტერპრეტაციას. თავის განჩინებაში სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო საბჭომ, ისევე როგორც საკასაციო სასამართლომ, წარმოადგინეს არგუმენტები მათ მიერ გაცემულ უარზე.

ამ მიზეზების, რომლებიც წარმოადგინა აღნიშნულმა ორმა სასამართლო ინსტანციამ, და მთლიანი განხილვების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული სამართლიანი განხილვის უფლება.

**Michaud v. France (განაცხადი №12323/11)**

**საქმე ამჟამად განხილვის პროცესშია**

**მთავრობასთან კომუნიკაცია შედგა 2011 წლის დეკემბერში**

აპლიკანტი არის ადვოკატი, რომელიც მუშაობს პარიზის ადვოკატურაში. ამავე დროს იგი არის პარიზის ადვოკატთა საბჭოს წევრი. საქმე ეხება ეროვნულ ადვოკატთა საბჭოს მიერ 2007 წლის 12 ივლისს მიღებულ გადაწყვეტილებას ფულის გათეთრების პრევენციისათვის წესების შემოღების თაობაზე, რომელიც მიღებული იყო ევროპული თანამეგობრობის დირექტივების ამ სფეროში დანერგვის კონტექსტში. აპლიკანტმა მიმართა სახელმწიფო საბჭოს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოეცხადებინათ, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. კონვენციის მე-8 მუხლზე (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა) დაყრდნობით, იგი ჩივის, რომ ადვოკატებზე დაკისრებული ვალდებულების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საეჭვო გარემოების შეტყობინებას, მან თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დისციპლინური სანქციების დაკისრების საფრთხის გამო, უნდა მოახსენოს ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებს ნებისმიერ საეჭვო გარემოებაზე, რომელიც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირის უკანონო საქმიანობას. კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) გათვალისწინებით, იგი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებაში გამოყენებული ტერმინები – „საეჭვო გარემოებების შეტყობინება“ და „გულმოდგინება“ – ძალიან ბუნდოვანია და მათ განხილავს სამართლებრივი უტყუარობის პრინციპების დარღვევად. და ბოლოს, კონვენციის მე-6 მუხლზე (სამართლიანი განხილვის უფლება) დაყრდნობით, აპლიკანტი მიიჩნევს, რომ ადვოკატზე დაკისრებული ვალდებულება საეჭვო გარემოებების შეტყობინების თაობაზე, რომელიც უკავშირდება კლიენტის შესაძლო უკანონო ქმედებებს, შეუთავსებელია ამ უკანასკნელის უფლებებთან – არ მისცეს თავისი თავის წინააღმდეგ ჩვენება და ასევე – უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომლითაც მათ უნდა ისარგებლონ.

## ევროპის კავშირის მიერთება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან

ლისაბონის ხელშეკრულება უზრუნველყოფს ევროპის კავშირის მიერთებას ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. კონვენციის მე-14 ოქმი ასევე უზრუნველყოფს მიერთებას.

ოფიციალური მოლაპარაკება ევროპულ კომისიასა და ევროპის საბჭოს შორის დაიწყო 2010 წლის 7 ივლისიდან.

2011 წლის 27 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თავმჯდომარე ჟან-პოლ კოსტამ და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს თავმჯდომარე ვასილიოს სკოურისმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება ევროპის კავშირის მიერთების თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან და უზრუნველყოფენ, რომ წარმართონ მიერთების ირგვლივ წარმოებული მოლაპარაკებების არსებითი და საკვანძო საკითხები: მართლმსაჯულების სასამართლოს უწინდელი მონაწილეობა, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებისას მითითებულია, რომ ევროკავშირის სამართლის ნორმა შეუთავსებელია კონვენციასთან.

ამჟამინდელი მდგომარეობით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ადამიანის უფლებათა მმართველმა კომიტეტმა მინისტრთა კომიტეტს გადასცა სამართლებრივი დოკუმენტების პროექტი შემდგომი მოლაპარაკებების გაგრძელების პერსპექტივით. მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ისევე როგორც ორი ევროპული სასამართლო, გამოაქვეყნებს თავის მოსაზრებას საბოლოო დოკუმენტების თაობაზე, საჭირო განახდება, რომ მინისტრთა კომიტეტმა მიიღოს ეს დოკუმენტები. ევროპის კავშირი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას მას შემდეგ მიუერთდება, რაც მიერთების შეთანხმება შევა ძალაში. იგი მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფომ მოახდინოს მისი რატიფიცირება ისევე, როგორც – ევროპის კავშირმა.

## ბავშვის დაცვა

### ფიზიკური დასჯა

#### Tyrer v. The UK

(განაცხადი №5856/72; 25/04/1978)

კუნძულ მენზე 15 წლის ბიჭი ფიზიკურად დასაჯეს სკოლაში თავისი სკოლის უფროსი კლასის მოსწავლეზე თავდასხმისა და სხეულის დაზიანების გამო. იგი აიძულეს გაეხადა შარვალი და ქვედა საცვალი. ორმა პოლიციელმა ის მაგიდაზე მიაბა, ხოლო მესამემ – გაროზგა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასეთი დასჯა მიიჩნია, როგორც „ინსტიტუციონალიზებული დასჯა“, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლს (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა).

#### A. v. The UK

(განაცხადი №25599/94; 23/09/1998)

ცხრა წლის „ძნელად აღსაზრდელ“ ბავშვს რამდენჯერმე ძლიერად სცემა ჯოხით მისმა მამინაცვალმა, რასაც მოჰყვა სისხლჩაქცევები და ტკივილი. მამინაცვალს ადრე ბრალად ედებოდა თავდასხმა, მაგრამ სასამართლომ გაამართლა, რადგან იმ პერიოდში ინგლისური სამართლით დაშვებული იყო ე.წ. „გონივრული დასჯა“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვები და სხვა მონწყვლადი იდვიდები განსაკუთრებით საჭიროებდნენ დაცვას, იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს ამგვარი არაადამიანური მოპყრობის ფორმები. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან ინგლისურმა კანონმდებლობამ ადეკვატურად ვერ დაიცვა ბავშვი ძალადობისგან.

**ამ და სხვა, მსგავსი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების საფუძველზე გაერთიანებული სამეფოს ყველა სკოლაში აიკრძალა ფიზიკური დასჯა.**

### ინტერნეტი

K.U. v. Finland (განაცხადი №2872/02; 02/12/2008)

1999 წლის მარტში ინტერნეტში გაცნობის საიტზე გამოქვეყნდა 12 წლის ბიჭის რეკლამა, სადაც მითითებული იყო ამ ბიჭის საკუთარი ვებ-გვერდის მისამართი. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ იგი ინტიმური ურთიერთობებისათვის ეძებდა თავისი, ან უფროსი ასაკის ბიჭს. ბიჭმა ეს ინფორმაცია მას შემდეგ აღმოაჩინა, რაც თავის ელ-ფოსტაზე მიიღო დაინტერესებული მამაკაცის წერილი. სერვის-პროვაიდერმა უარი განაცხადა პასუხისმგებელი პირის მითითებაზე, განაცხადა რა, რომ ამით დაარღვევდა კონფიდენციალურობას. ფინეთის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სერვის-პროვაიდერი სამართლებრივად არ იყო ვალდებული, გაემჟღავნებინა სადავო ინფორმაცია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადების განთავსება იყო კრიმინალური აქტი, რაც არასრულწლოვან ბავშვებს აქცევდა პედოფილების სამიზნედ. ფინეთის სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა, ნესრიგში მოეყვანა ბავშვთა და სხვა მონწყვლადი კატეგორიის ადამიანების დაცვის სისტემა ასეთი სიტუაციებისას, რაც თავისთავად წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

## ბავშვის მოვლა

### Scozzari and Giunta v. Italy

(განაცხადი №№39221/98 და 41963/98; 13/07/2000)

1997 წლის სექტემბერში აპლიკანტების ორი შვილიშვილი, დაბადებულები 1987 და 1994 წლებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოათავსეს ბავშვთა სახლში, სადაც, როგორც ეს ეროვნული სასამართლოებისთვის იყო ცნობილი, ამ სახლის ორ მმართველსა და თანადამფუძნებლებს ბრალად ედებოდათ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი სამი ინვალიდი ადამიანის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენა. უფროსი შვილიშვილი, აღნიშნულ სახლში მოთავსებამდე, უკვე იყო პედოფილი სოციალური მუშაკის მიერ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვთა სახლში შვილიშვილების მოთავსებით და მთლიანობაში იქ არსებული მდგომარეობით, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

## ოჯახური ძალადობა – შეურაცხყოფა

### Z. v. The UK

(განაცხადი №29392; 10/05/2001)

ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ოჯახში არსებული მდგომარეობის გამო სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა წამოიყვანეს. ბავშვებს ხშირად ხანგრძლივი დროით მშობლები უყურადღებოდ ტოვებდნენ, რა დროსაც ემოციური სტრესის ქვეშ იყვნენ, აწუხებდათ ფიზიკური და სულიერი ტკივილები. სხვადასხვა დროს მათ პოულობდნენ ოთახში ჩაკეტილებს, არ ჰქონდათ საპირფარეოში გასვლის შესაძლებლობა და ზოგჯერ ნაგვის ბუნკერებიდან იპარავდნენ საკვებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვთა დაცვის სისტემა არ იყო იმდენად ეფექტური, რომ მსგავსი ფაქტები აღკვეთილიყო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლები (ეფექტური მისაგებელი).

### D.P. & J.C. v. The UK

(განაცხადი №38719/97; 10/10/2002)

და-ძმის (8 და 10 წლის ბავშვების) მიმართ მამინაცვალმა განახორციელა სექსუალური ძალადობა. ბავშვებმა განაცხადეს, რომ მათ მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ძალადობის თაობაზე, მაგრამ მათვე მოახერხეს ბავშვების დაცვა. გოგონამ სცადა თვითმკვლელობა მას შემდეგ, რაც მამინაცვალმა გააუპატიურა. მას სულიერი აშლილობა, ხოლო ძმა მოგვიანებით დაავადდა ეპილეფსიით. ორივენი იყვნენ ტრავმირებულები და ჩავარდნენ ხანგრძლივ დეპრესიაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ქმედითი სამართლებრივი ღონისძიება, ან შესაბამის კომპენსაციაზე ხელმისაწვდომობა, რაც მიჩნეულია კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევად.

### E. v. The UK

(განაცხადი №33218/96; 26/11/2002)

სამი და და მათი პატარა ძმა მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მათი დედის მეგობარი მამაკაცის მხრიდან, მას შედეგ, რაც ის მათთან გადავიდა საცხოვრებლად. მამაკაცი ბავშვებს აიძულებდა ერთმანეთი ჯაჭვით დაებათ ან მათ-რახით ეცემათ. შედეგად გოგონებსა და მათ ძმას განუვითარდათ ტრავმის შემდგომი სინდრომი და ჯანმრთელობის პრობლემები.

სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალური სამსახურის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ბავშვების დაცვა და არაეფექტური ღონისძიების გამო მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

**Siliadin v. France**

**(განაცხადი №73316/01; 26/07/2005)**

15 წლის ტოგოელ გოგონას აიძულებდნენ მონურ შრომას. მას ჩამოართვეს პასპორტი, ამუშავებდნენ 15 საათს დღის განმავლობაში და არ უზღვიდნენ ანაზღაურებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის ჯეროვანი და ეფექტური დაცვა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-4 მუხლის (იძულებითი და მონური შრომის აკრძალვა) დარღვევას.

**Kontrova v. Slovakia**

**(განაცხადი №7510/04; 31/05/2007)**

2002 წლის 2 ნოემბერს აპლიკანტმა შეიტანა სისხლის სამართლის საჩივარი თავისი ქმრის წინააღმდეგ, რომელიც გამუდმებით თავს ესხმოდა, სცემდა და ელექტროსადენებით აწამებდა. მოგვიანებით, როდესაც ის პოლიციის განყოფილებაში ქმართან ერთად გამოცხადდა, პოლიციის თანამშრომლებმა აიძულეს, უკან გაეთხოვა თავისი საჩივარი. 2002 წლის 31 დეკემბერს განმცხადებლის ქმარმა სასიკვდილოდ დაჭრა მათი ვაჟი, დაბადებული 2001 წელს და გოგონა, დაბადებული 1997 წელს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ბავშვების სიცოცხლის გადარჩენა და ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, რადგან დედამ ვერ შეძლო კომპენსაციის მიღება.

**E.S. and Others v. Slovakia**

**(განაცხადი №8227/04; 15/09/2009)**

2001 წელს აპლიკანტმა მიატოვა თავისი ქმარი და სისხლის სამართლის სარჩელით მიმართა სასამართლოს მისი და მისი ბავშვების მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი შვილის მიმართ სექსუალური ძალადობაც კი განხორციელდა. მოგვიანებით განმცხადებლის ქმარი გაასამართლეს ფიზიკური თავდასხმისა და სექსუალური ძალადობის ბრალდებით და მიუსაჯეს 2-წლიანი პატიმრობა. განმცხადებლის თხოვნა ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რომ ქმარს დაეტოვებინა სახლი, არ დაკმაყოფილდა; მოგვიანებით სასამართლომ განმარტა, რომ მას უფლება არ ჰქონდა, აეკრძალა განმცხადებლის ქმრისათვის, ესარგებლა თავისი საკუთრებით (მხოლოდ განქონების შემდეგ იყო შესაძლებელი ქონებიდან წილის მიღება). შესაბამისად, განმცხადებელი და მისი შვილები იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ სახლი, მეგობრები, ოჯახი და შეეცვალათ სკოლა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაცვა განმცხადებელი და მისი შვილები ქმრის ძალადობისგან, რაც, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევას.

**C.A.S. and C.S. v. Romania**

**(განაცხადი №26692/05; 20/03/2012)**

საქმე ეხება შვიდი წლის ბავშვის საჩივარს იმის თაობაზე, რომ ხუთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი გაუპატიურების ფაქტების გამოძიება. კერძოდ, 1998 წლის აპრილში, სკოლიდან შინ დაბრუნებული ბიჭი მარტო მოხელთა დამნაშავემ და გააუპატიურა. ბრალდებული პირი საბოლოოდ გაამართლეს. განმცხადებელი განსაკუთრებით მიუთითებდა იმაზე, რომ მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობა მისთვის წამების ტოლფასი იყო. ადგილობრივმა

სასამართლოებმა საქმის განხილვა ისეთი მიმართულებით წარმართეს, რომ განმცხადებელი და მისი მშობლები გაამტყუნეს დაგვიანებული რეაქციის გამო. საქმე ისე შემობრუნდა, რომ თავად განმცხადებელი და მისი ოჯახი გახდა იძულებული, დაეტოვებინათ ქალაქი, რათა ნორმალური ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მისცემოდათ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა. თავის განჩინებაში სტრასბურგის სასამართლომ თვალნათლივ ასახა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ეფექტური გამოძიება ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტებზე. ამას გარდა, რუმინეთის მთავრობას განსაკუთრებით მიანიშნა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაცვაზე,<sup>1</sup> რომელიც ეხება ნებისმიერი სახის ძალადობისაგან ბავშვთა დაცვას. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ განმცხადებელს არ ჰყავდა ადვოკატი და საქმის განხილვისას არც კვალიფიკაციურ ფსიქოლოგს გაუწვია მისთვის დახმარება.

## პოლიციის მიერ არაადამიანური მოპყრობა

### Okkali v. Turkey

(განაცხადი №52067/99; 17/10/2006)

12 წლის ბიჭს პოლიციის ოფიცრებმა სცემეს, რათა მიეღოთ აღიარება მის მიერ თავისი დამპყროვებისათვის ფულის მოპარვის თაობაზე (მოგვიანებით ქურდობის ჩადენაზე ბრალდება მოეხსნა). მან პოლიციის შენობა დატოვა სისხლჩაქცევებითა და ფიზიკური დაზიანებებით. პოლიციელთა მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ გადაწყვეტილება შეჩერდა, ხოლო მოგვიანებით ისინი დააწინაურეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან არ დაისაჯნენ დამნაშავე პოლიციელები და არ არსებობდა არასრულწლოვნის ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები. სასამართლომ გულისტკივილით აღნიშნა, რომ საქმის განხილვისას არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ადგილობრივი სასამართლოები ითვალისწინებდნენ არასრულწლოვნის მდგომარეობას. პასუხისმგებელ პირთა დაუსჯელობა კი ეჭვის ქვეშ აყენებდა სასამართლო სისტემას და მის შესაძლებლობას, ნებისმიერი პირის დაცვის თაობაზე.

### Stoica v. Romania

(განაცხადი №42722/02; 04/03/2008)

14 წლის მოზარდმა განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში სცემეს მხოლოდ იმის გამო, რომ ბოშა იყო. არანაირი მოკვლევა არ დაწყებულა აღნიშნულ ფაქტზე და არც პოლიციელები დასჯილან.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტისათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებები იყო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შედეგი, რაზედაც არ ჩატარებულა შესაბამისი გამოძიება, ხოლო პოლიციელების ქმედებები უშუალოდ მოტივირებული იყო რასიზმით, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლების დარღვევას.

### Darraj v. France

(განაცხადი №34588/07; 04/11/2010)

16 წლის მოზარდი საავადმყოფოში მიიყვანეს სხეულზე და განსაკუთრებით სახეზე მიყენებული უმძიმესი ფიზიკური დაზიანებებით, რომლებიც მას პოლიციის განყოფილებაში მიაყენეს, სადაც იგი ხელბორკილით მიიყვანეს ყოველგვარი წინასწარი ბრალდების წაყენების გარეშე. განმცხადებელს დასჭირდა სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია და თითქმის ერთი თვის განმავლო-

<sup>1</sup> 1990 წელს რუმინეთმა მოახდინა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება და ასევე, 2001 წელს ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ეხება სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვას.



ბაში იმყოფებოდა უმოქმედო მდგომარეობაში. მან განაცხადა, რომ პოლიციელებმა ხელკეტებით სცემეს გენიტალიებში, რაზეც პოლიციელებმა მხრიდან განმარტეს, რომ თავდაცვის მიზნით მოქმედებდნენ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა სრულიად დაუცველ მდგომარეობაში. გაურკვეველია, რატომ ამყოფებდნენ დაკავებულს ბორკილებში. მომხდარზე არ ჩატარებულა არანაირი მოკვლევა, არც რაიმე სერიოზული დისციპლინური სანქციები განხორციელებულა – მხოლოდ მცირეოდენი თანხის გადახდა დაეკისრათ ჯარიმის სახით. შესაბამისად, ამკარად არაპროპორციულად შეფასდა ჩადენილი დანაშაული და სასჯელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

**Cigerhun Oner v. Turkey**

**(განაცხადი №2858/07; 23/11/2010)**

12 წლის ბიჭის მიმართ პოლიციელებმა განახორციელეს არაადამიანური მოპყრობა, როდესაც იგი მიიყვანეს განყოფილებაში პირადობის დამადასტურებელი მონმობის წარმოუდგენლობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოზარდის მიმართ განხორციელდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. პოლიციელთა მიმართ არ გატარებულა არანაირი დისციპლინური სანქცია.

**განმცხადებელი სასამართლოში**

**T. v. The UK**

**(განაცხადი №24724/94)**

**V. v. The UK**

**(განაცხადი №24724/94)**

ორივე განმცხადებელი 11 წლისანი იყვნენ, როდესაც სამი კვირის განმავლობაში სრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასამართლოში იმყოფებოდნენ – მათი საქმის განხილვა მიმდინარეობდა პრესისა და საზოგადოების უდიდესი ინტერესის ქვეშ – პატარა ბავშვის მკვლელობის ჩადენის ბრალდებით. სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ბიჭების მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. იმ ბავშვის საქმე, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უნდა განიხილებოდეს იმგვარად, რომ სრულად იყოს გათვალისწინებული მისი ასაკი, ზრდასრულობა, ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობები. ორივე ბიჭს აღენიშნებოდა პოსტტრავმული სტრესი, რაც გამოწვეული იყო მათ მიერ ჩადენილი დანაშაულით. სასამართლოზე შიშის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ კონცენტრაციას. სასამართლო პროცესის ფორმალური და რიტუალური მხარე და ადგილი, სადაც ისინი იყვნენ დარბაზში მოთავსებულნი, დისკომფორტს ქმნიდა. ამ გარემოში შეუძლებელი იყო, რომ მათ ეთანამშრომლათ ადვოკატებთან, თუ მოსამართლეებთან.

სასამართლომ არ მიიჩნია დარღვევულად კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლების ასაკთან დაკავშირებით (რადგან არ არსებობს ზუსტი სტანდარტი სასჯელის დაკისრების მინიმალური ასაკის თაობაზე) და ასევე სასამართლო სხდომების საჯაროობასა და ხანგრძლივობასთან მიმართებით.

**S.C. v. The UK**

**(განაცხადი №60958/00; 15/06/2004)**

11 წლის ბიჭი, რომელსაც თავის ასაკთან შედარებით ძალიან დაბალი ინტელექტუალური მაჩვენებელი ჰქონდა, გაასამართლეს სრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასამართლოში და მიუსაჯეს 2 წლითა და 6 თვით პატიმრობა – 87 წლის მოხუცებულისათვის ჩანთის მოპარვის მცდელობის გამო, რომელიც ამ დროს წაიქცა და მკლავი დაიზიანა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი, რადგან ბიჭი არ იყო ქმედუნარიანი სასამართლოში მონაწილეობის მისაღებად; მას არ ესმოდა მსაჯულთა როლი და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, რომ კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა მსაჯულებზე; არ ესმოდა, თუ რამდენად დიდი რისკის ქვეშ იყო ციხეში მოსახვედრად; სასამართლო განხილვების დასრულების შემდეგ მას ეგონა, რომ სახლში მამასთან ერთად გაუშვებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა განმცხადებელი სასამართლო ექსპერტს შეეფასებინა.

## პატიმრობაში მყოფი პაპუკი

**Selcuk v. Turkey**

(განაცხადი №21768; 10/01/2006)

16 წლის მოზარდი მოათავსეს წინასწარი დაკავების იზოლაციაში ოთხი თვის განმავლობაში, ვიდრე გაათავისუფლებდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი იმ დროისათვის იყო არასრულწლოვანი, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

**Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium**

(განაცხადი №13178/03; 12/10/2006)

კონგოელი ხუთი წლის ტაბითა კანიკი მიტუნგა ბრიუსელის აეროპორტში დააკავეს, რადგან თან არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია. მისი დედა ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობს კანადაში. ბავშვს უნდა დახვედროდა ბიძა, რათა გაეგზავნა დედასთან. იმის გამო, რომ აეროპორტში არ იყო ბავშვებისათვის განკუთვნილი დაკავების ადგილი, იგი მოათავსეს სრულწლოვან არალეგალურ ემიგრანტთათვის განკუთვნილ ადგილას ორი თვის განმავლობაში. ბავშვს თან არ ახლდა ოჯახის არც ერთი წევრი და არც ისეთი პირი, რომელიც აღმოუჩენდა მას დახმარებას, ან გაუწევდა მეურვეობას, ვიდრე დააბრუნებდნენ უკან, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მისი ოჯახის არც ერთი წევრი არ დახვედრია ბავშვს კინშასას (კონგოს დედაქალაქი) აეროპორტში. ბელგიისა და კანადის პრემიერ-მინისტრების ჩარევის შემდეგ გოგონა საბოლოოდ გაგზავნეს დედასთან კანადაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები ტაბითას დაკავებისას და დეპორტაციის დროს. გოგონა ძალიან დაუცველი იყო. მცირეწლოვანი არალეგალი უცხოელი ოჯახის წევრების გარეშე სრულიად მარტო იმყოფებოდა. დაკავებისა და დეპორტაციის პირობები მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობას და წარმოადგენდა არაჰუმანურობის გამოვლინებას, რაც არაადამიანური მოპყრობის ტოლფასი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბელგიის ხელისუფლება ვალდებული იყო მცირეწლოვანი გოგონა თავის დედასთან გაეგზავნა, იგი პირიქით მოიქცა – დააბრკოლა მისი ოჯახში გაგზავნა.

**Guvec v. Turkey**

(განაცხადი №70337/01; 20/01/2009)

15 წლის არასრულწლოვანი გაასამართლა სრულწლოვანთათვის განკუთვნილმა სასამართლომ. შედეგად იგი დამნაშავედ ცნო უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობაში. განაჩენის გამოცხადებამდე არასრულწლოვანი ხუთ წლამდე ამყოფეს წინასწარ პატიმრობაში სრულწლოვანთათვის განკუთვნილ საკანში, სადაც ის ვერ იღებდა შესაბამის სამედიცინო მომსახურებას, თავისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. ამას გარდა, მას არ აღმოუჩინეს სამართლებრივი დახმარება პოლიციის განყოფილებაში დაკითხვისას, 30 სასამართლო სხდომიდან 14 სხდომას არ ესწრებოდა ხან პროკურორი და ხან მოსამართლე, ზოგჯერ – არც თვითონ განსასჯელი და ადვოკატი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვნის დაკავებამ უდავოდ გამოიწვია მისი ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც გამოიხატა თვითმკვლელობის მცდელობებში. ხელისუფლების წარ-

მომადგენლები უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებლები განმცხადებლის პრობლემებზე და ვერ შეძლეს მისი ჯეროვანი უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით. სასამართლოს მიაჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო და კონვენციის მე-3 მუხლი იმის გამო, რომ მოზარდს ამყოფებდნენ სრულწლოვანთათვის განკუთვნილ საკანში სამედიცინო მომსახურების გარეშე და არ აღკვეთეს თვითმკვლელობის მცდელობები. მას ასევე არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო სასამართლო განხილვებში, რაც, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასაც.

### **Ichin and others v. Ukraine**

**(განაცხადი №№28189/04 და 28192/04; 21/12/2010)**

13 და 14 წლის ორი ბიჭი სკოლის სასადილოდან საკვებისა და სამზარეულო ნივთების მოპარვისათვის 30 დღის განმავლობაში მოათავსეს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭებმა აღიარეს ქურდობა, დააბრუნეს ნაქურდალი და ასევე იყვნენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მინიმალური ზღვარის ქვევით.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვების დაკავება ამ შემთხვევაში იყო თვითნებური, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ განხორციელეს საჭირო „საგანმანათლებლო ზედამხედველობა“, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევას.

## გავშვთა უფლებები

### განათლება

#### Belgian Linguistic Case

(განაცხადები №№1474/62, 1677/62, 1691/62, 1769/63, 1994/63 და 2126/64)

აპლიკანტები არიან 800-ზე მეტი ფრანკოფონი ბავშვების მშობლები, რომლებიც ცხოვრობენ ბელგიის კონკრეტულ მხარეში. ისინი ჩივიან, რომ მათ ბავშვებს უარი ეთქვათ ფრანგულენოვანი განათლების მიღებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვებისათვის ფრანგულენოვანი სკოლებისადმი ხელმისაწვდომობასა და ამ სკოლებისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა ბრიუსელის გარეუბანში მდებარე ექვსი დასახლებისათვის, იმ მოტივით, რომ მათი მშობლები ცხოვრობენ ამ დასახლების ფარგლებს გარეთ, წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლისა (დისკრიმინაციის აკრძალვა) და ასევე კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია ვერ უზრუნველყოფს ბავშვისათვის სახელმწიფოზე ან სახელმწიფო სუბსიდიებზე დაფუძნებით განათლების მიღების უფლებას იმ ენაზე, რომელზეც მისი მშობლები საუბრობენ.

#### Timishev v. Russia

(განაცხადი №№55762 და 55974/00; 13/12/2007)

აპლიკანტის 7 და 9 წლის ბავშვები იმ მოტივით გაირიცხნენ სკოლიდან, სადაც ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ, რომ მათი მამა იყო ჩეჩენი, რომელიც არ იყო ქალაქში რეგისტრირებული და არ გააჩნდა მიგრანტის მონობა, რის საფუძველზეც მას შეეძლო, ჩეჩენეთში დაკარგული საკუთრების საფუძველზე მიეღო კომპენსაცია.

რამდენადაც რუსეთის კანონმდებლობა არ აძლევს ბავშვებს უფლებას, მიიღონ განათლება მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის გარეშე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი.

#### D.H. v. Czech Republic

(განაცხადი №57325/00; 13/11/2007)

საქმე ეხება 18 ბოშა ბავშვს, რომლებიც არიან ჩეხეთის მოქალაქეები. ისინი განთავსდნენ სპეციალურ სკოლებში, სადაც სწავლობენ სოციალურად დაუცველი და უნარშეზღუდული ბავშვები. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ერ-გეტაპიანი განათლების სისტემა, სადაც ბოშა ბავშვები მოექცნენ იზოლაციაში, ამგვარ სკოლებში იყო კვაზი-ავტონომური.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის ჩეხეთის სპეციალური სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ ბოშა ბავშვები. ამ სკოლების საშუალო და საშუალოზე მაღალი ინტელექტის მქონე ბოშა ბავშვებს ხშირად უტარებდნენ ისეთ ფსიქოლოგიურ ტესტირებას, რაც არ იყო მათ ეთნიკურ წარმომავლობასთან ადაპტირებული. სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ დროისათვის კანონი არაპროპორციული იყო ბოშა ბავშვებისათვის მიყენებული ზიანის შედეგებთან, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლისა და კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას. მიუხედავად ამისა, ახალმა კანონმდებლობამ გააუქმა სპეციალური სკოლები და ჩვეულებრივ სკოლებს მოსთხოვა, რომ უზრუნველყოს როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის, ასევე სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის განათლების მიღება.

#### Sampanis and Others v. Greece

(განაცხადი №32526/05; 05/06/2008)

საბერძნეთის ხელისუფლებამ არ ჩარიცხა ბოშა ბავშვები, რომლებიც ვერ იღებდნენ ოფიცია-

ლურ განათლებას, ბერძნულ სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. შედეგად, 50-ზე მეტი ბავშვი განთავსდა სკოლის სპეციალურად შექმნილ დამატებით კლასებში, რაც მიზნად ისახავდა მათ რეინტეგრაციას ძირითად კლასებში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბოშა ბავშვები არც თავიდან და არც შემდეგ არ შეამონმეს, საჭიროებდნენ თუ არა ისინი დამატებით მოსამზადებელ კლასებში სწავლას, რათა გაერკვიათ, იყო თუ არა პროგრესი, რომ გადაეყვანათ ძირითად კლასებში. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი და ასევე კონვენციის მე-14 მუხლი ბავშვების სპეციალურ კლასებში ჩარიცხვის პროცედურისას და მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

**Orsus and Others v. Croatia**

**(განაცხადი №15766/03)**

15 ხორვატიელი ბავშვი, რომლებიც ეთნიკურად ბოშები არიან, ჩიოდნენ, რომ რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლები იყვნენ, რადგან განთავსდნენ იმ კლასებში, სადაც მხოლოდ ბოშა ბავშვები სწავლობდნენ. შედეგად მათ მიაღვათ ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი, ასევე დაირღვა მათი უფლება განათლებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ბოშა ბავშვებს განთავსებდნენ სკოლების სპეციალურ კლასებში. სახელმწიფომ ეს ქმედება ახსნა იმით, რომ ამ მოსწავლეებმა არ იცოდნენ ხორვატიული ენა. ამის მიუხედავად, ასეთ კლასებში მოსწავლეთა განთავსება არ იყო განპირობებული მხოლოდ ენობრივი ბარიერით, შემდგომი საგანმანათლებლო პროგრამა არ იყო გათვალისწინებული ენობრივ პრობლემებზე და ამ მხრივ მოსწავლეთა პროგრესზე არ მიმდინარეობდა მონიტორინგი. განმცხადებელთა განთავსება მხოლოდ ბოშა ბავშვებით დაკომპლექტებულ კლასებში გაუმართლებელია და წარმოადგენს კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლისა და კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას.

**Horvath es Vadazi v. Hungary**

**(განაცხადი №2351/06; 09/11/2010)**

შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ორი ბოშა ბავშვი მოათავსეს სამკურნალო სკოლის კლასში ისეთი მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც არ ჰქონდა შესაბამისი სპეციალური განათლება. ისინი ჩიოდნენ, რომ მათი ამ სკოლაში განთავსების გადაწყვეტილება განპირობებული იყო მხოლოდ წარმომავლობის ფაქტორით და, შესაბამისად, იყო დისკრიმინაციული. ადგილობრივი სასამართლო განხილვები წარუმატებელი იყო.

სასამართლომ საქმე დაუშვებლად ცნო, რადგან: აპლიკანტებმა ადგილობრივ სასამართლოებს არ მიმართეს სამოქალაქო სარჩელით საჯარო საგანმანათლებლო აქტის 77-ე მუხლის საფუძველზე; დაარღვიეს ადამიანის უფლებათა სასამართლოსადმი მიმართვის ექვსთვიანი ვადა; მათ არ წამოჭრეს საკითხი დისკრიმინაციის შესახებ.

**Ali v. The UK**

**(განაცხადი №40385/06; 11/01/2011)**

აპლიკანტი გარიცხეს სკოლიდან პოლიციის მიერ საქმის გამოძიებისას, რომელიც უკავშირდებოდა სკოლაში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას. იგი იმ დროს შემთხვევის ადგილიდან ახლოს იმყოფებოდა. აპლიკანტს შესთავაზეს ალტერნატიული სასკოლო განათლების მიღება მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა. მოზარდის მშობლები მიიწვიეს სკოლაში, რათა განეხილათ მისი რეინტეგრაცია. მშობლები არ გამოცხადდნენ შეხვედრაზე და გადადეს გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელ სკოლაში სურდათ შვილის დაბრუნება. განმცხადებლის ნაცვლად სკოლაში მიიღეს სხვა ბავშვი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განათლების უფლება აუცილებელი არაა მოიცავდეს კონკრეტულ სკოლაში სწავლის ხელმისაწვდომობას ან დისკრიმინირებულ ზომების დაკისრებას. აპლიკანტი სკო-

ლიდან მხოლოდ დროებით გაირიცხა, რადგან იგი იყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში მონაწილე პირი და გარიცხვის პროცესი სრულად შეესაბამებოდა კანონს. ამასთან, მას შესთავაზეს ალტერნატიული განათლების საშუალება. მშობლებმა არ ისურვეს სკოლაში შეხვედრაზე მისვლა მისი რეინტეგრაციის თაობაზე და არც დროულად შეეცადნენ ხელახლა დაკავშირებოდნენ სკოლას, რათა მათი შვილი არ გაერიცხათ. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი არ დარღვეულა.

## მემაკვიდრეობა და გავშვის მიკუთვნება

### Marckx v. Belgium

(განაცხადი №6833/74; 13/06/1979)

ბელგიელ, ქორწინებაში არმყოფ დედას და მის ქალიშვილ ალექსანდრას უარი ეთქვათ იმ უფლებებზე, რომლებიც გააჩნიათ ქორწინებაში მყოფ დედებსა და მათ შვილებს: სხვა საკითხებთან ერთად, მას უნდა ელიარებინა თავისი შვილი, ან წამოეწყო სამართლებრივი განხილვები ბავშვის მიკუთვნების თაობაზე (ქორწინებაში მყოფ დედებს შეუძლიათ დაეყრდნონ მხოლოდ ბავშვის დაბადების მონომობას); აღიარება უზღუდავს მას შესაძლებლობას, უანდერძოს საკუთრება თავის ბავშვს და არ წარმოშობს სამართლებრივ კავშირს ბავშვსა და დედის ოჯახს, მის ბებიასა და დედის შორის. მხოლოდ ქორწინებით და შემდეგ უკვე ალექსანდრას შვილად აყვანით არის შესაძლებელი, მიიღოს მან და მისმა შვილმა იგივე უფლებები, რაც კანონიერად დაბადებულ ბავშვს გააჩნია.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები ალექსანდრას შვილად აყვანის საკითხის განხილვისას. ასევე არ არსებობდა სამართლებრივი კავშირი განმცხადებლის დედის ოჯახსა და მის სამემკვიდრეო უფლებების შორის და ასევე მისი დედის არჩევანის თავისუფლებას შორის, თუ როგორ გაენაწილებინა თავისი მემკვიდრეობა. ბელგიის პარლამენტში განსახილველად შევიდა კანონი, რომელიც ეხებოდა ქორწინებაში დაბადებული და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებებს შორის არსებული განსხვავების გაუქმებას.

### Inze v. Austria

(განაცხადი №8695/79; 28/10/1987)

აპლიკანტს იურიდიულად უფლება არ ჰქონდა მემკვიდრეობით მიეღო თავისი დედის ფერმა, ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, რადგან იგი ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფერმაში მუშაობდა ვიდრე, 23 წლის არ გახდებოდა, მისმა პატარა ნახევარ-ძმამ მიიღო მთლიანი ფერმა მემკვიდრეობით. საბოლოოდ, აპლიკანტმა ძმისგან მიიღო მხოლოდ მინის პატარა ნაკვეთი, რომელიც დედას სურდა, რომ მისთვის დაეთოვებინა.

სასამართლომ აღნიშნა რა, რომ აპლიკანტი მხოლოდ იმის გამო დათანხმდა საქმის მორიგებით დასრულებას, რომ არ ჰქონდა უფრო მეტის მიღების იმედი, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის პირველი ოქმის I მუხლთან ერთად.

### Mazurek v. France

(განაცხადი №34406/97)

აპლიკანტი, რომელიც ქორწინების გარეშე ურთიერთობის შედეგად დაიბადა, იძულებული იყო მიეღო მხოლოდ მემკვიდრეობის ნახევარი, რადგან კანონიერ ქორწინებაში გაჩენილი შვილი ასევე აცხადებდა დედის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპაში უკვე არსებობს გამოკვეთილი ტენდენცია აპლიკანტის მდგომარეობაში მყოფი ბავშვების მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღსაკვეთად. ასეთი ბავშვები არ შეიძლება დაადანაშაულო იმაში, რაც მათზე არ არის დამოკიდებული. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის პირველი ოქმის I მუხლთან ერთად.

**Camp and Bourimi v. The Netherlands**

**(განაცხადი №28369/95)**

ეველინ კამპი და მისი ვაჟი – სოფიანი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ მათი ოჯახის სახლი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა სოფიანის მამა – აბი ბოურიმი ისე, რომ მან ვერ მოასწრო ანდერძის დატოვება, რითაც შეილად აღიარებდა სოფიანს და იქორწინებდა ქალბატონ კამპზე (ასეთი იყო მისი განზრახულობა). ჰოლანდიის კანონმდებლობით იმ დროისათვის ბატონი ბოურიმის მემკვიდრეობა მიიღეს მისმა მშობლებმა და და-ძმამ. ისინი შემდეგ გადავიდნენ იმ სახლში საცხოვრებლად. სოფიანი მოგვიანებით აღიარეს კანონიერ შეილად, მაგრამ რამდენადაც ეს გადაწყვეტილება არ იყო რეტროაქტიული, იგი არ იქნა ცნობილი მამის მემკვიდრედ. სასამართლომ აღნიშნა რა, რომ ბატონ ბოურიმის განზრახული ჰქონდა, დაქორწინებულიყო ქალბატონ კამპზე და შეილად ელიარებინა სოფიანი, დაადგინა, რომ სოფიანის გაძევება მამის სახლიდან წარმოადგენდა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევას.

**Pla and Puncernau v. Andora**

**(განაცხადი №69498; 13/07/2004)**

ანტონს, რომელიც შეილად იყო აყვანილი, ჩამოერთვა მემკვიდრეობა და, შესაბამისად, მისმა დედამ დაკარგა უფლება არენდით ეცხოვრა ოჯახის საკუთრებაში, მას შემდეგ, რაც ანდორის სასამართლომ განმარტა ანდერძის ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც მიუთითებდა, რომ მემკვიდრე უნდა დაბადებულიყო „კანონიერი და კანონიკური წესით“ შექმნილ ოჯახში, ეხებოდა მხოლოდ ბიოლოგიურად დაბადებულ ბავშვებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ანტონის მშობლები იმყოფებოდნენ „კანონიერი და კანონიკური წესით“ ქორწინებაში და სადავო ანდერძში არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ აყვანილი შეილეს ამორიცხვა შეიძლებოდა ანდერძიდან. ადგილობრივი სასამართლოების გადაწყვეტილებები წარმოადგენდა „შეილად აყვანილი ბავშვების სამართლებრივი უფლების შელახვას მემკვიდრეობაზე“, რომელიც „ამჟამად არ შეესაბამებოდა დისკრიმინაციის აკრძალვას“. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები.

**Stagno v. Belgium**

**(განაცხადი №1062/07; 07/07/2009)**

ორი და ჩიოდა იმის თაობაზე, რომ მათ უარი ეთქვათ სასამართლოსადმი მიმართვაზე, რათა თავიანთი დედის წინააღმდეგ შეეტანათ სარჩელი, რომელიც არასწორად განკარგავდა მათ ქონებას. სასამართლოსადმი მიმართვაზე უარი განპირობებული იყო იმით, რომ განმცხადებლები არასრულწლოვნები იყვნენ და მათ არ შეეძლოთ მიემართათ სარჩელით, ვიდრე სრულწლოვნები არ გახდებოდნენ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

**პირის იდენტიფიკაცია**

**Odievre v. France**

**(განაცხადი №42326/98)**

აპლიკანტმა, რომელიც შეილად იყო აყვანილი, აღმოაჩინა, რომ მას ჰყავდა სამი ბიოლოგიური ძმა. მან მოითხოვა ინფორმაცია მათ იდენტიფიკაციაზე, რაზედაც უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ იგი დაიბადა სპეციალური პროცედურების შედეგად, რომლის საფუძველზეც დედებს უფლება ჰქონდათ ანონიმურობაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლები, რადგან საფრანგეთის ხელისუფლებამ დაიცვა სამართლიანი ბალანსი სხვადასხვა მხარის ინტერესების დაცვისას: საზოგადო ინტერესი; ბავშვის პირადი განვითარებისა და მისი წარმომავლობის ცოდნა; დედის უფლება თავისი ჯანმრთელობის დაცვაზე განსაკუთრებულ გარემოებებში მშობია-

რობისას; და ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა ოჯახების წევრთა უფლებები. ასევე შესაძლებელი იყო აპლიკანტის მოთხოვნის საფუძველზე გამჟღავნებულიყო მისი ბიოლოგიური დედის მონაცემები ამ უკანასკნელის თანხმობის საფუძველზე. ამას გარდა, განმცხადებელს შეეძლო მიეღო მისი მშვილებელი მშობლების მემკვიდრეობა და არ იმყოფებოდა იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მისი დედის სხვა ბიოლოგიური შვილები იყვნენ.

### **Jaggi v. Switzerland**

**(განაცხადი №58757/00; 13/07/2006)**

აპლიკანტს უარი უთხრეს დნმ-ის ტესტის მიღებაზე გარდაცვლილი მამაკაცის სხეულიდან, რომელიც, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო მისი ბიოლოგიური მამა. შედეგად მან ვერ შეძლო დაედგინა მისი მამობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

### **მოქალაქეობა**

#### **Genovese v. Malta**

**(განაცხადი №53124/09)**

ბრიტანელ განმცხადებელს, რომელიც დაიბადა შოტლანდიაში და არის ბრიტანელი დედისა და მალტელი მამის ქორწინების გარეშე დაბადებული შვილი, უარი ეთქვა მალტის მოქალაქეობაზე იმ მოტივით, რომ იგი უკანონო შვილია. ბავშვს, რომელიც დაიბადა ქორწინებაში მყოფი წყვილისაგან ან ჰყავს მალტელი დედა, შეუძლია მიიღოს მალტის მოქალაქეობა.

საქმე ამჟამად განხილვის პროცესშია.



## კოლექტიური ბაქევი

### მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი: უცხოელის კოლექტიური ბაქევის აკრძალვა

„კოლექტიური ბაქევი“ – აკრძალულია უცხოელთა კოლექტიური ბაქევი, გარდა ჯგუფის ყოველი უცხოელი წევრის კონკრეტული საქმის ობიექტური და გონივრული განხილვისა“.

#### კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა

სასამართლომ მომდევნო ორ საქმეში დაადგინა კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა.

#### Conka v. Belgium

05/02/2002

სლოვაკეთის ეთნიკურად ბოშა მოქალაქეების გამოძევების პროცედურის განხორციელებისას ხელისუფლებამ არ გამოიჩინა ძალისხმევა, რომ თითოეული პირის მიმართ პერსონალური გარემოებები ინდივიდუალურად და ზუსტად მიეღოთ მხედველობაში. სასამართლოს შეხედულებით, აღნიშნული პროცედურები ბაქებს ეჭვს, რომ ბაქევი შეიძლება მომხდარიყო კოლექტიურად. ეს ეჭვი რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: პოლიტიკურმა ძალებმა მისცეს შესაბამისი ინსტრუქციები შესაბამისი უწყების ხელმძღვანელებს მსგავსი ღონისძიებების იმპლემენტაციისათვის; ყველა უცხოელს, რომელსაც ეხებოდა ეს ფაქტი, მოსთხოვეს ერთსა და იმავე დროს გამოცხადებულიყვნენ პოლიციაში; ბრძანებები მათ შესახებ, რომელიც მათ მიერ დატოვებასა და მათ დაპატიმრებას ეხებოდა, ერთი და იმავე ტერმინებით იყო ფორმულირებული; უცხოელებისთვის ძალიან რთული იყო ადვოკატთან დაკავშირება; თავშესაფრის მიცემის პროცედურა არ იყო დასრულებული.

#### Hirsi Jamaa and Others v. Italy

##### დიდი პალატის გადაწყვეტილება

23/02/2012

საქმე ეხება სომალელი და ერიტრეელი მიგრანტების მოგზაურობას ლიბიიდან, რომლებიც ზღვაში იტალიის ხელისუფლებამ დააკავა და უკან ლიბიაში გაამგზავრა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტები იტალიის იურისდიქციაში მოექცნენ კონვენციის პირველი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე: გემზე ასვლასა და ლიბიის ხელისუფლებისათვის გადაცემას შორის პერიოდში აპლიკანტები მოექცნენ იტალიის განგრობითი და ექსკლუზიური „დე იურე“ „დე ფაქტო“ კონტროლის ქვეშ.

პირველ ჯერზე სასამართლოს მოსთხოვეს შემოწმებინა კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი ეხებოდა თუ არა უცხოელების ბაქევის მესამე სახელმწიფოში, რომელიც განხორციელდა ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. სასამართლომ დაადგინა, რომ ბაქევის ცნება, ისევე როგორც „იურისდიქციის“ ცნება ნათლად და უმთავრესად ტერიტორიული იყო, მაგრამ აღნიშნა რომ სახელმწიფომ თავისი იურისდიქცია განხორციელა მისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ - სასამართლომ დაადგინა რომ აპლიკანტები ამ შემთხვევაში მოექცნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ და შეიძლება დაუშვან, რომ ექსტრატერიტორიული იურისდიქცია განხორციელდა კოლექტიური ბაქევის ფორმით. აპლიკანტების ლიბიისთვის გადაცემა მოხდა ინდივიდუალურად, თითოეული საქმის გამოკვლევის გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტების გადაადგილება კონვენციის დამატებითი მეოთხე ოქმის მე-4 მუხლის დარღვევით კოლექტიურად მოხდა.

##### სასამართლომ ასევე დაადგინა:

მე-3 მუხლის დარღვევა (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), რადგანაც აპლი-

კანტები არ იყვნენ დაცული ლიბიაში სასტიკი მოპყრობის რისკისა და სომალსა და ერიტრეაში რეპატრიაციისაგან. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აპლიკანტების ლიბიაში გამგზავრებისას იტალიელ ხელისუფლებას ჰქონდა ან უნდა ჰქონოდა სრული წარმოდგენა ფაქტებზე, რომ ლიბიაში არასაკმარისი გარანტიები იყო, რომ დაეცვათ აპლიკანტები მათი წარმომავლობის ქვეყნებში თვითნებური დაბრუნებისგან.

კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება) მე-3 მუხლთან ერთად, რადგან აპლიკანტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეეტანათ საჩივარი კომპეტენტურ ორგანოში და მიეღოთ თავიანთი მოთხოვნის სრული და ზუსტი შეფასება მანამ, სანამ გაძევების ზომები შევიდოდა ძალაში.

კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში.

## სსპა საქმეები

### Becker v. Denmark

03/10/1975

აპლიკანტი – ჟურნალისტი და ორგანიზაციის – „ბავშვთა დაცვის პროექტი და საერთაშორისო უსაფრთხოება“ დირექტორი, ამტკიცებდა, რომ 199 ვიეტნამელი ბავშვის დანიაში დაბრუნების შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი.

სასამართლომ დაუშვებლად ცნო სარჩელი იქიდან გამომდინარე, რომ დანია დათანხმდა თითოეული საქმის მიხედვით განეხილა შემთხვევა, რადგანაც ზოგიერთი ბავშვის ინტერესს რეპატრიაცია უფრო წარმოადგენდა, ვიდრე დარჩენა და ადგილი აღარ ჰქონდა კოლექტიური გაძევების შემთხვევას.

### Sultan v. France

20/09/2007

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა. ხელისუფლებამ თავშესაფარზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღო არა მხოლოდ ავღანეთში შექმნილი სიტუაციის საერთო კონტექსტი, არამედ ასევე დაბრუნების შემთხვევაში – აპლიკანტების განცხადება მათ ირგვლივ შექმნილი ინდივიდუალური სიტუაციისა და სავარაუდო რისკის შესახებ. აპლიკანტის სიტუაცია ინდივიდუალურად იქნა განხილული და მოხდა მისი გადაყვანისათვის შესაბამისი ნიადაგის უზრუნველყოფა.

მიმდინარე საქმეები, სადაც აპლიკანტები კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევაზე ჩივიან. აღნიშნულ საქმეებში აპლიკანტები ასევე ჩივიან, რომ გადაყვანის შემთხვევაში ისინი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის რისკის ქვეშ მოექცევიან. (კონვენციის III-ე მუხლი).

### F. Z. v. France and Greece

(საჩივრის შეტანის თარიღი: 11/01/2010)

ეთნიკურად ავღანი მოსახლეობა ჩივის საფრანგეთიდან მათი კოლექტიური გაძევების შესახებ.

### Alisa Sharifi and Others v. Italy and Greece

(საჩივრის შეტანის თარიღი: 25/03/2009)

35 აპლიკანტი (32 ავღანი, 2 სუდანელი, 1 ერიტრეელი) სასაზღვრო პოლიციის ბრძანებით დააკავეს იტალიის ერთ-ერთ პორტში და დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საბერძნეთში. სხვა, მთელი რიგ საკითხებთან ერთად, ისინი ჩივიან იტალიიდან კოლექტიური გაძევების ფაქტზე.

# მრწამის (რელიგიური მოსაზრებების) გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა

## ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პრეცედენტული სამართალი

Grandrath v. Germany (2299/64)

კომისიის 12/12/1966წ. ანგარიში

გრანდრასი, იეჰოვას მოწმეთა წინამძღოლი, წარმოადგენდა „ცალსახა მოწინააღმდეგეს“, რომელიც ცდილობდა გათავისუფლებულიყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სამსახურისაგან. მან საჩივარი შეიტანა თავისი ნასამართლობის ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც დადგამის მიერ სანაცვლო სამოქალაქო სამსახურის შესრულებაზე უარის თქმის გამო. აპლიკანტი თვლიდა, რომ მოხდა მისი დისკრიმინაცია კათოლიკე და პროტესტანტ წინამძღოლებთან შედარებით, რომლებიც გაათავისუფლეს აღნიშნული სამსახურისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ განიხილა მითითებული საკითხი მე-9 მუხლისა (რელიგიის თავისუფლება) და მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) შესაბამისად, მე-4 მუხლთან (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა) ერთობლიობაში. კომისიამ დაადგინა, რომ კონვენცია არ დარღვეულა, ვინაიდან შინაგანი მრწამის მქონე პირებს უფლება არ ჰქონდათ, გათავისუფლებულიყვნენ სამხედრო სამსახურისგან. ამასთან, თითოეულ ხელშემკვერელ მხარეს ჰქონდა უფლება გადაეწყვიტა, მიენიჭებინა თუ არა აღნიშნული უფლება მათთვის. უფლების დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროტესტის განმცხადებელს სანაცვლოდ მოეთხოვებოდა სამოქალაქო სამსახურის განწევა, რისგანაც განთავისუფლების უფლება მას არ ექნებოდა.

X v. Austria (5591/72)

კომისიის 02/04/1973წ. გადაწყვეტილება

მოსარჩელემ გაასაჩივრა ავსტრიული სასამართლოების მიერ თავისი მსჯავრდების საქმე რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო. აღნიშნული პირი კათოლიკე იყო.

კომისიამ საქმე დაუშვებლად ცნო, კერძოდ კი – კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ნაწილში, რომელიც ათავისუფლებს იძულებითი ან სავალდებულო შრომის აკრძალვისაგან: „იძულებით ან სავალდებულო შრომად არ განიხილება სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მართლზომიერადაა მიჩნეული“. აღნიშნული პუნქტი ნათლად ასახავს, რომ სახელმწიფოებს განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე პირების აღიარების არჩევანის უფლება გააჩნიათ და მათი აღიარების შემთხვევაში უნდა უზრუნველყონ ისინი ალტერნატიული სამსახურით. მე-9 მუხლი, როგორც ეს მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ნაწილში არის ჩამოყალიბებული, სახელმწიფოს არ ავალდებულებს აღიაროს ასეთი პირები. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ სახელმწიფოებს, რომელთაც განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე პირები არ ჰყავდათ აღიარებული, არ ეზღუდებოდათ იმ პირთა დასჯა, რომელთაც სამხედრო სამსახურზე უარი თქვეს.

X v. Germany (7705/76)

კომისიის 05/07/1977წ. გადაწყვეტილება

იეჰოვას მოწმემ და მოსარჩელემ, რომელიც კომპეტენტურმა უწყებებმა აღიარეს, როგორც განსხვავებული რწმენის მქონე პირი, უარი განაცხადა ალტერნატიულ სამოქალაქო სამსახურზე. მისი მსჯავრდება მოხდა სამსახურის შესრულების თავიდან არიდებისათვის. შესაბამისად, მიესაჯა ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა დაკმაყოფილდა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება საავადმყოფოსა და სხვა ინსტიტუტებში საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებაზე მოლაპარაკების დანებების მიზნით, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პირს ათავისუფლებ-

და სამოქალაქო სამსახურისაგან. ვინაიდან მას არ შეეძლო მსგავს წინადადებაზე შეთანხმება. მისი განაჩენი 1976 წლის დეკემბერს აღსრულდა. მოსარჩელემ იჩივლა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების გაუქმების თაობაზე მე-3 მუხლზე (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მე-7 მუხლსა (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) და მე-9 მუხლზე დაყრდნობით.

კომისიამ საქმე დაუშვებლად ცნო და მიიჩნია: ვინაიდან მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ნათლად აღიარებს, რომ განსხვავებული რწმენის მქონე პირს შესაძლოა სამოქალაქო სამსახურის შესრულება დაევალოს სავალდებულო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, ამ შემთხვევაშიც მე-9 მუხლი არ ეხება სანაცვლო სამოქალაქო სამსახურიდან განთავისუფლების უფლებას. რაც შეეხება მე-7 მუხლით განხორციელებულ საჩივარს, კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო კანონმდებელზე იყო დამოკიდებული, განესაზღვრა დასჯადი დანაშაულები. ამდენად, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კონვენცია არ ზღუდავდა სახელმწიფოებს დაეკისრებინათ სასჯელი იმ პირთათვის, რომლებიც სამოქალაქო სამსახურზე უარს ამბობდნენ. მოსარჩელის სასჯელის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მათ შორის მისი გადავადების თუ პირობით განთავისუფლების შესახებ, კომისიამ მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით სარწმუნოდ არ მიიჩნია.

#### **N. v. Sweden (10410/83)**

##### **კომისიის 11/10/1984წ. გადაწყვეტილება**

პაციფისტი მოსარჩელე მსჯავრდებულ იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო. მას არ მოუთხოვია ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური. კომისიის წინაშე კი აღნიშნა, რომ იგი დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, რამდენადაც სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის წევრები განთავისუფლდნენ აღნიშნული სამსახურისგან. თუმცა ფილოსოფიური მიზეზები, როგორცაა, მაგალითად, პაციფისტობა, არ წარმოადგენს მყარ მტკიცებულებას პირის სამხედრო სამსახურის ვალდებულებისგან განთავისუფლებისათვის.

კომისიამ საქმე დაუშვებლად ცნო, რადგან არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში. კომისიამ ასევე დაადგინა, რომ სამხედრო და ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურიდან სრულ განთავისუფლებაზე გამონაკლისების დაწესება დისკრიმინაციული არ არის განსხვავებული რწმენის მქონე პირებთან მიმართებით, მათი რელიგიური საზოგადოების კუთვნილების მიუხედავად, რომელიც მის წევრებს სთხოვს ზოგად და მკაცრ დისციპლინას სულიერი და მორალური თვალსაზრისით.

#### **Peters v. the Netherlands (22793/93)**

##### **კომისიის 30/11/1994წ. გადაწყვეტილება**

ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი პიტერსი აღიარებული იყო განსხვავებული რწმენის მქონე პირად, რომელიც იძულებული იყო შეესრულებინა სამოქალაქო სამსახური. ვინაიდან თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები უფლებამოსილი იყვნენ განთავისუფლებულიყვნენ ორივე სახის სახელმწიფო სამსახურისგან, აპლიკანტმა საკუთარი თავი დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნია.

კომისიამ საქმე დაუშვებლად ცნო. ვინაიდან ბატონი პიტერსის მიერ წამოჭრილი საკითხი მე-9 მუხლით გათვალისწინებულ სფეროს ეხებოდა, კომისიამ ვერ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით.

## **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი**

#### **Ulke v. Turkey (39437/98)**

**პალატის განჩინება 24/01/2006წ.**

ბატონმა ულკემ უარი განაცხადა სამხედრო სამსახურზე, ვინაიდან იგი მყარი პაციფისტური

მრწამსის მქონე პიროვნება იყო, რომელმაც პრეს-კონფერენციაზე საჯაროდ დაწვა სამხედრო განვევის ბარათი. თავდაპირველად იგი გასამართლდა ახალწვეულთა სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების ნაქეზებისათვის. ამდენად, იგი სამხედრო პოლკში გაამწესეს და ხელახლა დასდეს მსჯავრი სამხედრო ფორმის ტარებაზე უარის თქმისათვის. ორი წლის განმავლობაში იგი სასჯელს იხდიდა და მოგვიანებით შესაბამის უწყებებს დაემალა.

სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა (წამების აკრძალვა), ვინაიდან გამოსაყენებელი სამართლებრივი ჩარჩო არ უზრუნველყოფდა სათანადო ზომებს იმ სიტუაციათა გადასაჭრელად, რაც ვინმეს მრწამსის გათვალისწინებით სამხედრო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევაში წარმოიშობოდა. კანონმდებლობის ბუნების გათვალისწინებით, ბატონი ულკე დაუსრულებელი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებულების რისკის წინაშე აღმოჩნდა. სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ვადების მუდმივი ცვლილება, იმ შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომ იგი მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება პასუხისმგებელი იქნებოდა ბრალდების მხარის წინაშე, არაპროპორციული იყო იმ მიზანთან, რომელიც ემსახურება აღნიშნული პირის მიერ სამხედრო სამსახურის შესრულების უზრუნველყოფას.

**Thilmmenos v. Greece (34369/97)**

**დიდი პალატის განჩინება 06/04/2000წ.**

იეჰოვას მოწმე ბატონი თლიმმენოსი მსჯავრდებულ იქნა მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის გამო, არმიაში ნებაყოფლობით ჩარიცხვაზე უარის თქმისთვის, მაშინ როდესაც, საბერძნეთი არ ითვალისწინებდა განსხვავებული რწმენის მქონე პირებისათვის ალტერნატიულ სამსახურს. რამდენიმე წლის შემდეგ მას უარი ეთქვა პრივილეგიებული ბულალტრის თანამდებობაზე დანიშვნაზე, მისი ნასამართლობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კონკურსზე კარგი და პოზიციისათვის შესაფერისი ქულები აიღო.

სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა მე-9 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან ბატონი თლიმმენოსს უფლება არ მისცეს პრივილეგიებული ბულალტრის პოზიციაზე ემუშავა, რაც მიზნის არაპროპორციული აღმოჩნდა, რადგან აღნიშნული მიზანი ითვალისწინებს იმ პირთა სათანადო დასჯის უზრუნველყოფას, რომლებიც უარს აცხადებენ ემსახურონ თავიანთ სამშობლოს, რისთვისაც აპლიკანტს მოხდელი ჰქონდა საპატიმრო სასჯელი.

**Bayatyan v. Armenia (23459/03)**

**დიდი პალატის განჩინება 07/07/2011წ.**

იეჰოვას მოწმემ, ბატონმა ბაიათიანმა უარი განაცხადა სამხედრო სამსახურის შესრულებაზე რწმენის გამო, როცა ის ახალწვეული იყო 2001 წელს. აპლიკანტმა გამოთქვა მზადყოფნა ალტერნატიული სამოქალაქო სამსახური შეესრულებინა. კომპეტენტური უწყებების განმარტებით, ვინაიდან სომხეთის კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული ალტერნატიული სამსახური, იგი ვალდებული იყო, ჯარში ემსახურა. აღნიშნულ პირს მსჯავრი დაედო ჯარში სამსახურის მოხდისგან თავის არიდებაში და საპატიმრო სასჯელი შეეფარდა. ბატონმა ბაიათიანმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ამით დაირღვა მისი უფლება, რომელიც დაცულია კონვენციის მე-9 მუხლით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების უმრავლესობამ აღიარა მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე თავის არიდების მსურველი პირების უფლებები.

სასამართლომ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა სამხედრო სამსახურის ეფექტური ალტერნატივები, რასაც ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ვხვდებით. ბატონ ბაიათიანს მსჯავრი დაედო იმ დროს, როცა სომხეთი სამხედრო სამსახურის ალტერნატიულ სამსახურებს უკვე იყენებდა.

**Savda v. Turkey (42730/05)**

**პალატის განჩინება 12/06/2012წ.**

საქმე ეხებოდა განსხვავებული რწმენის მქონე პირის უფლების აღიარების წარუმატებელ შემ-

თხვევას თურქეთში. სასამართლომ მრავალგზის აღნიშნა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემა არანაირ გამონაკლისს არ უშვებდა რწმენის გამო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევებზე და მათ, ვინც სამხედრო სამსახურზე უარს ამბობდა, მძიმე სისხლის სამართლის სასჯელები ეკისრებოდათ. ამდენად, მათ ვერ მოახერხეს დაეცვათ ბალანსი საზოგადოების ზოგად ინტერესსა და განსხვავებული რწმენის მქონე პირების ინტერესებს შორის. სასჯელები, სანქციები, მსჯავრი და სისხლისსამართლებრივი დევნა განსხვავებული რწმენის მქონე პირების მიმართ, როცა არანაირად არ იყო მიღებული მხედველობაში მათი რწმენა, ვერ ჩაითვლება დემოკრატიული საზოგადოების კომპონენტად.

სასამართლომ დაადგინა მე-3 და მე-9 მუხლების, ასევე კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, სამხედრო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ნაკლებობის გათვალისწინებით.

## პერსონალური მონაცემების დაცვა

### ძირითადი პრინციპები

ხელისუფლების მიერ ინდივიდის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის შენახვა უტოლდება მე-8 მუხლში ჩარევას. ამ შენახული ინფორმაციის მომდევნო გამოყენებას არ აქვს შეხება სასამართლოს აღნიშნულ შეხედულებასთან (ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ 26.03.1987, კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ 25.03.1998, ამანი შვეიცარიის წინააღმდეგ 16.02.2000).

### Amann V. Switzerland:

აპლიკანტი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომელი, რომელსაც დაურეკეს მის მიერ რეკლამირებული დეპილაციის საშუალების შესაკვეთად. საუბრის ჩანაწერი საჯარო პროკურორის სამსახურის მიერ იქნა მოპოვებული. სადაზვერვო სამსახურს დაევალა აღნიშნულ თემაზე საქმის შედგენა. ეს ნარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას ამ სატელეფონო საუბრის გამო, რადგანაც საქმის შედგენა და შენახვა არ მომხდარა კანონთან შესაბამისობაში, ვინაიდან შვედეთის ხელისუფლებას ამ სფეროში გაურკვეველი დისკრეციის უფლება გააჩნდა.

სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო კონკრეტული კონტექსტი, თუ რა გარემოებებში მოხდა ინფორმაციის მოძიება და შენახვა, რა შინაარსის იყო იგი და რა გზით იქნა გამოყენებული.

იხილეთ – Peck v. United kingdom, 28.01.2003: დარღვეულად ჩაითვალა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგანაც მედიასაშუალებებს მიენოდა ადგილობრივ საბჭოში დამონტაჟებული ვიდეოკამერებიდან ამოღებული ქუჩის ჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იყო აპლიკანტის მიერ ვენების გადაჭრის ფაქტი.

### ტერორიზმთან ბრძოლა

#### Klass and others v. Germany 06/09/1978 §42

„დღევანდელი დემოკრატიული საზოგადოება შეშინებულია მაღალკვალიფიციური ჯაშუშობისა და ტერორიზმის საფრთხეების არსებობით. სახელმწიფომ რომ შეძლოს აღნიშნულ საფრთხეებთან ეფექტურად გამკლავება, უნდა გაატაროს მთელი რიგი ფარული ზედამხედველობა ამ განაღდგურებელი ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ მის ტერიტორიაზე“.

ამ საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა: აპლიკანტის მიერ გასაჩივრებული კანონი (შეზღუდვები ელექტრონული ფოსტის და ტელეკომუნიკაციის საიდუმლოებაზე) სასამართლომ მიიჩნია საჭიროდ დემოკრატიულ საზოგადოებაში, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე და დანაშაულისა და არეულობის პრევენციის მიზნით.

### თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკა

#### S. and Marper V. United Kingdom, 04/12/2008

კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლება დაუშვებლად შესუსტდება, თუ თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკის გამოყენება სისხლის სამართალში დაშვებული იქნება ნებისმიერ ფასად, მისი პოტენციური სარგებლობისა და ასეთი ტექნიკის ფართო გამოყენების სათუთად დაბალანსების გარეშე და თუ მისი გამოყენება მოხდება მნიშვნელოვანი პირადი ცხოვრების ინტერესის დაცვის წინააღმდეგ.

### დაკავებული პირები

სასამართლო ხშირად ადგენს დაკავებული პირების კორესპონდენციის დაბრკოლებებს.

- პოლონეთის წინააღმდეგ რიგ საქმეებში (მაგალითად **Pisk-piskowski v. Poland, Matweijczuk v. Poland, Przyjemski v. Poland**), სასამართლომ დაადგინა, რომ მანამ, სანამ ციხის ადმინისტრაცია განაგრძობდა, დაკავებული პირების მიმონერის შემონმებას, სასამართლოს არ ექნება სხვა ალტერნატივა გარდა იმისა, რომ დაასკვნას: აღნიშნული წერილები გახსნილი და მათი შინაარსი ნაკითხულია, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით.

**Bista v. Poland** (12.01.2010) განჩინებაში სასამართლომ პოლონეთის შიდა პრაქტიკიდან გამომდინარე დაადგინა, რომ პოლონეთში უკვე არსებობდა პატიმრების სასამართლოსთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის ეფექტური საშუალება.

(იხილეთ **Moncy v. Poland** 2010 წლის ნოემბრის განჩინება).

- **კორესპონდენციისთვის ხელის შეშლა** – მაგალითად: **Golder v. the United Kingdom**

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეიძლება აპლიკანტს აეკრძალოს ადვოკატთან მიმონერა საკუთარი ბრალის გამართლების თაობაზე, არეულობის პრევენციის მიზნიდან გამომდინარე.

- **მიმონერის შემონმება (ინტერსეპტიონ): Silver and Others v. United Kingdom** 25.03.1983

დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა სალანძღავი სიტყვების გამოყენების კონტექსტში და არ დადგენდა მე-8 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, თითქოს წერილი შეიცავდა აშკარა საფრთხეს.

- **აკრძალვები სასამართლოსთან კომუნიკაციისას – Campbell v. United Kingdom** 25.03.1992

სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან მოხდა აპლიკანტის მიმონერის გახსნა მისი ადვოკატისა და კომისიის თანდასწრებით.

**Cotlet v. Romania** 35.03.1992 – სასამართლოსთან კომუნიკაციისთვის ხელის შეშლა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგანაც დაყოვნებით მიმდინარეობდა აპლიკანტის წერილების გაგზავნა, ციხის ადმინისტრაცია კითხულობდა აპლიკანტის მიმონერას და არ უზრუნველყოფდა მას სასამართლოსთან მიმონერისთვის საჭირო მასალებით.

**Wisse v. France** 20.12.2005 – საქმე ეხება აპლიკანტსა და მისი ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის ჩანერის სისტემის არსებობას Ploemeur-ისა და Rennes-ის ციხეების შეხვედრების ოთახებში.

სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან პატიმარებს მნახველთა ოთახებში კომუნიკაციის ჩანერის შემთხვევასთან დაკავშირებით ფრანგულ კანონმდებლობაში არ არის გარკვევით მითითებული, თუ რა შემთხვევაში არის ადმინისტრაცია უფლებამოსილი, ჩანერის პატიმართა პირად ცხოვრებაში; რა სახით და მასშტაბით უნდა მოხდეს მათი დისკრეციის გამოყენება ამ სფეროში.

## კომუნიკაციაზე ზედამხედველობა

### სატელეფონო საუბრების მოსმენა

#### 1. პოლიციის მიერ

##### Malone V. the United Kingdom

02/08/1984

სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა აპლიკანტის სატელეფონო საუბრის მოსმენის გამო, მოპარული ქონების მოხმარებასთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესის კონტექსტში. მისი სატელეფონო ზარების გადამონმება (იმ კონკრეტული ტელეფონების ამოც-



ნობა, საიდანაც მოხდა ზარების განხორციელება) არ იყო კანონთან შესაბამისობაში.

სასამართლომ იმავე მიზეზით დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა საქმეზე – **Khan v. United Kingdom** 12.02.2000 (აპლიკანტს უსმენდნენ მოსასმენი საშუალებებით, რადგან მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სამართლებრივი დევნა ნარკოტიკების კონტრაბანდასთან დაკავშირებით).

**A.v. France** 23.11.1993: წინასწარი გამოძიებისას, პოლიციის ინსპექტორის დახმარებით, კერძო პირის მიერ აპლიკანტის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის მომზადება. ჩანაწერში აპლიკანტმა აღნიშნა, რომ ის დაიქირავეს შეკვეთილი მკვლევლობისათვის.

**დადგინდა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ჩანერა არ მომზადრა სასამართლო პროცედურების თანახმად და არ იყო შეკვეთილი გამომძიებელი მოსამართლის მიერ.

### **P.G and J.H. V. the United Kingdom**

25/09/2001

საქმე ეხება აპლიკანტების ხმის ჩანერას პოლიციის ოფისთან, რასაც მოჰყვა მათი დაკავება ქურდობის მცდელობის მოტივით.

სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა: ამ მოვლენების მიმდინარეობისას არ არსებობდა კანონით დადგენილი სისტემა, რომელიც დაარეგულირებდა პოლიციის მიერ ფარული მოსასმენი საშუალებების საკუთარი ინიციატივით მოხმარების წესს.

### **Van vondel v. the Netherlands**

25/10/2207

აპლიკანტი იყო კრიმინალური სადაზვერვო სამსახურის პოლიციის ოფიცერი. მოხდა მისი და მისი ინფორმატორის სატელეფონო საუბრის ჩანერა ადგილობრივი პოლიციის შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილი ტექნიკური საშუალებებით. პოლანდიის პარლამენტში სისხლისსამართლებრივი გამოძიების მეთოდებზე საგამოძიებო კომისიამ დაინწყო მუშაობა, რომელსაც ჩრდილოეთ პოლანდიის/უტრეხტის ინტერრეგიონული კრიმინალური სამსახურის ჯგუფი სანინააღმდეგო ჩვენებას აძლევდა.

**სასამართლომ დაადგინა**, რომ აპლიკანტს შეეზღუდა დაცვის მინიმალური ხარისხი, რომლითაც იგი აღჭურვილი იყო კანონის უზენაესობიდან გამომდინარე დემოკრატიულ საზოგადოებაში (სასამართლომ არ მიიჩნია მისაღებად, ის, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს ისეთი ტექნიკური დახმარება, რომელიც არ იმართებოდა ისეთი წესებით რაც აღკვეთდა თვითნებურ ქმედებებს.)

**მიმდინარე საქმეები Kruitbosch v. Romania:** პოლიციის ოფიცრების მიერ აუდიო ვიდეოჩანაწერების მომზადება

## **2. სასამართლო ხელისუფლების მიერ**

### **Kruslin v. France**

24/04/1990

მკვლევლობის საქმეში სასამართლოს გამომძიებელი მოსამართლის მიერ სატელეფონო საუბრის მოსმენა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ფრანგული კანონმდებლობა საჭირო სიცხადით არ მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამდაგვარი ღონისძიებების ჩატარების წესსა და კომპეტენციაზე.

იხილეთ ასევე: **Wisse v. France** (ზემოთ ხსენებული) **Halford v. the United Kingdom** 25.06.1997  
(ქვემოთ იხილეთ) და **Klass and Others v. Germany** 06.09.1978

## სახლის მოსმენა დამონტაჟებული აპარატურით

**Vetter v. France**

31/05/2005

იარაღით მოკლული ადამიანის სხეულის აღმოჩენის შემდეგ, პოლიციამ ეჭვმიტანილი აპლიკანტის სახლში, რომელსაც ის ხშირად სტუმრობდა, დააყენა მოსასმენი საშუალებები.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: ფრანგული სამართალი საჭირო სიცხადით არ მიუთითებს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ამდაგვარი ღონისძიებების ჩატარების წესსა და კომპეტენციასზე.

**P.G. and J.H. v. United Kingdom**

25/09/2001

პოლიციის მიერ აპლიკანტის სახლში ფარული მოსასმენი საშუალებების კანონდარღვევით დაყენება სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად.

## შეტყობინებების სისტემა

**Taylor-sabori v. the United Kingdom**

22/10/2002

პოლიციის მიერ პეიჯერის შეტყობინების გამოყენება: „კლონი“ პეიჯერის გამოყენებით მოხდა აპლიკანტის, რომელიც აღრიცხვაზე აყვანილი ნარკოტიკით მომარაგებაში იყო ეჭვმიტანილი, პეიჯერის მოსმენა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: არ არსებობს პეიჯერის პირადი შეტყობინებების სისტემის მოსმენის კანონით დადგენილი ნორმა.

ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით იხილეთ საქმე: **Copland v. the United Kingdom**

## საიდუმლო ზედამხედველობის მონაცემთა ბაზა

**Shimovolos v. Russia**

21/06/2011

საქმე ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის აქტივისტის საიდუმლო საზედამხედველო სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციას, მისი ყოველი გადაადგილებისათვის თვალყურის დევნებასა და ასევე ამასთან დაკავშირებულ დაპატიმრებას.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის დარღვევა.

მონაცემთა ბაზა, რომელშიც ბატონი შიმოვოლოს სახელის რეგისტრაცია განხორციელდა, დაფუძნებული იყო მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რომელიც არ გამოქვეყნებულა და არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ამიტომ საზოგადოებას არ ეცოდინებოდა, თუ რატომ და რამდენი ხნით იყო მასში რეგისტრირებული ხალხი, როგორ ინახებოდა და რისთვის იყენებდნენ ამას, ასევე ვინ ახორციელებდა მასზე ზედამხედველობას.

## საქმეები და მონაცემების ხელმისაწვდომობა

„საჯარო ინფორმაციას, რომელიც სისტემატიზებულია შეგროვებული, შეიძლება ცდომილება ჰქონდეს, როცა ის ეხება პირად ცხოვრებას და ინახება ფაილებად ხელისუფლების ორგანოებში. ეს უფრო ცხადია მაშინ, როცა ეს ინფორმაცია ეხება პიროვნების შორეულ წარსულს“. იხილეთ: Rotaru v. Romania §43

## მონაცემთა ხელმისაწვდომობა (სოციალური სამსახურები, ეროვნული უსაფრთხოება)

### Gaskin v. the United Kingdom

07/07/1989

მზურნველობაში მყოფმა აპლიკანტმა, რომელიც სრულწლოვანი გახდა, პირადი პრობლემების დასაძლევად მოისურვა გაეგო თავისი წარსულის შესახებ. მას უარი ეთქვა მისი პირადი საქმის ხელმისაწვდომობაზე იმ მიზეზით, რომ საქმე შეიცავდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, არა თავისთავად კონფიდენციალური ინფორმაციის სისტემის არსებობის გამო, არამედ უარის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გამო, რომელიც არ მიუღია დამოუკიდებელ ორგანოს.

### Segerstedt-Wiberg and others v. Sweden

26/06/2006

აპლიკანტები ჩიოდნენ შვედეთის დაცვის პოლიციის მიერ მათ შესახებ არსებული კონკრეტული ინფორმაციის შენახვასა და გამჟღავნებაზე უარის მიღების თაობაზე.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ინფორმაციის შენახვის გამო, გარდა პირველი აპლიკანტის შემთხვევისა, რადგან ინფორმაციის შენახვა, რომელიც მისი აფეთქების საფრთხეს ეხებოდა 1990 წელს, გამართლდა.

სასამართლომ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა: ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებს უპირატესობა მიენიჭა აპლიკანტების ინტერესებთან შედარებით, მიუხედავად დაცვის პოლიციაში მათზე არსებული საქმის მასალების.

სასამართლომ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა: არანაირი ზომები არ იქნა მიღებული აღნიშნულის გამოსასწორებლად.

## საიდუმლო სამსახურის ხელთ არსებული მონაცემთა გაზის ხელმისაწვდომობა

### Rotaru v. Romania

04/05/200

აპლიკანტი ჩიოდა, რომ შეუძლებელი იყო იმის უარყოფა, რომ ის, რასაც იგი ამტკიცებდა, სიცრუე იყო მის შესახებ არსებულ საქმეში, რომელიც ჰქონდა რუმინულ სადაზვერვო სამსახურს (RIS). 1948 წელს მას მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა კომუნისტურ რეჟიმთან დაკავშირებით ცინიზმის გამოხატვის გამო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: RIS-ის მიერ აპლიკანტის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის ფლობა და სარგებლობა კანონთან შეუსაბამოა.

ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, რადგან აპლიკანტისთვის შეუძლებელი იყო, დაემტკიცებინა ინფორმაციის სიყალბე.

## Heralambie v. Romania

27.10.2009

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან აპლიკანტს შეექმნა დაბრკოლება მის შესახებ კომუნისტური რეჟიმის საიდუმლო სამსახურის მიერ შექმნილი საქმის განხილვასთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არც გადასაცემი ფაილების რაოდენობა და არც არქივის სისტემაში არსებული ნაწილი არ იყო იმ რაოდენობის, რომ გამოენვია მოთხოვნის დაკმაყოფილების 6 წლით დაყოვნება.

(იხილეთ ასევე: **Ioan Jarnea v. Romania** 19.07.2011 )

## Turek v. Slovakia

14.02.2006

საქმე ეხება ყოფილი კომუნისტური ჩეხოსლოვაკიური უსაფრთხოების სამსახურის ხელთ არსებულ დოკუმენტს, რომელშიც აპლიკანტი მოხსენიებული იყო როგორც მათი ერთ-ერთი აგენტი. მას ამის გამო უარი ეთქვა საჯარო სამსახურში მუშაობაზე.

სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, რადგანაც არ არსებობდა პროცედურა, რის მიხედვითაც აპლიკანტი მიაღწევდა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების უზრუნველყოფას. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მტკიცების ტვირთის აპლიკანტზე დაკისრება მაშინ, როდესაც გასაჩივრებული წესები საიდუმლო იყო, წარმოადგენდა არარეალურ და გადაჭარბებულ ტვირთს.

## სასამართლო ხელისუფლების ხელთ არსებული დოკუმენტები (საქმეები)

### Bouchacourt v. France; Gardel v. France and M.B. v. France

17.12.2009

პერსონალური ინფორმაციის დაცვის ფუნდამენტური როლის ავტომატური გადამუშავების მხარდაჭერისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთ ინფორმაციას მოიხმარდნენ პოლიციის ინტერესებისათვის, სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტების სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთა ეროვნულ მონაცემთა ბაზაში შეყვანით არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

### Dimitrov-KaZakov v. Bulgaria

10.02.2011

პოლიციის ყურნალში აპლიკანტი დასახელებული იყო სამართალდამრღვევად გაუპატიურების საქმეზე, მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის შემდეგ აღნიშნულ საქმეზე ბრალი არ წაუყენებიათ. მოგვიანებით ის რამდენჯერმე გაჩხრიკა პოლიციამ გაუპატიურების საქმესა და გოგონების გაუჩინარებასთან დაკავშირებით. მტკიცებულებების ნაკლებობის გამო რამდენჯერმე მოხდა საქმის გადახედვა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (აპლიკანტის მითითება პოლიციის ყურნალში კანონთან შეუსაბამოა) ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთად.

### Khelili v. Switzerland

18.10.2011

საქმე ეხება ჟენევის პოლიციის მიერ 5 წლის განმავლობაში კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაში ფრანგი ქალების კლასიფიკაციას „მეძავებად“.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ბიოლოგიურ მონაცემებთან დაკავშირებით იხილეთ: **S. and Marper v. the United Kingdom**; 04/12/2008

## სამედიცინო მონაცემები

### Chave v. France

09/07/1991

საქმე, რომელიც აპლიკანტის ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში იძულებით მოთავსებას ეხებოდა, უკანონოდ ჩაითვა. განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი (აშკარად დაუსაბუთებელი). ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პირადი საბუთები, შესაბამისი კონფიდენციალურობისა და ხელმისაწვდომობის წესების დაცვით იყო შენახული და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ამომწურავად ჩამოთვლილი პირებისათვის.

### Z. v. Finland

25/02/1997

HIV-I ვირუსით ინფიცირებული აპლიკანტის სამედიცინო მონაცემების გამჟღავნება, სექსუალური ძალადობის მიზნით თავდასხმის საქმის წარმოებისას.

დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ჰელსინკის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მითითებული იყო აპლიკანტის იდენტობისა და სამედიცინო მონაცემების თაობაზე.

### M.S. v. Sweden

27/08/1997

საქმე ეხება სოციალური უსაფრთხოების სამსახურისათვის სამედიცინო ისტორიის გადაცემას, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას აპლიკანტის მიერ გაკეთებული აბორტის შესახებ.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: ქალთა კლინიკას ჰქონდა ანალოგიური შესაბამისი მიზეზი, რომ გადაეგზავნა აპლიკანტის სამედიცინო ისტორია, რადგანაც აღნიშნული ორგანო იყო პასუხისმგებელი ზურგის დაზიანებისათვის წამოყენებული საჩივრის ზიანის ანაზღაურებაზე.

### S. and Marper v. the United Kingdom

04/12/2008

კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: აპლიკანტის თითის ანაბეჭდების, უჯრედების ნიმუშებისა და DNМ-ის მოხაზულობის განუსაზღვრელი ვადით მონაცემთა ბაზაში შენახვა სისხლისსამართლებრივი პროცედურების შეწყვეტის შემდეგ. ერთ შემთხვევაში მოხდა გამამართლებელი განჩინების გამოტანა, ხოლო მეორე შემთხვევაში შეწყდა საქმის გამოძიება.

### Gillberg v. Sweden

03/01/2012

საქმე არსებითად ეხება პროფესორის, როგორც საჯარო პირის მიერ უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილ სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. მან არ აღასრულა ადმინისტრაციული სასამართლოს ორი გადაწყვეტილება, რომლებითაც სპეციალური პირობების დაცვით ორი მკვლევარისთვის ხელმისაწვდომი ხდებოდა გეტინგენის უნივერსიტეტის კვლევის ნაშრომები ბავშვებში ჰიპერაქტიურობისა და ყურადღების დეფიციტის შესახებ.

სასამართლომ დაადგინა, რომ პროფესორი ვერ დაეყრდნობოდა მე-8 მუხლს და ასევე ვერ დაეყრდნობოდა გამოხატვის თავისუფლების „ნეგატიურ“ უფლებას, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-10 (აზრის გამოხატვის უფლება) მუხლებს არ უკავშირდება აღნიშნული საქმე.

## საქმიანობასთან დაკავშირებით

### Lander v. Sweden

23/03/1987

საქმე ეხება დურგლის სამსახურში მისაღებად პოლიციის საიდუმლო მონაცემების გამოყენებას. ის დროებითი ცვლილების გამო მუშაობდა კარლსკრონაში, სამხედრო მუზეუმში, აკრძალული სამხედრო უსაფრთხოების ზონის გვერდით. მასზე განხორციელებული კონტროლის შესაბამისად, უფროსმა მეთაურმა გადაწყვიტა არ აეყვანა ის. აპლიკანტი ადრე იყო კომუნისტური პარტიისა და სავაჭრო ორგანიზაციის წევრი.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: შვედეთის კადრების შერჩევის კონტროლის სისტემა აკმაყოფილებდა მე-8 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ შვედეთის მთავრობას უფლება ჰქონდა, დაედგინა ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი აპლიკანტის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით.

### Halford v. the United Kingdom

25/06/1997

აპლიკანტმა, რომელიც უმაღლესი რანგის ქალი – პოლიციელი იყო გაერთიანებულ სამეფოში, აღძრა დისკრიმინაციული სამართალწარმოება, რადგანაც 7 წლის განმავლობაში უარს ეუბნებოდნენ უფროსი პოლიციელის მოადგილედ წარდგენაზე.

ის ამტკიცებდა, რომ მისი სატელეფონო ზარები ისმინებოდა იმ მიზნით, რომ მოეპოვებინათ მისი საწინააღმდეგო ინფორმაცია.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან აპლიკანტის სამსახურებრივი ტელეფონი ისმინებოდა, მაგრამ არ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა ბინის ტელეფონის მოსმენის კუთხით.

### Copland v. the United Kingdom

03/04/2007

აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტაზე მონიტორინგის წარმოება სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად და კანონთან შეუსაბამოდ.

## სიკვდილით დასჯის გაუქმება

### სიკვდილით დასჯა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

Soering v. The UK

(განაცხადი №14038/88)

ბატონი სოერინგი იყო გერმანიის მოქალაქე, რომელიც დააკავეს ინგლისში და მოელოდა ექსტრადიცია აშშ-ში, სადაც მას ბრალად ედებოდა თავისი მეგობარი გოგონას მშობლების მკვლელობა. იგი ჩიოდა, რომ მიუხედავად ბრიტანეთის მხარის მიერ დიპლომატიური გარანტიებისა, აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში მას, დიდი ალბათობით, გამოუტანდნენ სიკვდილით დასჯას. იგი განსაკუთრებით აღნიშნავდა „სიკვდილმისჯილთა კამერის სინდრომს“. აქ საუბარია იმაზე, რომ სიკვდილმისჯილი პირი რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფება ექსტრემალური ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ განაჩენის აღსრულების მოლოდინში. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი იქნებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სოერინგი აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში რეალური რისკის ქვეშ დადგება – გახდება მსხვერპლი ისეთი მოპყრობისა, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით. ასეთი დასკვნის საფუძველს სასამართლოს აძლევს ის გარემოება, რომ, როგორც წესი, სიკვდილმისჯილებს მათთვის განკუთვნილ კამერებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამყოფებენ, სადაც ისინი განიცდიან განაჩენის სისრულეში მოყვანის გამუდმებულ სტრესს. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა განმცხადებლის გარემოებები, განსაკუთრებით მისი ასაკი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტისას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა, მიღწეულიყო სხვა საშუალებებით, რომლებიც არ გამოიწვევდა ამდენად ძლიერ და ხანგრძლივ ტანჯვას. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი. დასკვნა: არსებობს განმცხადებლის სიკვდილით დასჯის რისკი.

Bader and Kanbor v. Sweden

(განაცხადი №13284/04)

განმცხადებელია ოთხსულიანი ოჯახი, რომლის წევრებიც არიან სირიის მოქალაქეები. ისინი უშედეგოდ ცდილობენ, მიიღონ თავშესაფარი და ლტოლვილის სტატუსი შვედეთის ხელისუფლები-საგან. შვედეთის ხელისუფლებამ მიიღო მათი სირიაში დეპორტაციის გადაწყვეტილება. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ მათი მამა დაუსწრებლად გაასამართლეს სირიის სასამართლოებ-მა მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. სირიაში დაბრუნების შემთხვევაში მას სიკვდილით დასჯიან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი სამართლიანად და დასაბუთებულად შიშობდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება სასიკვდილო განაჩენის საფრთხე. ვინაი-დან სასიკვდილო განაჩენები აღსრულდება ყოველგვარი საზოგადოებრივი კონტროლისა თუ პა-სუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების გარეშე, განაჩენის აღსრულების გარშემო არსე-ბული გარემოებები განმცხადებელს მიაყენებდა მნიშვნელოვან შიშსა და ტკივილს. სისხლისსა-მართლებრივ განხილვებთან დაკავშირებით, რომლის შედეგადაც განმცხადებელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, სასამართლომ მიუთითა, რომ ზედაპირული, მიკერძოებული განხილვისა და განსასჯელის უფლებების სრული უგულვებლყოფით ჩატარებული სასამართლო სხდომები წარ-მოადგენდა სამართლიანი სასამართლოს უფლების აშკარა დარღვევას. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლების სირიაში დაბრუნების შემთხვევაში ისინი აღმორჩნდებოდნენ დამატები-თი სტრესისა და მომავლის შიშის ქვეშ, რადგან ბატონი ბადერის მიმართ გამოტანილი განაჩენი არასამართლიანი სასამართლო განხილვის შედეგი იყო. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სირიაში დეპორტაციის შემთხვევაში განმცხადებლების მიმართ დაირღვევა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები.

## მიმდინარე საქმეები

### Rrapo v. Albania

(განაცხადი №58555/10)

განმცხადებელი არის ალბანეთისა და აშშ-ს მოქალაქე. ამჟამად იგი იმყოფება აშშ-ს ერთ-ერთ ციხეში, სადაც მოხდა მისი ექსტრადიციის ალბანეთიდან. მას ბრალად ედება მთელი რიგი დანაშაულები, რომელთაგან ერთ-ერთის დამტკიცების შეთხვევაში ელოდა სიკვდილით დასჯა. ექსტრადიციამდე სასამართლომ დააკმაყოფილა განმცხადებლის შუამდგომლობა და ალბანეთის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ არ მოეხდინათ მისი აშშ-ში ექსტრადიცია. ამის მიუხედავად, 2010 წლის 24 ნოემბერს განმცხადებელი მაინც გადაიგზავნა აშშ-ში.

ჯერ კიდევ ალბანეთში ყოფნისას განმცხადებელი ჩიოდა, რომ აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში, იგი გახდებოდა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის მსხვერპლი, რადგანაც არსებობდა რისკი, რომ, საქმის შედეგებიდან გამომდინარე, იგი სიკვდილით დაესაჯათ.

### Babar Ahmad and Others v. The UK

(განაცხადი №24027/07)

2004-დან 2006 წლების პერიოდში განმცხადებლების მიმართ აშშ-ში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ტერორიზმის სხვადასხვა ფორმის ბრალდებების გამო. აშშ-ს ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაერთიანებულ სამეფოს მიმართეს ექსტრადიციის მოთხოვნით. შედეგად ოთხივე განმცხადებელი დააკავეს და მოათავსეს დაცვის ქვეშ სპეციალურ დანესებულებაში. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი არ იყვნენ რა აშშ-ს მოქალაქეები, რომლებიც „ალ-ქაიდასადმი“ კუთვნილებში ან საერთაშორისო ტერორიზმში იყვნენ ეჭვმიტანილები, აშშ-ს 2001 წელს გამოცემული სამხედრო ბრძანების საფუძველზე ისინი შესაძლებელია, მიეჩნიათ „მტრის ბანაკის მეომრებად“. ასეთ შემთხვევაში მათ წარადგენენ სამხედრო კომისიის წინაშე და მიუსჯიან სიკვდილით დასჯას. აშშ-ს მთავრობამ წარმოადგინა გარანტიები, რომ განმცხადებლები წარსდგებიან ფედერალური სასამართლოს და არა სამხედრო კომისიის წინაშე და არ განიხილებიან „მტრის ბანაკის მეომრებად“.

სასამართლომ განაცხადის განსახილველად დასაშვებობის განხილვისას დაადგინა: არ არსებობს საფუძველი, რომ აშშ-ს ხელისუფლება დაარღვევს მათ მიერ წარმოდგენილ დიპლომატიურ გარანტიებს; არ არსებობს ასევე იმის რისკი, რომ განმცხადებლებს „მტრის ბანაკის მეომრებად“ მიიჩნევენ, რაც შექმნიდა მათ მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის რისკს. ამგვარად, განმცხადებელთა განაცხადი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

## ქვემო ჩაქოლების რისკი

### Jabari v. Turkey

(განაცხადი №40035/98)

განმცხადებელი ირანის მოქალაქეა. იგი გაიქცა თავისი ქვეყნიდან, სადაც დაპატიმრებული იყო ცოლიან მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობის გამო. განმცხადებელი დააკავეს სტამბულში, კანადის გაყალბებული პასპორტის წარდგენის გამო. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ირანში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება სიკვდილით დასჯა ქვევით ჩაქოლებით. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურმა მას მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი, რადგან ირანში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება არაადამიანური სასჯელი, კერძოდ – ქვევით ჩაქოლვა.

სასამართლომ ჯეროვანი ყურადღება მიაპყრო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახურის მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა ემუქრებოდა განმცხადებელს ირანში დაბრუნების შემთხვევაში. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ცოლქმრული ღალატის გამო კანონი მართლაც ითვალისწინებს სასჯელს ქვევით ჩაქოლებით და რომ ირანის ხელისუფლების წარმომადგენლებს მართლაც შეეძლოთ გამოეტანათ ამგვარი სასჯელი. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა,



რომ არსებობდა რეალური საფრთხე, რომ განმცხადებელი ირანში დაბრუნების შემთხვევაში აღმოჩნდებოდა ამგვარი მოპყრობის მსხვერპლი, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს. ამგვარად, განმცხადებლის ირანში დეპორტაცია გამოიწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## არასამართლიანი განხილვის შედეგად გამოტანილი

### სასიკვდილო განაჩენი

#### Ocalan v. Turkey

(განაცხადი №46221/99)

აბდულა ოჯალანი თურქეთის მოქალაქეა და ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის თურქეთის ციხეში. დაპატიმრებამდე იგი ხელმძღვანელობდა ქურთთა მუშათა პარტიას. 1999 წლის 15 თებერვალს ოჯალანი დააპატიმრეს საეჭვო გარემოებებში კენიაში და გადმოაგზავნეს თურქეთში, სადაც 1999 წლის ივნისში მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა თურქეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული საქმიანობისათვის. 2002 წელს თურქეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა და ანკარის სახელმწიფო უშიშროების სასამართლომ სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. განმცხადებელი აპროტესტებდა მის მიმართ გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის თაობაზე: სასამართლომ არ მიიჩნია დარღვეულად მე-2, მე-3 ან მე-14 მუხლები, რადგან იმ დროისათვის თურქეთში სიკვდილით დასჯა უკვე გაუქმებული იყო.

კონვენციის წევრ-სახელმწიფოთა პრაქტიკა სასიკვდილო განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით: სასამართლომ აღნიშნა, რომ მშვიდობიან დროს სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ამჟამად ევროპაში განიხილება როგორც სასჯელის მიუღებელი ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-2 მუხლს. თუმცა, არ არსებობს კონკრეტული მონაცემები იმაზე, განიხილავენ თუ არა კონვენციის წევრი სახელმწიფოები სასიკვდილო განაჩენის გამოყენებას, როგორც არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში არასამართლიანი სასამართლო განხილვების შედეგად გამოტანილი სიკვდილით დასჯის განაჩენი განიხილება კონვენციის დარღვევად, თუნდაც მე-2 მუხლის კომენტარი იძლეოდეს იმგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ სიკვდილით დასჯა დასაშვებია.

არასამართლიანი სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი: სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი გამორიცხავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელიც არ იყო უზრუნველყოფილი სამართლიანი განხილვით. შიში და მომავლის გაურკვეველობა, რაც გამოწვეულია სასიკვდილო განაჩენით, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ ნებისმიერ დროს შეიძლება სასჯელის სისრულეში მოყვანა, განუზომელ ტკივილსა და წამებას ანიჭებს ადამიანს. ასეთი ტანჯვა-წამება არ შეიძლება არასამართლიანი განხილვებისაგან განცალკევებით განიხილებოდეს, რაც განაჩენის საფუძველშივეა ჩადებული, რომ ადამიანის სიცოცხლის საფრთხის გათვალისწინებით, აღნიშნული, კონვენციის თანახმად წარმოადგენს უკანონობას.

ბატონი ოჯალანის საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1984 წლიდან თურქეთში გამოცხადდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით და სასამართლოს მითითებით ხელისუფლებამ გადადო განაჩენის აღსრულება. ამის მიუხედავად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთის ხელისუფლება ძალიან იყო დაინტერესებული ოჯალანის დაჭერით და განაჩენის სისრულეში მოყვანის რისკი არსებობდა სამ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, ვიდრე საბოლოოდ არ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. შესაბამისად, არასამართლიანი განხილვების შედეგად სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, რომლის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა საეჭვოა, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც არაადამიანური მოპყრობა, რაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

## სიკვდილით დასჯა თავისი არსით ენიშნაღმდეგება კონვენციას

Al-Saadoon and Nufdhi v. The UK

(განაცხადი №61498/08)

საქმე ეხება ერაყის ორ მოქალაქეს, რომლებიც არიან სუნიტი მუსულმანები. მათ ბრალად ედებაოდათ ბრიტანელი ჯარისკაცების მკვლელობა, რომელიც მოხდა ერაყში 2003 წელს ჯარების შეჭრიდან ძალიან მალე. ისინი ჩიოდნენ, რომ ერაყის ხელისუფლების მიერ მათი გადაცემის შემთხვევაში განმცხადებლებს ემუქრებოდათ სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით.

სიკვდილით დასჯა, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა: სასამართლომ აღნიშნა, რომ 60 წლის წინ, როდესაც იქმნებოდა კონვენცია, სიკვდილით დასჯა არ არღვევდა საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ თანდათანობით გამოიკვეთა ამ სასჯელის სრულად – როგორც *დე-იურე*, ასევე *დე-ფაქტო* გაუქმების ტენდენცია ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოში. ძალაში შევიდა კონვენციის ორი ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ: კონვენციის მე-6 ოქმი (სიკვდილით დასჯის გაუქმება მშვიდობიან დროს) და მე-13 ოქმი (სიკვდილით გაუქმება ნებისმიერ დროს). გაერთიანებულმა სამეფომ ორივე ოქმის რატიფიცირება მოახდინა. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან, ორი სახელმწიფოს გარდა, ყველამ მოახდინა მე-13 ოქმის რატიფიცირება, ხოლო მე-6 ოქმის რატიფიცირება ევროპის საბჭოს წევრმა ყველა ქვეყანამ მოახდინა. სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-2 მუხლმა განიცადა ცვლილება და ახლა იგი კრძალავს სიკვდილით დასჯას ნებისმიერ დროს. სასამართლომ დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯა, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ წინასწარ და განზრახ ადამიანის მოკვდინებას და აყენებს ძლიერ ფიზიკურ და სულიერ ტკივილს, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

# დაკავება და ფსიქიკური ჯანმრთელობა

## პატიმრობის პირობები

პირის დაკავება, რომელიც ავადაა, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს.

კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოსაგან მოითხოვს, რომ თითოეული დაკავებული პირისათვის უზრუნველყოს პატიმრობის ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამება ადამიანურ ღირსებას.

- **B. v. Germany, 10/03/1988:** განმცხადებელი ჩიოდა წინასწარი დაკავების საკანში არსებულ პირობებზე. იგი ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო მიეღო აუცილებელი სამედიცინო დახმარება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც დაუზიანდა 1940-1945 წლებში საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან სამედიცინო ჩანაწერებით ვერ დადგინდა განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტები, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა დაკავების პირობებს.
- **Aerts v. Belgium, 30/07/1998:** საქმე ეხება განმცხადებლის მოთავსებას ჩვეულებრივი რეჟიმის ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში და არა სოციალური დაცვის ცენტრში, როგორც ეს მითითებული იყო კომპეტენტური ფსიქიატრიული კომისიის დასკვნაში. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში არსებულ პირობებს არ მოუხდენია განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იმდენად სერიოზული გავლენა, რომ იგი განხილულიყო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.
- **Peers v. Greece, 04/06/1999:** საქმე ეხება განმცხადებლის განთავსებას ციხის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ – ერთადგილიან საკანში. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დაკავების პირობებთან დაკავშირებით, რომელიც ადამიანური ღირსებისათვის დამამცირებელი იყო, განმცხადებელში იწვევდა შიშისა და არასრულყოფილების განცდას, რასაც შესაძლოა, გამოეწვია მისი დამცირება, ფიზიკური და მორალური სიმტკიცის გატეხვა.
- **Romanov v. Russia, 20/10/2005:** საქმე ეხება განმცხადებლის მოთავსებას გამოსასწორებელი ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში შემონმების გავლის მიზნით. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან აპლიკანტის დაკავების პირობები, განსაკუთრებით კი პატიმართა გადატვირთული რაოდენობა საკანში, რამაც განმცხადებლის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, უნდა განვიხილოთ როგორც კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.
- **Filip v. Romania, 14/12/2006:** სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან არ არსებობდა დეტალური და ეფექტური გამოძიება განმცხადებლის მტკიცებულებებზე მის მიმართ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განხორციელებული ცუდი მოპყრობის შესახებ.
- **Rupa v. Romania, 16/12/2008:** განმცხადებელი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი, რომელიც დაავადებულია ფსიქიკური აშლილობით. იგი ჩიოდა მის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თაობაზე, რომელიც განხორციელდა პოლიციის განყოფილებაში არსებულ კამერაში. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან არ არსებობდა ჯეროვანი სამედიცინო ზედამხედველობა განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სამედიცინო დანებებულების ადმინისტრაცია ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ მოეხდინა განმცხადებლის ფსიქიატრიული შემონმების ორგანიზება, რათა გადაწყვეტილიყო, შეესაბამებოდა თუ არა მისი პატიმრობაში დარჩენა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ასევე რა თერაპიული ღონისძიებები იყო მასთან დაკავშირებით გასატარებელი.

საქმეზე – **Soering v. The UK** – სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა (§109: „მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ არის ვალდებული გადაწყვიტოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დაკისრებული სასჯელის საკითხები, იგი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის ახალგაზრდა ასაკი დანაშაულის ჩადენისას და მისი სულიერი მდგომარეობა იმ მომენტში, რაც დადასტურებული იყო სამედიცინო დოკუმენტაციით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ მოპყრობა, რომელიც შესაძლოა განხორციელდეს განმცხადებლის მიმართ სიკვდილმისჯილთა საკანში, ხვდება კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში“).

## თვითმკვლელობები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

- **Keenan v. The UK, 03/04/2001** – განმცხადებელი დაავადებული იყო პარანოიით და გადანყვიტა თვითმკვლელობის ჩადენა ციხეში, მას შემდეგ, რაც იგი მოათავსეს კარცერში დისციპლინური სასჯელის მოსახდელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან ოფიციალურად არ იყო დასმული შიზოფრენიის დიაგნოზი და ასევე ციხის ადმინისტრაციამ ადეკვატური რეაგირება მოახდინა განმცხადებლის ქცევაზე, რაც გამოხატული იყო სუიციდისადმი მიდრეკილებაში, მოათავსა ის ციხის საავადმყოფოში და დაანესა მასზე მეთვალყურეობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან არ არსებობდა ეფექტური მეთვალყურეობა და განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის კვალიფიციური შეფასება ფსიქიატრის მხრიდან. ასევე, სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნებოდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას. ამას გარდა, განმცხადებლისათვის მკაცრი დისციპლინური სანქციის დაკისრება, რასაც შეეძლო მასში გამოეწვია ფიზიკური და სულიერი მღელვარება, არ შეესაბამებოდა ფსიქიკურად დაავადებულ პირთა მიმართ მოპყრობის სტანდარტებს.

- **Riviere v. France, 11/07/2006** – განმცხადებელს დაუსვეს „სუიციდისადმი მიდრეკილებით ფსიქიკური აშლილობის“ დიაგნოზი. ექსპერტებს აშფოთებდათ განმცხადებლის ქმედებებში გარკვეული მომენტები, კერძოდ, მას ჰქონდა ჩამოხრჩობისადმი მიდრეკილება. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას ისევე ამყოფებდნენ ციხეში, როცა მისი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ესაჭიროებოდა ციხის ფარგლებს გარეთ მკურნალობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, კერძოდ: განმცხადებლის დატოვება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შესაბამისი სამედიცინო მეთვალყურეობის გარეშე თავისთავად წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას (თვითმკვლელობისადმი მიდრეკილების მქონე ფსიქიკურად დაავადებული პატიმრები საჭიროებენ ადაპტირებულ მიდგომას, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა).

- **Renolde v. France, 16/10/2008** – საქმე ეხება სასამართლო განხილვებისას პატიმრობაში მყოფი პირის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას, რომელიც დაავადებული იყო მძიმე ფსიქიკური აშლილობით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა: სასამართლომ შეგვახსენა, რომ ფსიქიკურად დაავადებული პირები, გამომდინარე მათი მონყვლადი მდგომარეობიდან, საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას. სასამართლო აღმფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ, მიუხედავად უკვე მომხდარი თვითმკვლელობის მცდელობისა და ფსიქიკურ აშლილობაზე დასმული დიაგნოზისა, განმცხადებლის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის საკითხი არც კი განხილულა.

მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვისას განმცხადებელი უაზრო ჩვენებებს იძლეოდა და უკვე ხასიათდებოდა, როგორც „უკიდურესად გაუნონასწორებელი“ პირი, როგორც ჩანს, მის სულიერ მდგომარეობას არ იღებდნენ მხედველობაში, რადგან თვითმკვლელობის მცდელობიდან სამი თვის შემდეგ სადისციპლინო კომისიამ მისი მაქსიმალური დასჯა გადანყვიტა – 45 დღით მოათავსა საჯარიმო იზოლაციაში.

- **De Donder and De Clippel v. Belgium, (განაცხადი №8595/06; 06/12/2011)** – ფსიქიკური აშლილობის მქონე ახალგაზრდა პატიმარმა, რომელიც მოთავსებული იყო ჩვეულებრივი რეჟიმის ციხეში, ჩაიდინა თვითმკვლელობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა ციხეში პატიმრის გარდაცვალების გამო, თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ არ მიიჩნევს კონვენციის მე-2 მუხლს დარღვეულად გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებით. პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მენტალურად დაავადებული პირის „დაკავება“ იქნებოდა „კანონიერი“, კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუკი ეს მოხდებოდა საავადმყოფოში, კლინიკაში ან სხვა შესაბამის ინსტიტუტებში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

# თავისუფლების აღკვეთის აღბილებში არსებული პირობები და მოპყრობა პატიმრების მიმართ

## განმარტოებული პატიმრობა

### **Ilascu and Others v. Moldova and Russia**

(განაცხადი №48787/99)

ილიე ილასკუ, რომელიც მოლდავეთში ოპოზიციონერი პოლიტიკოსია, გაასამართლეს და მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა ტერორისტული საქმიანობისათვის. 8 წლის განმავლობაში მას ამყოფებდნენ უმკაცრეს იზოლაციაში დნესტრისპირეთის ტერიტორიაზე. 2001 წელს მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გაუქმდა და განმცხადებელი გაათავისუფლეს. სიკვდილმისჯილთა საკანში ყოფნისას განმცხადებელს არ ჰქონდა სხვა პატიმრებთან კონტაქტი. იგი ვერ იღებდა ციხის გარედან ინფორმაციას, რადგან აკრძალული ჰქონდა მიმონერა. მას არ ჰქონდა ადვოკატისადმი მიმართვის უფლება. განმცხადებლის ოჯახის წევრები ვერ ახერხებდნენ რეგულარულად მის მონახულებას. საკანი არ თბებოდა. სასჯელის სახით მას არ აძლევდნენ საკვებს. შხაპის მიღება ძალიან იშვიათად შეეძლო. ამგვარმა პირობებმა და სამედიცინო მომსახურების არარსებობამ მნიშვნელოვნად შეარყია მისი ჯანრთელობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ მთლიანობაში ასეთი პირობები უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც წამება. ამგვარად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას რუსეთის მხრიდან (სასამართლომ დაადგინა, რომ დნესტრისპირეთი იმ მომენტისათვის იმყოფებოდა რუსეთის მმართველობის ქვეშ, ან ყველაზე მცირე, გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა ამ რეგიონზე).

### **Ramirez Sanchez v. France**

(განაცხადი №59450/00)

ილირ რამირეს სანჩესი, საერთაშორისო ტერორისტი, ცნობილი როგორც „კარლოს ტურა“, სასჯელს იხდის საფრანგეთში ტერორისტული საქმიანობისათვის. იგი 8 წლის განმავლობაში იმყოფებოდა განმარტოებულ საკანში. მას ამყოფებდნენ სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით, მაგრამ მას ხელი მიუწვდებოდა ტელევიზიასა და გაზეთებზე. ნათესავებსა და ადვოკატებს შეეძლოთ მისი მონახულება.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი. ბატონი რამირეს სანჩესის პიროვნებისა და იმ საფრთხის გათვალისწინებით, რასაც იგი წარმოადგენდა, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სისასტიკის მინიმალური ზღვარი, რომელიც აუცილებელია არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის კონსტატაციისათვის, არ იყო მიღწეული. სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილების გამოტანამდე რამდენიმე თვით ადრე, საფრანგეთის ხელისუფლებამ შეწყვიტა განმცხადებლის განმარტოებით პატიმრობაში ყოფნა.

ამავე დროს სასამართლომ გაიზიარა წამების, არაადამიანური მოპყრობისა ან ღირსების შელახვის წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის შეშფოთება იმის თაობაზე, რომ ხანგრძლივ განმარტოებით პატიმრობას თავისი შედეგები ექნებოდა განმცხადებლისათვის და აღნიშნა, რომ განმარტოებით საკანში ყოფნა, თუნდაც აქ საუბარი იყოს მხოლოდ შედარებით იზოლაციაზე, არ უნდა იყოს მუდმივი. სახელმწიფომ სისტემატურად უნდა გადახედოს განმარტოებით პატიმრობაში ყოფნის საკითხებს. გადანწყვეტილება განმარტოებითი პატიმრობის გაგრძელებაზე მოტივირებული უნდა იყოს. პატიმრის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვს.

### **Piechowicz v. Poland (განაცხადი №20071/07)**

### **Horych v. Poland (განაცხადი №13621/08)**

ორივე საქმე ეხება პოლონეთის ციხეებში არსებულ რეჟიმს იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც

კლასიფიცირებულები არიან, როგორც საშიში პატიმრები.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა. ასევე, საქმეზე – პიეჩოვიცი პოლონეთის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV ნაწილების დარღვევა.

სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ ამგვარი რეჟიმის პირობებში პატიმართა მრავალი წლის მანძილზე ყოფნა იზოლაციაში, შესაბამისი გონებრივი და ფიზიკური სტიმულაციების გარეშე და ასევე ამ რეჟიმის პირობების აუცილებლობის განუხილველობა, არ იყო აუცილებელი იმისათვის, რომ ციხეში უსაფრთხოება ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

## გადატვირთული საკნები

### Mandic and Jovic v. Slovenia

(განაცხადი №№5774/10 და 5985/10)

### Srucl and Others v. Slovenia

(განაცხადი №№5903/10, 6003/10 და 6544/10)

საქმეები ეხება ლიუბლიანის ციხეებში პატიმრობის პირობებს. სასჯელის მოხდის განმავლობაში განმცხადებლები რამდენიმე თვის მანძილზე იმყოფებოდნენ საკნებში, სადაც ერთ პატიმარზე მოდიოდა 2.7 კვადრატული მეტრი, ხოლო საშუალო ტემპერატურა აგვისტოში აღწევს 28°C. განმცხადებლები იძულებულნი იყვნენ თავიანთი დროის დიდი ნაწილი საკანში გაეტარებინათ.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების რთულმა მდგომარეობამ, გადააჭარბა თავისუფლების აღკვეთისას თანმხლები სირთულეების დასაშვებ ზღვარს. ამგვარად, ადგილი ჰქონდა დამამცირებელ მოპყრობას.

## იძულებითი კვიზა და იძულებითი სამედიცინო ჩარევა

### Nevmerzhtsky v. Ukraine

(განაცხადი №54825/00)

განმცხადებელი 1997 წლიდან 2000 წლამდე იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. საგამოძიებო იზოლაციაში ყოფნისას, იგი დაავადდა კანის სხვადასხვა დაავადებით. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. დაკავების ვადა ხუთჯერ გაუგრძელეს. განმცხადებლის შუამდგომლობები გათავისუფლებაზე უარყოფილ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ კანონით დადგენილი დაკავების მაქსიმალური ვადა უკვე გასული იყო. განმცხადებელმა პატიმრობის პერიოდში რამდენჯერმე დაიწყო შიმშილობა და მას იძულებით კვებავდნენ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. იძულებითი კვება არ შეიძლება ჩაითვალოს ღირსების შემლახავად, თუკი ეს აუცილებელია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად. თუმცა, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, რომ იძულებითი მკურნალობა ბატონი ნევმერჟისკის შემთხვევაში გამოწვეული იყო სამედიცინო აუცილებლობით. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს ღონისძიება თვითნებური იყო. განმცხადებლის მიერ საკვების მიღებაზე შეგნებულ უართან დაკავშირებით არ იყო დაცული პროცესუალური გარანტიები. ამას გარდა, კვებისას ხელბორკილის გამოყენება და პირის ღრუში რეზინის მილით საკვების შეყვანა, უტოლდებოდა წამებას.

### Jalloh v. Germany

(განაცხადი №54819/00)

განმცხადებელი აბუ ჯალოჰი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობაში. დაპატიმრებისას მან, სავარაუდოდ, გადაყლაპა რამდენიმე პაკეტი, რომელშიც მოთავსებული იყო ნარკოტიკული

ნივთიერება. აღნიშნული პაკეტების ამოსაღებად იგი საავადმყოფოში გადაიყვანეს და აიძულეს, მიეღო ლებინების გამომწვევი პრეპარატი. ასეთი საშუალებით მოპოვებული ნარკოტიკები შემდეგ ბრალდების მხარემ გამოიყენა მტკიცებულებად განმცხადებლის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. აღიარა რა, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, საზოგადოდ, მნიშვნელოვანი საკითხია, სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი არ იყო მსხვილი ნარკოდილერი და საგამოძიებო ორგანოებს შეეძლოთ, დალოდებოდნენ, ვიდრე ნარკოტიკები ბუნებრივი გზით არ დატოვებდნენ ორგანიზმს. ზუსტად ასე იქცევიან მრავალი ნევრი სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოები ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების გამოძიებისას. ლებინების გამომწვევი პრეპარატის იძულებითი გამოყენება განმცხადებლის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა. გერმანიაში ამ მეთოდის ორჯერ გამოყენება დასრულდა ლეტალური შედეგით. ამას გარდა, განმცხადებლის შემთხვევაში, ამ მეთოდის იძულებით გამოყენება რეზინის მილის მეშვეობით, სავარაუდოდ, იყო მტკიცებულები და ტანჯვის მომგვრელი.

## ჰიბინა საკნაში

### Kalashnikov v. Russia

(განაცხადი №47095/99)

ვალერი კალაშნიკოვს ბრალად ედებოდა ფულის გაფლანგვა და მითვისება. მან ხუთი წელი დაჰყო წინასწარ პატიმრობაში. 2000 წელს განმცხადებელი გაამართლეს. იგი ჩიოდა საგამოძიებო იზოლაციაში არსებული პირობების გამო, კერძოდ: ამტკიცებდა, რომ საკანი გადატვირთული იყო – 17 კვადრატულ მეტრზე 24 ადამიანი იყო განთავსებული; მწველების გარემოცვაში მყოფი გახდა პასიური მწველი; არ შეეძლო ნორმალურად დაეძინა, რადგან განათება და ტელევიზორი საკანში არასოდეს ითიშებოდა; საკანი სავსე იყო ტარაკნებითა და ჭიანჭველებით. განმცხადებელი დაავადდა კანის სხვადასხვა სახის დაავადებით, სოკოვანი ინფექციით, რის შედეგადაც ხელისა და ფეხის ფრჩხილები დაკარგა.

მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მიუთითებდა ხელისუფლების მიერ განმცხადებლის დამცირების განზრახვაზე, სასამართლომ მაინც დაადგინა, რომ პატიმრობის ამგვარი პირობები უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დამამცირებელი მოპყრობა, რაც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

### Modarca v. Moldova

(განაცხადი №14437/05)

განმცხადებელი დაავადებული იყო ოსტეოპოროზით. წინასწარი დაკავების პერიოდში, 2005 წელს, განმცხადებელმა 9 თვე გაატარა 10 კვადრატული მეტრი ფართის საკანში, სადაც მის გარდა კიდევ ოთხი პატიმარი იყო. დღის შუქი შეზღუდული იყო. საკანი ცუდად თბებოდა და ნიავებოდა. ელექტროენერგია და წყალი პერიოდულად ითიშებოდა. განმცხადებელს არ ეძლეოდა თეთრეული და ციხის ტანსაცმელი. სასადილო მაგიდა საპირფარეოს გვერდით იდგა. ერთი პატიმრის კვების ხარჯი შეადგენდა 28 ევროცენტს დღეში. ევროპული კომისიის მიერ 2004 წელს ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ პატიმართა საკვები იყო „ამაზრზენი და პრაქტიკულად უვარგისი“.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის ამ პირობებში ყოფნა წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## პატიმართა გაშიშვლება ჩხრეკის მიზნით

### Ivanczuk v. Poland

(განაცხადი №25196/94)

წინასწარი დაკავების პერიოდში განმცხადებელმა მოითხოვა ნებართვა, მონაწილეობა მიეღო

1993 წლის საპარლამენტო არჩევნებში. ზედამხედველთა ჯგუფმა განუცხადა, რომ ამისათვის მას მოუწევს გახდა, რათა გაეჩხრიკათ. განმცხადებელმა გაიხადა ყველაფერი, გარდა ქვედა საც-ვლისა. ამ დროს პატიმრის ზედამხედველებმა დაიწყეს მისი დაცინვა დამამცირებელი შენიშვნე-ბით და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. განმცხადებელს მოსთხოვეს სრულად გაშიშვლება, რაზედაც უარი განაცხადა. შედეგად დააბრუნეს საკანში ისე, რომ არ დართეს არჩევნებში მონა-წილობის ნება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული მოპყრობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ღირ-სების დამამცირებელი მოპყრობა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. გან-მცხადებლის მშვიდი ქცევა, ასევე ის, რომ მას არ ედებოდა ბრალად ძალადობრივი დანაშაული, არ იყო რეციდივისტი, არ არსებობდა მისი მხრიდან აგრესიის გამოვლინების საფრთხე, უნდა დავასკვნათ, რომ განმცხადებლისათვის ტანსაცმლის გახდის მოთხოვნა არ იყო გამართლებუ-ლი აუცილებლობითა და უსაფრთხოების მოსაზრებებით.

ცალკეულ შემთხვევებში ჩხრეკა ტანსაცმლის გახდის მეშვეობით შესაძლოა აუცილებელი იყოს დანესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და არეულობის თავიდან ასაცილებლად. ამის მიუხედავად, ასეთი ფორმის ჩხრეკა ჯეროვნად უნდა განხორციელდეს. ისეთი მოქცევა, რო-მელიც მიმართულია დამცირებისა და არასრულფასოვნების შეგრძნების გამოწვევისკენ, წარ-მოადგენს განმცხადებლის ადამიანური ღირსების მიმართ უპატივცემულობას.

## Valasinas v. Lithuania

### (განაცხადი №44558/98)

განმცხადებელი ქურდობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ვაჭრობისთვის იხდი-და სასჯელს. ერთ-ერთმა ნათესავმა იგი ციხეში მოინახულა. ამ შეხვედრის შემდეგ, განმცხადე-ბელს უბრძანეს სრულად გაშიშვლებულიყო ქალბატონის თანდასწრებით, რომელიც ციხის და-წესებულების თანამშრომელი იყო. განმცხადებლის აზრით, აღნიშნული მოპყრობა მისი დამცი-რების მიზნით განხორციელდა. ჩხრეკა ჩატარდა განსაკუთრებული დამამცირებელი ფორმებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტული ჩხრეკის ჩატარების ფორმა წარმოადგენდა განმცხა-დებლის მიმართ უპატივცემულობის გამოვლინებას, რამაც დაამცირა მისი ადამიანური ღირსე-ბა. სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დამამცირებელ მოპყრობას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## Frerot v. France

### (განაცხადი №70204/01)

მაქსიმ ფრეროს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი რამდენიმე დანაშაულის ჩადენის გამო, მათ შორის იყო მკვლელობა და შეიარაღებული ძარცვა. ის არის ულტრამემარცხენეთა შეიარაღებუ-ლი დაჯგუფების ერთ-ერთი ყოფილი წევრი. 1994-დან 1996 წლის ჩათვლით იგი იმყოფებოდა ქა-ლაქ ფრენის ციხეში. ყოველთვის, მნახველთა ოთახიდან გამოსვლისას, განმცხადებელს ჩხრეკ-დნენ, რა დროსაც მთლიანად აშიშვლებდნენ. თუ უარს იტყოდა გახდაზე, კარცერში ათავსებდნენ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლომ აღიარა, რომ განმცხადებელს ამგვარი ფორმით (სრული გაშიშვლებით) ჩხრეკა უტარდებოდა უსაფრთხოე-ბისა და დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით. მაგრამ სასამართლო აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ სხვადასხვა დანესებულებაში, რომლებშიც განმცხადებელი იყო მოთავსებული, ჩხრეკის პროცედურა განსხვავდებოდა. ანალოგიური ჩხრეკა განმცხადებელს მხოლოდ ფრენის ცი-ხეში ჩაუტარდა, სადაც არსებობდა იმის პრეზუმპცია, რომ ყოველი პატიმარი ნათესავთან შეხ-ვედრის შემდეგ მაღავს საგნებსა თუ ნივთიერებებს თავისი სხეულის ყველაზე ინტიმურ ადგი-ლებში. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ასეთი პატიმრები შესაძლოა თავს გრძობდნენ თვითნებობის მსხვერპლად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჩხრეკის პროცედუ-რა რეგულირდებოდა იმ ცირკულარით, რომელიც ყოველი ციხის უფროსს ფართო დისკრეცი-ულ უფლებებს ანიჭებდა ამ საკითხში.



**El Shennawy v. France**

(განაცხადი №51246/08)

განმცხადებელი სასჯელს იხდიდა სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენის გამო. იგი ჩიოდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ჩაუტარეს ჩხრეკა, რა დროსაც სრულად გააშიშვლეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. მითითებული ჩხრეკები არ იყო ჯეროვნად დასაბუთებული, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე. მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკები დიდ ხანს არ გაგრძელებულა, ამ პროცედურამ განმცხადებელში გამოიწვია არასრულფასოვნებისა და ლელვის შეგრძნებები. განმცხადებლის დამცირებამ მიაღწია ისეთ ზღვარს, რომელიც სცილდება გარდაუვალი დისკომფორტის ფარგლებს, რასაც პირები განიცდიან ჩხრეკისას, როდესაც მათ ხდია.

**ხშირი გადაწყვენები**

**Khider v. France**

(განაცხადი №39364/05)

განმცხადებელი დააკავეს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის გამო, მათ შორის შეიარაღებული თავდასხმისათვის ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების შემადგენლობაში. იგი ჩიოდა დაკავების პირობებისა და უსაფრთხოების ზომების თაობაზე, რომლებიც მის მიმართ იყო გამოყენებული, რადგან იგი მიიჩნევს „პატიმრად, რომელიც განსაკუთრებულ მეთვალყურეობას საჭიროებს“. კერძოდ, იგი ჩიოდა ერთი ციხიდან მეორეში გამუდმებული გადაყვანის თაობაზე და სისტემატურად ჩატარებულ პირად ჩხრეკებზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

**Payet v. France**

(განაცხადი №19606)

განმცხადებელი სასჯელს იხდის მკვლელობისათვის. იგი ჩიოდა პატიმრობის პირობებსა და ერთი კამერიდან მეორეში, ან ციხის ერთი კორპუსიდან მეორეში ხშირ გადაყვანაზე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. იგი ასევე ჩიოდა მის მიმართ დისციპლინური სასჯელების დაკისრებაზე, რომლის შედეგადაც მოათავსეს ისეთ საკანში, სადაც არ იყო ბუნებრივი განათება და ანტისანიტარიული პირობები სუფევდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა კარცერში არსებული ცუდი პირობების გამო. სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი დარღვეულად პატიმრის ხშირი როტაციის გამო.

**სასტიკი მოპყრობა**

**Premininny v. Russia**

(განაცხადი №44973/04)

განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო ერთ-ერთი ბანკის ონ-ლაინ უსაფრთხოების სისტემის გატეხვაში. საქმე ეხება მის მიმართ სავარაუდო ცუდ მოპყრობას, რომელიც განახორციელეს თანამშესაკნებმა და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. განმცხადებელი ასევე ჩიოდა მისი შუამდგომლობის გაჭიანურებით განხილვის თაობაზე, რომელიც პატიმრობიდან გათავისუფლებას ეხებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და მე-5 მუხლის მე-4 ნაწილი.

## პილოტური დადგენილება

### Ananyev and Others v. Russia

(განაცხადი №№42525/07 და 60800/08)

საქმე ეხება რუსეთის სამი მოქალაქის განაცხადს იმის თაობაზე, რომ ისინი საგამოძიებო იზოლაციორებში მათი სისხლის სამართლის საქმეების განხილვამდე იმყოფებოდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების დარღვევა. კონვენციის 46-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რუსეთის მთავრობამ უნდა:

- გააუმჯობესოს პატიმრობის მატერიალური პირობები, გამიჯნოს და იზოლირებული გახადოს საპირფარეშოები კამერებში;
- საკნების ფანჯრებს მოაცილოს გისოსები და საშხაპეების რაოდენობა გაზარდოს;
- შეცვალოს დადგენილი ნორმატიული რეგულაციები, ისევე როგორც პრაქტიკა და მიდგომები;
- უზრუნველყოს, რომ წინასწარი პატიმრობის ზომა მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევებში იყოს გამოყენებული;
- დაადგინოს მაქსიმალური ტევადობა თითოეული საგამოძიებო იზოლაციორისათვის;
- უზრუნველყოს მსხვერპლთა საჩივრების ეფექტური განხილვა პატიმრობის არაჯეროვანი პირობების გამო და შესაბამისი კომპენსაციის მიღება.

ზემოხსენებულის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება ვალდებულია, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან ერთად, ექვსი თვის მანძილზე დადგენილების ძალაში შესვლის თარიღიდან, წარმოადგინოს ამ პრობლემების გადაჭრის სავალდებულო დროებითი გეგმა. ხელისუფლება ასევე ვალდებულია დაზარალებულები უზრუნველყოს კომპენსაციით, რაც გულისხმობს ყველა მსხვერპლის მიერ შეტანილი საჩივრის დაჩქარებული წესით გადაწყვეტას, რომლებიც ეხება საგამოძიებო იზოლაციორებში მათ მიმართ განხორციელებულ არაადამიანურ ანდა დამამცირებელ მოპყრობასა და პირობებს. განხილვა უნდა მოხდეს 12 თვის განმავლობაში დადგენილების ძალაში შესვლიდან ან კომუნიკაციის თარიღიდან.

## „დუბლინური საქმეები“ „დუბლინური“ სამართალი

„დუბლინური“ სისტემა (დუბლინის კონვენცია და დუბლინის II რეგულაცია) ემსახურება იმის გარკვევას, თუ რომელი წევრი სახელმწიფო არის პასუხისმგებელი, გამოიძიოს მესამე ქვეყნის წარმომადგენლების თავშესაფრის საკითხი ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

„დუბლინური“ რეგულაციების მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ, რომელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის მიცემის საკითხზე მათ ტერიტორიაზე, ობიექტურ და იერარქიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ეს სისტემა შექმნილია „თავშესაფრით ვაჭრობის“ თავიდან ასაცილებლად და ამავე დროს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყოველი აპლიკაცია თავშესაფრის მოთხოვნაზე განიხილოს მხოლოდ ერთმა წევრმა სახელმწიფომ.

მეორე წევრი სახელმწიფო რეგულაციის კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს თავშესაფრის მაძიებელზე მეთვალყურეობას და, შესაბამისად, განიხილავს მის განაცხადს. თუ ის მისაღებად მიიჩნევს თავის პასუხისმგებლობას, პირველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გადაუზავნოს მას თავშესაფრის მაძიებელი პირი.

### არაადამიანური მოპყრობის რისკი (კონვენციის მე-3 მუხლი) იძულებითი რეპატრიაციისას „დუბლინური“ სამართლის მიხედვით

**T.I. v. the United Kingdom** – შრილანკელი ეროვნების აპლიკანტმა დატოვა გერმანიის ტერიტორია და გაერთიანებულ სამეფოს მიმართა თავშესაფრის მოთხოვნით. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მოსთხოვა გერმანიას დასაშვებად ეცნო პასუხისმგებლობა აპლიკანტის თავშესაფრის შესახებ დუბლინის კონვენციის თანახმად. აპლიკანტი შიშობდა, რომ გერმანიის წარმომადგენლები მას გაგზავნიდნენ უკან შრი-ლანკაში, სადაც ის შიშობდა, რომ არსებობდა რეალური საფრთხე უსაფრთხოების სამსახურის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობისა, LLTTE და Tamil (ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია შეიარაღებულ კონფლიქტში თავისუფლებისათვის ბრძოლაში) ხელისუფლების მომხრე აქტივისტების ორგანიზაციის მიერ. ის ამტკიცებს, რომ LLTTE -ის მიერ სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი იყო შრი-ლანკაში და ამიტომ მოუხდა ქვეყნის დატოვება. ის ასევე ამბობს, რომ 3 თვის განმავლობაში დაპატიმრებული იყო Colombo-ს ციხეში და მას უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები აწამებდნენ, ვინაიდან ეჭვობდნენ, რომ ის იყო Timil-ის წევრი.

სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი (07.03.200). სასამართლომ მიიჩნია: რეალური რისკი, რომ გერმანია დააბრუნებდა აპლიკანტს შრი-ლანკაში, სადაც მის წინააღმდეგ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, არ დადასტურდა.

**K. R. S. v. United Kingdom** – ირანელი ეროვნების პირმა გაიკვალა გზა დიდი ბრიტანეთისაკენ საბერძნეთის გავლით. დუბლინის II რეგულაციასთან შესაბამისობით ბრიტანეთის ხელისუფლებამ მოსთხოვა – საბერძნეთს მიეცა მისთვის თავშესაფარი, საბერძნეთმა მისცა აპლიკანტს თავშესაფარი. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისი გაძევება გაერთიანებული სამეფოდან საბერძნეთში იქნებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, საბერძნეთში თავშესაფრის მაძიებელთა სიტუაციიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი (02.12.2008-ის გადაწყვეტილება): საწინააღმდეგო მტკიცებულებების არ არსებობის გამო, სავარაუდოა, რომ საბერძნეთი შეასრულებს თავის ვალდებულებებს დაბრუნებულებთან დაკავშირებით. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საბერძნეთი არ აძევებდა ხალხს ირანში.

### M.S.S.v. Belgium and Greece

21/01/2011

საქმე ეხება ბელგიის ხელისუფლების მიერ თავშესაფრის მაძიებელთა გაძევებას საბერძნეთში

დუბლინის მე-3 რეგულაციის მოთხოვნით. 2009 წლის 2 ივლისს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად და მოსთხოვა საბერძნეთს, არ მოეხდინა აპლიკანტის ავღანეთში დეპორტაცია სასამართლოს მიერ განჩინების გამოტანამდე.

სასამართლომ დაადგინა, რომ საბერძნეთმა დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი (წამებისა და არა-ადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) აპლიკანტის დაკავების პირობებისა და საცხოვრებელი პირობების გამო საბერძნეთში.

დადგინდა ასევე საბერძნეთის მიერ კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება) კონვენციის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, აპლიკანტის საქმესთან დაკავშირებით თავშესაფრის მიცემის პროცედურაში ნაკლოვანებების არსებობის გამო.

სასამართლომ დაადგინა ბელგიის მიერ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგანაც ბელგიის მიერ აპლიკანტის საბერძნეთისთვის გადაცემით ის აღმოჩნდა რისკის ქვეშ საბერძნეთში თავშესაფართა მაძიებლების პროცედურების არასრულყოფილებისა და ასევე აპლიკანტის დაკავებისა და საცხოვრებელი პირობების მე-3 მუხლთან შეუსაბამობის გამო.

კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა (ქმედითი სამართლებრივი მისაგებლის უფლება) კონვენციის მე-3 მუხლთან ერთობლიობაში: აპლიკანტის გაძევების ბრძანების სანადალმდეგო ეფექტური საშუალებების არარსებობის გამო.

მუხლი 46 (განჩინების სავალდებულო ძალა და აღსრულება): საბერძნეთს დაეკისრა, გაჭიანურების გარეშე გაეგრძელებინა აპლიკანტისათვის თავშესაფრის მინიჭება.

აპლიკანტის დეპორტაციის თავიდან აცილების მიზნით საბერძნეთს დაეკისრა, ყოველგვარი გადადების გარეშე, არსებითად განეხილა აპლიკანტის განაცხადი თავშესაფრის მიცემის თაობაზე, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს და არ დალოდებოდა განხილვის შედეგებს.

## „დუბლინური“ საქმეები: მიმდინარე საქმეები

ამ ეტაპზე სასამართლოში განხილვის სტადიაზეა 960 საქმე, რომლებიც „დუბლინური“ სამართლის სისტემაში თავშესაფრის მაძიებლებს ეხება. ძირითადად, საქმეები არის ცეკოლანდიის, ფინეთის, ბელგიის, გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის წინააღმდეგ.

## დროებითი ღონისძიებები

საქმეთა უმრავლესობაში აპლიკანტები ითხოვენ დროებით ღონისძიებებს (სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი).

ეს არის ღონისძიებები, რომლებიც სასამართლო პროცედურების ნაწილია. ეს არ არის წინასასამართლო გადაწყვეტილება სასამართლო განჩინებისა საქმის დასაშვებობის თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დასაშვებად ცნობს დროებითი ღონისძიებების მოთხოვნას, გაძევების პროცედურა შეჩერდება სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პერიოდში.

## გარემოს დაცვა და პრეცედენტული სამართალი

### ხმაური

#### აეროპორტის ხმაური

##### Powell and Rayner v. The UK

(განაცხადი №9310/81; 21/02/1990)

განმცხადებლები ცხოვრობდნენ აეროპორტ „ჰითროუს“ უშუალო სიახლოვეს. მათი აზრით, ხმაურის დასაშვები ნორმა არ იყო მისაღები, ხოლო მთავრობის მიერ გატარებული ზომები ხმაურის დასახშობად იყო არასაკმარისი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მსხვილი საერთაშორისო აეროპორტების არსებობა, რომლებიც ხშირად განთავსებულია დასახლებული საცხოვრებელი რაიონების ახლოს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობისათვის. ვინაიდან აეროპორტი „ჰითროუ“ მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ გადატვირთულ საერთაშორისო აეროპორტად, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს გაერთიანებული სამეფოს ვაჭრობის, საერთაშორისო კავშირებისა და ეკონომიკისათვის, მისი ფუნქციონირება არის გამართლებული, თუნდაც ბოლომდე შეუძლებელი იყოს მისი ნეგატიური ეფექტების აღმოფხვრა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი.

##### Hatton v. the UK

(განაცხადი №36022/97; 08/07/2003)

განმცხადებლები ცხოვრობენ „ჰითროუს“ აეროპორტთან ახლოს. ისინი ჩიოდნენ მათ საცხოვრებელ რაიონში გაძლიერებული ხმაურის თაობაზე, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა 1993 წლიდან, როცა შეიცვალა ღამის რეისების სიხშირის განრიგი. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ღამის რეისის თვითმფრინავების ხმაური გამუდმებით აღვიძებდა მათ, რაც უარყოფითად აისახებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას ვერ მივიდა ერთსულოვან დასკვნამდე, რომ 1993 წლიდან ფრენების ახალი სქემის შედეგად, მართლაც გაძლიერდა ღამით ხმაური. ამავე დროს სასამართლომ დაადგინა, რომ ღამის რეისების სრულად შენარჩუნებას ჰქონდა ეკონომიკური ინტერესებიც, ასევე აღნიშნა ისიც, რომ ხმაურისგან წუხდებოდა მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობა, ბინებზე ფასები არ იყო შემცირებული და განმცხადებლებს შეეძლოთ, ფინანსური ზარალის გარეშე გაეყიდათ თავიანთი ბინები და სხვაგან გადასულიყვნენ საცხოვრებლად. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი.

### ხმაურიანი მეზობლები

#### Moreno Gomez v. Spain

(განაცხადი №4143/02; 16/11/2004)

განმცხადებელი ჩიოდა მის მეზობლად მდებარე ღამის კლუბებიდან გამოსული გამუდმებული ხმაურის გამო. იგი ამტკიცებდა, რომ ამ ხმაურის შედეგად დასჩემდა ქრონიკული უძილობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის უფლება – დაცული ყოფილიყო მისი საცხოვრებელი – სერიოზულად შეილახა ხელისუფლების მხრიდან უმოქმედობის გამო: მათ არ აღკვეთეს ღამის ხმაური. იმის გათვალისწინებით, რომ ხმაური ინტენსიური იყო და ეს სიტუაცია რამდენიმე წლის განმავლობაში გრძელდებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## Dees v. Hungary

(განაცხადი №2345/06; 09/11/2010)

აპლიკანტი ჩიოდა მისი სახლის წინ არსებულ ქუჩაზე ინტენსიური სამანქანო მოძრაობის თაობაზე, კერძოდ: ქუჩა გადაქცეული იყო სამანქანო ტრასად, რომელზეც განუწყვეტილად მოძრაობდნენ სატვირთო მანქანები, რაც იწვევდა ძლიერ ხმაურს, ვიბრაციასა და მტვერს.

სასამართლომ დაადგინა, რომ, მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან მრავალჯერ მიცდულობისა – მოწესრიგებინათ მანქანების მოძრაობის ნაკადი მითითებულ ქუჩაზე, განმცხადებელი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განიცდიდა ძლიერი ხმაურისაგან გამომწვეულ დისკომფორტს. შესაბამისად, იგი ვერ სარგებლობდა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებებით, რაც გულისხმობს საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემას. ამგვარად, სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი.

## Mileva and Others v. Bulgaria

(განაცხადი №№43449/02 და 21475/04)

აპლიკანტები ჩიოდნენ ძლიერი ხმაურის გამო, რაც გამოდიოდა ელექტრო თამაშებისა და კომპიუტერული კლუბის ოფისის შენობიდან, რომელიც უშუალოდ ემიჯნებოდა განმცხადებელთა სახლებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არ აქცევდნენ ყურადღებას განმცხადებელთა საჩივრებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელისუფლებამ გამოსცა ბრანება კლუბების დახურვის თაობაზე, მაგრამ ეს განკარგულება არ აღსრულდა. შედეგად, ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უხდებოდათ განმცხადებლებს ძლიერი ხმაურის მოთმენა, რაც წარმოადგენდა მათ პირად ოჯახურ ცხოვრებაში უხეშ ჩარევას. შესაბამისად, დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი.

## Dubetska and Others v. Ukraine

(განაცხადი №30499/03)

განმცხადებლები ჩიოდნენ კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე, კერძოდ: მათ ჯანმრთელობასა და საცხოვრებელ გარემოს მიაღდა სერიოზული ზიანი, რადგან მეზობლად განთავსდა ქვანახშირის მოქმედი მალარო.

სასამართლომ დაადგინა, რომ მალაროებისა და ფაბრიკების მუშაობამ გავლენა მოახდინა განმცხადებლების ჯანმრთელობაზე, ასევე სერიოზული ზიანი მიაყენა მათ საცხოვრებელ გარემოს. მათ არ ჰქონდათ საკმარისი ფულადი სახსრები იმისათვის, რომ შეეცვალათ საცხოვრებელი, რადგან ბინების ღირებულება მკვეთრად დაეცა ქვანახშირის მალაროს მეზობლად განთავსების გამო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა იცოდნენ მალაროებისა და ფაბრიკების მავნე ზეგავლენის თაობაზე, მაგრამ არ მიიღეს რაიმე ზომა განმცხადებლების გასახლებაზე. ხელისუფლებამ არ იზრუნა ასევე დაბინძურების დონის შემცირებისთვის, რაც უდიდეს ზიანს აყენებდა განმცხადებლების ჯანმრთელობას. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ უკრაინის ხელისუფლებას დაავალა, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გამოასწორებს არსებულ მდგომარეობას.

## Zammit Maempel and Others v. Malta

(განაცხადი №24202/10; 22/11/2011)

საქმე ეხება რამდენიმე ოჯახის განაცხადს იმის თაობაზე, რომ წელიწადში ორჯერ მათი სახლების სიახლოვეს ეწყობოდა ფოიერვერკი, რაც იწვევდა ძლიერ ხმაურს და არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობასა და საკუთრებას.

სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად. კერძოდ, აღნიშნა, რომ არ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე აპლიკანტების სიცოცხლისა თუ პირადი ხელშეუხებლობის მიმართ; რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იცავდნენ ხალხს, ასევე მათ საკუთრებას და ფოიერვერკების გაშვებისას მიმდინარეობდა მათი მონიტორინგი.

## ინდუსტრიული დაბინძურება

### ადამიანების ჯანმრთელობისათვის საშიში

**Oneryildiz v. Turkey**

(განაცხადი №48939/99; 30/11/2004)

განმცხადებელმა ქალაქის ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე, სადაც ოთხი მუნიციპალური რაიონიდან ეზიდებოდნენ ნაგავს, აიშენა საცხოვრებელი. ნებართვა მშენებლობაზე არ მიუღია. 1993 წლის აპრილში ნაგავსაყრელზე მოხდა მეთანის აფეთქება. აფეთქების ტალღამ მოიცვა 10-ზე მეტი სახლი, განმცხადებლის სახლის ჩათვლით და დაიღუპა მისი 9 ნათესავი. იგი ჩიოდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაფერი იღონეს აფეთქების აღსაკვეთად, მიუხედავად ექსპერტების გაფრთხილებისა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ აცნობეს ბარაკების მობინადრეებს აფეთქების საფრთხის შესახებ. ხელისუფლებას რომც გაეფრთხილებინა მოსახლეობა ამ საშიშროების შესახებ, ისინი მაინც რჩებოდნენ პასუხისმგებლები, რადგან არ მიიღეს პრაქტიკული ზომები ადამიანის სიცოცხლის საფრთხის აღსაკვეთად. საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, რაღა თქმა უნდა, შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს ამასთან დაკავშირებით, რადგან ნაგავსაყრელი ფუნქციონირებდა ჯეროვანი მეთვალყურეობის გარეშე. ქალაქის მშენებლობის პოლიტიკა ასევე აღმოჩნდა ნაკლოვანი და უდავოდ წარმოადგენდა მოვლენათა ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს, რომლის განვითარებამაც ადამიანები მიიყვანა ასეთ ტრაგედიამდე.

**Lopez Ostra v. Spain**

(განაცხადი №16798/90)

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მეზობლად მდებარე ტყავის ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა აბინძურებდა გარემოს მავნე გამონაბოლქვითა და გაზებით, რომლებიც ჰაერში ავრცელებდნენ მომწავლელ ნივთიერებებსა და სუნს, რაც აუტანელს ხდიდა იქ ცხოვრებას. ამ პირობებში ცხოვრებამ მავნე გავლენა იქონია ადამიანთა ჯანმრთელობაზე. პაციენტებს აღენიშნებოდათ გულისრევა, ანორექსია, რაც, ექიმების აზრით, იყო დაბინძურებულ გარემოში ცხოვრების შედეგი.

სასამართლომ დარღვევულად მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დაიცვეს აუცილებელი ბალანსი ქალაქის ეკონომიკურ კეთილდღეობასა და განმცხადებლის ინტერესებს შორის.

**Fadeyeva v. Russia**

(განაცხადი №55723/00; 09/06/2005)

განმცხადებელი ჩიოდა მეტალურგიული კომბინატის თაობაზე, რომელიც განთავსებული იყო მისი სახლის გვერდით და საშიშროებას უქმნიდა მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მისი ამ ზონიდან სხვაგან გადასახლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად კომბინატის გარშემო არსებული სიტუაციისა, რაც მოითხოვდა მეზობლად მცხოვრებ პირთა მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას, ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ აღმოუჩინეს განმცხადებელს თანადგომა და არ შესთავაზეს მას არანაირი გამოსავალი. კომბინატი ასევე არღვევდა გარემოს დაცვის სტანდარტებს, მაგრამ სახელმწიფოს არ მოუხდენია რაიმე რეაგირება ამის თაობაზე, რათა შეემცირებინა სამრეწველო დაბინძურების დონე საშიშ ზონაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

**Giacomelli v. Italy**

(განაცხადი №59909/00; 02/11/2006)

განმცხადებელი ჩიოდა ქარხნის ტერიტორიიდან მავნე ნივთიერებების ნარჩენების გავრცელების

თაობაზე. ქარხანა განთავსებული იყო მისი სახლიდან 30 მეტრის მოშორებით. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ნარჩენები საფრთხეს უქმნიდა მის ჯანმრთელობასა და საცხოვრებელს. ხელი-სუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს შიდა კანონმდებლობა გარემოს დაცვის შესახებ, კერძოდ: ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლიდან, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო მუშაობის დაწყებისთანავე. ადგილობრივმა სასამართლოებმა გამოიტანეს დადგენილება ქარხნის მუშაობის შეწყვეტის თაობაზე, ვიდრე არ მოგვარდებოდა ნარჩენების გამოდინების საკითხი, რაც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ეკოლუგიურ ნორმატივებთან. ამის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ დახურეს ქარხანა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

## Guerra and Others v. Italy

(განაცხადი №14967/89; 19/02/1998)

განმცხადებლები ცხოვრობდნენ ქიმიური ფაბრიკის სიახლოვეს, რომელიც აწარმოებდა სასუქის პროდუქციას. წარმოებაში მომხდარი ავარიის შედეგად, რაც გამონვეული იყო ფაბრიკის გაუმართაობით, ატმოსფეროში გავრცელდა რამდენიმე ტონა ტოქსიკური დარიშხანის შემცველი ქიმიური ნივთიერება. 150 ადამიანი გადაიყვანეს საავადმყოფოში დარიშხანით მონამვლის ნიშნებით. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პრაქტიკულად არ არსებობდა რაიმე ზომები დაბინძურების დონის შესამცირებლად და ფაბრიკაში მომხდარმა სერიოზულმა ავარიებმა დაარღვიეს მათი სიცოცხლის ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გარემოს ძლიერმა დაბინძურებამ შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს ადამიანების ჯანმრთელობაზე და წაართვას მათ საკუთარი საცხოვრებელი სარგებლობის უფლება. 1994 წლამდე, ვიდრე საბოლოოდ არ შეწყდებოდა ფაბრიკის მუშაობა, განმცხადებლები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ელოდნენ ინფორმაციას, რაც მათ უფლებას მისცემდა, შეეფასებინათ რისკები, თუკი გადაწყვეტდნენ იმ ქალაქში ცხოვრებას, რომელიც ფაბრიკის აფეთქების შემთხვევაში გახდებოდა დაბინძურების ეპიცენტრი. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულებები, დაეცვა განმცხადებლების პირადი და ოჯახური ცხოვრება, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

## Taskin and Others v. Turkey

(განაცხადი №46117/99)

განმცხადებლები ითხოვდნენ ოქროს საბადოს მალაროების საექსპლუატაციო ნებართვის შეჩერებას, რადგან მათი მუშაობისას წარმოიქმნებოდა საშიში ციანიდური ნივთიერებები, რომელბიც აბინძურებდნენ მიწის გრუნტსა და ადგილობრივ ეკოსისტემას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპლუატაციაზე ნებართვა გააუქმა სახელმწიფო საბჭომ (უმადლესი ადმინისტრაციული ორგანო), რომელიც საპირისპირო ინტერესების შეფასების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ოქროს მომპოვებელი საბადოს მალაროების ამუშავების შეთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანი მიადგებოდა ადამიანების ჯანმრთელობასა და ეკოსისტემას. მიუხედავად ასეთი დასკვნისა, მალაროების დახურვის შესახებ ბრძანება მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან 10 თვის შემდეგ გაიცა და 4 თვის შემდეგ გადაეცა კომპეტენტურ ორგანოებს. ასეთმა შეფერხებამ სასამართლო გარანტიებზე ყოველგვარი აზრი დაკარგა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## გარემოზე მავნე ზემოქმედების სხვა შემთხვევები

### Tatar v. Romania

(განაცხადი №657021/01; 27/01/2009)

2000 წლის იანვარში ოქროს მომპოვებელი საბადოს მალაროში მომხდარი ავარიის შედეგად, რომელიც თავისი ფუნქციონირებისათვის იყენებდა ნატრიუმის ციანიდს, ატმოსფეროში გაიფრქვა რამდენიმე ტონა ტოქსიკური ნივთიერება. ავარიის შედეგად მალარო მანძი განაგრძობდა მუ-



შობას. განმცხადებლები, რომელთა სახლიც აღნიშნული საბადოს გვერდით იყო, ამტკიცებდნენ, რომ მიმდინარე პროცესი ძალიან საშიში იყო იქ მყოფი ადამიანების ჯანმრთელობისათვის და გარემოსთვისაც წარმოადგენდა უდიდეს საფრთხეს. განმცხადებლები დაავადნენ ასთმით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლებმა ვერ დაადასტურეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დაბინძურებულ გარემოსა და მათ დაავადებასთან. მეორე მხრივ, სასამართლომ შენიშნა, რომ მადნეულის მომპოვებელი კომპანია ავარიის შემდეგ კვლავ აგრძელებდა თავის სამრეწველო საქმიანობას, თუმცა დაცული უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების პრინციპები, რომლის თანახმადაც, შესაბამისი თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური განათლების არარსებობა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ არ ამართლებს სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური და პროპორციული ზომების შეფერხებით მიღებას. სასამართლომ დაასკვნა, რომ რუმინეთის ხელისუფლებამ ვერ შეაფასა კომპანიის ფუნქციონირების შედეგად გამონეული რისკების არსებობა და არ მიიღო შესაბამისი ღონისძიებები ადამიანების პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დასაცავად, რაც გულისხმობდა ჯანმრთელ გარემოში ცხოვრებას. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად მიიჩნია.

**L’Erabliere v. Belgium**

**(განაცხადი №49230/07; 24/02/2009)**

განმცხადებელი არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც იბრძვის გარემოს დაცვის გაუმჯობესებისათვის ლუქსემბურგის ერთ-ერთ პროვინციაში. განმცხადებელმა იჩივლა ქალაქის ნავგაყვარელის გაფართოებაზე ნებართვის გაცემის გამო. სახელმწიფო საბჭომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა პროცესუალური ნორმებიდან გამომდინარე, აღნიშნა რა, რომ საჩივარში არ იყო მითითებული საქმის გარემოების ზუსტად ამსახველი ფაქტები.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელ ორგანიზაციას ჩამოერთვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის გარანტირებული უფლება.

**Mangouras v. Spain**

**(განაცხადი №12050/04; 28/09/2010)**

განმცხადებელი არის ტანკერ „პრესტიჟის“ ყოფილი კაპიტანი. გემი 2002 წლის ნოემბერში ჩაიძირა ატლანტის ოკეანეში, ესპანეთის სანაპიროებთან ახლოს, რის შედეგადაც ოკეანეში ჩაიღვარა ნავთობი. მკვლელობის შემდეგ მან გირაოს სახით გადაიხადა 3 მილიონი ევრო და გათავისუფლდა. ეს თანხა „პრესტიჟის“ სადაზღვევო თანხა იყო. განმცხადებელი ჩიოდა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას, რაც ძალიან დიდი თანხა იყო, სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი პირადი მდგომარეობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის განმარტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე რეალობა, კერძოდ, მზარდი და მართლზომიერი ინტერესი როგორც ევროპაში, ასევე საერთაშორისო დონეზე ეკოლოგიური დანაშაულისადმი, ასევე სისხლის სამართლის გამოყენება ეკოლოგიური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, რაც გამომდინარეობს ევროპული და საერთაშორისო სამართლიდან. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის განსაკუთრებული მდგომარეობისა და მიყენებული უზარმაზარი ეკოლოგიური ზიანის გათვალისწინებით, მოულოდნელი არ იყო, რომ სასამართლოებმა გირაოს სახით ასეთი დიდი ოდენობის თანხა დააკისრეს. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილს დარღვეულად.

**უზენაესი განვიტარება და ტყის ბაჩხვა**

**Hamer v. Belgium**

**(განაცხადი №21861/03; 27/11/2007)**

განმცხადებელს ეკუთვნოდა სახლი, რომელიც მისი მშობლების მიერ მშენებლობის ნებართვის გარეშე იყო აშენებული ტყის ზოლში. მის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანეს სარჩელი ტყის

კანონმდებლობის დარღვევით სახლის აშენების გამო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელმა მიწის ნაკვეთს პირვანდელი სახე უნდა დაუბრუნოს. სახლი იძულების წესით დაინგრა. განმცხადებელი ჩიოდა თავისი პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე.

სტრასბურგის სასამართლომ თავის პრაქტიკაში პირველად განაცხადა: გარემო, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ არის მოხსენიებული კონვენციაში, თავისთავად წარმოადგენს სიმდიდრეს, რომლის დაცვაშიც დაინტერესებული უნდა იყოს როგორც საზოგადოება, ასევე საჯარო ხელისუფლება. ეკონომიკური მოსაზრებები და საკუთრების უფლებაც კი არ უნდა პრევალირებდეს ეკოლოგიურ პრობლემებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მოქმედი კანონმდებლობა. საჯარო ხელისუფლება ვალდებული იყო, მიეღო ზომები გარემოს დასაცავად. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს კონვენციის პირველი ოქმის მუხლს დარღვეულად.

## Kyrtatos v. Greece

(განაცხადი №41666/98; 22/05/2003)

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ კუნძულ ტინოსის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის ურბანიზაციის შედეგად განადგურდა გარემო, რაც უარყოფითად აისახა მათ პირად ცხოვრებაზე. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ რაიონმა დაკარგა ბუნებრივი სილამაზე, მიმზიდველობა და უნიკალური ფაუნისა და მშენიერი ადგილის ნაცვლად გადაიქცა ტურისტულ ზონად.

სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად იმ მოტივით, რომ ეს ცვლილებები განმცხადებლებს უშუალოდ არ შეხებია. რომც ვივარაუდოთ ურბანიზაციის შედეგად მიყენებული ზიანის გამო ბუნების განადგურება, განმცხადებლების უფლებებზე ზემოქმედება იმდენად ძლიერი და ინტენსიური არ იყო, რომ დადგენილიყო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. საუბარი რომ ყოფილიყო განმცხადებლის გარშემო არსებული ტყის განადგურებაზე, მაშინ შესაძლოა, სასამართლოს ემსჯელა მათი კეთილდღეობის დარღვევის თაობაზე.

## პასიური მწეველი

### Florea v. Romania

(განაცხადი №37186/03)

განმცხადებელი დაავადებული იყო ქრონიკული ჰეპატიტით და მომატებული არტერიული წნევით. 8-9 თვის განმავლობაში იგი იმყოფებოდა 35 კაცისათვის განკუთვნილ კამერაში, სადაც რეალურად იმყოფებოდა 110-დან 120 პატიმრამდე. მისი მტკიცებით, სასჯელის დაკისრების შემდეგ იგი მოათავსეს ისეთ საკანში, სადაც პატიმართა 90% იყო აქტიური მწეველი. განმცხადებელი ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამჯერ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მის გარშემო ისევ აქტიური მწეველები იყვნენ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელს არასდროს ჰქონია ინდივიდუალური კამერა, რომ იგი იძულებული იყო, სიტყმატურად აეტანა აქტიური მწეველები თავის გვერდით. ციხის სამედიცინო დანესებულებაშიც კი ვერ შეძლეს მისი განთავსება არამწეველთათვის განკუთვნილ პალატაში, მიუხედავად ექიმების არაერთი გაფრთხილებისა. 2002 წელს ძალაში შევიდა საავადმყოფოებში მონების ამკრძალავი კანონი. რუმინეთის სასამართლოებმა არაერთხელ გამოიტანეს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მწეველი და არამწეველი პატიმრები განცალკევებით უნდა იხდიდნენ სასჯელს. ციხეში ყოფნის პირობები და ასევე ის გარემოება, რომ იგი იძულებით იყო პასიური მწეველი, სასამართლოს აზრით, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## ბაკევიძე და ექსტრადიცია

### Soering v. The UK

07/07/1989

ამ საქმეში სასამართლომ **პირველად აღნიშნა**, რომ სახელმწიფოს შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა პირის ექსტრადიციაზე გადაწყვეტილების მიღების გამო, რომელიც მიმღებ ქვეყანაში სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშაა.<sup>1</sup>

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ განმცხადებელს გადააგზავნიდნენ აშშ-ში (არსებობდა სიკვდილმისჯილთა საკანში მოხვედრის რეალური რისკი).

### „არაადამიანური მოპყრობის რეალური რისკი“

იმის მიუხედავად, არის თუ არა მომთხოვნი სახელმწიფო კონვენციის ხელმომწერი, ექსტრადირების/გაძევების საკითხის გადამწყვეტ სახელმწიფოს იმ შემთხვევაში დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ არსებობს სერიოზული საფუძველები, ვივარაუდოთ, რომ განმცხადებელი არაადამიანური მოპყრობის „რეალური რისკის“ ქვეშაა.

### Vilvarajah and Others v. The UK

30/10/1991

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების 1988 წელს შრი-ლანკაში გაძევების შეთხვევაში – რომელთა შორისაც თამილების ერთობის წევრებიც იყვნენ – ამგვარი საფუძველები არ არსებობდა და, შესაბამისად, სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი დარღვეულად.<sup>2</sup>

### Chahal v. The UK

15/11/1996

სასამართლომ დაადგინა, რომ სიქების სეპარატისტული მოძრაობის მხარდამჭერი, რომლის მიმართაც, სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გამოვიდა მისი გაძევების დადგენილება, რეალურად იყო სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშ ინდოეთში დეპორტაციის შემთხვევაში (ინდოეთის მხარის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სასამართლოსათვის არ იყო დამაჯერებელი). სასამართლომ დაადგინა, რომ გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებით დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

## მიმღებ ქვეყანაში არსებული არაადამიანური მოპყრობა

### Hirsi Jamaa and Others v. Italy

23/02/2012

საქმე ეხება სომალელ და ერიტრიელ მიგრანტებს, რომლებიც ლიბიიდან გამოემგზავრნენ. ისი-

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ არეგულირებს „ექსტრადიციის, გაძევების ან თავშესაფრის მინიჭების“ საკითხებს. თუმცა, თავისი უფლების განხორციელებისას – „მის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის კონტროლი, მათი იქ ყოფნა და თავისი ტერიტორიიდან გაძევება“ (Vilvarajah და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ), შეთანხმებულმა სახელმწიფოებმა არ უნდა დაარღვიონ კონვენციით გარანტირებული უფლებები.

<sup>2</sup> „ხელშემკვრელი სახელმწიფოს გადაწყვეტილებამ პირის ექსტრადიციის თაობაზე, რომელიც სხვა სახელმწიფოს ხელისუფლებას ემალება, შესაძლოა, წამოჭრას კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული საკითხები და, შესაბამისად, გამცემ სახელმწიფოს შესაძლოა, დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციის მიხედვით, თუკი არსებობს საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მითითებული პირი ექსტრადიციის შემთხვევაში რეალურად აღმოჩნდება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი მომთხოვნი სახელმწიფოში“ (Soering გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, Cruz-Varas შვედეთის წინააღმდეგ, 20/03/1991, § 70).

ნი ზღვაში დააკავეს იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და გაგზავნეს უკან, ლიბიაში. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტები იმყოფებოდნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ კონვენციის I მუხლიდან გამომდინარე: გემზე ყოფნის პერიოდიდან ლიბიის ხელისუფლებისათვის გადაცემამდე განმცხადებლები იმყოფებოდნენ იტალიის ხელისუფლების დე-იურე და დე-ფაქტო იურისდიქციის ქვეშ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან აპლიკანტები აღმოჩნდნენ არაადამიანური მოპყრობის პოტენციური მსხვერპლები ლიბიისთვის გადაცემის გამო, საიდანაც მათ ემუქრებოდათ სომალიში ან ერიტრიაში რეპატრაცია. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის სახელმწიფოსათვის ცნობილი იყო ან უნდა სცოდნოდათ, რომ არ არსებობდა შესაბამისი გარანტიები აპლიკანტების დასაცავად.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლი. სასამართლომ პირველად განიხილა კონვენციის ამ მუხლის დარღვევა, რომელიც უცხოელთა კოლექტიურ გაძევებას კრძალავს.

და ბოლოს, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლთან ერთად, რადგან სისხლის სამართლით გათვალისწინებული ზომები გემზე მყოფი სამხედრო პერსონალის წინააღმდეგ, არ აკმაყოფილებდა დარღვევის აღკვეთის კრიტერიუმებს.

## უკანონო ორგანიზაციების წევრები, ტერორიზმში ბრალდებული პირები, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები...

- **Chahal v. The UK**, (იხ. ზემოთ)
- **Shamayev and Others v. Georgia and Russia**, 12/04/2005 – სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ ბატონი გელოგაევის რუსეთში ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდებოდა (განმცხადებელი ჩეჩნეთის კონფლიქტში მონაწილეობდა და რუსეთის ხელისუფლებამ იგი მიიჩნია ტერორისტად).
- **Muslim v. Turkey**, 26/04/2005 – განმცხადებელი გაიქცა თურქეთში 1998 წელს. იგი იძებნებოდა ერაყელი სპეცსამსახურების მიერ, ბათის პარტიაში სადამ ჰუსეინთან დაახლოებული პირისათვის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრისას მომხდარ კონფლიქტში მონაწილეობის გამო. ერაყში დეპორტაციის შემთხვევაში არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.
- **Saadi v. Italy**, 28/02/2008 – განმცხადებლის ტუნისში დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი (სადაც, მისი თქმით, 2005 წელს დაუსწრებლად გაასამართლეს და მიუსაჯეს 20-წლიანი პატიმრობა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის გამო).
- **Baysakov and Others v. Ukraine**, 18/02/2010 – ყაზახი ოპოზიციონერების ყაზახეთში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ყაზახეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი გარანტიები არ იყო დამაჯერებელი იმის თაობაზე, რომ განმცხადებლებს არ ანამებდნენ.
- **Klein v. Russia**, 01/04/2010 – ისრაელის „დაქირავებული ჯარისკაცის“ რუსეთიდან კოლუმბიაში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო კოლუმბიის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, ასევე კოლუმბიის ვიცე-პრეზიდენტის მიერ განმცხადებლის მიმართ გაკეთებული განცხადებები და კოლუმბიის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არასაკამარისი გარანტიები.
- **Abdolkhani and Karimnia v. Turkey**, 22/09/2009 – მოჯაჰედების ორგანიზაციის ყოფილი წევრების ირანში ან ერაყში დეპორტაციის შემთხვევაში მათ ემუქრებოდათ არაადამიანური მოპყრობა.
- **Y.P and L.P. v. France**, 01/09/2010 – ბელორუსიაში რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პირისა და მისი ოჯახის წევრების დაბრუნება დაარღვევს კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად განმცხადებლის მიმართ არსებული საფრთხის განეიტრალებისა, რადგან უკვე გავიდა გარკვეული პერიოდი, ავტომატურად მაინც რჩებოდა გარკვეული რისკი. ბელორუსიაში მდგომარეობა ისევე არასტაბილურია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ავიწროებენ რეჟიმის მოწინააღმდეგეებს.

- **Omar Othman v. The UK, 17/01/2012** – აპლიკანტი (ასევე ცნობილი, როგორც აბუ ქატადა) ასაჩივრებდა მის გადაყვანას იორდანიაში, სადაც დაუსრულებლად გაასამართლეს სხვადასხვა ტერორისტული აქტის ჩადენაში. სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ მოპოვებული დიპლომატიური გარანტიები იორდანის მთავრობისგან იყო შესაბამისი ბატონი ოთმანის დასაცავად და არ არსებობდა არაადამიანური მოპყრობის რისკები. სასამართლომ, ამის მიუხედავად, მაინც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან აღნიშნა, რომ იორდანიაში შესაძლოა, წამების შედეგად ყოფილიყო მოპოვებული ჩვენებები ხელახალი სასამართლო განხილვისათვის. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტის საკითხის განხილვისას ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რომელიც ასახავს საერთაშორისო კონვენსუსს იმის თაობაზე, რომ წამების შედეგად მოპოვებული ჩვენება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.

### ჯანმრთელობის მდგომარეობა

- **D. v. the UK, 02/05/1997** – სენ-კიტსზე განმცხადებლის დეპორტაციის შემთხვევაში დარღვეულად მიიჩნევა კონვენციის მე-3 მუხლი (განმცხადებელი დაავადებული იყო შიდსის ბოლო სტადიით).
- **Aoulmi v. France, 17/01/2006** – აპლიკანტი დაავადებული იყო „ც“ ჰეპატიტით. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი მისი დეპორტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში. იცოდა რა სასამართლომ განმცხადებლის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ, მაინც მიიჩნია, რომ არ იყო საკმარისად დასაბუთებული, დაირღვეოდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლი მისი ალჟირში დეპორტაციით.

### მესამე მხარის მიერ არაადამიანური მოპყრობის რისკები

- **N. v. Finland, 26/07/2005** – განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ განხორციელდებოდა არაადამიანური მოპყრობა, თუკი მოხდებოდა მისი კონგოში დეპორტაცია, რადგან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა კონგოს ყოფილ პრეზიდენტ მოზუტუსთან. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.
- **Sufi and Elmi v. the UK, 28/06/2011** – განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ სომალიში დეპორტაციის შემთხვევაში მათ მიმართ განხორციელდებოდა სასტიკი მოპყრობა, რადგან მიეკუთვნებოდნენ, ერთ შემთხვევაში – ეთნიკურ უმცირესობას, ხოლო მეორე განმცხადებელი იყო ანტიისლამური და პროდასავლური ორიენტაციის მქონე. მეორე განმცხადებლის ოჯახი ამოწყვეტეს ადგილობრივი კლანის მეომრებმა და იგი 19 წლის ასაკში გამოიქცა გაერთიანებულ სამეფოში. სომალიში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება კიდურების ამპუტაცია, საჯარო გაროზგვა, ან სიკვდილი – ნარკომანობისა და ქურდობისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.
- **N. v. Sweden, 20/07/2010** – განმცხადებლის ავღანეთში დეპორტაციის შემთხვევაში არსებობდა ოჯახური ძალადობის რისკი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ავღანელი ქალების დაახლოებით 80% ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, რაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განიხილება, როგორც მართლზომიერი მოვლენა და ასეთ ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობს. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

### „სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებული გარემოებები“<sup>3</sup>

- **Soering v. the UK, (იხილეთ ზემოთ)**
- **Jabari v. Turkey, 11/07/2000** – განმცხადებელი ქალბატონი ირანის მოქალაქეა. მას ბრალად ედება ცოლქმრული ღალატის ჩადენა, რისთვისაც ირანში ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა, კერძოდ, ქვებით ჩაქოლვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ირანში მისი დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

<sup>3</sup> იხ. სოერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

- **Harkins and Edwards v. the UK, 17/01/2012** – საქმე ეხება ორი განმცხადებლის საჩივარს იმის თაობაზე, რომ თუ გაერთიანებული სამეფო მოახდენს მათ ექსტრადიციას აშშ-ში, მათ ემუქრებათ სიკვდილით დასჯა, ან შეწყალების მოთხოვნის გარეშე სამუდამო პატიმრობა. სასამართლომ უარყო განმცხადებლების მოთხოვნა და დაუშვებლად ცნო განაცხადი, რადგან გაერთიანებულმა სამეფომ აშშ-სგან მიიღო დიპლომატიური გარანტიები იმის თაობაზე, რომ აშშ-ში განმცხადებლების ექსტრადიციის შეთხვევაში მათ მიმართ არ იქნებოდა გამოყენებული სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. სასამართლომ სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი არგუმენტები დამაჯერებლად ცნო, რადგან შეერთებულ შტატები ტრადიციულად და ისტორიულად უდიდეს პატივს სცემენ დემოკრაციას და კანონის უზენაესობას. სასამართლომ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ სამუდამო პატიმრობა შეწყალების გარეშე არ იქნებოდა არაპროპორციული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

## სამუდამო პატიმრობა ყოველგვარი ადრეული გათავისუფლების გარეშე

- **Nivette v. France, 03/07/2001** – განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო თავისი მეგობარი გოგონას მკვლელობაში. მასზე გაიცა საერთაშორისო დაკავების ორდერი. განაცხადი სასამართლომ დაუშვებლად ცნო. კალიფორნიის შტატის კანონების თანახმად, არ არსებობდა იმის საშიშროება, რომ განმცხადებლის მიმართ გამოტანილი სამუდამო პატიმრობის განაჩენი არ ითვალისწინებდა გათავისუფლების შესაძლებლობას.
- ასევე იხილეთ **Harkins and Edwards v. the UK, 17/01/2012** – სასამართლომ არ მიიჩნია, რომ განმცხადებლების აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან აშშ-ს სასამართლოების მიერ გამოტანილი სამუდამო პატიმრობა შეწყალების გარეშე არ იქნებოდა არაპროპორციული კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

## „იქულებითი რეპატრიაციისას არაადამიანური მოპყრობის რისკი დუბლინური რეგულაციებიდან გამომდინარე“

დუბლინური სისტემის მიზანია, განსაზღვროს რომელი წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, რომელიც შეტანილია ევროპის კავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს მოქალაქის მიერ (დუბლინის კონვენცია და დუბლინური რეგულაციები II)

- **T.I. v. the UK, 07/03/2000** – განმცხადებელი შიშობდა, რომ გერმანიაში ჩასვლისას ჯეროვანი განხილვების გარეშე დააბრუნებდნენ შრი-ლანკაში<sup>4</sup>, სადაც იგი ამტკიცებდა, რომ სპეცსამსახურების მიერ მასზე განხორციელდა არაადამიანური მოპყრობა. განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო „ტამილელი ვეფხვების“ – უკანონო შეიარაღებული ორგანიზაციის წევრობაში. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო, რადგან ვერ დაადგინა რეალური საფრთხის არსებობა ექსტრადიციის შემთხვევაში.<sup>5</sup>
- **K.R.S v. the UK, 02/12/2008** – ირანელი განმცხადებელი საბერძნეთის გავლით ჩამოვიდა დიდ ბრიტანეთში. დუბლინური II რეგულაციის თანახმად, გაერთიანებულმა სამეფომ საბერძნეთს მოსთხოვა თავშესაფარზე შუამდგომლობის განხილვა, რაზედაც საბერძნეთმა თანხმობა განაცხადა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი გაძევება გაერთიანებული სამეფოდან საბერძნეთში ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს საბერძნეთში თავშესაფრის მაძიებელი ადამიანების მიმართ არსებული დამოკიდებულების გამო. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო. „არ არსებობდა რაიმე დამადასტურებელი საწინააღმდეგო მტკიცებულება და უნდა ვივარაუდოთ, რომ საბერძნეთი შეასრულებდა თავის ვალდებულებებს უკან დასაბრუნებელ პირებთან მიმართებაში“.<sup>6</sup>

<sup>4</sup> გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მოსთხოვა გერმანიას, თავის თავზე აეღო შრი-ლანკის მოქალაქის მოთხოვნა თავშესაფარზე, დუბლინის კონვენციის თანახმად.

<sup>5</sup> სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ აპლიკანტის გაძევება შუამავალ სახელმწიფოში არ ავალდებულებდა გაერთიანებულ სამეფოს, უზრუნველყო, რომ აპლიკანტის მიმართ არ განხორციელებულიყო კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ქმედებები.

<sup>6</sup> სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საბერძნეთს არავის დეპორტაცია არ მოუხდენია ირანში.

## დროებითი ღონისძიება (სასამართლოს რეგლამენტის 390-ე მუხლი)

სასამართლომ გამოიყენა დროებითი ღონისძიება საქმეთა დიდი რაოდენობის განხილვისას, რომლებიც ეხებოდა გაძევებებს/ექსტრადიციებს. ეს არის სასამართლოს განხილვებისას გამოყენებული ზომები და არ მიუთითებს განაცხადის შემდგომ დასაშვებობაზე, ანდა – პირიქით. ეს ღონისძიებები ყოველთვის მოიცავს განმცხადებლის გაძევების შეჩერებას განაცხადის განხილვისას. მაგალითისათვის 2008 წლის ნოემბერში სასამართლომ მიიღო დროებითი ღონისძიების ამოქმედების გადაწყვეტილება 11 ავღანელის მიერ შეტანილი განაცხადის განხილვისას.

საქმეზე – მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ – სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი. თურქეთის მხარემ ვერ დაიცვა დროებითი ღონისძიების მოთხოვნები, რამაც სასამართლოს შეუქმნა წინააღმდეგობა, შეეფასებინა რეალური რისკი, რომელიც აპლიკანტების თურქეთიდან უზბეკეთში ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობდა.

- D.H. v. Finland, 2010 წელს შედგა კომუნიკაცია – განმცხადებელი ლიბიიდან ევროპაში ჩავიდა ნავით. იგი ამტკიცებდა, რომ იტალიაში დეპორტაციის შემთხვევაში მის მიმართ განხორციელებოდა არაადამიანური მოპყრობა, რადგან იგი იყო არასრულწლოვანი. სასამართლომ ფინეთის ხელისუფლებას მიუთითა, რომ თავი შეეკავებინა განმცხადებლის იტალიაში გადაგზავნაზე ახალ შეტყობინებამდე.

ექსტრადიციის/გაძევების შეჩერების მოთხოვნით დროებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობების მზარდმა რაოდენობამ გამოიწვია სასამართლოში საქმეთა გახილვის შეფერხება, რაზედაც სასამართლოს პრეზიდენტმა 2011 წლის თებერვალში გამოსცა ბრძანება, რომლითაც მთავრობებსა და განმცხადებლებს შეახსენა, თუ რა როლი ეკისრებოდა სასამართლოს და რითი შემოიფარგლებოდა ეს ორგანო იმიგრაციის საკითხების განხილვისას, ასევე შეახსენა ორმხრივი ვალდებულებები სასამართლოსთან მრავალმხრივი თანამშრომლობის კუთხით.

## სხვა კატეგორიის საქმეები

### „სამართლიანი განხილვების არარსებობა“

#### (მე-6 მუხლი, სამართლიანი განხილვა გონივრულ ვადაში)

„სასამართლო არ გამოიციხავს, რომ ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილებამ, გამოწვევის შემთხვევაში, შესაძლოა, წამოჭრას კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საკითხები, იმ შემთხვევაში, როცა მიმალვაში მყოფი პირი მომთხოვნ სახელმწიფოში არასამართლიანი სასამართლო განხილვების მსხვერპლი გახდა, ან არსებობს მსხვერპლად გახდომის რისკი“. (Soering, § 113).

- Stapleton v. Ireland, 04/05/2010 – აპლიკანტი თალითობის გამო გაასამართლეს. მასზე გაცემული იყო საერთაშორისო დაკავების ორდერი. იგი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებულ სამეფოში ევროპული ორდერის საფუძველზე მისი გაგზავნის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-6 მუხლი, კერძოდ, არ იქნებოდა სამართლიანი განხილვა. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო. განმცხადებელს შეეძლო მიემართა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის, რადგან გაერთიანებული სამეფო არის კონვენციის წევრი სახელმწიფო (იხ. ასევე – მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ).

## კონვენციის სხვა მუხლების გამოყენება გაქვების საქმეებთან დაკავშირებით

### კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლი

- Conka v. Belgium, 05/02/2002 – გაძევების გამოყენებული პროცედურა არ იყო წარმოდგენილი შესაბამისი გარანტიებით იმის თაობაზე, რომ თითოეული გაძევებულის პირადი გარემოებები ჯეროვნად იქნებოდა მიღებული მხედველობაში.

- **Sultani v. France, 20/09/2007** – არ დადგინდა დარღვევა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უთხრეს თავშესაფარზე, ავღანეთში არსებული მდგომარეობისა და აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით.

### კონვენციის მე-7 ოქმის I მუხლი

- **Kaushal and Othes v. Bulgaria, 02/09/2010** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 ოქმის I მუხლის დარღვევა, რადგან ბულგარეთის მთავრობამ არ განიხილა გაძევების წინააღმდეგ წარმოდგენილი არგუმენტები, რომლებიც ნაკარნახები იყო ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე.
- **Gelerie v. Romania, 15/02/2011** – პოლიტიკური ლტოლვილის გაძევება ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 ოქმის I მუხლის დარღვევა, რადგან გაძევების განკარგულება არ იყო დაცული თვითნებობისაგან.
- **Takush v. Greece, 17/01/2012** – ალბანეთის მოქალაქე დააპატიმრა პოლიციამ და დაუყოვნებლივ წარუდგინა სისხლის სამართლის სასამართლოს, საბერძნეთში უცხოელთა უკანონო შემოსვლის ხელშეწყობისა და თანამზრახველობის გამო. დეპორტაციის საკითხის გადაწყვეტისას ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისი დაკავების განკარგულება გასცეს იმ საფუძველით, რომ იგი წარმოადგენდა საზოგადოებისათვის საშიშროებას და შეეძლო მიმალულიყო. დეპორტაციის განკარგულება განპირობებული იყო იმითაც, რომ ბატონი ტაკუშის სახელი ფიგურირებდა არასასურველი პირების ნაციონალურ რეესტრსა და შენგენის საინფორმაციო სისტემაში. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-7 ოქმის I მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლის საქმე ფაქტობრივად არ განხილულა.

### კონვენციის მე-5 მუხლი, მე-13 მუხლი და მე-3 მუხლი

- **Gebremedhin v. France, 26/04/2007** – განმცხადებელი ჩიოდა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობაში არ არსებობდა დაცვის საშუალება, რომელსაც ექნებოდა შემაჩერებელი ძალა, ერთ შემთხვევაში – სახელმწიფოში შესვლის უფლებაზე ნებართვის აკრძალვის სანაღმდეგოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში – გაძევების გადაწყვეტილების სანაღმდეგოდ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად.
- **Adamov v. Switzerland, 21/06/2011** – საქმეები ეხებოდა შვეიცარიაში რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრის დაკავებას აშშ-ში ექსტრადიციის მიზნით, სადაც მის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე რუსეთის მიერ აშშ-სათვის გადაცემული სახსრების მითვისების გამო. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. ბატონი ადამოვი დააკავეს დაკავების ორდერის საფუძველზე, რომელიც გაიცა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის საფუძველზე საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში და არ არღვევდა არც შეუფერხებელი გადაადგილების და არც კეთილსინდისიერების პრინციპებს.

### კონვენციის მე-8 მუხლი

- **Boultif v. Switzerland - 02/08/2001;**
- **Benhebba v. France - 10/07/2003;**
- **Maslov v. Austria - 23/06/2008;**
- **Kaushal and Others v. Bulgaria - 02/09/2010;**
- **Gelerie v. Romania - 15/02/2011.**

მიმდინარე საქმე – **Eric Efeosaosere Okuonghae v. the UK** – განმცხადებელი აშშ-ს მოქალაქეა, რომელიც 5 წლის ასაკიდან ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში. იგი დეპორტირებულ იქნა აშშ-ში ყალბი პასპორტის გამოყენების გამო. განმცხადებელი, ძირითადად, ჩივის, რომ სახელმწიფოს ჩარევა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებებში იყო არაზომიერი. იგი 24 წლისაა და ბავშვობის უდიდესი ნაწილი გაატარა გაერთიანებულ სამეფოში. ამჟამად საქმე კომუნიკაციის ეტაპზეა.



# ევროპის საბჭოს ნავრი სახელმწიფოების ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქცია კონვენციის პირველი მუხლი (ადამიანის უფლებათა დაცვის პალდატულა)

ხელშეკრულმა მხარეებმა ყველასათვის, თავისი იურისდიქციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყონ კონვენციის I მუხლით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

## სახელმწიფოს ქმედება, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ფარგლებში ხდება, მაგრამ არა ამ სახელმწიფოს საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში

დიპლომატიური წარმომადგენლობების შენობები:

**W.M. v. Denmark (განაცხადი 17392/90)**

14/10/1992

აპლიკანტი ცდილობდა აღმოსავლეთ ბერლინის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) დატოვებას და დასავლეთ ბერლინში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გადასვლას. ამ მიზნით იგი 1988 წელს შევიდა აღმოსავლეთ ბერლინში მდებარე დანიის საელჩოს შენობაში. დანიის ელჩის მოთხოვნით აღმოსავლეთ გერმანიის პოლიცია შეიჭრა საელჩოში, წაიყვანა აპლიკანტი და მას 33-დღიანი დაკავების შემდეგ მიესაჯა პირობითი პატიმრობა. ის ჩიოდა, რომ მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება დაირღვა, როდესაც იგი გაიყვანეს შენობიდან აღმოსავლეთ ბერლინის პოლიციისათვის გადასაცემად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მიერ დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილმა პირებმა, დიპლომატიური ან საკონსულოს წარმომადგენლების ჩათვლით, მოაქციეს სხვა ადამიანები ან საკუთრება ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმ საფუძველით, რომ მათზე განხორციელებულიყო თავიანთი უფლებამოსილება. შესაბამისად, დანიის ელჩის მიერ გაცემულმა ბრძანებამ, რაზეც აპლიკანტი ჩიოდა, ზეგავლენა მოახდინა დანიის ხელისუფლების უფლებამოსილების ქვეშ მყოფ ადამიანებზე.

## სამხედრო კონტინგენტის ყოფნა და პოლიტიკური მხარდაჭერა

**Loizidou v. Turkey (განაცხადი 151318/89)**

23/03/1995

ქალბატონი ლუიზიდუ ჩიოდა, რომ მისი საკუთრების უფლება დაირღვა თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის განგრძობითი ოკუპაციისა და მასზე კონტროლის განხორციელების შედეგად, რის შემდეგაც მას რამდენჯერმე შეეშალა ხელი საკუთარი სახლის სარგებლობით ხელმისაწვდომობაში. ის ჩიოდა, რომ ხდებოდა მისი საკუთრების უფლების – კონვენციის I დამატებითი ოქმის პირველი მუხლის განგრძობითი დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

სასამართლო შეგვახსენებს: იმის მიუხედავად, რომ კონვენციის I მუხლი ადგენს გარკვეულ ლიმიტს კონვენციის გამოყენებაზე, ცნება „იურისდიქცია“ ამ ნორმის მიხედვით არ იყო აკრძალული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს ეროვნულ ტერიტორიაზე. კერძოდ, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე უნდა დადგეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამხედრო მოქმედებების შედეგად – კანონიერია ეს თუ უკანონო – იგი ახორციელებს ეფექტურ კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ამგვარ არეალში კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ისინი ახორციელებენ ეფექტურ კონტროლს იქ, სადაც ეს ხდებოდა პირდაპირ, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ, ან სუბორდინირებული ადგილობრივი – ადმინისტრაციული უფლებამოსილების მქონე პირების მიერ.

ტრაციის მეშვეობით.

თურქეთმა აღიარა, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიის ოკუპაციისა და იქ „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ დაარსების შედეგად ქალბატონმა ლუიზიდუმ დაკარგა თავის საკუთრებაზე კონტროლი. თურქეთმა განახორციელა ეფექტური და სრული კონტროლი ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე თავისი სამხედრო კონტინგენტის მეშვეობით, რის შედეგადაც კონვენციის მიხედვით, მისი პასუხისმგებლობა ვრცელდება „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ პოლიტიკასა და ხელისუფლების ქმედებებზე. შესაბამისად, „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ ხელისუფლების ქმედებები, რომელიც თურქეთის ხელისუფლების მიერაა მხარდაჭერილი, თურქეთის იურისდიქციის ქვეშ ხვდება.

#### Cyprus v. Turkey (განაცხადი 25781/94)

##### დიდი პალატის გადაწყვეტილება

10/05/2001

საქმე ეხება ჩრდილოეთ კვიპროსში არსებულ ვითარებას, რომელიც ეხება თურქეთის მიერ სამხედრო ოპერაციების ჩატარებას 1974 წლის ივლისსა და აგვისტოში და კვიპროსის ტერიტორიის განგრძობით დაყოფას. მიუხედავად 1983 წელს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკის“ („TRNC“) საჯაროდ გამოცხადებისა, ეს იყო არალეგალური წარმონაქმნი საერთაშორისო სამართალში და თურქეთი იყო პასუხისმგებელი სახელმწიფო იქ მომხდარი კონვენციის დარღვევებზე. თურქეთი დაობს რომ „TRNC“ არის პოლიტიკურად დამოუკიდებელი თურქეთისგან და, შესაბამისად, ვერ იქნება პასუხისმგებელი მის მოქმედებებზე.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მიხედვით თურქეთის პასუხისმგებლობა ვერ შემოიფარგლება მისი სამხედროებისა და წარმომადგენლების მოქმედებებით ჩრდილოეთ კვიპროსში, არამედ ეს ასევე კავშირშია ადგილობრივი ხელისუფლების („TRNC“) მოქმედებებთანაც, რომელიც თავის მხრივ გადარჩა თურქეთის სამხედრო ძალების მოქმედებებისა და სხვა სახის დახმარებით. ამიტომ, კონვენციის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში ვრცელდებოდა თურქეთის იურისდიქცია.

#### Andreas Manitaras and Others v. Turkey (განაცხადი 54591/00)

03/06/2008

1974 წელს თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსში ინტერვენციის შედეგად იოანის მანიტარასი ბერძენი კვიპროსელების მცირე ჯგუფთან ერთად დარჩა საცხოვრებლად კვიპროსში. 1998 წლის თებერვალში ნიქოზიის სასტუმროში ევროკომისიის ადამიანის უფლებათა დელეგაციას მისცა ჩვენება Cyprus v. Turkey (განაცხადი 25781/94) საქმის გამოძიებისა და განხილვისას. 1999 წლის აპრილში ის იპოვეს გარდაცვლილი თავის სახლში, რიზოკარპასოში. ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაადგინეს, რომ ის ბუნებრივი სიკვდილით იყო გარდაცვლილი ინფარქტის შედეგად. აპლიკანტები, რომლებიც მისი ნათესავები არიან, ამტკიცებენ, რომ ის მოკლულია.

სასამართლომ შეგვახსენა თავისი მოსაზრებები, რომელიც დააფიქსირა „კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ“ საქმეში. რადგანაც თურქეთი ახორციელებდა ჩრდილოეთ კვიპროსის საერთო კონტროლს, კონვენციის მიხედვით, თურქეთის პასუხისმგებლობა ვერ შემოიფარგლება მხოლოდ მისი სამხედროებისა და წარმომადგენლების მოქმედებებით ჩრდილოეთ კვიპროსში, არამედ ასევე კავშირშია ადგილობრივი ხელისუფლების („TRNC“) მოქმედებებთანაც, რომელიც თავის მხრივ გადარჩა თურქეთის სამხედრო ძალების მოქმედებებისა და ასევე სხვა სახის დახმარებით. ამიტომ კონვენციით დაცული მთელი რიგი უფლებების დარღვევა რომლებიც თურქეთს ეხებოდა, მისი იურისდიქციის ქვეშაა მოქცეული. დანაშაულის ჩადენის ადგილად ითვლება „TRNC“-ის ტერიტორია. ამიტომ იოანის მანიტარასის საქმეც მოექცა თურქეთის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და, შესაბამისად, მისი იურისდიქციის ქვეშ.

**სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა:**

**Ilaşcu and others v. Moldova and Russia (განაცხადი 48787/99)**

08/07/2004

1992 წლის ივნისში აპლიკანტები დააკავეს საკუთარ სახლებში ტირასპოლში. პირებს, ვინც დაკავება განახორციელეს, ეცვათ ყოფილი საბჭოთა კავშირის (USSR) მე-14 არმიის ფორმები. აპლიკანტებს ბრალი დასდეს ანტისაბჭოთა მოქმედებებში და დნესტრისპირეთის სახელმწიფოს ლეგიტიმური მთავრობის არალეგალური გზით დამხობაში. მათ ასევე ბრალად დასდეს რამდენიმე სხვა დანაშაული, მათ შორის – ორი მკვლელობა. 1993 წლის დეკემბერში დნესტრისპირეთის რეგიონის „უზენაესმა სასამართლომ“ მიუსაჯა ბატონ ილაშკუს სიკვდილით დასჯა და ქონების კონფისკაცია, ხოლო სხვა განმცხადებლებს – 12-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ასევე ქონების კონფისკაცია. სხვა საკითხებთან ერთად აპლიკანტი ჩიოდა, რომ სასამართლომ, რომელმაც ისინი გაასამართლა, არ ჰქონდა შესაბამისი იურისდიქცია.

**რუსეთის იურისდიქცია**

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოლდოვეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას, 1991-92 წლებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის მე-14 არმიის ძალები, იბრძოდნენ დნესტრისპირეთის სეპარატისტული ძალების სახელით და მათთან ერთად. დამატებით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, 1992 წლის 21 ივლისს, რუსეთის ხელისუფლება განაგრძობდა სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მხარდაჭერას. რუსი სამხედროების მიერ აპლიკანტის სეპარატისტული რეჟიმისთვის შემდეგომი გადაცემა, ასევე პასუხისმგებელს ხდიდა რუსეთს ამ რეჟიმის მიმდინარე მოვლენებზე. ამას გარდა, რუსეთის ჯარი კვლავ მოლდოვეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. 1998 წლის 5 მაისამდე და შემდეგაც, როდესაც რუსეთი შეუერთდა კონვენციას დნესტრისპირეთის რეგიონი კვლავ რუსეთის კონტროლის ქვეშ, ანდა რუსეთის მტკიცე გავლენის ქვეშ დარჩა. ნებისმიერ შემთხვევაში, ის არსებობდა რუსეთის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური დახმარების წყალობით. შედეგად, არსებობდა რუსეთის განგრძობითი და უწყვეტი კავშირი აპლიკანტების ბედთან. ამგვარად, განმცხადებლები ხვდებოდნენ რუსეთის იურისდიქციის ქვეშ და რუსეთი პასუხისმგებელი იყო იმ ქმედებებზე, რომლებიც გაასაჩივრეს განმცხადებლებმა.

**Ivantoc and others v. Moldova and Russia (განაცხადი 23687/05)**

15/11/2011

საქმე ეხება ორი განმცხადებლის პატიმრობას „დნესტრისპირეთის მოლდავეთის რესპუბლიკაში“ – სახელმწიფოში, რომელიც არ არის აღიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ – ტერიტორიული ქმედებების გამო, რომლებიც სავარაუდოდ, უნდა ჩაედინათ 1991-92 წლებში დნესტრისპირეთში შეიარაღებული კონფლიქტისას. იმის მიუხედავად, რომ 2004 წლის 8 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც მითითებული იყო, რომ განმცხადებლები დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლებულიყვნენ, ისინი მაინც პატიმრობაში რჩებოდნენ 2007 წლის ივნისამდე. განსახილველი საქმე ეხება განმცხადებლების პატიმრობაში ყოფნას 2004 წლის 8 ივლისიდან და ასევე, მათთვის ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვას.

სასამართლომ დაადგინა, რომ – ილაშკუ და სხვები მოლდავეთისა და რუსეთის წინააღმდეგ – საქმის შემდეგაც კი, როგორც მინიმუმ, განმცხადებლების გაათავისუფლებამდე 2007 წლის ივნისში, რუსეთი აგრძელებდა მჭიდრო ურთიერთობას „დნესტრისპირეთის მოლდოვას რესპუბლიკასთან“, უზრუნველყოფდა რა სეპარატისტულ რეჟიმს პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური მხარდაჭერით. რუსეთი ისევე არ იღებდა არანაირ ზომებს, რათა არ დაეშვა კონვენციის დარღვევა, რაც, სავარაუდოდ, მოხდა 2004 წლის 8 ივლისის შემდეგ, რომ ბოლო მოეღოთ იმ სიტუაციისათვის, რომელშიც განმცხადებლები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, განმცხადებლები კვალავაც რჩებოდნენ რუსეთის „იურისდიქციის“ ქვეშ, ვიდრე ბატონი ივანტოჩი და ბატონი პოპა არ გაათავისუფლეს კონვენციის I მუხლის თანახმად და, ამგვარად, რუსეთს ეკისრება პასუხისმგებლობა გასაჩივრებულ ქმედებებზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთმა დაარღვია კონვენციის რამდენიმე მუხლი, კერძოდ: მე-3, მე-5, მე-8 და მე-13 მუხლები.

## ლია წყლებში ჩადენილი ქმედებები

### ჰისრი ჯამაა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

(განაცხადი №27765/09, 23/02/2012)

საქმე ეხება სომალელ და ერიტრიელ მიგრანტებს ლიბიიდან, რომლებიც იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააკავეს ზღვაში და გადააგზავენ უკან ლიბიაში. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები იმყოფებოდნენ იტალიის იურისდიქციის ქვეშ, კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე. სასამართლომ შეგვახსენა საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომელიც იტალიის გემთა მიმოსვლის ნესდებშიცაა ასახული, რომლის მიხედვითაც, ღია წყლებში მყოფი გემი მხოლოდ იმ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშაა, რომლის დროშითაც იგი გადის ზღვაში. საქმის მოვლენები იტალიის შეიარაღებული ძალების გემზე განვითარდა, რომლის ეკიპაჟიც მხოლოდ იტალიელი სამხედროებისგან შედგებოდა. ბორტზე ასვლის მომენტიდან და ლიბიის ხელისუფლებისათვის მათ გადაცემამდე, განმცხადებლები ფაქტობრივად იმყოფებოდნენ მხოლოდ იტალიის ხელისუფლების მუდმივი კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, გარემოებები რომელთა შესახებაც განაცხადშია საუბარი, კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ხვდებოდა იტალიის იურისდიქციის ქვეშ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლები ლიბიის მხარისათვის გადაცემის შემთხვევაში აღმოჩნდებოდნენ არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლნი და მათ ემუქრებოდათ სომალსა და ერიტრიაში რეპატრიაცია. სასამართლომ პირველად განიხილა საკითხი კონვენციის მე-4 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის თაობაზეც და დაადგინა, რომ თუ გაქვების ცნება, ისევე როგორც იურისდიქციის ცნება, დაკავშირებულია უმთავრესად სახელმწიფოს საკუთარი ტერიტორიიდან გაქვებასთან, და თუკი სასამართლო დაადგენს, რომ სახელმწიფო გამონაკლისის სახით ახორციელებდა იურისდიქციას თავისი საკუთარი ტერიტორიის გარეთ, მას შეუძლია, დაუშვას, რომ ექსტრატერიტორიულმა იურისდიქციამ მიიღო კოლექტიური გაქვების ფორმა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

## სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლებრივი სივრცის გარეთ განხორციელებული ქმედებები

### საზღვარგარეთ მოქმედი უსაფრთხოების სამსახურები

Ocalan v. Turkey

(განაცხადი №46221/99)

აბდულა ოჯალანი ამჟამად სამუდამო პატიმრობის სასჯელს იხდის იმრალის (ბურსა, თურქეთი) ციხეში, თურქეთის წინააღმდეგ ტერორისტული საქმიანობის გამო. განსახილველი გარემოებები ეხება იმ დროს, როდესაც განმცხადებელი იმყოფებოდა კენიაში, სადაც 1999 წლის 15 თებერვლის სადამოს საეჭვო ვითარებაში ნაირობის აეროპორტში ჩასვეს თვითმფრინავში, სადაც იგი დაკითხეს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. შემდეგ ის თვითმფრინავით ჩამოიყვანეს თურქეთში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ თურქეთმა დაარღვია მისი უფლებები, რაც კონვენციით ჰქონდა გარანტირებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონი ოჯალანი დააკავეს თურქეთის უსაფრთხოების ძალების თანამშრომლებმა თურქეთში რეგისტრირებული თვითმფრინავის ბორტზე, ნაირობის აეროპორტის საერთაშორისო ზონაში. მხარეები არ დაობდნენ იმაზე, რომ კენიის ხელისუფლების მიერ ბატონი ოჯალანის თურქეთის მხარისათვის გადაცემისთანავე, იგი აღმოჩნდა თურქეთის სრული კონტროლის ქვეშ და, შესაბამისად, მასზე გავრცელდა თურქეთის იურისდიქცია, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში თავის უფლებამოსილებას თურქეთი ახორციელებდა თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამკარაა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით აიძულა ბატონი ოჯალანი, დაბრუნებულიყო თურქეთში, სადაც იგი მოხვდა ამ ქვეყნის ხელისუფლების უფლებამოსილების და კონტროლის ქვეშ დაპატიმრებისა და თურქეთში დაბრუნების შემდეგ.

**Ilich Sanchez Ramirez v. France**

(განაცხადი №28780/95)

განმცხადებელი, ცნობილი როგორც კარლოსი („ტურა“), დაიბადა ვენესუელაში და თავის თავს უწოდებს პროფესიონალ რევოლუციონერს. ამჟამად იგი იმყოფება საფრანგეთის ციხეში. 1994 წლის 14-დან 15 აგვისტომდე ღამით სუდანელმა პოლიციელებმა მოიტაცეს იგი და გადასცეს საფრანგეთის პოლიციას, რომლებმაც თავის მხრივ ჩასვა იგი თვითმფრინავში და ჩაიყვანა საფრანგეთის სამხედრო ბაზაზე. იქ მას წარუდგინეს საფრანგეთის სასამართლოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერი 1982 წელს პარიზში მანქანის აფეთქების გამო. განმცხადებელი უჩიოდა საფრანგეთის ხელისუფლებას თავისუფლების წართმევის გამო.

საქმე განიხილა კომისიამ და აღნიშნა, რომ განმცხადებელი საფრანგეთის პოლიციას გადაეცა და მას საფრანგეთის სამხედრო თვითმფრინავში წაერთვა თავისუფლება. ამგვარად, საფრანგეთის პოლიციისათვის მისი გადაცემის მომენტიდან განმცხადებელი მოექცა სახელისუფლებო უფლებამოსილების ქვეშ და, შესაბამისად, საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო უფლებამოსილება მოცემულ შემთხვევაში განხორციელდა საზღვრებს გარეთ.

**სამხედრო კონტინგენტის ყოფნა:**

**Al-Saadon and Mufdhi v. the United Kingdom**

(განაცხადი №61498/08)

საერთაშორისო კოალიციური სამხედრო ძალების ერაყში შესვლის შემდეგ, 2003 წლის მარტში, განმცხადებლები დააკავეს ბრიტანეთის ჯარისკაცებმა და მოათავსეს საჰატიროში, რომელიც ბრიტანელების უფლებამოსილების ქვეშ იყო. განმცხადებლების მიმართ არსებობდა ეჭვი კოალიციის წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებების ჩადენაში, კერძოდ, მათ ბრალად ედებოდათ ორი ბრიტანელი ჯარისკაცის მკვლელობა. 2005 დეკემბერში ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქმის გადაცემა ერაყის სისხლის სამართლის სასამართლოსათვის, რომლის თანახმადაც, განმცხადებლებს ბრალად ედებოდათ ბრიტანელი ჯარისკაცების მკვლელობა. განმცხადებლები წარუმატებლად ასაჩივრებდნენ ამ გადაწყვეტილებას გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში, ამტკიცებდნენ რა, რომ ერაყში მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ ჩამოხრჩობის გზით. 2008 წლის 30 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ უნდა გადაეცა განმცხადებლები ერაყის ხელისუფლებისათვის სასამართლოს შემდგომ მითითებამდე. მომდევნო დღეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ გამოწვევის სახით მან ვერ შეძლო ევროპული სასამართლოს მითითების შესრულება და იმავე დღეს, დილით, გადასცა განმცხადებლები ერაყის ხელისუფლებას. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ განმარტა, რომ ამგვარი ქმედების მთავარი მიზეზი იყო 2008 წლის 31 დეკემბრის ღამით გაეროს მანდატის მოქმედების ამონწურვა, რომელიც ბრიტანეთის ხელისუფლებას აძლევდა დაკავების, დაპატიმრებისა და ციხეში მოთავსების უფლებას.

2009 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით სასამართლომ განაცხადის დასაშვებობაზე მსჯელობისას დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლება ახორციელებდა სრულ და განსაკუთრებულ კონტროლს სამხედრო ძალის მეშვეობით, ასევე იმ დაკავების ცენტრის კანონის თანახმად, სადაც მოთავსებულები იყვნენ განმცხადებლები. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლები იმყოფებოდნენ გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ქვეშ, მათი ერაყის ხელისუფლებისათვის ფიზიკურად გადაცემამდე – 2008 წლის 31 დეკემბრამდე.

**Al-Skeini and Others v. the UK**

(განაცხადი №55721/07)

საქმე ეხება განმცხადებლების ექვსი ახლო ნათესავის გარდაცვალებას ბასრაში (ერაყი) 2003 წელს, როდესაც გაერთიანებულ სამეფოს იქ ჰქონდა ოკუპანტი სახელმწიფოს სტატუსი: დაზა-

რალეზულთაგან სამი მოკლეს ან სასიკვდილოდ დაჭრეს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა, მეორე დაზარალებული სასიკვდილოდ დაჭრეს ბრიტანეთის პატრულსა და უცნობ შეიარაღებულ პირებს შორის გამართული ურთიერთსროლისას; კიდევ ერთი დაზარალებულს სასტიკად სცემეს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა და ის იძულებული გახდა გადამხტარიყო მდინარეში, სადაც დაიხრჩო; და ბოლო დაზარალებულს რომელიც ბრიტანეთის სამხედრო ბაზაზე გარდაიცვალა, სხეულზე აღენიშნებოდა 93 ჭრილობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებული მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც გაერთიანებული სამეფოს პასუხისმგებლობის პრეზუმფციიდან გამომდინარეობდა ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთში უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის 2003 წლის 1 მაისიდან 2004 წლის 28 ივნისამდე, გაერთიანებულ სამეფოს გააჩნდა იურისდიქცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის I მუხლიდან გამომდინარე სამოქალაქო პირებთან დაკავშირებით, რომლებიც დაიღუპნენ ბრიტანეთის სამხედრო ძალების მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ჩატარებული ოპერაციებისას ბასრაში; და რომ გაერთიანებულმა სამეფომ არ ჩაატარა დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიება განმცხადებლების ნათესავების გარდაცვალების გარემოებებზე, რაც ასევე წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

## Al-Jedda v. the UK

(განაცხადი №27021/08)

საქმე ეხება ერაყის მოქალაქის დაკავებას სამ წელიწადზე მეტი ხნით (2004-2007) ბასრაში მდებარე კოლონიაში, რომელიც იმართებოდა ბრიტანეთის სამხედრო ძალების მიერ.

მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის პატიმრობაზე პასუხს აგებდა გაერო და არა გაერთიანებული სამეფო. სასამართლომ ერთხმად უარყო ეს არგუმენტი და აღნიშნა, რომ 2003 წლის მარტში, შეჭრის მომენტისას, არ არსებობდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა ერაყში ფუნქციების გადანაწილებას არსებული რეჟიმის დამხობის შემთხვევაში. 2003 წლის მაისში აშშ-მ და გაერთიანებულმა სამეფომ თავისი კონტროლის ქვეშ აიყვანეს ერაყში უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გაეროს ფუნქცია იყო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა, ერაყში აღდგენითი სამუშაოების წარმართვა და ერაყის დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება, მაგრამ გაერო არანაირ როლს არ ასრულებდა უსაფრთხოების სფეროში. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ გაეროს უშიშროების შემდგომმა რეზოლუციებმა ვერ შეცვალეს მოვლენათა განვითარება. ვინაიდან გაეროს უშიშროების კომიტეტი ვერ ახორციელებდა ვერც ეფექტურ კონტროლს და ვერც სახელისუფლებო უფლებამოსილებას მრავალეროვანი სამხედრო ძალების ქმედებებსა თუ უმოქმედობებზე და ასევე არ იყო საბოლოო ინსტანცია ამ საკითხების გადასაწყვეტად, გაეროს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა ბატონი ალ-ჯედას პატიმრობის გამო. განმცხადებელი მოთავსებული იყო პატიმართათვის განკუთვნილ ბასრაში მდებარე ბანაკში, რომელიც იმყოფებოდა ბრიტანეთის სამხედრო ძალების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ. შესაბამისად, განმცხადებელი იმყოფებოდა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების უფლებამოსილების ქვეშ მთელი მისი პატიმრობის პერიოდში. ამგვარად, სასამართლო დაეთანხმა ლორდთა პალატის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რომ ბატონი ალ-ჯედას პატიმრობაზე პასუხისმგებელი იყო გაერთიანებული სამეფო და პატიმრობის პერიოდში იგი იმყოფებოდა გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციის ქვეშ, კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე.

დაუშთავრებელი საქმე:

## Pritchard v. the United Kingdom

(განაცხადი №1573/11)

საქმე ეხება ბრიტანელ ჯარისკაცს, რომელიც ერაყში დაიღუპა სასიკვდილო გასროლისას. იგი მუშაობდა ელექტროინჟინრად, ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი. 2003 წლის 23 აგვისტოს იგი მოკლეს ბასრაში 36 წლის ასაკში, როდესაც მისი მანქანა მოჰყვა ორმხრივი ცეცხლის ქვეშ.

გარდაცვლილის მამა ამტკიცებს, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლები, რადგან ბრიტანეთის ხელისუფლებამ არ ჩაატარა სრული და მიუკერძოებელი გამოძიება მისი შვილის გარდაცვალების ფაქტზე.

**სამხედრო ჩარევა ეფექტური კონტროლის განხორციელებით:**

**Mansur PAD and others v. Turkey**

**(განაცხადი №60167/00)**

საქმე ეხება შვიდი ირანელი მამაკაცის სავარაუდო მკვლელობას ირანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვართან თურქეთის სამხედროების მიერ 1999 წლის მაისში. თურქეთმა აღიარა, რომ მისი ჯარები ბომბავდა ამ რეგიონს შეუღლმფრენიდან, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ იმ დროისათვის აღნიშნულ რეგიონში იმყოფებოდნენ ტერორისტები. თურქეთმა ასევე განაცხადა, რომ ირანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით იგი დაეთანხმა ირანის ხელისუფლების მოთხოვნას მკვლელობის გამო კომპენსაციის გადახდის თაობაზე. გარდაცვლილთა ოჯახებმა უარი განაცხადეს კომპენსაციის მიღებაზე.

სასამართლომ შეგვახსენა, რომ შესაძლებელია, სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევისათვის იმ პირთა გამო, რომლებიც იმყოფებოდნენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელიც არ შედის კონვენციის წევრი სახელმწიფოს სამართლებრივ სივრცეში, მაგრამ აღმოჩნდნენ, ამ სახელმწიფოს ხელისუფლებისა და კონტროლის ქვეშ მყოფი წარმომადგენლების კანონიერი თუ უკანონო საქმიანობიდან გამომდინარე, მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. წარმოდგენილ საქმეში მხარეები არ დაობდნენ, რომ დაზარალებულები იმყოფებოდნენ თურქეთის იურისდიქციის ქვეშ. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ იყო აუცილებელი განსაზღვრულიყო მომხდარის ზუსტი ადგილი, რადგან თურქეთის მთავრობამ აღიარა, რომ შეუღლმფრენიდან ცეცხლსასროლი იარაღით სროლამ გამოიწვია განმცხადებლების ნათესავების გარდაცვალება. ამგვარად, განსახილველი მოვლენების განვითარებისას გარდაცვლილები ხვდებოდნენ თურქეთის იურისდიქციის ქვეშ.

**Medvedev and Others v. France**

**(განაცხადი №3394/03)**

განმცხადებლები არიან იმ სატვირთო გემის ეკიპაჟის წევრები, რომელიც რეგისტრირებულია კამბოჯაში. საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა იეჭვეს, რომ გემს გადაჰქონდა დიდი რაოდენობით ნარკოტიკი, რომელიც განკუთვნილი იყო ევროპაში სარეალიზაციოდ. საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა გემი დააკავეს კაბო-ვერდეს სანაპიროებთან ეკიპაჟის წევრები დააკავეს თავიანთ კაიუტებში სამხედროების ზედამხედველობის ქვეშ. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი დააკავეს უკანონოდ, კერძოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა იურისდიქცია მათ დაკავებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ საფრანგეთი სრულიად ახორციელებდა განუწყვეტელ და ექსკლუზიურ კონტროლს კამბოჯის გემსა და მის ეკიპაჟზე (თუნდაც de facto-დ) გემის დაკავების მომენტიდან. ამას გარდა, გადაწყვეტილება გემის დაკავებასა და მისი მარშრუტის შეცვლაზე საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ეკიპაჟის წევრები რჩებოდნენ ფრანგი სამხედროების კონტროლის ქვეშ მთელი გზის მანძილზე ქალაქ ბრესტამდე (საფრანგეთი). შესაბამისად, განმცხადებლები იმყოფებოდნენ საფრანგეთის იურისდიქციის ქვეშ.

**Markovic and Others v. Italy**

**(განაცხადი №1398/03)**

საჩივარი ეხებოდა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელს, რომელიც განმცხადებლებმა შეიტანეს იტალიის სასამართლოებში, მათი ნათესავების გარდაცვალების გამო, ნატოს ალიანსის ჯარების მიერ იუგოსლავიის რესპუბლიკების კავშირის დაბომბვისას 1999 წლის 23 აპრილს.

სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან განმცხადებლებმა სამოქალაქო სარჩელით მიმართეს იტალიის სასამართლოებს, „იურისდიქციული კავშირი“, კონვენციის პირველი მუხლიდან გამომდინარე, აუცილებლად არსებობდა.

## სამხედრო ჩარევა ევრატიური კონტროლის განხორციელების ბარეში

### Bankovic and Other v. Belgium and 16 other Contracting States

(განაცხადი №52207/99)

სასამართლოში საჩივარი შეიტანა ბელგრადში (სერბეთი) მცხოვრებმა ექვსმა განმცხადებელმა, ნატოს წევრი 17 სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებიც ამავე დროს არიან კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოებიც. განმცხადებლები ჩიოდნენ ბელგრადში მდებარე სერბეთის რადიო და სატელევიზიო ოფისის დაბომბვის გამო ნატოს საჰაერო ძალების მიერ კოსოვოში მიმდინარე კონფლიქტის დროს. ამ დაბომბვების შემდეგ შენობას მიაღდა სერიოზული ზიანი და დაიღუპნენ ადამიანები.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ, მართალია, საერთაშორისო სამართალი არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ თავისი იურისდიქციის ტრანსსასაზღვრო განხორციელებას, მაგრამ იურისდიქცია. როგორც წესი, განისაზღვრება და შემოიფარგლება სხვა სახელმწიფოების სუვერენული ტერიტორიული უფლებებით. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იურისდიქციის სხვა საფუძვლები წარმოადგენს გამონაკლისს და საჭიროებს სპეციალურ დასაბუთებას, თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. კონვენცია მრავალმხრივი ხელშეკრულებაა, რომელიც მოქმედებს რეგიონული კონტექსტის არსით და მხოლოდ - კონვენციის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ველში. აშკარაა, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკების კავშირი ვერ ხვდება ამ სამართლებრივ ველში. სასამართლო არაა დარწმუნებული, რომ არსებობდა რაიმე იურისდიქციული კავშირი სადავო გარემოებების შედეგად დაზარალებულ პირებსა და წევრ სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადი დაუმეგობლა ცნო.

### Issa and others v. Turkey

(განაცხადი №31821/96)

განმცხადებლები არიან ერაყის მოქალაქეები. ისინი აცხადებდნენ, რომ მათი ნათესავები, რომლებიც თურქეთის საზღვართან მწყემსავდნენ ცხვრის ფარას, გადაეყარნენ თურქეთის სამხედროებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ რაიონში აწარმოებდნენ სამხედრო ოპერაციებს და მაშინვე თავს დაესხნენ მათ. მწყემსების დასახიჩრებული გვამები (ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ მოკლულები) მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც ამ რეგიონიდან თურქეთის ჯარები გავიდნენ.

სასამართლომ შეგვახსენა, რომ „იურისდიქციის“ ცნება კონვენციასთან შესაბამისობაში არ შემოიფარგლება ხელშეკრული მხარის ეროვნული ტერიტორიით. გამონაკლის შემთხვევებში კონვენციის წევრი სახელმწიფოს მოქმედება თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ან ისეთი ქმედებები, რომლებმაც გავლენა მოახდინა მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებულ რეგიონზე, შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც ამ სახელმწიფოს მიერ თავის იურისდიქციის განხორციელებად. ასეთ შემთხვევებში დაკისრებული პასუხისმგებლობა განპირობებულია იმით, რომ კონვენციის პირველი მუხლი არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ წევრ სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაარღვიოს კონვენცია, რასაც ის არ ჩაიდენს თავის ტერიტორიაზე.

ამის მიუხედავად, სასამართლომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით ვერ შეძლო განესაზღვრა, მოკლეს თუ არა განმცხადებლების ნათესავები თურქმა ჯარისკაცებმა. ამგვარად, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ განმცხადებლების ნათესავები იმყოფებოდნენ თურქეთის იურისდიქციის ქვეშ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად.

### Saddam Hussein v. Coalition Forces

(განაცხადი №23276/04)

ერაყის ყოფილმა პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა საჩივრით მიმართა მისი დაკავების, პატიმრობაში აყვანისა და ერაყის ხელისუფლებისათვის გადაცემის გამო, ასევე მის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო განხილვების გაჭიანურებისა და მისი შედეგების გამო. განმცხადებელი ამტკიცებდა,



ცებდა, რომ იგი იმყოფებოდა ყველა მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ, რადგან ერაყი მათ მიერ იყო ოკუპირებული და იგი იყო მათი უშუალო უფლებამოსილებისა და კონტროლის ქვეშ; ისინი ასევე აგებენ პასუხს თავისი ხელქვეითების ქმედებებზე საზღვარგარეთ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ იგი ისევ რჩებოდა მათი იურისდიქციის ქვეშ ხელისუფლებისა და ასევე მისი პირადად ერაყის მთავრობისათვის გადაცემის შემდეგ, 2004 წლის ივნისში, რადგან მოპასუხე სახელმწიფოები კვლავაც დე-ფაქტო ახორციელებდნენ ერაყზე კონტროლს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამერიკის მეთაურობით კოალიციური ჯარები ერაყში შევიდნენ 2003 წლის მარტში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ძალების დიდი ნაწილი ეკუთვნოდა აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს, სასამართლომ მოცემული საქმის ფარგლებში ივარაუდა, რომ კოალიციური ჯარები მხარდაჭერას იღებდნენ საჩივარში მითითებული ყველა წევრი სახელმწიფოსაგან. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ სადამ ჰუსეინმა არ მიუთითა, თუ თითოეული წევრი სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა როგორ იყო განანილებული მათსა და აშშ-ს შორის. ამას გარდა, განმცხადებელმა არ მიუთითა, რომელი წევრი სახელმწიფო (გარდა აშშ-სა) ახდენდა გავლენას ან მონაწილეობდა (თუ დიას, რომელი) მის დაკავებაში, დაპატიმრებასა და ერაყის ხელისუფლებისათვის გადაცემაში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ, კონვენციის პირველი მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, იურისდიქციული კავშირი სადამ ჰუსეინსა და კონვენციის წევრ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა.

**Behrami and Behrami v. France**

**(განაცხადი №71412/01)**

განსახილველი მოვლენების მიმდინარეობისას მიტროვიცა იმყოფებოდა კოსოვოს სექტორში, რომელზეც პასუხს აგებდა ინტერნაციონალური ბრიგადა საფრანგეთის მეთაურობით. ეს ბრიგადა იყო ერთ-ერთი იმ ოთხიდან, რომელიც შედიოდა საერთაშორისო უსაფრთხოების ძალებში, რომელიც კოსოვოში იმყოფებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1999 წლის ივნისში მიღებული №1244 რეზოლუციის თანახმად. 2000 წლის მარტში ბიჭები თამაშობდნენ ამ სექტორში მეგობრებთან ერთად. მათ იპოვეს და ააფეთქეს კასეტური ბომბი, რომელიც არ იყო გაუფრთხილებელი. ბომბი 1999 წელს იყო ჩამოგდებული ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ დაბომბვისას. შედეგად ერთი ბავშვი დაიღუპა, მეორე – მძიმედ დაიჭრა. ინციდენტის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შემდეგ განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ბავშვების სიკვდილი და დასახიჩრება გამოწვეული იყო საფრანგეთის ჯარების მიერ კასეტური ბომბის ადგილ-მდებარეობის აღუნიშნაობისა და მისი არგაუფრთხილებლობის გამო, რომლის არსებობის შესახებაც ამ რაიონში არავინ იცოდა.

სასამართლომ გადანყვიცა, რომ მოცემული საქმე ეხებოდა არა იმდენად საფრანგეთის მიერ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის კოსოვოში განხორციელებას, არამედ უფრო მეტად საერთო საკითხს იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტური იყო სასამართლო, კონვენციიდან გამომდინარე განეხილა საფრანგეთის როლი სამოქალაქო თუ სამხედრო პირების საქმიანობაში, რომლებიც იმყოფებოდნენ კოსოვოში და ახორციელებდნენ მათზე კონტროლს. სასამართლომ დაადგინა, რომ ბომბების განაღმვის პროცესზე დამკვირვებლის როლს ასრულებდა კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაცია, და შესაბამისად – გაერო, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 1999 წლის ივნისში მიღებული №1244 რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც დროებითი ადმინისტრაციის შექმნას ითვალისწინებდა. აღნიშნული ორგანო არ წარმოადგენს კონვენციის მონაწილე მხარეს. ვინაიდან დროებითი ადმინისტრაცია და კოსოვოს ძალები ეფექტური უფლებამოსილების განხორციელებისას ეყრდნობოდნენ წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერას, კონვენცია არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სასამართლოს შესაძლებლობა ჰქონდა, შეეფასებინა რომელიმე ხელშემკვრელი მხარის მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელიც ხორციელდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში. ეს იქნებოდა გაეროს მიერ მშვიდობის დაცვის მისიის განხორციელებაში ჩარევა. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა საკითხის შესწავლის აუცილებლობა – იყო თუ არა იგი კომპეტენტური, განეხილა საფრანგეთის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადი მისი ექსტრატერიტორიული მოქმედებებისა თუ უმოქმედობის თაობაზე.

## ექსტრადიცია

### Soering v. The United Kingdom

(განაცხადი №14038/88)

ბატონი სოერინგი იყო გერმანიის მოქალაქე, რომელიც დააკავეს ინგლისში და მოელოდა აშშ-ში ექსტრადიცია, სადაც მას ბრალად ედებოდა თავისი მეგობარი გოგონას მშობლების მკვლელობა. იგი ჩიოდა, რომ მიუხედავად ბრიტანეთის მხარის დიპლომატიური გარანტიებისა, აშშ-ში მისი ექსტრადიციის შემთხვევაში მას დიდი ალბათობით გამოუტანდნენ სიკვდილით დასჯას. განსაკუთრებით იგი აღნიშნავდა „სიკვდილისჯილთა კამერის სინდრომს“. აქ საუბარია იმაზე, რომ სიკვდილ მისჯილი პირი რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფება ექსტრემალური ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ განაჩენის აღსრულების მოლოდინში. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში იგი იქნებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ში სოერინგის ექსტრადიციის შემთხვევაში იგი რეალური რისკის ქვეშ დადგება, ვინაიდან გახდება მსხვერპლი ისეთი მოპყრობისა, რაც აკრძალულია კონვენციის მე-3 მუხლით. ასეთი დასკვნის საფუძველს სასამართლოს აძლევს ის გარემოება, რომ, როგორც წესი, სიკვდილისჯილთებს მათთვის განკუთვნილ კამერებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამყოფებენ, სადაც ისინი არიან განაჩენის სისრულეში მოყვანის გამუდმებული სტრესის ქვეშ. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა განმცხადებლის გარემოებები, განსაკუთრებით – მისი ასაკი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტისას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზანი შესაძლოა, მიღწეულიყო სხვა საშუალებებით, რომლებიც არ გამოიწვევდნენ ამდენად ძლიერ და ხანგრძლივ ტანჯვას. ამგვარად, სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლის აშშ-ში ექსტრადიციის შემთხვევაში დარღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

## მაპროვოცირებელი ნახატების პუბლიკაცია

### Mohammed Ben El Mahi and Others v. Denmark

(განაცხადი №5853/06)

2005 წლის სექტემბერში კერძო დანიურმა გაზეთმა გამოაქვეყნა თორმეტი კარიკატურა წინასწარმეტყველი მუჰამედის შესახებ, რომელთაგან ყველაზე სკანდალური იყო ბომბიანი ჩაღმით მისი გამოსახულება. 2005 წლის ოქტომბერში რამდენიმე მუსულმანურმა ორგანიზაციამ საჩივრით მიმართა დანიის პოლიციას იმის თაობაზე, რომ ეს კარიკატურები წარმოადგენს ღვთის გმობას და მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას. პროკურატურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის შემდეგ განმცხადებლებმა საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იმის თაობაზე, რომ დანიამ ნება დართო ამგვარი კარიკატურების პუბლიკაციაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში არ შეინიშნებოდა რაიმე გამონაკლისი სახელმწიფოს პირველად ტერიტორიულ იურისდიქციაზე. განმცხადებლები იყვნენ მაროკოს მოქალაქეები და ორი მაროკოელი ორგანიზაცია, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ და საქმიანობდნენ მაროკოში. სასამართლომ დაადგინა, რომ რომელიმე განმცხადებელსა და დანიას შორის არ არსებობდა იურისდიქციული კავშირი და რომ ისინი ვერ ხვდებოდნენ დანიის იურისდიქციის ქვეშ რომელიმე ექსტრატერიტორიული მოქმედებების საფუძველზე.

დემონსტრანტთა დახვრეტა:

### Andreou v. Turkey

(განაცხადი №45653/99)

განმცხადებელი, რომელიც ან უკვე გარდაცვლილია, ჩიოდა, რომ იგი დაჭრეს თურქმა სამხედ-

როგებმა 1996 წლის 14 აგვისტოს კონფლიქტისას (ბუფერული ზონა დერინიასთან (კვიპროსი) ახლოს), როდესაც იგი იმყოფებოდა ბუფერული ზონის ფარგლებს გარეთ, საბერძნეთ-კვიპროსის ეროვნული გვარდიის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან ახლოს.

განაცხადის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთმა პასუხი უნდა აგოს კონვენციის ფარგლებში. განსახილველი მოვლენების შესახებ, გაეროს პრეს-რელიზის მიხედვით, ქალბატონი ანდრეუ დაჭრეს თურქმა ან კვიპროსელმა თურქებმა ფორმიანმა ჯარისკაცებმა, რომლებმაც ცეცხლი გაუხსნეს შეკრებილ ხალხს და რომლებიც ამ მომენტისათვის იმყოფებოდნენ „წრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკაში“. როდესაც ქალბატონი ანდრეუ დაიჭრა, იგი იმყოფებოდა გაეროს ნეიტრალურ ბუფერულ ზონაში, საბერძნეთ-კვიპროსის ეროვნული გვარდიის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან უშუალო სიახლოვეს. განსხვავებით საქმისგან – ბანკოვიჩი და სხვები ბელგიისა და 16 ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ – განმცხადებელი იმყოფებოდა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდებოდა კონვენციის ზემოქმედება. იმის მიუხედავად, რომ ქალბატონი ანდრეუ დაიჭრა იმ ტერიტორიაზე, სადაც თურქეთი არ ახორციელებდა არანაირ კონტროლს, შეკრებილი ხალხისათვის ახლო მაძილიდან ცეცხლის გახსნა, რაც უშუალოდ განმცხადებლის დაჭრის მიზეზი, ატარებდა ისეთ ხასიათს, რომ ქალბატონი ანდრეუ უნდა განვიხილოთ იმ პირად, რომელიც თურქეთის იურისდიქციის ქვეშ მოხვდა.

**ინტერნეტი:**

**Perrin v. the United Kingdom**

**(განაცხადი №5446/03)**

განმცხადებელი საფრანგეთის მოქალაქეა, ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში და ხელმძღვანელობს ინტერნეტ-კომპანიას, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს აშშ-ში. განმცხადებელი ბრალდებულად სცნეს გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებმა და მიუსაჯეს 30-დღიანი პატიმრობა ინტერნეტში მიუღებელი ინტიმური, სექსუალური ხასიათის შინაარსის პუბლიკაციების განთავსების გამო. ბატონი პერენი ამტკიცებდა, რომ ინტერნეტის გლობალურობის ბუნებიდან გამომდინარე, ვებ-გვერდების მფლობელები ვერ გაითვალისწინებენ ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივ მოთხოვნებს, სადაც ეს მასალები შესაძლოა, იყოს, ხელმისაწვდომი. ამას გარდა, იგი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ ჰქონდა მის წინააღმდეგ ბრალდების წაყენების უფლებამოსილება, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია, რომელმაც გამოაქვეყნა მასალები, დარეგისტრირებული იყო და მოქმედებდა აშშ-ში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებებს იმაზე, რომ თუ გაერთიანებული სამეფოს სასამართლოები განიხილავდნენ მხოლოდ პუბლიკაციებთან დაკავშირებულ საქმეებს, რომელთა გამოცემის ადგილი ამ სასამართლოების იურისდიქციის ქვეშ ხვდება, მაშინ ამ პუბლიკაციების ავტორები თავიანთ საქმიანობას განახორციელებდნენ იმ სახელმწიფოებში, სადაც ამ საქციელის გამო ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ წინააღმდეგ აღძრულიყო რაიმე სახის დევნა. სასამართლომ დაამატა, რომ ბატონი პერენი ცხოვრობდა გაერთიანებულ სამეფოში და ამ ქვეყნის კანონების ცოდნა მისთვის ხელმისაწვდომი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდა ამ სახელმწიფოში, ვალდებული იყო, მიემართა შესაბამისი იურიდიული კონსულტაციისათვისაც. სასამართლომ შეგვახსენა, რომ გაერთიანებულ სამეფოში მოქმედი კანონი (პორნოგრაფიული პუბლიკაციების ამკრძალავი აქტი, 1959 წ.) ასევე ვრცელდება მასალის ელექტრონული ფორმით გავრცელებაზეც. და ბოლოს, სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმაზე, რომ, მართალია, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა გარკვეული შეზღუდვებით იცავს მოსახლეობის მოწყვლად ფენას, მაინც არ იყო რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ პასუხისმგებელ მთავრობას უარი ეთქვა მათ დაცვაზე ამ შემთხვევაში. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო.

## ინტერნეტთან დაკავშირებული ქმედებები

Premininy v. Russia

(განაცხადი №44973/04)

განმცხადებლები არიან რუსეთის მოქალაქეები და ცხოვრობენ რუსეთში. ისინი დააკავეს რუსეთის ტერიტორიაზე 2001 წელს, როგორც ეჭვმიტანილები ამერიკული ბანკის „Green Piont Bank“-ის ონ-ლაინ უსაფრთხოების სისტემის გატეხვაში, ბანკის კლიენტების მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის მოპარვასა, და ამ ინფორმაციის ინტერნეტში არგამოქვეყნების სანაცვლოდ ფულის გამოძალვაში. ბანკი დათანხმდა მათ მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდას. პირველმა განმცხადებელმა ბანკს აცნობა თავისი ნამდვილი სახელი, გვარი და მისამართი. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ პირველი განმცხადებელი რუსეთში დააკავეს და პატიმრობაში ამყოფეს უკანონოდ, ასევე წინასწარი პატიმრობის პერიოდში მას სასტიკად სცემეს.

რუსეთის სასამართლოებმა განიხილეს საქმე. განმცხადებლებმა არ წამოჭრეს იურისდიქციის საკითხი იმის თაობაზე, რომ ამ სასამართლოებს არ გააჩნდათ შესაბამისი იურისდიქცია. სასამართლომ არსებითად განიხილა განმცხადებლების საჩივრები მათი პატიმრობისა და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობის თაობაზე და დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლები.

## იძულებითი შრომა და ტრეფიკინგი

### შინამოსამსახურეები

**Siliadin v. France** (განაცხადი 73316/01)

26/07/2005

ტოგოელი ეროვნების ქალბატონი სალიადინი 1994 წელს ჩამოვიდა საფრანგეთში სასწავლებლად, მაგრამ სწავლის ნაცვლად პარიზში, კერძო სახლში, შინა მოსამსახურედ დააწყებინეს მუშაობა. მას ჩამოართვეს პასპორტი და 15 საათი ამუშავებდნენ დღეში საფასურის გადახდის და დასვენების დღეების გარეშე. ასე გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ქალბატონი სალიადინი ჩიოდა, რომ ის შინამოსამსახურედ (მონად) აქციეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი სალიადინი არ ყოფილა დამონებული, რადგანაც მის დამქირაველებს, მიუხედავად მასზე კონტროლის განხორციელებისა, არ ჰქონიათ მასზე სამართლებრივი საკუთრების უფლება. თუმცა ასევე დაადგინა რომ იმ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლი არ იცავდა მას სათანადოდ და მიუხედავად იმისა, რომ მოხდა კანონმდებლობის შემდგომი ცვლილება, ეს არ ერგებოდა კონკრეტულ სიტუაციას. სასამართლომ დაადგინა, რომ ქალბატონი სალიადინი იმყოფებოდა მონობაში და დაირღვა კონვენციის მე-4 მუხლი (მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა).

### მიმდინარე საქმეები:

**Elisabeth Kawogo v. United Kingdom**

(განაცხადი 56921/09)

ტანზანიელი ეროვნების აპლიკანტი ჩამოვიდა გაერთიანებულ სამეფოში, სახლში მუშაობის უფლების მქონე ვიზით, რომელიც ძალაში იყო 2006 წლის ნოემბრამდე. ის იძულებული იყო ყოველდღიურად ემუშავა მისი ყოფილი დამქირაველის მშობლებთან დილის 7 საათიდან საღამოს 10.30 საათამდე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ასე გაგრძელდა მისი ვიზის მოქმედების ვადის ამოწურვიდან რამდენიმე თვის განმავლობაში. მან ამ მდგომარეობას თავი დააღწია 2007 წლის ივნისში და ჩივის, რომ იყო იძულებითი შრომის და კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევის მსხვერპლი.

მთავრობასთან კომუნიკაცია შედგა 2010 წლის ივნისში.

**C.N. v. United Kingdom**

(განაცხადი 4239/08)

უგანდელი ეროვნების აპლიკანტი ჩივის, რომ უგანდიდან სექსუალური ძალადობისგან თავის დაღწევის მიზნით ჩამოვიდა გაერთიანებულ სამეფოში ყალბი პასპორტით. ჩამოსვლისას მას ჩამოართვეს დოკუმენტები და აიძულეს ანაზღაურების გარეშე ემუშავა პარკინსონით დაავადებულ მოხუცთან, დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში. ის იმყოფებოდა იზოლაციაში და მუდმივად ძალადობისა და გაძევების შანტაჟის ქვეშ. აპლიკანტი ჩივის, რომ გაერთიანებულმა სამეფომ დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლი, ვინაიდან მან ვერ მიაღწია დაცვას გაერთიანებული სამეფოს სასამართლოებში, რადგანაც მაშინდელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა იძულებითი შრომისა და მონობის დანაშაულებრიობას.

მთავრობასთან კომუნიკაცია შედგა 2010 წლის მარტში.

## ტრეფიკინგი და იძულებითი პროსტიტუცია

### Rantsev v. Cyprus and Russia (განაცხადი 25965/04)

07/01/2010

აპლიკანტი არის ახალგაზრდა ქალის მამა, რომლის შვილი 2001 წლის მარტში კვიპროსში წავიდა სამუშაოდ და გარდაიცვალა. ის ჩიოდა, რომ კვიპროსის პოლიციამ არ მიიღო შესაბამისი ზომები მისი შვილის ტრეფიკინგისგან დასაცავად, სანამ ის ცოცხალი იყო და არ დასაჯა მის მკვლელობაში დამნაშავე პირები. ის ასევე ჩიოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ მისი ქალიშვილის ტრეფიკინგის ფაქტისა და შემდგომი სიკვდილის მიზეზების გამოძიების არაჯეროვნად ჩატარების გამო. ის ასევე ამტკიცებს რომ მათ არ მიიღეს ზომები მისი ტრეფიკინგისგან დასაცავად.

სასამართლომ დაადგინა, რომ მონობის მსგავსად, ტრეფიკინგი არის ადამიანების მიმართ საგნების მსგავსი მოპყრობა, მათი ყიდვა, გაყიდვა და იძულებითი შრომა. შესაბამისად, ტრეფიკინგი აკრძალულია კონვენციის მე-4 მუხლით. სასამართლომ დაადგინა, რომ კვიპროსმა დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლი, რადგანაც მას არ ჰქონდა შემუშავებული ტრეფიკინგთან საბრძოლველად საჭირო სამართლებრივი და ადმინისტრაციული სტრუქტურული გეგმა. პოლიციამ ვერ შეძლო ქალბატონი რანცევას დაცვა, მიუხედავად საფუძვლიანი ეჭვისა, რომ ის შეიძლება ყოფილიყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. სასამართლომ მე-4 მუხლის დარღვევა დაადგინა რუსეთის შემთხვევაშიც, რადგანაც რუსეთმა ვერ მოახერხა ჯეროვანი გამოძიება, თუ როგორ და სად მოხდა ქალბატონი რანცევას შერჩევა, რათა გამოაშკარავებულიყო აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული და ქმედების განმახორციელებელი პირები.

### Kaya v. Germany (განაცხადი 31753/02)

28/06/2007

აპლიკანტი არის თურქი ეროვნების პირი, რომელიც ცხოვრობდა გერმანიაში 30 წლის განმავლობაში. 1999 წელს სხვა საქმეებთან ერთად ის დამნაშავედ იქნა ცნობილი ტრეფიკინგის ჩადენაში დამამძიმებელ გარემოებებში და ადამიანების ცემაში დამამძიმებელ გარემოებებში. სასამართლომ დაადგინა, რომ მან სცემა 2 ქალს, რათა აეძულებინა ისინი ჩაბმულიყვინე პროსტიტუციაში. აიძულებდა თავის ყოფილ პარტნიორს მიეცა მისთვის პროსტიტუციით ნაშოვნი ფულის უმეტესი ნაწილი, ხოლო მეორე ქალი ჩაკეტა, რათა აეძულებინა ჩართულიყო პროსტიტუციაში ისე, რომ მისი გამომუშავებული ფულით მას შესძლებოდა ცხოვრება. მას შემდეგ, რაც მან მოიხადა სასჯელის 2/3-ი, ის გერმანიიდან თურქეთში გააძევეს, რადგანაც სასამართლომ დაადგინა, რომ მისი მხრიდან საზოგადოებისათვის საფრთხის მიყენების დიდი რისკი არსებობდა. ბატონი კაია კი ჩიოდა, რომ მისმა დეპორტაციამ გერმანიიდან თურქეთში დაარღვია მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი კაიას გაძევება კონვენციასთან შესაბამისობაში იყო, რადგანაც აპლიკანტმა უფრო სერიოზული დარღვევებისთვის სასჯელი გერმანიაში მოიხადა და საბოლოოდ ექნებოდა საშუალება დაბრუნებულიყო გერმანიაში. სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

### L.R. v. United Kingdom (განაცხადი 49113/09)

14/06/2011

აპლიკანტი ჩიოდა, რომ ის იყო ტრეფიკინგის მსხვერპლი. ის იტალიიდან ალბანელმა კაცმა წაიყვანა გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ამუშავებდა ღამის კლუბში მეძავად, ხოლო გამომუშავებულ თანხას მთლიანად თვითონ იღებდა. მან შეძლო თავის დაღწევა და ცხოვრობდა ფარულ თავშესაფარში. აპლიკანტი ასევე ჩიოდა, რომ გაერთიანებული სამეფოდან ალბანეთში ექსტრადიცია მას მე-4 მუხლის დარღვევის რისკის ქვეშ აყენებდა.

სასამართლომ შეწყვიტა მის საქმის გამოძიება მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ აპლიკანტსა და მისი ქალიშვილს მინიჭებული ჰქონდათ ლტოლვილის სტატუსი გაერთიანებულ სამეფოში და აღარ არსებობდა მათი ალბანეთში გაძევების რისკი. მთავრობამ მათ სასამართლო ხარჯებიც აუნაზღაურა.

**D.H. v. Finland (განაცხადი 30815/09)**

28/06/2011

1992 წელს დაბადებული სომალელი ეროვნების აპლიკანტი 2007 წლის ნოემბერში გემით ჩამოვიდა იტალიაში. ის გამოიქცა მოგადიშუდან, სადაც მას აიძულებდნენ შეერთებოდა ჯარს ქვეყნის ადმინისტრაციული სტრუქტურის ჩამოშლის შემდეგ. მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა ეთიოპიის ჯარების მხრიდან, რომელთა მიზანი იყო ახალგაზრდა სომალელი ჯარისკაცების დატყვევება და მოკვლა. 2007 წლის ზამთარში იტალიის მთავრობამ ყოველგვარი დახმარებისა და რესურსების გარეშე მიატოვა იგი ქუჩაში. აპლიკანტი მუდმივად მშიერი და გაყინული იყო. პოლიციაშიც, რომელსაც დახმარებისათვის მიმართა და ქუჩაშიც მას აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. საბოლოოდ ის ტრეფიკინგის მსხვერპლი გახდა ფინეთში, სადაც მან მოითხოვა თავშესაფარი, მაგრამ უარი უთხრეს 2010 წლის თებერვალში. აპლიკანტი ჩიოდა, რომ იტალიაში დაბრუნების შემთხვევაში ის გახდებოდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, რადგანაც ის იყო უმცირესობაში.

სასამართლომ შეწყვიტა საქმის გამოძიება მას შემდეგ, რაც დაადგინა, რომ ფინეთში აპლიკანტმა მიიღო განგრძობითი ბინადრობის უფლება და აღარ არსებობდა მისი ქვეყნიდან გაძევების საშიშროება. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საკითხი, რომელიც ჩივილის საბაბს, იძლეოდა გადაწყვეტილი იყო.

**მიმდინარე საქმეები:**

**Lilyaba Sashkova Milanova and Others v. Italy and Bulgaria**

(განაცხადი 40020/03)

ბულგარეთის ეთნიკურად ბოშა მოქალაქეები ჩიოდნენ, რომ მაშინ, როდესაც იტალიაში ჩამოვიდნენ სამსახურის საშოვნელად, მათი ქალიშვილები იარაღის მუქარით დააკავეს კერძო პირებმა და აიძულებდნენ ემუშავათ და მოეპარათ. მათზე ასევე ახდენდნენ სექსუალურ ძალადობას გისლარენჯოს სოფელში. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ იტალიის ხელისუფლებამ ადეკვატურად არ გამოიძია შემთხვევა და დაარღვია კონვენციის მე-4 მუხლი.

მთავრობასთან კომუნიკაცია შედგა 2010 წლის თებერვალში.

**პროფესიული მომსახურება: ადვოკატები და ა. შ.**

**Steindel v. Germany (განაცხადი 29878/07)**

14/09/2010 სასამართლომ დაუშვებლად ცნო

**Van der Musselle v. Belgium (განაცხადი 8919/80)**

23/11/1983

აპლიკანტი, რომელიც იყო მოსწავლეების ადვოკატი გაინვიეს უმწეო, დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფასო ადვოკატად. აპლიკანტი ჩიოდა, რომ ეს წარმოადგენდა იძულებით შრომას.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა: უფასო იურიდიული მომსახურება, რომლის განვაც ბატონ ვან დენ მუსსელს ეთხოვა, დაკავშირებული იყო მის პროფესიულ საქმიანობასთან, მან კონკრეტული სარგებელი მიიღო აღნიშნული საქმისგან, კერძოდ, სასამართლოში აუდიენციის ექსკლუზიური უფლება, რამაც წვლილი შეიტანა მის პროფესიულ განვითარებაში. ეს დაკავშირებული იყო კონვენციით დაცულ სხვა უფლებასთან, კერძოდ (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი – იურიდიული დახმარების უფლება) ეს შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ჩვეულებრივი სამოქალაქო ვალდებულება, რომელიც დაშვებულია კონვენციის მე-4 მუხლის მე-სამე პუნქტით. სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა, რომ ანაზღაურების გარეშე ადამიანების დაცვის განხორციელების მოთხოვნა არ ტოვებდა ბატონ ვან დენ მუსსელს ანაზღაურებადი სამსახურისათვის საჭირო დროის გარეშე.

**Karol Mihal v. Slovakia (განაცხადი 23360/08)**

28/06/2011

განმცხადებელს, რომელიც იყო სასამართლო აღმასრულებელი, უარი ეთქვა მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე. ის ჩიოდა, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურების გადაუხდელობა წარმოადგენს იძულებით შრომას.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტზე დაკისრებული ტვირთი არ იყო გადაჭარბებული, არაპროპორციული ან სხვაგვარად დაუშვებელი, ამიტომ განაცხადი დაუშველად ცნო.

**Stefan Bucha v. Slovakia (განაცხადი 43259/07)**

აპლიკანტი არის იურისტი, რომელიც დანიშნეს კლიენტის უფასო იურიდიული სქემის (free legal scheme) წარმომადგენლად. ის საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივის, რადგან მისი ადრინდელი მსგავსი შემთხვევების პრაქტიკისგან განსხვავებით, მას უარი ეთქვა ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისას განეული დანახარჯების ანაზღაურებაზე. აპლიკანტი ჩივის კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევაზე.

სასამართლომ განაცხადი დაუშველად ცნო 2011 წლის სექტემბერში.

**მუშაობა პატიმრობაში ყოფნის პერიოდში**

**Van Droogenbroeck v. Belgium (განაცხადი 7906/77)**

24/06/1982

ბატონი ვან დროგენბროეკი დამნაშავედ ცნეს ქურდობისთვის. 2-წლიანი სასჯელის მოხდის ნაცვლად გადაწყდა, რომ იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ყოფილიყო სახელმწიფოს განკარგულებაში, ამ პერიოდში ის შეიძლება კვლავ განეთავსებინათ საპატიმროში. აპლიკანტი ჩიოდა, რომ ის იყო მონობის მსხვერპლი და ადმინისტრაციის ახირების საგანი. ის ასევე იძულებული იყო ემუშავა, რათა მოეგროვებინა გარკვეული თანხა.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-4 მუხლი არ დარღვეულა და ხაზი გაუსვა, რომ ბატონი დროგენბროეკის სიტუაცია შეიძლება ჩათვლილიყო მონობად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მისი თავისუფლების შეზღუდვის გარკვეულ სახეს შეიძენდა, რასაც ადგილი არ ჰქონია ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე საქმე, რისი გაკეთებაც მას დაევალა, არ განსხვავდებოდა იმისგან, რაც მიჩნეულ იქნა როგორც მისი საზოგადოებაში ინტეგრაციის დახმარების საშუალება.

**De Wilde, Ooms and versyp (vagrancy cases) v. Belgium**

18/06/1971

აპლიკანტები ცნეს მანანნალებად და დააკავეს მანანნალათა ცენტრში, სადაც მათ ამუშავებდნენ დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ. ისინი ჩიოდნენ, რომ მათ ამუშავებდნენ აბსურდულად დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ დისციპლინური სანქციის შიშით.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-4 მუხლის დარღვევა, რადგან მანანნალათა ცენტრში მათი მუშაობისას კონვენციით მინიჭებული უფლება არ დარღვეულა, ვინაიდან ეს მიზნად ისახავდა მანანნალათა რეაბილიტაციას. პროცესი კი ისევე მიმდინარეობდა, როგორც ევროპის საბჭოს წევრ სხვა ქვეყნებში.



## მიმდინარე საქმეები:

**Psycho Atanasov Zhelyazkov v. Bulgaria**

(განაცხადი 11332/04)

აპლიკანტი დამნაშავედ ცნეს წვრილმან ხულიგნობაში, რაც გამოიხატა პროკურორის სიტყვიერ შეურაცხყოფაში. მას მიესაჯა 2 კვირით თავისუფლების აღკვეთა. ამ პერიოდში მას ამუშავებდნენ მუნიციპალურ პროექტში, რომელიც ემსახურებოდა ინფრასტრუქტურის განვითარებას.

აპლიკანტი ჩიოდა, რომ ის იყო იძულებითი შრომის მსხვერპლი, რადგანაც მუშაობდა საზღაურის გარეშე.

დასაშვებობის საკითხი გადაწყდა 2009 წლის მაისში.

## სამხედრო სამსახური ან სანაცვლო სამოქალაქო სამსახური

**W., X., and Z. v. United Kingdom (განაცხადი 3435/67, 3436/67, 3437/67 და 3438/67)**

19/07/1968

საქმე ეხება 15 და 16 წლის ასაკის ოთხ ბიჭს, რომლებიც ირიცხებოდნენ ბრიტანულ სამხედრო საზღვაო ფლოტში 9 წლის განმავლობაში. მათ უარი ეთქვათ სხვადასხვა პერსონალური მიზეზის გამო სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლებაზე, შედეგად მათ იჩივეს მონობაში ყოფნის მოტივით.

კომისიამ დაუშვებლად ცნო საჩივარი, რადგანაც აპლიკანტების სამხედრო სამსახური არ უტოლდება მონობას და არ არღვევდა კონვენციის მე-4 მუხლს.

## რელიგიის თავისუფლება

### რელიგიური ფიცის დადების ვალდებულება

**Buscarini and Others v. San Marino**

(განაცხადი №24645/94)

განმცხადებლები არიან 1993 წელს სანმარინოს პარლამენტში არჩეული დეპუტატები. ისინი ჩიოდნენ, რომ თანამდებობაზე უფლებამოსილების განსახორციელებლად მათ ევალებოდათ ბიბლიაზე ფიცის დადება. განმცხადებელთა აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი პოლიტიკური საქმიანობის უფლების განხორციელება დამოკიდებული გახდა გარკვეული რელიგიური რწმენის საჯაროდ აღიარებაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის (რწმენისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიცის დადების ვალდებულება არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“ კონვენციის მე-9 მუხლის II ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე. სასამართლოს აზრით, ერთმანეთს ეწინააღმდეგება დეპუტატის მანდატის განხორციელება, რაც გულისხმობს საზოგადოების წინაშე სხვადასხვა მოსაზრების წარდგენას და კონკრეტული მრწამსისადმი კუთვნილების საჯაროდ დადასტურება.

**Alexandris v. Greece**

(განაცხადი №19516/06)

2005 წლის ნოემბერში განმცხადებელს უფლება მიეცა, საადვოკატო საქმიანობა ეწარმოებინა ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოში. დაშვების წინასწარი პირობა იყო ფიცის დადება. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ფიცის დადების დროს მოუწია ელიარებინა, რომ იგი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა საშუალება, გაეკეთებინა საზეიმო განაცხადი, ნაცვლად სტანდარტული რელიგიური ტექსტის წარმოთქმისა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, რადგან დაირღვა განმცხადებლის უფლება, არ გამოეხატა ღიად თავისი რელიგიური მოსაზრებები.

### ოფიციალურ დოკუმენტებში რელიგიური კუთვნილების მითითების სავალდებულოა

**Sinan Isiki v. Turkey**

(განაცხადი №21924/05)

განმცხადებელი არის ალევიტთა რელიგიური ერთობის წარმომადგენელი. 2004 წელს მან მიმართა სასამართლოს მოთხოვნით შეესწორებინათ მის მოწმობაში გრაფა „რელიგიური კუთვნილება“ და ნაცვლად „ისლამისა“ ჩაენერათ „ალევिति“. 2006 წლამდე თურქეთის პირადობის მოწმობებში რელიგიური კუთვნილების მითითება აუცილებელი იყო. 2006 წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა აღნიშნული გრაფის შეუვსებლად დატოვება. განმცხადებელს უარი ეთქვა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ „ალევितिზმი“ წარმოადგენდა ისლამის ერთ-ერთ მიმდინარეობას და, შესაბამისად, ჩანანერი პირადობის მოწმობაში – „ისლამი“ – იყო სწორი.

სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-9 მუხლი დარღვეულად, რადგან განმცხადებელს უარი ეთქვა თავისი რელიგიური კუთვნილების მითითებაზე იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ დოკუმენტში არსებობდა რელიგიური კუთვნილების მისათითებელი გრაფა, განურჩევლად იმისა, იყო ეს გრაფა სავალდებულო შესავსები თუ უბრალო ფორმალობას წარმოადგენდა. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ რელიგიური კუთვნილების გამოხატვის თავისუფლება ნეგატიურ ასპექტსაც გულისხმობს, კონკრეტულად უფლებას – არ გაამჟღავნოს პირმა თავისი რელიგიური კუთვნილება.

**Wasmuth v. Germany**

(განაცხადი №12884/03)

საქმე ეხება გერმანიაში საეკლესიო გადასახადების ამოღების სისტემას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს საგადასახდო შეტყობინების გაცემაზე, სადაც არ იქნებოდა მოხსენიებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ განმცხადებელი არ მიეკუთვნება რაიმე რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც ვალდებული იყო ამოელო საეკლესიო გადასახადი. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული ინფორმაციის საგადასახადო შეტყობინებაში მითითების ვალდებულება დაარღვევდა კონვენციის მე-9 და მე-8 მუხლებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლები. ორივე მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევა განხორციელდა, მაგრამ იგი ისახავდა ლეგიტიმურ მიზანს – უზრუნველყოფილიყო ეკლესიებისა და რელიგიური ორგანიზაციების უფლების დაცვა საეკლესიო გადასახადების ამოსაღებად. ჩარევა პროპორციული იყო მისაღწევ მიზანთან, რადგან სადავო ჩანაწერი, რომელიც განმცხადებლის რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსს ეხებოდა, მხოლოდ შეზღუდულ ინფორმაციულ ღირებულებას წარმოადგენდა: ის მხოლოდ მიუთითებდა საგადასახადო ორგანოებს, რომ ეს პირი არ მიეკუთვნება არც ერთ ეკლესიას ან რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც უფლებამოსილია რელიგიური გადასახადის ამოღებაზე ან ამ უფლებამოსილების პრაქტიკაში განხორციელებაზე.

**უარი სამხედრო სამსახურზე**

**Thlimmenos v. Greece**

(განაცხადი №34369/97)

განმცხადებელი იელოვას მოწმეა, რომელიც დამნაშავედ ცნეს რელიგიური მოსაზრების გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმისათვის იმ პერიოდში, როცა საბერძნეთში არ არსებობდა ალტერნატიული (სამხედრო) სამსახური. რამდენიმე წლის შემდეგ განმცხადებელს უარი უთხრეს ბუღალტრის თანამდებობაზე დანიშვნაზე მისი რელიგიური მრწამსის გამო, მიუხედავად იმ მაღალი შეფასებებისა, რომელიც მან სახელმწიფო კონკურსის გავლისას მიიღო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, ჩათვალა რა, რომ განმცხადებლისათვის ბუღალტრის თანამდებობაზე დანიშვნაზე უარი არაპროპორციული იყო იმ სასჯელთან, რომელიც სამხედრო სამსახურზე უარის განმცხადებელ პირთათვის იყო დასაკისრებელი, რადგან განმცხადებელმა უკვე მოიხადა სასჯელი (პატიმრობა) ამ დანაშაულისათვის.

**Bayatyan v. Armenia**

(განაცხადი №23459/03)

2001 წელს განმცხადებელი, რომელიც იელოვას მოწმე იყო, გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. სამხედრო სამსახურის გავლაზე მან უარი განაცხადა და გამოთქვა ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის გავლის სურვილი. ხელისუფლების წარმომადგენლებმა აცნობეს, რომ ვინაიდან სომხეთში არ იყო ალტერნატიული სამსახური, იგი ვალდებული იყო წასულიყო ჯარში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი უნდა განიმარტოს დღევანდელი დღის გარემოებების გათვალისწინებით, როდესაც ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა აღიარებს რელიგიური მოსაზრებების გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი და აღნიშნა, რომ გამოსავალი, რომელიც დააკმაყოფილებდა მოწინააღმდეგე მხარეების მოთხოვნებს, უკვე არსებობდა, რაზედაც მიუთითებს ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობის პრაქტიკა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი მაშინ გამოვიდა, როდესაც სომხეთმა უკვე ოფიციალურად აიღო ვალდებულება, შემოელო ალტერნატიული სამსახურის ინსტიტუტი.

## Ercep v. Turkey

22/11/2011

საქმე ეხება განმცხადებლის უარს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლაზე, რადგან იგი იელოვას მონმე იყო. შედეგად, იგი დააპატიმრეს და გაასამართლეს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 და მე-6 მუხლების დარღვევა. სასამართლომ მოუწოდა თურქეთს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანაზე და შესთავაზა ალტერნატიული სამსახურის ფორმების შემოღება.

## სახელმწიფოს მიერ რელიგიური გაერთიანებებისა და მათი ლიდერების აღიარება

### Hasan and Chaish v. Bulgaria

(განაცხადი №30985/96)

1992 წლიდან ბატონი ჰასანი ხელმძღვანელობდა მუსულმანურ გაერთიანებას ბულგარეთში და ეკავა მთავარი მუფტის თანამდებობა. ის და ერთობის კიდევ ერთი წევრი ჩიოდნენ, რომ გაერთიანებაში 1994-1995 წლებში მომხდარი კონფლიქტისას ხელმძღვანელის თანამდებობის გამო, სახელმწიფომ მის ადგილზე დანიშნა სხვა კანდიდატი, რომელსაც ადრეც ეკავა ეს თანამდებობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 და მე-13 მუხლები, ჩათვალა რა, რომ სახელმწიფო ჩაერია რელიგიური გაერთიანების შიდა საქმეებში, რაც გამოიხატა მხარდაჭერაში ერთი ჯგუფისადმი და უნინ აღიარებული ხელმძღვანელობის გადაყენებაში.

### Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova

(განაცხადი №45701/99)

ბესარაბიის მიტროპოლიამ (მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია) უარი მიიღო რეგისტრაციაზე იმ საფუძველით, რომ იგი განუდგა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ მოლდავეთის მიტროპოლიას. ბესარაბიის მიტროპოლია და მისი ხელმძღვანელობის რამდენიმე პირი ჩიოდნენ უარის გამო, ვინაიდან ამტკიცებდნენ, რომ რელიგიური გაერთიანება რეგისტრაციის გარეშე ვერ იარსებებდა და ვერ განახორციელებდა თავის საქმიანობას მოლდავეთის ტერიტორიაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი და მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ოფიციალური აღიარების გარეშე მღვდლებს უფლება არ ჰქონდათ, ჩაეტარებინათ ღვთისმსახურება, ხოლო მრევლს არ შეეძლო შეკრებილიყო მსახურებაზე. იურიდიული პირის სტატუსის არარსებობა მიტროპოლიას თავისი საკუთრების სამართლებრივი დაცვის უფლებას ართმევდა. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ხელი-სუფლებასთან მიეღწიათ თავიანთი უფლებების აღდგენა, რამაც დაარღვია კონვენციის მე-13 მუხლი.

## რელიგიური გაერთიანებებისათვის გადასახადის დაკისრება

### Association Les Temoins de Jehovah v. France

(განაცხადი №8916/05)

განმცხადებელს დაეკისრა რამდენიმე ათეული მილიონი ევრო დამატებითი გადასახადის სახით. ასოციაციის აზრით, აღნიშნული საკითხის სასამართლოებში განხილვამ და მოთხოვნათა დაყენების სიმრავლემ დაარღვია მათი რელიგიური თავისუფლების უფლება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი, რადგან საგადასახადო კოდექსის ნორმები, რომელთა მიხედვითაც ასოციაციაში შეტანილი შემოწირულობები ავტომატურად უნდა დაბეგრულიყო, არ იყო საკმარისად განჭვრეტადი.

## რელიგიური ტანსაცმლისა და სიმბოლოები ტარება და დემონსტრირება

### Dahlab v. Switzerland

(განაცხადი 42393/98)

განმცხადებელი, რომელმაც მიიღო ისლამი, დანყებითი სკოლის მასწავლებელია. იგი ჩიოდა, რომ სკოლის ადმინისტრაციამ აუკრძალა გაკვეთილების ჩატარება თავსაბურავში. ფედერალურმა სასამართლომ ძალაში დატოვა 1997 წელს შემოღებული აკრძალვა. ამ დრომდე განმცხადებელი რამდენიმე წლის განმავლობაში ატარებდა გაკვეთილებს თავსაბურავით.

სასამართლომ საჩივარი მიიჩნია დაუშვებლად, რათვალა რა, რომ სადავო ღონისძიებას გააჩნდა თავისი საფუძველები. განმცხადებელი, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ასწავლიდა 4-დან 8 წლამდე ბავშვებს, რომლებიც ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ.

### Leyla Sahin v. Turkey

(განაცხადი №44774/98)

განმცხადებელი დაიბადა ტრადიციულ მუსულმანურ ოჯახში, რომელიც იცავდა რელიგიურ ადათებს. იგი თავის რელიგიურ მოვალეობად მიიჩნევდა თავსაბურავის ტარებას მუსულმანური წესით. 1998 წელს, როცა განმცხადებელი სწავლობდა სტამბულის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე, გამოვიდა ახალი განკარგულება, რომელიც სტუდენტებს უკრძალავდა მუსულმანური თავსაბურავის ტარებას ლექციებსა და გამოცდებზე. შედეგად, ის იძულებული გახდა წასულიყო ავსტრიაში და იქ გაეგრძელებინა სწავლა. განმცხადებელი ჩიოდა თავსაბურავის ტარების აკრძალვის განკარგულებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი, განაცხადა რა, რომ განმცხადებლის რელიგიური შეხედულებების გამოხატვის უფლებაში ჩარევას ჰქონდა საფუძველი თურქული კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან მანამდე თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ თავსაბურავის ტარება უნივერსიტეტებში ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტიდან განმცხადებელს უნდა სცოდნოდა, რომ არსებობს შეზღუდვები მუსულმანური თავსაბურავის ტარებაზე, ხოლო იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნდა ეს წესი – იგი არ დაიშვებოდა ლექციებსა და გამოცდებზე, თუკი გააგრძელებდა თავსაბურავის ტარებას. სახელმწიფოს შეფასების ზღვარის გათვალისწინებით ამ საკითხის მიმართ, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ჩარევა შესაძლებელია განხილულიყო, როგორც „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე. განსაკუთრებით უნდა გათვალისწინებულიყო, რომ თავსაბურავის ტარებას, რომელიც ხშირად წამოადგენს ან აღიქმება, როგორც რელიგიური აუცილებლობა, შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმათზე, ვინც ამას არ ატარებდა.

### El Morsli v. France

(განაცხადი №15585/06)

განმცხადებელი მაროკოს მოქალაქეა, რომელიც გათხოვდა ფრანგზე. მას უარი ეთქვა საფრანგეთის ვიზის მიღებაზე, რადგან უარი განაცხადა მოეხსნა თავსაბურავი პიროვნების დადგენის მიზნით დოკუმენტების შემოწმებისას მამაკაცი თანამშრომლების წინაშე, როდესაც გადიოდა კონტროლს მაროკოში მდებარე საფრანგეთის საკონსულოში. იგი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლების მოთხოვნები.

სასამართლომ განაცხადი მიიჩნია დაუშვებლად, აღნიშნა რა, რომ პიროვნების დადგენა (როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთი ზომა გენერალური საკონსულოს საქმიანობაში) ემსახურებოდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ მიზნებს, ხოლო თავსაბურავის მოხსნა განმცხადებელს მოეთხოვებოდა მხოლოდ მცირე დროის მანძილზე.

**Dogru v. France (განაცხადი №27058/05)**

**Kervanci v. France (განაცხადი №31645/04)**

განმცხადებლები არიან მუსულმანი გოგონები, რომლებიც 1998 წელს ჩაირიცხნენ სახელმწიფო სკოლის პირველ კლასში. ფიზიკულურის გაკვეთილებზე ისინი რეგულარულად გამოდიოდნენ თავსაბურავით და უარს აცხადებდნენ მათ მოხსნაზე, მიუხედავად მასწავლებლის არაერთი გაფრთხილებისა. სკოლის სადისციპლინო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლების სკოლიდან გარიცხვაზე გაკვეთილებზე დაუსწრებლობის გამო, რადგან სრულფასოვნად არ მონაწილეობდნენ ფიზიკულურის გაკვეთილებში. ადგილობრივმა სასამართლოებმა გადაწყვეტილება დატოვეს ძალაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არც ერთ საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-9 მუხლი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს დასაბუთებული მოსაზრებები, რომ ფიზიკულურის გაკვეთილებზე მუსულმანური თავსაბურავის ტარება აკრძალული იყო, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებზე სანქციის დაკისრება გამოიწვია იმან, რომ ისინი არ იცავდნენ სასკოლო წესებს, რომლებსაც ისინი ჯეროვნად უნდა გასცნობოდნენ და არა მათი რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, როგორც ამას განმცხადებლები ამტკიცებდნენ.

**Aktas v. France (№43563/08)**

**Bayrak v. France (№14308/08)**

**Gamaleddyn v. France (№18527/08)**

**Ghazal v. France (№29134/08)**

**J. Singh v. France (№25463/08)**

**R. Singh v. France (№27561/08)**

საქმეები ეხება სკოლიდან ექვსი მოსწავლის გარიცხვას მათ მიერ რელიგიური სიმბოლოების ტარების საფუძველზე. 2004-2005 სასწავლო წლებში განმცხადებლები ჩაირიცხნენ სხვადასხვა სახელმწიფო სკოლაში. პირველ სასწავლო დღეს მუსულმანი გოგონები სკოლაში გამოცხადდნენ თავსაბურავებში, ხოლო ბიჭი მუსულმანები – სინგჰების ტრადიციულ ჩალმებში. აღნიშნული აკრიბუტების მოხსნაზე უარის განცხადების შემდეგ განმცხადებლები აღარ დაუშვეს გაკვეთილებზე. მოსწავლეთა მშობლებთან სკოლის ადმინისტრაციამ დაიწყო მოლაპარაკება. შედეგად, გარკვეული დროის შემდეგ, განმცხადებლები გარიცხეს სკოლიდან საგანმანათლებლო კოდექსის დაუცველობის გამო. კონვენციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ სკოლებში მოქმედებს რელიგიური თავსაბურავების ტარების უფლება.

სასამართლომ განაცხადები დაუშვებლად მიიჩნია, დაადგინა რა, რომ ჩარევა განმცხადებლების უფლებაში – ეტარებინათ თავიანთი რელიგიური თავსაბურავები სკოლაში გაკვეთილების მიმდინარეობისას, ისახავდა სამართლებრივ მიზნებს, დაცული ყოფილიყო სხვა პირთა უფლებები და საზოგადოებრივი წესრიგი. ამას გარდა, სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს ნეიტრალურ და მიუკერძოებელ როლს სხვადასხვა რელიგიური კუთვნილების მოსწავლეთათვის ჯეროვანი პირობების შესაქმნელად. საბოლოოდ სკოლიდან გარიცხვის სასჯელის ფორმა არ იყო იყო პროპორციული მისაღწევ მიზნებთან, რადგან მოსწავლეებს შეეძლოთ, დაუსწრებლად გაეგრძელებინათ სკოლაში სწავლა.

**Ahmet Arslan and Others v. Turkey**

**(განაცხადი №41135/98)**

განმცხადებლები არიან რელიგიური გაერთიანების 127 წევრი. მათ მიმართ 1997 წელს დადგა პასუხისმგებლობის საკითხი თავსაბურავებისა და რელიგიური ტანსაცმლის საზოგადოებრივ

ადგილებში ტარების შესახებ კანონის დარღვევის გამო, მას შემდეგ, რაც ისინი გამოვიდნენ ქუჩაში და შემდეგ გამოცხადდნენ სასამართლოს შენობაში.

სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-9 მუხლი დარღვეულად, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება, რომ განმცხადებლები წარმოდგენდნენ საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისათვის ან შემჩნეულები იყვნენ პროზელიტიზმში, ან ახდენდნენ გამველელებზე შეუფერებელ გავლენას. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, მოცემული საქმე ეხებოდა საზოგადოებრივ ადგილებში, რომლებიც ყველასათვის ღიაა, კონკრეტული ტანსაცმლის ტარების გამო განმცხადებლების დასჯას, ხოლო საზოგადოებრივ დაწესებულებებში რელიგიური ნიტირალიტიტი პრიორიტეტულია უფლებასთან, გამოხატო საკუთარი რელიგიური კუთვნილება.

## Lautsi v. Italy

(განაცხადი №30814/06)

განმცხადებლის შვილები სწავლობდნენ სახელმწიფო სკოლაში. ამ სკოლის თითოეულ კლასში კედელზე განთავსებული იყო ჯვარცმა, რაც განმცხადებლის აზრით, არღვევდა სეკულარიზმის პრინციპს, რომლითაც მას სურდა, რომ აღეზარდა თავისი შვილები. სასკოლო საბჭოზე განმცხადებლის ქმარმა წამოჭრა საკითხი საკლასო ოთახებში ჯვარცმის კედელზე განთავსების გამო და მოითხოვა, რომ ჩამოეხსნათ. სკოლის საბჭომ გადაწყვიტა, რომ ხელი არ ეხლოთ რელიგიური სიმბოლოებისათვის. მაშინ განმცხადებელმა მიმართა ადმინისტრაციულ სასამართლოს და იჩივლა სეკულარული განათლების პრინციპების დარღვევის გამო. სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს განმცხადებლის მოთხოვნა. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სახელმწიფო სკოლის საკლასო ოთახებში, კედლებზე ჯვარცმის გამოსახულების განთავსება, სადაც მისი შვილები სწავლობდნენ, არღვევდა კონვენციის მე-9 მუხლისა და პირველი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს.

დიდი პალატის გადაწყვეტილებაში სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი და არ იყო საჭირო აღნიშნული სიტუაციის კონვენციის მე-9 მუხლისგან განცალკევებით განხილვა. სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი სკოლის საკლასო ოთახებში რელიგიური სიმბოლოების განთავსების შესახებ სახელმწიფოს განხილვის სფეროა (კონსენსუსი ევროპის სახელმწიფოებს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს) იმ პირობით, რომ მისი გადაწყვეტა არ ისახავს იდეოლოგიური პროპაგანდის მიზნებს. ის ფაქტი, რომ იტალიის სკოლების საკლასო ოთახებში ჯვარცმის გამოსახულების არსებობა გამოწვეული იყო მოსახლეობის უდიდესი რაოდენობის მიერ აღიარებული რელიგიური კუთვნილებით, რომელიც დომინირებს იტალიაში, თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს ფაქტი განვიხილოთ იდეოლოგიურ პროპაგანდად. უფრო მათი, ჯვარცმის რაოდენობა საკლასო ოთახებში გამოხატავდა ქრისტიანობის სწავლების ვალდებულებას. ასევე არ იყო წარმოდგენილი რაიმე არგუმენტი, რაც მიუთითებდა სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან გულგრილობის ან მოუთმენლობის გამოვლინებას იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სხვა რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნებოდნენ. და ბოლოს, განმცხადებელს, როგორც დედას, თავადაც შეეძლო დამოუკიდებლად გაენათლებინა თავისი შვილები რელიგიურ საკითხებში და მიეცა მათთვის დარიგებები, რომლებიც მის მსოფლმხედველობას შეესაბამებოდა.

## განაცხადები შვეიცარიის წინააღმდეგ, რომლებიც ეხება მინარეთების აშენებაზე აკრძალვებს

შვეიცარიაში 2009 წლის 26 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, რომელიც ეხებოდა მინარეთების აშენების აკრძალვას, სტრასბურგის სასამართლოში შევიდა რამდენიმე საჩივარი ამასთან დაკავშირებით.

სასამართლომ არც ერთი საჩივარი არ მიიღო განსახილველად, რადგან განმცხადებლები არ შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც კონვენციის დარღვევის „მსხვერპლი“.

## პროზელიტიზმი

### Kokkinakis v. Greece

(განაცხადი №14307/88)

განმცხადებელი იელოვას მონმეა და ჩიოდა, რომ 1998 წელს საბერძნეთის სასამართლოებმა იგი დამნაშავედ ცნეს პროზელიტიზმში მას შემდეგ, რაც რელიგიურ თემაზე ესაუბრა თავის მეზობელს, რომელიც ადგილობრივი ეკლესიის მღვდლის ცოლი იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლის მიმართ ნაყენებული ბრალდება არ იყო დადასტურებული. საბერძნეთის სასამართლოებმა, უბრალოდ, მოახდინეს ციტირება პროზელიტიზმის აკრძალვის შესახებ, არ გაითვალისწინეს რა, თუ რაში გამოიხატებოდა განმცხადებლის ბოროტი განზრახვა თავის მეზობელთან საუბრისას.

### Larissis and Others v. Greece

(№№23372/94; 26377/94; 26378/94)

განმცხადებლები სამხედრო-საჰაერო შეიარაღებული ძალების სამი ოფიცერია, რომლებიც ორმოცდაათიანელთა სექტას მიეკუთვნებიან. საბერძნეთის სასამართლოებმა მათ მიმართ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი პროზელიტიზმის ბრალდების გამო, რადგან ისინი ცდილობდნენ თავიანთ რწმენაზე მოექციათ რამდენიმე ადამიანი, მათ შორის – სამი რიგითი ჯარისკაცი, რომლებიც მათი დაქვემდებარების ქვეშ იყვნენ. განაჩენი ძალაში შევიდა 1992 წელს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი განმცხადებლების პროზელიტიზმში დადანაშაულების გამო, კონკრეტულად კი – ჯარისკაცებთან მიმართებით, რადგან სახელმწიფო ვალდებული იყო, დაეცვა რიგითი ჯარისკაცები ზემდგომი ოფიცერების ზენოლისაგან. ამავე დროს სასამართლომ დაადგინა, რომ ასევე დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი განმცხადებლების მიმართ პროზელიტიზმში დადანაშაულების გამო, კონკრეტულად კი – სამოქალაქო პირებთან მიმართებით, რადგან ისინი (სამოქალაქო პირები), განსხვავებით სამხედრო პირებისაგან, არ მოექცნენ ზენოლისა და იძულების ქვეშ.

## რელიგიის თავისუფლება და განათლების უფლება

### Folgero and Others V. Norway

(განაცხადი №15472/02)

1997 წელს ნორვეგიის დანყებით სკოლებში შეიცვალა სასწავლო გეგმა: ორი საგანი „ქრისტიანობა“ და „ცხოვრების ფილოსოფია“ შეიცვალა საგანი – „ქრისტიანობა, რელიგია და ფილოსოფია“. განმცხადებლები, რომლებიც არიან ნორვეგიის ჰუმანიტართა ასოციაციის წევრები, შეეცადნენ, რომ თავიანთ შვილებს არ ესწავლათ ეს საგანი, რაზედაც უარი მიიღეს. სასამართლომ ისინი ჩიოდნენ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ დართეს ნება მათ შვილებს, სრულად გამოთავისუფლებულიყვნენ ამ საგნის სწავლისგან. განმცხადებლების აზრით, ამან შეუქმნა წინააღმდეგობა, მათი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისად მიეღოთ განათლება მათ შვილებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება), რადგან საგანი – „ქრისტიანობა, რელიგია და ფილოსოფია“ – აქცენტირებული იყო ქრისტიანობაზე. საგნის აღწერილობა შეიცავდა მითითებას იმაზე, რომ დანყებითი და საშუალო განათლების ამოცანა იყო მოსწავლეთა ქრისტიანული და მორალური აღზრდა. არსებობდა შესაძლებლობა, რომ მშობელთა თხოვნის საფუძველზე ნაწილობრივ გამოთავისუფლებულიყვნენ მოსწავლეები ამ საგნის სწავლისგან, თუმცა, სასამართლოს აზრით, ამგვარი შესაძლებლობის გამოყენება შეფერხდა, რადგან ეს გამოიწვევდა კონფლიქტს ან მშობელთა პირადი ცხოვრების დეტალების გამყდარების რისკს. ამავე დროს სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად საგნის შემოღების იდეა, ქრისტიანობის ფარგლებში, სხვა რელიგიისა და ფილოსოფიის ერთდროული შესწავლა განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეები უზრუნველყოფილები იყვნენ ღიაობით, პლურალიზმითა და ობიექტურობით, რაც გამყარებულია კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით.



**Hasan and Eylem Zengin v. Turkey**

**(განაცხადი №1448/04)**

განმცხადებლის ქალიშვილი სწავლობდა სტამბულის სახელმწიფო სკოლაში. 2001 წელს განმცხადებელმა მოითხოვა მისი გათავისუფლება რელიგიური კულტურისა და ეთიკის შემსწავლელი საგნისგან, იმ მოტივით, რომ მისი ოჯახი იყო ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობის – ალვეიზმის მიმდევარი. თხოვნა არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელი ჩიოდა, თუ როგორ იყო მოწყობილი რელიგიური კულტურისა და ეთიკის სწავლება სახელმწიფო სკოლაში. იგი ამტკიცებდა, რომ აქცენტი კეთდებოდა ისლამის სუნიტურ მიმართულებასა და ტრადიციებზე, ხოლო განსხვავებული რელიგიების შესახებ დანვრილებითი ინფორმაცია ბავშვებს არ მიეწოდებოდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი. სასამართლო გაეცნო თურქეთის განათლების სამინისტროს მასალებს რელიგიური კულტურისა და ეთიკის საგნის და შესაბამისი სახელმძღვანელობის შესახებ და დაადგინა, რომ პროგრამაში პრიორიტეტი ენიჭება ისლამს (სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან შედარებით) და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუსულმანური სარწმუნოების შესწავლის პრინციპებს, კულტურული ადათ-წესების ჩათვლით. მოსწავლეები, რომლებიც არიან ქრისტიანები ან იუდაიზმის მიმდევრები, შესაძლებელია გათავისუფლდნენ ამ საგნის სწავლისგან, თუმცა ამგვარი შესაძლებლობა არ ვრცელდება მუსულმანური რელიგიის მიმდევარ მოსწავლეებზე, მათ შორის იმათზეც, ვინც ალვეიზმის მიმდევარია.

**Appel-Irrgang v. Germany**

**(განაცხადი №45216/07)**

განმცხადებლები არიან სკოლის მოსწავლე და მისი მშობლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ 2006 წელს მიღებულ კანონს, რომლის თანახმადაც მე-7-მე-10 კლასის მოსწავლეებისთვის სავალდებულო იყო ეთიკის საგნის სწავლა. ისინი თვლიდნენ, რომ სწავლების სეკულარული ფორმა ეწინააღმდეგებოდა მათ პროტესტანტულ მოსაზრებებს. განმცხადებლებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, მაგრამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. კონვენციის მე-9 მუხლსა და პირველი ოქმის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეთიკის საგნის სავალდებულო სწავლება ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ვალდებულებას – ყოფილიყო ნეიტრალური რელიგიური საკითხებისადმი.

სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო, რადგან სადავო კანონის მიზანს წარმოადგენდა ფუნდამენტური ეთიკური საკითხების ანალიზი, განურჩევლად მოსწავლეების კულტურული, ეთნიკური თუ რელიგიური წარმომავლობისა, რაც შეესაბამებოდა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პლურალიზმისა და ობიექტურობის პრინციპებს.

**Grzelak v. Poland**

**(განაცხადი №7710/02)**

განმცხადებლები არიან აგნოსტიციზმის მიმდევრები და არ სურდათ, რომ მათი შვილი სკოლაში დასწრებოდა რელიგიის გაკვეთილებს. მიუხედავად მათი სურვილისა, არც ერთ სკოლაში, სადაც კი მათი შვილი სწავლობდა, არ იყო შეთავაზებული ალტერნატიული სწავლება ეთიკის საგანში. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ სკოლებში არ იყო ორგანიზებული ეთიკის გაკვეთილები ისე, რომ მათ შვილს შესძლებოდა დასწრება, ხოლო რელიგიის გაკვეთილზე დაუსწრებლობის გამო მას ავიწროებდნენ, რადგან სასკოლო ატესტატის საგნების გრაფაში – „რელიგია/ეთიკა“ – ნიშანი არ ეწერებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, რადგან სასკოლო ატესტატის საგნების გრაფაში – „რელიგია/ეთიკა“ – შეფასების არარსებობა მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა მისი უფლების გაუმართლებელ დარღვევას, არ გამოეხატა თავისი რელიგიური კუთვნილება ან მრწამსი.

## Dojan v. Germany

13/09/2011

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ უარი ეთქვათ მათი შვილების სკოლაში სავალდებულო სქესობრივი აღზრდის გაკვეთილებისა და ასევე რამდენიმე სხვა გაკვეთილისაგან გათავისუფლებაზე. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათი რელიგიური მოსაზრებების შესაბამისად საკუთარი ბავშვების აღზრდის უფლება იყო შელახული.

სასამართლომ განმცხადებლების საჩივარი დაუშვებლად გამოაცხადა. მიიჩნია, რომ სადავო გაკვეთილები არ ეწინააღმდეგებოდა იმას, რომ მშობლებს საკუთარი რწმენისა და რელიგიის შესაბამისად აღეზარდათ შვილები. ამასთან, მითითებული გაკვეთილები არ გამოხატავდა რომელიმე კონკრეტული რელიგიისა თუ რწმენისადმი განსაკუთრებულ უპირატესობას.

## ეკლესიასა თუ რელიგიურ გაერთიანებებში მუშაობა

### Schuth v. Germany

(განაცხადი №1620/03)

განმცხადებელი მუშაობდა კათოლიკურ ეკლესიაში ორღანისტად და გუნდის დირიჟორად. 1998 წელს იგი გაათავისუფლეს ეკლესიიდან კათოლიკური წესის დარღვევის გამო, კერძოდ, მან მიატოვა ცოლ-შვილი და ერთობლივი თანაცხოვრება განაგრძო სხვა ქალბატონთან. გათავისუფლების ბრძანება განმცხადებელმა სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ – უშედეგოდ. იგი ჩიოდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან გერმანიის სასამართლოებმა ვერ დაიცვეს ჯეროვანი ბალანსი ეკლესიისა და განმცხადებლის ინტერესებს შორის, რომელსაც უფლება ჰქონდა პირად ცხოვრებაზე. სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ეკლესიიდან გაგდებულ განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, სხვაგან დაენყო სამსახური.

### Obst v. Germany

(განაცხადი №425/03)

განმცხადებელი იყო მორმონთა ეკლესიის განყოფილების უფროსი, რომელიც კურირებს გაერთიანებებს ევროპაში. 1993 წელს იგი გაათავისუფლეს სამსახურიდან იმ მოტივით, რომ აღიარა ქორწინების გარეშე ურთიერთობაში ყოფნა. განმცხადებელი მიუთითებდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე.

განსხვავებით საქმისგან – შიუთი გერმანიის წინააღმდეგ (განაცხადი №1620/03) – სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან სასამართლოებმა შეძლეს მოდავე მხარეებს შორის ბალანსის დაცვა. სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია ადგილობრივი სასამართლოების დასკვნა იმის თაობაზე, რომ განმცხადებელზე არ იყო დაკისრებული მისთვის მიუღებელი ვალდებულებები. განმცხადებელი იყო მორმონთა სექტის წარმომადგენელი და მას კარგად უნდა სცოდნოდა შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ცოლქმრული ერთგულების შენახვა, რადგან იგი ასევე წარმოადგენდა მორმონთა ეკლესიის ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელსაც.

### Ziebenhaar v. Germany

(განაცხადი №18136/02)

ქალბატონი ზიბენჰაარი, რომელიც კათოლიკეა, მუშაობდა აღმზრდელად ბავშვთა დანესებულებაში, რომელიც პროტესტანტული იყო. მოგვიანებით იგი ამ დანესებულების ხელმძღვანელი გახდა. 1999 წელს განმცხადებელი გაათავისუფლეს თანამდებობიდან იმ მოტივით, რომ იგი იყო სხვა რელიგიური გაერთიანების აქტიური წევრი და ასევე ბავშვებს უტარებდა გაკვეთილებს ამ მიმართულებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-9 მუხლი, რადგან გერმანიის სასამართლოებმა შრომითი დავის განხილვისას შეძლეს მოდავე მხარეებს შორის ბალანსის დაცვა. განმცხადებლის გათავისუფლება ეკლესიის ავტორიტეტის შესანარჩუნებლად იყო საჭირო და შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას მას უნდა სცოდნოდა, რომ მისი რელიგიური მოღვაწეობა შეუთავსებელი იყო პროტესტანტული დანესებულებისათვის.

## Sindicatul Pastorul cel Bun v. Romania

(განაცხადი №2330/09)

საქმე ეხება გაერთიანებას, რომელიც დააფუძნეს სასულიერო პირებმა, მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებმა და მრევლმა. გაერთიანება უნდა დარეგისტრირებულიყო როგორც პროფესიული კავშირი. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლების მხრიდან გაცემული უარი რეგისტრაციაზე არღვევდა აღნიშნული პროფესიული კავშირის წევრების უფლებებს საქმიანობის განხორციელებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების უფლება), რადგან, მიუხედავად მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლისა რუმინეთში, თავისთავად არ შეიძლება გამართლებულად მივიჩნიოთ რეგისტრაციაზე უარი – განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დაქირავებულთა უფლებები გაერთიანდნენ ნებისმიერ კავშირში, რაც უკვე აღიარებულია რუმინეთის სასამართლოების მიერ.

## გენდერული იდენტობა

### Rees v. The UK

17/10/1986

ტრანსსექსუალი მამაკაცი ჩიოდა, რომ გაერთიანებული სამეფოს სამართალი არ აღიარებდა მის იურიდიულ სტატუსს, რომელიც განმცხადებლის ფაქტობრივ მდგომარეობას ასახავდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი: განმცხადებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საჭირო გახდებოდა სამოქალაქო აქტების ჩანაწერში ცვლილების შეტანა, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ შედეგებს და წარმოშობდა დანარჩენი მოსახლეობის ახალ ვალდებულებებს. ამას გარდა, სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ გაერთიანებულმა სამეფომ თავის თავზე აიღო განმცხადებლის სამედიცინო ხარჯები.

ამასთან, სასამართლომ აღიარა „პრობლემის სერიოზულობა, რომლის წინაშეც დგებიან ტრანსსექსუალები, და მათი სულიერი ტანჯვა“ და ურჩია „კვლავ განაგრძოს სახელმწიფომ ყურადღების მიპყრობა ჯეროვანი ღონისძიებების გამოყენებით მეცნიერებასა და საზოგადოებაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-12 მუხლი: ქორწინების ტრადიციული გაგება გულისხმობს ბიოლოგიურად ორი საპირისპირო სქესის ადამიანს შორის კავშირს. სახელმწიფო ვალდებულია, დაარეგულიროს ქორწინების უფლება.

### Cossey v. The UK

27/09/1990

სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე იგივე მოსაზრება გამოთქვა, რაც საქმეზე – რეესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – და ვერ აღმოაჩინა ახალი ფაქტები ან განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა, გადაეხვია წინა განჩინებიდან.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ კვლავ განაცხადა, რომ „სქესის შეცვლა ქირურგიული საშუალებით ვერ გამოიწვევდა სხვა სქესის ბიოლოგიური მახასიათებლების მოპოვებას“. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ დამატებითი ჩანაწერების გაკეთება სარეგისტრაციო აქტების წიგნში დაბადების შესახებ ვერ იქნებოდა მისაღები ვარიანტი დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-12 მუხლი: ქორწინების ტრადიციული კონცეფციისადმი მიმხრობა სასამართლოსათვის წარმოადგენდა „საკმარის საფუძველს ბიოლოგიური კრიტერიუმების გამოყენების გაგრძელებაზე პირის სქესის განსაზღვრისას, რომელიც აპირებს ქორწინებას“. ქორწინების სამართლის რეგულირება მიეკუთვნება სახელმწიფოების დამოუკიდებელ კომპეტენციას, რომლებიც თვითონ წყვეტენ ამ საკითხს ეროვნული კანონმდებლობის დონეზე.

### X, Y and Z v. the UK

22/04/1997

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღიარა ოჯახური ურთიერთობების სიმრავლე ტრანსსექსუალ მამაკაცსა და მისი პარტნიორი ქალბატონის შვილს შორის“. (X მოქმედებდა როგორც Z-ის „მამა“ ყველა ასპექტში დაბადების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ დე-ფაქტო ოჯახური კავშირები აერთიანებდა სამივე განმცხადებელს“).

**B. v. France**

25/03/1992

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ტრანსსექსუალების უფლებების აღიარების საქმეზე. განმცხადებელი იყო ტრანსსექსუალი ქალბატონი, ვინმე B., რომელიც ჩიოდა საფრანგეთის ხელისუფლებასთან სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერთა რეესტრში მისი მოთხოვნის საფუძველზე ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტორები, რომლებიც განასხვავებდა ამ საქმეს საქმეებისგან – რეესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და კოსეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – კერძოდ, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ინგლისური და ფრანგული სისტემები. მაშინ, როცა გაერთიანებულ სამეფოში დაბადების მონუმბაში ცვლილების შეტანა მნიშვნელოვნად გართულებულია, საფრანგეთში გათვალისწინებულია, რომ დაბადების მონუმბის შინაარსი შესაძლებელია, განახლებადი იყოს ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საფრანგეთში ბევრ ოფიციალურ დოკუმენტში შეინიშნება „შეუსაბამობა იურიდიულ სქესსა და ტრანსსექსუალის რეალურ სქესს შორის“, მაგალითად, სოციალური დაცვის სამსახურის დოკუმენტებში ან საგადასახადო ქვითრებში. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო აქტების სარეგისტრაციო წიგნში ცვლილების შეტანაზე უარმა განმცხადებელი ჩააყენა „ყოველდღიურ სიტუაციაში, რომელიც არ შეესაბამება მისი პირადი ცხოვრების პატივისცემას“.

**Sheffield and Horsham v. The UK**

30/07/1998

სასამართლო არ იყო დარწმუნებული პოზიციებიდან გადახვევის აუცილებლობაში, რაც გამოხატა საქმეებზე – რეესი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და კოსეი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – კერძოდ: „ტრანსსექსუალობა კვლავაც რჩება რთული სამეცნიერო, სამართლებრივი, მორალური და სოციალური საკითხების წყაროდ, წვერი სახელმწიფოების საზოგადოდა აღიარებულ მიდგომასთან მიმართებით“ (§58). სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8, მე-12 და მე-14 მუხლები. თუმცა, „სასამართლო ადასტურებს, რომ ეს სფერო მუდმივად უნდა რჩებოდეს წვერისახელმწიფოების ყურადღების არეალში... ამ მოვლენის სოციალური აღქმის პროგრესი და პრობლემის აღიარება, რასაც ოპერაციის გზით სქესშეცვლილი პირები განიცდიან“ (§60).

**ქრისტინ გუდვინის საქმა**

**Christine Goodwin v. The UK**

11/07/2002

განმცხადებელმა შეიცვალა სქესი. იგი ჩიოდა, რომ მისი ახალი იდენტურობა იურიდიულად აღიარებული არ ყოფილა, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის, ქორწინების უფლების, სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის საკითხების გადაჭრისას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რაც გამოიწვია სოციალური აღქმის აშკარა და გაძლიერებულმა საერთაშორისო ტენდენციებმა ტრანსსექსუალებისა და ახალი გენდერული იდენტობის პირთა იურიდიული აღიარების მიმართ, რომლებმაც ოპერაციის გზით შეიცვალეს სქესი. „საჯარო ინტერესების მნიშვნელოვანი ფაქტორების არარსებობისას, რომელიც შესაძლოა დაუპირისპირდეს განმცხადებლის პირად ინტერესს სქესის შეცვლის იურიდიული აღიარების მიღებაში, სასამართლო ასკვნის, რომ სამართლიანი ბალანსი დამაჯერებლად გადაიფარება განმცხადებლის სასარგებლოდ“.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-12 მუხლი, კერძოდ: „სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ კონვენციის მე-12 მუხლის ნორმაში არსებული მითითებები გულისხმობს სქესის განმარტებას მხოლოდ ბიოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე“ (§100). სასამართლომ გადანიშნა, რომ სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს პირობები და ფორმალობები ტრანსსექსუ-

ალების ქორწინებასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლო „ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნის ტრანსსექსუალთათვის ხელის შემლაში მათი ქორწინების უფლებების გამოყენებასთან დაკავშირებით“.

აღნიშნულ საქმეზე დიდი პალატის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გაერთიანებულ სამეფოში აამოქმედეს მექნიზმი, რომელიც ტრანსსექსუალებს უფლებას მისცემდა, განაცხადის შეტანის წესით მიიღონ სქესის აღიარების შესახებ სერტიფიკატი. ორი ზემოხსენებული საქმე ეხებოდა ტრანსსექსუალებს, რომლებმაც იქორწინეს ოპერაციამდე და სურდათ, ესარგებლათ სქესის აღიარების ახალი პროცედურით.

## Wena and Anita Parry v. The UK

### R. and F. v. The UK

განმცხადებლები აღნიშნულ საქმეებზე იყვნენ დაქორწინებული წყვილები, რომელთაც ჰყავდათ შვილები. თითოეულ საქმეზე ორივე წყვილის შემთხვევაში ერთმა მეუღლემ შეიცვალა სქესი ქირურგიული ოპერაციით და მეორე მეუღლესთან დარჩა ქორწინებაში. 2004 წელს „სქესის აღიარების შესახებ“ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, სქესშეცვლილმა განმცხადებლებმა შუამდგომლობით მიმართეს ხელისუფლების შესაბამის ნარმომადგენლებს სქესის აღიარების სერტიფიკატის გაცემის თაობაზე, რომლის მიღებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში.

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 და მე-12 მუხლები, რადგან ვერ შეძლეს, მოეპოვებინათ მიღებული სქესის იურიდიული აღიარება ქორწინების გაუქმების გარეშე.

ორივე განაცხადი სასამართლომ მიუღებლად გამოაცხადა, კერძოდ: განმცხადებლებს უნდა გაეუქმებინათ თავიანთი ქორწინება, რადგან იგლისური სამართალი არ აღიარებს ერთსქესიან ქორწინებას. გაერთიანებულმა სამეფომ შეასრულა თავისი ვალდებულება სქესის შეცვლის იურიდიული აღიარების თაობაზე, ხოლო განმცხადებლებს შეეძლოთ, გაეგრძელებინათ თავიანთი ურთიერთობები სამოქალაქო პარტნიორობის ფარგლებში, რომლებიც ნარმომადგენენ მსგავს უფლებებსა და ვალდებულებებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი სისტემის ამოქმედების მომენტში (ქრისტი გუდვინის საქმეზე დადგენილების გამოტანის შემდეგ) კანონმდებელმა იცოდა, რომ ზოგიერთი ტრანსსექსუალი იმყოფებოდა ქორწინებაში, მაგრამ შეგნებულად არ გააკეთა ნორმის ჩანაწერი, რომელიც საშუალებას მისცემდა ასეთი ქორწინებების შენარჩუნებას იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე მოისურვებდა, ესარგებლა სქესის აღიარების პროცედურით. სასამართლო მიიჩნია, რომ ამგვარ ქორწინებაში მყოფი წყვილების მცირე რაოდენობის გამო შეუძლებელი იყო სახელმწიფოსათვის მოგეთხოვა განსაკუთრებული საკანონმდებლო ნორმების შემოღება.

## Schlumpf v. Switzerland

08/01/2009

განმცხადებელს სამედიცინო-სადაზღვევო კომპანიამ უარი უთხრა სქესის შეცვლის ოპერაციის ხარჯების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მან არ დაიცვა ოპერაციამდელი პერიოდის ვადა, რაც ორ წელიწადს შეადგენდა (სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ეს აუცილებელი პირობაა ამგვარი ოპერაციების ხარჯების ასანაზღაურებლად).

კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა: მოლოდინის ვადა მექანიკურად იქნა გამოყენებული, განმცხადებლის ასაკის გათვალისწინების გარეშე (ის 67 წლის იყო). ამ ვადას შეეძლო გავლენა მოეხდინა განმცხადებლის გადაწყვეტილებაზე გაეკეთებინა ოპერაცია, რაც ნარმომადგენს მისი თავისუფლების შეზღუდვას, განსაზღვროს თავისი გენდერული იდენტობა.

**P.V. v. Spain**

30/11/2010

განმცხადებელი იყო ტრანსსექსუალი ქალბატონი. ოპერაციამდე იგი ქორწინებაში იმყოფებოდა ქალბატონთან, რომელთანაც 1998 წელს შეეძინა ვაჟი. განქორწინების შემდეგ, 2002 წელს, განმცხადებელმა შეიტანა საჩივარი იმაზე, რომ სასამართლოები უზღუდავდნენ შვილთან კონტაქტის უფლებებს, რაც დასაბუთებული იყო მისი ოპერაციის შემდგომი ემოციური არასტაბილურობით. ადგილობრივი სასამართლოების აზრით, ემოციურ არასტაბილურობას შეეძლო ევრო ბავშვისათვის, რომელიც იმ დროისათვის ექვსი წლის იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან მიმართებით, რადგან ბავშვთან კონტაქტის შეზღუდვა არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც დისკრიმინაცია განმცხადებლის ტრანსსექსუალობის გამო. ესპანური სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავდა ბავშვთან კონტაქტის უფლებას, ეფუძნებოდა მხოლოდ განმცხადებლის ემოციური არასტაბილურობის მდგომარეობას და გამომდინარეობდა ბავშვის ინტერესებიდან. ადგილობრივმა სასამართლოებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მას თანდათანობით გაეფლო ადაპტაცია თავისი ბიოლოგიური მამის მიერ სქესის შეცვლის ფაქტთან დაკავშირებით.

**P. v. Portugal**

06/09/20110

განმცხადებელი დაბადებით მამრობითი სქესის პირად იყო რეგისტრირებული. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ მან გაიარა სქესის შეცვლის პროცედურა და საჭირო ოპერაცია. იგი ჩიოდა, რომ არ იყო აღიარებული მისი იურიდიული მდგომარეობა და ასევე აღნიშნული საკითხის რაიმე საკანონმდებლო რეგულირება. პორტუგალიაში ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა. განმცხადებლის მოთხოვნა მისი იურიდიული სტატუსის აღიარებაზე ადგილობრივმა სასამართლოებმა დააკმაყოფილეს. შესაბამისად, სასამართლომ განმცხადებლის საქმის განხილვა შეწყვიტა.

**Genderdoc-M v. Moldova**

(განაცხადი №9106/06)

აპლიკანტი არის მოლდავეთის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია მოლდავეთში. მის საქმიანობას შეადგენს ე.წ. LGBT (ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები) პირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დახმარება. საქმე ეხება განმცხადებელი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი დემონსტრაციის აკრძალვას, რომელიც უნდა გამართულიყო კიშინიოვში 2005 წლის მაისში სექსუალური უმცირესობის დისკრიმინაციისაგან დაცვის კანონმდებლობის შემოღების მოთხოვნით. განმცხადებლები ჩივიან, რომ აკრძალვა უკანონო იყო და მათ მიმართ ხორციელდებოდა დისკრიმინაცია, ვინაიდან ისინი იცავდნენ გეების გაერთიანების ინტერესებს მოლდავეთში. განმცხადებლები მიუთითებენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები.

## სიძულვილის ენა (HATE SPEECH)

„...ტოლერანტობა და თითოეული ადამიანის ღირსების თანაბარი პატივისცემა დემოკრატიული, პლურალისტური საზოგადოების საფუძველს წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, ამ პრინციპიდან გამომდინარე, ზოგიერთ დემოკრატიულ საზოგადოებაში, შესაძლოა, საჭიროდ ჩაითვალოს გამოსატყვის ნებისმიერ ფორმაზე სანქციის დანერგვა ან სულაც მისი აღკვეთა, თუ იგი ავრცელებს, იწვევს, ხელს უწყობს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ სიძულვილს...“

(პალატის გადაწყვეტილება, *Erbakan v. Turkey* განაცხადი №59405/00, §56, 6.07.2006).

### ზოგადი პრინციპები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ავტორები შეეცადნენ, შეექმნათ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუციონალური ჩარჩოები ექსტრემიზმის დაძლევის მიზნით.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა გამოსატყვის რამდენიმე ფორმა, რომლებიც შეურაცხყოფელად ითვლება და ეწინააღმდეგება კონვენციას (მათ შორის – რასიზმი, ქსენოფობია, ანტისემიტიზმი, აგრესიული ნაციონალიზმი და უმცირესობათა და ემიგრანტთა დისკრიმინაცია).

თუმცა, სასამართლო ასევე ფრთხილია თავის დასკვნებში, განასხვავოს და გამიჯნოს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, ჭეშმარიტი და სერიოზული ექსტრემიზმი და, მეორე მხრივ, იდივიდუალური (მათ შორის ჟურნალისტთა და პოლიტიკოსთა) უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი შეხედულება, მოსაზრება და „მიაყენონ შეურაცხყოფა, დარტყმა ან შეანუხონ“ სხვები.

„სიძულვილის ენის“ (Hate Speech) საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ჩამოაყალიბა გარკვეული პარამეტრები, რომლებიც „სიძულვილის ენის“ დახასიათების საშუალებას იძლევა, ისე, რომ გამოირიცხოს აზრის გამოხატვის თავისუფლების (მუხლი 10), ან შეკრების და გაერთიანების თავისუფლების (მუხლი 11) მუხლების დარღვევა.

სასამართლო გამოირიცხავს „სიძულვილის ენას“ მისი დაცვის ფარგლებისგან კონვენციაში ჩამოყალიბებული ორი მიდგომის საშუალებით:

ა) მე-17 მუხლის გამოყენებით (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა) იმ შემთხვევებში, როდესაც განსახილველი კომენტარები „სიძულვილის ენას“ უტოლდება და უგულებელყოფს კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებს, ან

ბ) მე-10 მუხლის მეორე პუნქტითა და მე-11 მუხლით დანერგული შეზღუდვების გამოყენებით (ეს მიდგომა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა განსახილველი სიტყვა/კომენტარი/განცხადება, მიუხედავად იმისა, რომ „სიძულვილის ენას“ წარმოადგენს, არ არის მიმართული კონვენციის ფუნდამენტური ღირებულებების დარღვევისაკენ).

### რასობრივი „სიძულვილის ენა“

#### *Aksu v. Turkey*

(განაცხადი № 4149/04 და №41029/04; 15/03/2012).

მუსტაფა აქსუ, რომელიც წარმოშობით ბოშაა, ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სამი პუბლიკაცია (წიგნი ბოშების შესახებ და 2 ლექსიკონი) შეიცავდა ბოშათა საზოგადოების შეურაცხყოფელ პასაჟებს, შენიშვნებსა და გამოთქმებს, რომლებშიც ასახული იყო ამ საზოგადოებისადმი მტრული დამოკიდებულება. იგი ჩივის მე-14 მუხლის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში დარღვევის შესახებ იმ შენიშვნებთან დაკავშირებით, რომლებიც მან დისკრიმინაციულად და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფისათვის შეურაცხყოფელად მიიჩნია.



სასამართლომ დაადგინა, რომ არც წიგნი და არც ლექსიკონები არ იყო შეურაცხმყოფელი ბოშათა საზოგადოებისათვის. უბრალოდ, ხაზი გაესვა საზოგადოებაში უკვე არსებულ სტერეოტიპებს, და რომ ლექსიკონში მოცემულ გამოთქმებს და განმარტებებს წინ უძღოდა განმარტებები, რომლებითაც ისინი მეტაფორულ მნიშვნელობას იძენდნენ. სასამართლოს მოსაზრებით, ბატონ აქსუს არ განუცდია რაიმე სახის დისკრიმინაციული მოპყრობა მის ბოშურ წარმოშობასთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია მე-18 მუხლის მე-8 მუხლთან ერთობლიობაში დარღვევას.

## Feret v. Belgium

(განაცხადი № 15615/07; 16/07/2009).

დენიელ ფერეთი იყო ბელგიის პარლამენტის წევრი და ბელგიაში პოლიტიკური პარტია „Front National - Nationaal Front“-ის თავმჯდომარე. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის ბროშურები დარიგდა, რომლებზეც შემდეგი სახის სლოგანები იყო დაბეჭდილი: „აღსდექით ბელგიის ისლამიზაციის წინააღმდეგ“, „შენყდეს ყალბი ინტეგრაციის პოლიტიკა“ და „გააგზავნეთ არაევროპელი სამსახურის მაძიებლები სახლებში“. ბატონ ფერეთს ბრალი დაედო რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზებაში. მას მიესაჯა საზოგადოებრივი შრომა და ჩამოერთვა პარლამენტში მუშაობის უფლება 10 წლით. იგი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის უფლება.

სასამართლოს მოსაზრებით, ბატონი ფერეთის კომენტარებს აშკარად შეეძლო გამოეწვია უნდობლობის, უარყოფის ან თუნდაც სიძულვილის გრძნობა უცხოელებთან მიმართებით, განსაკუთრებით საზოგადოების ნაკლებად ცნობილ წევრებში. საარჩევნო კონტექსტში, გადმოცემულმა მისმა გზავნილებმა საკმაოდ მძიმე რეზონანსი გამოიწვია და ნათლად წარმოაჩინა რასობრივი სიძულვილის წაქეზება. აპლიკანტის ბრალდება გამართლებული იყო არეულობის პრევენციის და სხვათა, კერძოდ, იმიგრანტთა საზოგადოების წევრების უფლებათა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

## Leroy v. France

(განაცხადი 36109/03; 02/10/2008).

დენის ლეროი მულტიპლიკატორია. მისი ერთ-ერთი ნამუშევარი, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმას ასახავს, 2011 წლის 13 სექტემბერს გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „Basque“ წარწერით: „ჩვენ ყველა ვოცნებობდით ამაზე... ჰამასმა კი გააკეთა ეს“. მიესაჯა რაჯარიმის გადახდა „ტერორიზმის მიმართ შემწყნარებლობისათვის“, ბატონი ლეროი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ თავისი ნამუშევრებით აპლიკანტი ადიდებდა ამერიკული იმპერიალიზმის ძალადობრივ განადგურებას, გამოხატავდა მორალურ მხარდაჭერას 11 სექტემბრის ტერაქტის განმახორციელებელი პირების მიმართ, ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობას იწონებდა და ამცირებდა მსხვერპლთა ღირსებას. მიუხედავად გაზეთის შეზღუდული ტირაჟისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნამუშევრის გამოქვეყნებაზე საზოგადოების კონკრეტულ ნაწილს უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, რომელსაც ძალადობის გამოწვევა და ბასკეთში საზოგადოებრივ წესრიგზე თვალსაჩინო გავლენის მოხდენა შეეძლო. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

## Jersild v. Denmark

(განაცხადი № 15890/89; 23/09/1994).

ჟურნალისტმა ჯენს ოლაფ ჯერსილმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი, რომელიც შეიცავდა ამონარიდებს 3 ახალგაზრდისთვის ჩამორთმეული ინტერვიუსგან. ისინი იყვნენ ახალგაზრდული ჯგუფის წევრები, რომლებიც საკუთარ თავს „the Greenjackets“-ს უწოდებდნენ და აკეთებდნენ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ განცხადებებს ემიგრანტებისა და ეთნიკური ჯგუფების მიმართ დანიაში. ბატონ ჯერსილს ბრალი დაედო რასისტული გამონათქვამების/მნიშვნელების წაქეზებასა და გავრცელების ხელშეწყობაში. აპლიკანტი ამტკიცებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება დაირღვა.

სასამართლომ ერთმანეთისაგან გამიჯნა „the Greenjackets“-ის წევრები, რომლებმაც მკაფიო რასისტული განცხადებები გააკეთეს, და ბატონი ჯერსილდი, რომელიც ცდილობდა ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფის შესწავლას, მათი გამონათქვამების ანალიზსა და ახსნას. აღნიშნული საკითხები იმ დროისათვის საკმაოდ დიდი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენდა. დოკუმენტური ფილმი მთლიანობაში, როგორც ასეთი, არ იყო მიმართული რასისტული შეხედულებებისა და იდეების პროპაგანდისაკენ, ის მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას სოციალური საკითხების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მიღებული ზომები: გაიცა ნებართვა ბატონი ჯერსილდის წინააღმდეგ წარმოების ხელახლა აღძვრის შესახებ.

ამასთან, სხვა ჟურნალისტთან დაკავშირებულ საქმეზე, რომელსაც ბრალად ედებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, რადგან ის სათანადო უფლების გარეშე შევიდა არასაჯარო ადგილას, დანიის უზენაესმა სასამართლომ გაამართლა ბრალდებული, მხედველობაში მიიღო რა ჯერსილდის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს დადგენილება.

ასევე იხილეთ:

### **Glimmerveen and Hagenbeek v. the Netherlands**

(№ 8348/78 და № 8406/78, 11/10/1979)

პოლიტიკური პარტია ეფუძნებოდა რწმენას, რომ სახელმწიფოს ზოგად ინტერესებს ყველაზე კარგად ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა ემსახურება.

### **საქსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული „სიძულვილის ენა“**

#### **Vejdeland and others v. Sweden**

(განაცხადი № 1813/07; 09/02/2012).

საქმე ეხებოდა აპლიკანტების მსჯავრდებას საშუალო სკოლაში დაახლოებით 100 ბროშურის დარიგების ფაქტზე, რომლებიც სასამართლოებმა ჰომოსექსუალებისათვის შეურაცხმყოფელად მიიჩნია. აპლიკანტებმა დაარიგეს ბროშურები ორგანიზაცია „National Youth“-ის სახელით, ბროშურებს მოსწავლეების მერხებზე და კარაღებში ტოვებდნენ. ბროშურებში რეალურად იყო განცხადებები იმის თაობაზე, რომ ჰომოსექსუალიზმი არის „ანომალიური სექსუალური მიდრეკილება“, რომელსაც აქვს „მორალურად გამანადგურებელი ეფექტი საზოგადოების არსზე“ და რომელიც შიშის გავრცელების მიზეზია. აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ ჰომოსექსუალების, როგორც ჯგუფის, მიმართ ზიზლის გამოხატვის განზრახვა და აცხადებდნენ, რომ მათი ქმედებების მიზანი იყო, დაწყებულიყო დებატები შვედეთის სკოლებში განათლებაში ობიექტურობის ნაკლებობის გამო.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ეს განცხადებები წარმოადგენდა სერიოზულ და საზიანო ბრალდებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ იყო პირდაპირი მოწოდება სიძულვილით სავსე აქტებისადმი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია არის იმდენადვე სერიოზული, რამდენადაც „რასის, წარმომავლობის ან კანის ფერის“ მიხედვით ადამიანის დისკრიმინაცია.

### **რელიგიასთან დაკავშირებული „სიძულვილის ენა“**

#### **Pavel Ivanov v. Russia**

(განაცხადი № 35222/04; 20/02/2007; გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ).

პაველ ივანოვმა დაწერა და გამოსცა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც ებრაელები წარმოდგენილნი იყვნენ როგორც ყოველგვარი ბოროტების წყარო რუსეთში. იგი მათ რუსი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებდა; მისი განცხადებების შინაარსი აშკარად ანტისემი-

ტური იყო. აპლიკანტს ბრალი დაედო ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური ზიზლის წაქეზებაში. ბატონი ივანოვი ჩიოდა მისი ქმედითი სამართლებრივი მისაგებლისადმი უფლების დარღვევის შესახებ (მუხლი 13), ამტკიცებდა რა, რომ მისი ბრალი დაფუძნებული იყო წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებზე. იგი აკრიტიკებდა რუსულ სასამართლოებს იმ საექსპერტო დასკვნის გაცემაზე უარის თქმისათვის, რომელსაც შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ებრაელები ერს არ წარმოადგენენ. იგი ასევე აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ რელიგიური მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი (მუხლი 14).

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბატონი ივანოვი ჩიოდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზე, რომელიც დაცულია მე-10 მუხლით. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს, რომელმაც თავისი პუბლიკაციებით ებრაელი ხალხის მიმართ სიძულვილის გაღვივება სცადა და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის მიმართ ძალადობას დაუჭირა მხარი, არ შეეძლო მოეთხოვა მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვის უფლება და დაუშვებლად ცნო განაცხადი.

### Norwood v. United Kingdom

**(განაცხადი № 23131/03; 16/11/2004; გადაწყვეტილება განაცხადის დასაშვებობის შესახებ)**

მარკ ენტონი ნორვუდმა, ბრიტანეთის ნაციონალური პარტიის წევრმა თავის ფანჯარაში გამოაკრა პარტიის მიერ მოწოდებული პოსტერი, რომელზეც ასახული იყო ცეცხლის აღში გახვეული ტყუპი ცათამბჯენი (Twin Towers). სურათზე იყო შემდეგი წარწერა: „ისლამი ბრიტანეთის გარეთ – დავიცვათ ბრიტანელი ხალხი“. შედეგად, მას ბრალი დაედო მძიმე, მტრულ დამოკიდებულებაში რელიგიური ჯგუფის მიმართ. ბატონი ნორვუდი, სხვა საკითხებთან ერთად, ჩიოდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი, მძლავრი შეტევა რელიგიური ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც მთლიან ჯგუფს აიგივებდა ტერორიზმის მძიმე აქტთან, შეუთავსებელი იყო კონვენციით გაცხადებულ და გარანტირებულ ღირებულებებთან, განსაკუთრებით ტოლერანტობასთან, სოციალურ მშვიდობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობასთან. სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონ ნორვუდს არ შეეძლო, მოეთხოვა მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვა და განაცხადი დაუშვებლად ცნო.

### Gunduz v. Turkey

**(განაცხადი 35071/97; 04/12/2003).**

მუსლუმ გიუნდუზი იყო ისლამური სექტის თით გამოცხადებული წევრი. სატელევიზიო დებატების დროს, რომელიც გვიან საღამოს მიმდინარეობდა, მან ძალიან კრიტიკულად ისაუბრა დემოკრატიის შესახებ, აღწერდა რა თანამედროვე საერო დაწესებულებებს როგორც „ბინიერ, ცოდვილ“ ინსტიტუტებს, სასტიკად აკრიტიკებდა საერო და დემოკრატიულ პრინციპებს და ღიად მოუწოდებდა ხალხს შარიათის წესის (Sharia Law) გამოყენებისაკენ. მას ბრალად დაედო ხალხის ღიად წაქეზება მტრობისა და სიძულვილისკენ, განსხვავებული რელიგიის ან სექტის წევრობის საფუძველზე. ბატონი გიუნდუზი ამტკიცებდა, რომ შეილახა მისი გამოხატვის თავისუფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონი გიუნდუზის მიერ გამოხატული სექტის ექსტრემისტული იდეები საზოგადოებისათვის ისედაც ცნობილი იყო, რადგანაც ის აქტიურად მონაწილეობდა ცხარე საჯარო დებატებში. აღნიშნული პლურალისტური დებატები მიზნად ისახავდა, წარმოედგინა სექტა და მისი არაორთოდოქსალური შეხედულებები, მათ შორის მოსაზრება დემოკრატიული ღირებულებები, ისლამის კონცეფციასთან შეუთავსებლობის შესახებ. აღნიშნული თემა ფართომასშტაბიანი დებატის საგანი იყო თურქულ მედიაში და ზოგადად დიდ ინტერესს იწვევდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი გიუნდუზის შენიშვნები არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც ძალადობისაკენ მოწოდება ან „სიძულვილის ენა“ რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

ასევე იხილეთ:

### W.P. and others v. Poland

**(გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ), № 42264/98, 02/09/2004).**

## ნებაციონიზმი

### Garaudy v. France

(განაცხადი № 65831/01; 24/06/2003 გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ).

„The Founding Myths of Modern Israel“ წიგნის ავტორს, როჯერ გარაუდის, ბრალი დაედო კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის არსებობის უარყოფაში, ადამიანთა ჯგუფის – კერძოდ, ებრაული საზოგადოების – საჯაროდ ცილისწამებასა და რასობრივი სიძულვილის ნაქეზებაში. ბატონი გარაუდი ამტკიცებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აპლიკანტის განცხადებების არსი ჰოლოკოსტის უარყოფას გულისხმობდა და ხაზი გაუსვა, რომ „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უარყოფა იყო ებრაელთა რასობრივი ცილისწამებისა და მათ მიმართ რასობრივი სიძულვილის ნაქეზების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფორმა“. ნათლად დადგენილი ისტორიული მოვლენების ეჭვქვეშ დაყენება არ წარმოადგენს სამეცნიერო ან ისტორიულ კვლევას; ნამდვილი მიზანი იყო ნაციონალურ – სოციალისტური რეჟიმის, წყობის რეაბილიტაცია და თავად მსხვერპლთა დადანიშნულება ისტორიის გაყალბებასა და დამახინჯებაში. აქტები, როგორც ასეთი, აშკარად შეუთავსებელი იყო კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებთან; სასამართლო დაეყრდნო მე-17 მუხლს და დაადგინა, რომ ბატონი გარაუდი არ სარგებლობს კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის უფლებით. სასამართლომ დაუშვებლად ცნო განაცხადი.

### Lehideux et Isorni v. France

(განაცხადი № 24662/94; 23/09/1998).

მარი-ფრანსუა ლეჰიდუქსმა და ჟაკ ისორნიმ დანერგეს ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა ყოველდღიურ გაზეთ „Le Monde“-ში და რომელმაც დადებითად წარმოაჩინა მარშალი პეტენისი, აჩუმათებდა რა მის ნაცისტურ რეჟიმთან თანამშრომლობის პოლიტიკას. ტექსტი სრულდებოდა შემოთავაზებით, მიენერათ მარშალ პეტენის სახელობის ორი ასოციაციისათვის მისი საქმის ხელახლა გახსნის, 1945 წლის განაჩენის (რომლითაც აღნიშნულ პირს სიკვდილით დასჯა და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა მიესაჯა) გაუქმებისა და მარშლის რეაბილიტაციის შესახებ. წინააღმდეგობის ყოფილი წევრების ეროვნული ასოციაციის სარჩელის საფუძველზე ორივე ავტორს ბრალი დაედო ომის დანაშაულებათა და მტერთან თანამშრომლობის დანაშაულის სახალხოდ მხარდაჭერაში. ავტორები ამტკიცებდნენ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება აღქმულიყო როგორც პოლემიკური ტექსტი, ვერ ჩაითვლება ნეგაციონისტურად, რადგან ავტორები წერდნენ არა თავიანთი, არამედ ორი ასოციაციის სახელით და მალალ შეფასებას აძლევდნენ არა იმდენად ნაცისტურ პოლიტიკას, არამედ კონკრეტულ პიროვნებას. და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ტექსტში აღწერილი მოვლენები მის გამოცემამდე 40 წლით ადრე ხდებოდა და რომ „ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან გამომდინარე ისეთივე უადგილოა მსგავსი შენიშვნების გაკეთება 40 წლის შემდეგ, როგორც მათი გაკეთება 10-20 წლით ადრე“. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა.

ასევე იხილეთ:

### Honsik v. Austria

(განაცხადი 25062/94, 18/10/1955).

განაცხადი ეხება გამოცემას, რომელშიც უარყოფილი იყო ნაციონალური სოციალიზმის რეჟიმის პირობებში საკონცენტრაციო ბანაკების გაზის კამერებში გენოციდის ფაქტი.

### Marias v. France

(განაცხადი № 31159/96, 24/06/199).

საქმე ეხება სტატიას, რომელიც ნაწილობრივ მიზნად ისახავდა „გაზით მოწამვლის სავარაუდო ფაქტების“ სამეცნიერო არადაამაჯერებლობის დემონსტრირებას.

## ტოტალიტარულ დოქტრინაზე დაფუძნებული მოხსენება

### ისლამური ფუნდამენტალიზმი

#### Rafah Partisi (The Welfare Party) and others v. Turkey

(განაცხადი № 41340/98, 41342/98, 41343/98 და 41344/98; 13/02/2003).

1998 წელს Refah partisi (კეთილდღეობის პარტია) დაიშალა იმის გამო, რომ პარტია გახდა „სეკულარიზმის პრინციპების წინააღმდეგ მოქმედებების ცენტრი“ და რომ მისი ლიდერის მიერ გაკეთებული სხვადასხვა განცხადება და განხორციელებული ქმედებები მიუთითებდა, რომ ზოგიერთი პარტიის მიზანი, როგორცაა შარიათის კანონისა და თეოკრატიული რეჟიმის დანერგვა, ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს. პარტიის რამდენიმე წევრი ჩიოდა, რომ შეილახა მათი გაერთიანების თავისუფლების უფლება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ Refah partisi-ის მოქმედებები და გამოსვლები ააშკარაებდა მის გრძელვადიან განზრახვას შეექმნა შარიათის კანონებზე დაფუძნებული რეჟიმი და რომ იგი არ გამოირიცხავდა იძულებითი, ძალადობრივი რესურსების გამოყენებას. სასამართლომ აზრით, პარტიის რეალური შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენდა უშუალო საფრთხეს დემოკრატიისათვის და ამართლებდა მის დაშლას. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა.

როგორც წესი, სასამართლო მიუღებლად აცხადებს, კონვენციის ღირებულებებთან შეუთავსებლობის გამო საჩივრებს, რომლებიც ტოტალიტარული დოქტრინის ელემენტებს შეიცავენ ან რომლებიც გამოხატავენ იდეებს, რომლებიც დემოკრატიული წესრიგისათვის საფრთხეს წარმოადგენენ და ცდილობენ საქმე მიიყვანონ ტოტალიტარული რეჟიმის აღდგენამდე.

ასევე იხილეთ:

(neo-) Nazism; National Socialism (№ 250/57, 20.07.1957; (B.H.; M.W; H.P; G.K. v. the Federal Republic of Austria) (განაცხადი № 12774/87, 12.10.1989).

ქურთული ნაციონალიზმი: Medya FM Radyo ve İletişim Hizmetleri A.S. v. Turkey (მედია FM რეპა რადიო და ილექტივიმ ჰიზმეტლერი ა.შ. თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადი № 32842/02, 14.11.2006).

## პოლიტიკური გამოსვლა/მოხსენება

#### Faruk Temel V. Turkey

(განაცხადი № 16853/05; 01/02/2011).

ფარუკ თემელმა, კანონის საფუძველზე დაარსებული პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარემ, პარტიის შეხვედრაზე პრესას გააცნო განცხადება, რომელშიც იგი აკრიტიკებდა შეერთებული შტატების შეჭრას ერაყში და ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის საკანში განმარტოებით დაპატიმრებას. იგი ასევე აკრიტიკებდა ციხიდან ადამიანების გაქრობის ფაქტებს. მისი გამოსვლის შემდეგ ბატონ თემელს ბრალი დაედო პროპაგანდის გავრცელებაში იმის საფუძველზე, რომ მან საჯაროდ მხარი დაუჭირა ძალადობას და სხვა ტერორისტულ მეთოდებს. ბატონი თემელი აცხადებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება ირღვეოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე საუბრობდა როგორც პოლიტიკური პირი და ოპოზიციური პარტიის წევრი, წარმოადგენდა რა თავისი პარტიის შეხედულებებს საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელოვან თემასთან დაკავშირებით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მისი გამოსვლა, ზოგადად, არ უბიძგებდა სხვებს ძალადობის გამოყენებისკენ, შეიარაღებული წინააღმდეგობისა და ამბოხებისაკენ და არ უტოლდებოდა „სიძულვილის ენას“. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

## Otegi Mondragon v. Spain

(განაცხადი № 2034/07; 15/03/2011).

გოტერი მონდრაგონი, მემარცხენე ბასკური სეპარატისტული საპარლამენტო ჯგუფის პრესსპიკერი, პრესკონფერენციაზე შეეხო ბასკური ყოველდღიური გაზეთის დახურვის თემას (დაიხურა ETA-სთან (Euskadi Ta Askatasuna) კავშირის გამო). იგი ასევე შეეხო პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციისას დაკავებული პირების მიმართ სავარაუდო ცუდი მოპყრობის საკითხს. თავის გამოსვლაში იგი ესპანეთის მეფეს, მოიხსენიებდა, როგორც „ესპანური შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, სხვა სიტყვებით კი, ჯალათთა, მტანჯავთა მთავარსარდალად, რომელიც მხარს უჭერს ტანჯვას და თავს ახვევს ხალხს თავის მონარქიულ რეჟიმს ძალადობისა და ტანჯვის საშუალებით“. ბატონ მონდრაგონს მიესაჯა პატიმრობა მეფის სერიოზული შეურაცხყოფისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შენიშვნები არ წარმოადგენდა მეფის წინააღმდეგ პიროვნულ თავდასხმას და არც მის პირად ცხოვრებასა და ღირსებას ეხებოდა. ისინი ეხებოდნენ მხოლოდ მეფის როგორც სახელმწიფო აპარატისა და უსაფრთხოების ძალების მეთაურის, ინსტიტუციონალურ პასუხისმგებლობას. ამ ძალებმა აწამეს გაზეთის რედაქტორები. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბატონი მონდრაგონის პოლიტიკური კომენტარები ემსახურებოდა ფართო მასებში ესპანური ანტიტერორისტული მოქმედებების კონტექსტში უსაფრთხოების ძალების მიერ წამების სავარაუდო ფაქტებზე დებატების აღძვრას და, შესაბამისად, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დაირღვა.

ასევე იხილეთ:

## Erbakan v. Turkey

(ერბაკანი თურქეთის წინააღმდეგ, განაცხადი № 59405/00, 06/07/2006 )

პოლიტიკოსი, რომელიც ღიად მოუწოდებდა ხალხს სიძულვილისა და მტრობისაკენ რელიგიურ, რასობრივ და რეგიონალურ დიფერენციაციაზე დაყრდნობით.

## ანტიკონსტიტუციონალური/ნაციონალური სიძულვილის ენა

### მიმდინარე საქმე

## Beleri and Others v. Albania

(განაცხადი № 39468/09)

მტკიცებულებები ფაქტების ირგვლივ.

სარჩელი შეტანილ იქნა 2009 წლის 23 ივნისს და გადაეცა მთავრობას 2010 წლის მაისში.

მოსარჩელები აცხადებენ, რომ განეკუთვნებიან ბერძნულენოვან უმცირესობას ალბანეთში. 2003 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს მომხდარი ინციდენტების შემდგომ მათ მოაწყვეს დემონსტრაცია/აქცია, ატარებდნენ საბერძნეთის დროშებს და ხმამაღლა იძახდნენ ერთ-ერთი კანდიდატის მხარდამჭერ სლოგანებს. ალბანეთის ორგანოებმა დაიწყეს სისხლისსამართლებრივი წარმოება მათ წინააღმდეგ ეროვნული სიძულვილისა და სახელმწიფოსა და მისი სიმბოლოებისადმი ცილისწამების ფაქტებზე. მოსარჩელები აცხადებენ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლების უფლება შეილახა.

## Dink v. Turkey

(განაცხადი № 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 და 7124/09; 14/09/2010).

ფირათ (პრანქ) დინქმა, სომხური წარმომავლობის თურქმა ჟურნალისტმა, გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია სომხური წარმომავლობის თურქი მოქალაქეების იდენტობაზე. იგი წერდა, რომ სომ-

ხები შეპყრობილი არიან იდეით, ჰქონდეთ 1915 წლის აღიარებული გენოციდის მსხვერპლის სტატუსი, რომ თურქი ხალხი გულგრილი იყო მათი ამ მოთხოვნის მიმართ და ეს იყო ახსნა სომხების მიერ მიღებული ტრავმებისა. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ სომხური დიასპორის კავშირი საკუთარ ქვეყანასთან უნდა გაძლიერებულიყო უფრო ჯანსაღი სომხური იდენტობის ჩამოყალიბების მიზნით. ბატონი დინქის შენიშვნებმა გადამდები რეაქცია გამოიწვია უკიდურესად ნაციონალისტურ ჯგუფებში. მას ბრალი დაედო „თურქობის“ (თურქული იდენტობის) ლანძღვაში. დაახლოებით წელიწად-ნახევარში იგი მოკლეს ნაციონალისტ-ექსტრემისტებმა. მისი სიკვდილის შემდეგ, მისმა ოჯახმა, სხვა საკითხებთან ერთად იჩივლა მისი გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევის შესახებ.

სასამართლოს მთავარი დასკვნა იყო ის, რომ თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს ბატონი დინქის სიცოცხლის დაცვა. რაც შეეხება მის განცხადებებს და სტატიებს, იგი წერდა თავისი, როგორც უუსნალობის, სახელით თემაზე, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა, ცდილობდა რა ისტორიული სიმართლის დადგენას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ ბრალის წაყენებით, თურქეთის სასამართლო ორგანოებმა პირდაპირ დასაჯეს იგი თურქეთის სახელმწიფოს მიერ სომხების გენოციდის უარყოფის კრიტიკისათვის და ამით შელახეს მისი გამოხატვის თავისუფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი დარღვევა.

**Assosiation of Citizens „Radko” & Paunkovski v. „the former Yugoslav Republic of Macedonia”**

**(განაცხადი № 74651/01; 15/01/2009).**

ოფიციალურად დარეგისტრირებული მოქალაქეთა გაერთიანება, სახელად „რადკო“, ივან მიხაილოვ-რადკოს საპატივცემულოდ (მაკედონიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი 60 წლის განმავლობაში), დამალა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ასოციაცია უარყოფდა მაკედონიელი ხალხის იდენტობას ფაშისტური იდეების გავრცელებით მაკედონიელი ხალხის ბულგარული წარმომავლობის შესახებ. აღნიშნული ქმედება მიმართული იყო კონსტიტუციური წესრიგის საწინააღმდეგოდ და მოუწოდებდა ნაციონალური ან რელიგიური სიძულვილისკენ. ასოციაცია და მისი თავმჯდომარე, ბატონი პაუნკოვსკი ჩიოდნენ, რომ მათი გამოხატვის თავისუფლება ირღვეოდა.

სასამართლომ მიიჩნია; მხოლოდ ის ფაქტი, რომ ასოციაციას სახელი დაერქვა იმ ადამიანის საპატივცემულოდ, რომელიც საზოგადოების მიერ უარყოფითად არის აღქმული, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღქმული როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ძლიერ და გარდაუვალ საფრთხედ და არ ამართლებს ასოციაციის დაშლის ფაქტს. ამასთან, არ არსებობდა მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც სავარაუდო იყო, რომ ასოციაცია ხელს უწყობდა სიძულვილს, ან მიზნად ისახავდა ძალადობრივი მეთოდების ან ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებსაც შეეძლოთ კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა. იმის გათვალისწინებით, რომ ასოციაციის მიერ ქვეყნის ისტორიის ინტერპრეტაციას შეეძლო ხალხის შეძრწუნება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მაინც არ იყო დემოკრატიის წესების დარღვევა ან საჯაროდ ძალადობის მხარდაჭერა. სასამართლომ დაადგინა, რომ ასოციაცია არ უნდა დახურულიყო და კონვენციის მე-11 მუხლი დარღვევა.

**Surek v. Turkey**

**(განაცხადი №1) (განაცხადი № 26682/95; 08/07/1999).**

ქამილ თექინ სურეკი იყო ყოველკვირეული გაზეთის მფლობელი. მან გამოაქვეყნა ორი მკითხველის წერილი, რომლებიც სასტიკად გმობდა ხელისუფლების სამხედრო მოქმედებებს თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ბრალს სდებდა მათ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მეზობელ ქურთ ხალხზე არაადამიანურ ზეწოლაში. აპლიკანტს ბრალი დაედო „ქვეყნის განუყოფლობის, მთლიანობის წინააღმდეგ პროპაგანდის გავრცელებასა და ხალხში მტრობისა და სიძულვილის პროვოცირებაში“. იგი ჩიოდა მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევის შესახებ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო წერილები უტოლდებოდა სისხლიანი შურისძიებისაკენ მო-

წოდებას და რომ ერთ-ერთ მათგანში ხდებოდა პირების სახელდება (იდენტიფიცირება), მათ მიმართ სიძულვილის გამოწვევა და ფიზიკური ძალადობის რისკის ქვეშ დაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სურეჯი პირადად არ იყო ასოცირებული წერილში გამოხატულ მოსაზრებებთან, მან ამ წერილის გამოქვეყნებით მისცა მათ ძალადობისა და სიძულვილის ნაქეზების უფლება. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ როგორც გამომცემლობის მფლობელს, ბატონ სურეჯს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა იმ „მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებზე“, რომლებიც რედაქტორებმა და ჟურნალისტებმა იკისრეს ინფორმაციის შეგროვებისა და შემდგომ მისი ხალხში გავრელების პროცესში და რომელიც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა კონფლიქტურ და დაძაბულ სიტუაციებში. სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა.

ასევე იხილეთ:

#### **Partidul Comunistilor (nepeceristi) and Ungureanu v. Romania**

(განაცხადი № 46626/99, 03/02/2005 )

საქმე ეხება სპეციალურ რეგისტრაციაში პოლიტიკური პარტიის დარეგისტრირებაზე უარს იმ მიზეზით, რომ პარტიას შეეძლო, გამოენვია კომუნისტურ დოქტრინაზე დაფუძნებული სახელმწიფოს ხელახლა ჩამოყალიბების რისკი.

#### **Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden V. Bulgaria**

(განაცხადი № 29221/95 და 29225/95, 02/10/2001)

განაცხადი ეხებოდა პარტიის შეხვედრების აკრძალვას. პარტია შემდგომში არაკონსტიტუციურად გამოცხადდა და დაიშალა იმ მიზეზით, რომ შეხვედრები რისკის ქვეშ აყენებდა საზოგადოებრივ წესრიგს.

#### **Sidiropulos and others v. Greece**

(განაცხადი № 57/1997/841/1047, 10/07/1998)

საქმე ეხება ასოციაციის დარეგისტრირებაზე უარს იმ მიზეზით, რომ მისი დაარსების შემთხვევაში, მის მოქმედებებს შეეძლო საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიისათვის ერთიანობის, ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისათვის.



## ჯანმრთელობის ღაცვა

### მედიკამენტების გაყიდვა

Cantoni v. France

15/11/1996

ბატონი კანტონი, რომელიც სუპერმარკეტის მენეჯერი იყო, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა და დაეკისრა ჯარიმა ფარმაცევტული პროდუქციის უკანონოდ ვაჭრობის გამო. იგი ჩიოდა, რომ აფთიაქის სტატუსის არმქონე დაწესებულებებისათვის მედიკამენტების გაყიდვის ამკრძალავი კანონი არ იყო საკმარისად ნათელი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პრაქტიკა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ჩათვლილიყო სამედიცინო პრეპარატად, საფრანგეთში არსებობდა უკვე მოძველებული ფორმით, მინიმუმ – 1957 წლიდან. განმცხადებელს ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციისათვის რომ მიემართა, იგი გაიგებდა, რომ მედიკამენტებით ვაჭრობით რეალური რისკის წინაშე აყენებდა თავს, რომ მის წინააღმდეგ აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე. სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი.

### მკურნალობის საფასური

Nitecki v. Poland

21/03/2002

განმცხადებელი დაავადებული იყო ძალიან იშვიათი, სასიკვდილო დაავადებით და აცხადებდა, რომ არ ჰქონდა მკურნალობის ხარჯების დაფარვის საშუალება. იგი სასამართლოში ჩიოდა, რომ ხელისუფლებამ მისი მკურნალობის ხარჯების სრულად დაფარვაზე უარი განაცხადა (სამედიცინო დაზრდევამ მხოლოდ 70%-ით ანაზღაურებდა ხარჯებს).

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, შესაძლოა წარმოიშვას ისეთი საკითხები, როცა დადასტურდება, რომ ხელმომწერი სახელმწიფოები ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ სამედიცინო დახმარების განევაზე უარის შემთხვევაში. მათ აკისრიათ ვალდებულება, დაიცვან მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობა. განმცხადებლის შემთხვევა კი არ შეესაბამება ამგვარ სიტუაციას.

### პაციენტის ხელმისაწვდომობა თავის სამედიცინო ბარათზე

K.H. v. Slovakia

28/04/2009

განმცხადებლები არიან ბოშა ქალები, რომლებმაც ორ, სხვადასხვა საავადმყოფოში გინეკოლოგიური მკურნალობის გავლის შემდეგ დაკარგეს დაფეხმძიმების შესაძლებლობა. განმცხადებლებმა იეჭვეს, რომ ამის მიზეზი შესაძლოა, საავადმყოფოში ყოფნისას ჩატარებული სტერილიზაცია გამხდარიყო. ისინი ჩიოდნენ, რომ არ მიეცათ თავიანთი სამედიცინო ბარათების ქსეროასლების მიღების შესაძლებლობა.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ განმცხადებლებს უფლებას არ აძლევდნენ მიეღოთ სამედიცინო ბარათების ასლები. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც კონვენციასთან შესაბამისობით გატარდა, განმცხადებლებისათვის უკვე დაგვიანებული იყო.

## სამედიცინო ინფორმაციის განსაჯაროება

### Open Door and Dublin Well Woman v. Ireland

(29/10/1992)

განმცხადებელია ორი ირლანდიური ორგანიზაცია. ისინი ჩიოდნენ იმაზე, რომ სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანებით მათ აკრძალათ, ფეხმძიმე ქალებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია საზღვარგარეთ აბორტის გაკეთების თაობაზე. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელ ორგანიზაციებზე დაკისრებული აკრძალვა საფრთხეს უქმნიდა იმ ქალებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება, ან საკმარისი განათლება, რომ ეპოვათ და გამოეყენებინათ აბორტის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვა საშუალებები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო სხვა წყაროებიდანაც და რომ ირლანდიელ ქალებს შეეძლოთ აბორტის გასაკეთებლად ბრიტანეთში წასულიყვნენ, დაკისრებული აკრძალვა გარკვეულწილად არაეფექტური იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

## პროკურატურისათვის სამედიცინო დოსიის წარღვენა

### Avilkina and Others v. Russia

განმცხადებლები არიან სამი ფიზიკური პირი და რელიგიური ორგანიზაცია „რუსეთში იელოვას მონმეთა ადმინისტრაციული ცენტრი“. ორგანიზაცია ჩივის პროკურატურის მიერ მათი ორგანიზაციის საქმიანობის შესწავლის თაობაზე, რადგან პროკურატურა დარწმუნებული იყო იელოვას მონმეთა ექსტრემიზმში. განმცხადებლები, რომლებიც ფიზიკური პირები არიან, ჩივიან უმთავრესად იმაზე, რომ საგამოძიებო ორგანოებმა აიძულეს ექიმები მიეცათ სამედიცინო დოსიეში არსებული ინფორმაცია, რაზედაც მათ არ მიუციათ ნებართვა, ხოლო თავად ინფორმაცია გამოთხოვილი იყო არა სისხლისსამართლებრივი განხილვების ფარგლებში. ისინი ასევე ჩივიან, რომ საჯარო საავადმყოფოში იელოვას მონმეთებს უარი უთხრეს მკურნალობაზე მათი რელიგიური მრწამსის გამო.

საქმე ამჟამად განხილვის პროცესშია.

## ქიმიის მიერ სამედიცინო ეთიკის დარღვევა

### Diennet v. France

26/09/1995

განმცხადებელი, პროფესიით ექიმი, გარიცხეს ექიმების რეგიონალური რეესტრიდან პროფესიული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო მას შემდეგ, რაც მან აღიარა, რომ დაუსწრებლად უწევდა კონსულტაციებს ნონაში დაკლების მსურველ პაციენტებს. განმცხადებელი არასდროს შეხვედრია მათ, არ აწარმოებდა დაკვირვებას, არ ცვლიდა დანიშნულებას და ხშირად მისი არყოფნისას პაციენტებს კონსულტაციებს უწევდნენ მისი მდივნები. განმცხადებელი ჩიოდა, რომ სადისციპლინო ორგანოები, რომლებიც იხილავდნენ მის საქმეს, არ იყვნენ ობიექტურები და რომ საქმის განხილვა არ მიმდინარეობდა საქმის საჯაროდ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ საქმეზე საჯარო განხილვები არ მიმდინარეობდა, მაგრამ არ მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი დარღვეულად სადისციპლინო ორგანოების ობიექტურობასთან დაკავშირებით.

### Draon v. France (06/10/20025)

### Maurice v. France (06/10/20025)

განმცხადებლები არიან დაბადებით ინვალიდი ჩვილი ბავშვების მშობლები. მათი ინვალიდობა გამოიწვია ექიმების გულგრილობამ, რადგან დროულად არ გამოავლინეს ბავშვების დეფექტი.

განმცხადებლები ითხოვდნენ კომპენსაციას. მათი საქმეების განხილვისას შემოიღეს ახალი კანონმდებლობა, რომელიც ვრცელდებოდა ამ საქმეებზეც. შესაბამისად, განმცხადებლების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა სრული მოცულობით. სწორედ ამის თაობაზე მიმართეს მათ სტრასბურგის სასამართლოს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი, რადგან ახალი კანონის ძალაში შესვლით, განმცხადებლებს დაეკარგათ შესაძლებლობა, მოეთხოვათ ზარალის ანაზღაურება, რაც დიდი ოდენობით თანხას გულისხმობდა. ამ კანონის ამოქმედებით განმცხადებლებს არასაკმარისი კომპენსაცია მიეცათ.

## გარდაცვალება საავადმყოფოში

### Silih v. Slovenia

09/04/2009

განმცხადებლის 20 წლის შვილმა 1993 წელს სამედიცინო დახმარებისათვის მიმართა საავადმყოფოს, რადგან აწუხებდა ლებინება და ქავილი. საავადმყოფოში მას გაუკეთეს პრეპარატი, რომელზედაც პაციენტს ალერგია ჰქონდა. შედეგად იგი გარდაიცვალა. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათი შვილი გარდაიცვალა ექიმების გულგრილობის გამო და რომ გარდაცვალების ფაქტზე ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ საფუძველით, რომ მომხდარის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა ხანგრძლივად მიმდინარეობდა. ასევე სამოქალაქო სარჩელის განხილვა 13 წლის მანძილზე მიმდინარეობს და ჯერაც არ დამთავრებულა.

## გარემო პირობების არასასურველი ზეგავლენა

### Roche v. The UK

19/10/2005

1938 წელს დაბადებული განმცხადებელი 1992 წლიდან ოფიციალურად ცნობილია ინვალიდად. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ჰქონდა სერიოზული პრობლემები, რადგან 1960-იანი წლებიდან მსახურობდა ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში და ერთ-ერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას ტოქსიკური აირის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა. იგი ჩიოდა, რომ მას არ მიუწვდებოდა ხელი ყველა იმ საჭირო ინფორმაციაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა, სრულად შეეფასებინა ექსპერიმენტებში მონაწილეობის საფრთხე.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა პროცედურა, რომლის საშუალებითაც განმცხადებელი შეძლებდა ექსპერიმენტებში მონაწილეობის რისკების შესახებ ინფორმაციის მიღებას.

### Vilens v. Norway

#### Muledal and Others v. Norway

საქმეები ეხება განმცხადებლების მიერ ნორვეგიის ჩრდილოეთში ნავთობის მომპოვებელი სახელმწიფო კომპანიის წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ წყალქვეშა სამუშაოების შესრულების შედეგად დაინვალიდნენ და დაკარგეს მუშაობის უნარი. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ნორვეგიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ნორმების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემოღება, რომელიც დაკავშირებული იყო მყვინთავების საქმიანობის უსაფრთხოებასთანაც. განმცხადებლები ასევე ჩივიან, რომ ექსპერიმენტში მონაწილეობაზე არ არსებობდა მათი წინასწარი თანხმობა. ამჟამად საქმე იხილება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

## დაავადებულ პირთა გაქცევა

### D. v. the UK

02/05/1997

განმცხადებელი გაერთიანებულ სამეფოში ჩავიდა სენ-კიტსიდან (სახელმწიფო კარიბის ზღვაში). მას აღმოუჩინეს კოკაინი, დააპატიმრეს და მიუსაჯეს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით გაირკვა, რომ განმცხადებელი შიდსით იყო დაავადებული. გათავისუფლების წინ გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება სენ-კიტსში დეპორტაციის თაობაზე. განმცხადებელი ჩიოდა, რომ დეპორტაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რადგან თავის სამშობლოში არ არის გაერთიანებულ სამეფოში არსებული სამედიცინო მომსახურების მიღების შესაბამისი ეკვივალენტური შესაძლებლობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხოელებს, რომლებიც სასჯელს იხდიან გაერთიანებულ სამეფოში და ექვემდებარებიან გასახლებას, არ შეუძლიათ მოითხოვონ კონვენციის ხელმოწერილ სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენის უფლება იმ მოტივით, რომ განაგრძონ სამედიცინო, სოციალური და სხვა სახის დახმარების მიღება, რასაც გამძევებელი სახელმწიფო აღმოუჩინდა მათ ციხეში ყოფნისას. ამის მიუხედავად, რადგანაც განმცხადებლის დაავადება უკვე ბოლო სტადიაზე იყო და იგი დამოკიდებული იყო მიმდინარე მკურნალობაზე, არსებობდა სერიოზული საშიშროება, რომ თავის სამშობლოში არსებული არასასურველი პირობები შეუმცირებდა მას სიცოცხლის დღეებს და დიდი ტანჯვა მიადგებოდა. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, რომ გაქცევის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

### N. v. The UK

27/05/2008

განმცხადებელია უგანდის მოქალაქე, რომელიც დიდ ბრიტანეთში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში მოხვდა საავადმყოფოში, რადგან სერიოზულად იყო ავად შიდსით. მისი მოთხოვნა ლტოლვილის სტატუსის შესახებ არ დაკმაყოფილდა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ უგანდაში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრებოდა დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა, რადგან იქ ვერ მიიღებდა შესაბამის მკურნალობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების წარმომადგენლები 9 წლის განმავლობაში აღმოუჩინდნენ მას შესაფერის სამედიცინო მომსახურებას, ვიდრე განიხილებოდა მისი შუამდგომლობა თავშესაფარზე და ასევე, სტრასბურგში მისი განაცხადის განხილვის განმავლობაში. კონვენცია ვერ დაავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შეავსონ ის ნაკლოვანებები, რაც კონვენციის არანეგრ სახელმწიფოებშია სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. კონვენციის წევრი სახელმწიფო ვალდებული არ არის ყველა უცხოელს არანეგრი სახელმწიფოებიდან მუდმივად აღმოუჩინოს უფასო სამედიცინო დახმარება, რითიც მათ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის საშუალება ექნებათ. ამგვარად, გაერთიანებული სამეფო არ იყო ვალდებული, გაეგრძელებინა სამედიცინო მომსახურება განმცხადებლისათვის. მისი უგანდაში გაქცევის შემთხვევაში არ დადგინდება კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

## კვთახალი

### Pretty v. The UK

განმცხადებელი სიკვდილის პირას იმყოფებოდა. მას აწუხებდა ნეირო-მოტორული სისტემის დაავადება (დაავადება განუკურნებელია და აზიანებს კუნთოვან სისტემას). დაავადების სტადიის გათვალისწინებით ავადმყოფი იტანჯება ძლიერი ტკივილით და ადამიანური ღირსებისათვის დამამცირებელ მდგომარეობაში ვარდება. განმცხადებელს სურდა თვითონ გადაეწყვიტა, როდის და როგორ მომკვდარიყო. ინგლისის კანონების თანახმად, თვითმკვლელობა დანაშაულად არ ითვლება, განსხვავებით თვითმკვლელობის ჩადენის ხელშეწყობისაგან. განმცხადებელს სურდა, რომ მეუღლე დახმარებოდა ამის განხორციელებაში. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას უარი უთხრეს ამ შუამდგომლობაზე. იგი ჩიოდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქმარი დაეხმარე-

ბოდა მას თვითმკვლელობის ჩადენაში, იგი არ იქნებოდა გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-2 მუხლი. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სიცოცხლის უფლება არ შეიძლება არსის დამახინჯების გარეშე განიმარტოს იმგვარად, რომ იგი გულისხმობდეს დიამეტრიულად განსხვავებულ უფლებას, კერძოდ, სიკვდილის უფლებას.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ ვალდებული, პირისათვის მიეცათ ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისკენ მიმართული მოქმედებების უფლება.

### Koch v. Germany

2002 წელს ბატონი კოხის მეუღლე წაიქცა თავისი სახლის სიახლოვეს. მას შემდეგ იგი პრაქტიკულად პარალიზებულია და საჭიროებს ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასა და გამუდმებულ სამედიცინო მომსახურებას. მას სურდა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება, რადგან ასეთი არსებობა უღირსად მიაჩნდა. განმცხადებლის მეუღლის შუამდგომლობა, რომელიც მისი სახელით იქნა შეტანილი, წამლის სასიკვდილო დოზითსაკეთების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ნებართვის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ პრეპარატებზე, რომლებიც სიცოცხლეს უხანგრძლივებს პაციენტებს და არა იმაზე, რაც გამოიწვევს მათ სიკვდილს.

ბატონი კოხი, ძირითადად, ჩივის იმის თაობაზე, რომ მისი ცოლისათვის მედიკამენტის სასიკვდილო დოზის მიღებაზე უარით ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარღვიეს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, კერძოდ კი – ღირსეული სიკვდილის უფლება.

## ჰომოსექსუალიზმი: სისხლისსამართლებრივი ასპექტები

### ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზაცია ზოგადად

Dudgeon v. the United Kingdom (განაცხადი 7525/76)

22/10/1981

ჩრდილოეთ ირლანდიაში მაშინ მოქმედი კანონმდებლობით ჰომოსექსუალური ურთიერთობა მამაკაცებს შორის სისხლისსამართლებრივ დანაშაულად კვალიფიცირდებოდა. ჰომოსექსუალი აპელიკანტი ჩიოდა, რომ ის განიცდიდა შიშს, ტანჯვასა და ფსიქოლოგიურ განცდას აღნიშნული კანონმდებლობის არსებობის გამო, მას ასევე ჰქონდა შევიწროებისა და შანტაჟის შიში. აპლიკანტი ჩიოდა, რომ მისი ჰომოსექსუალური ურთიერთობა გამოძიების ობიექტი გახდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონ დაჯონისათვის დანესებული შეზღუდვა, მისი ქმედების აბსოლუტური ხასიათისა და ფართო მასშტაბის გამო, სავსებით შეუსაბამოა შესაძლო სასჯელების სიმკაცრესთან. ასევე სასურველი მიზნის – „სხვათა უფლებებისა და თავისუფლების“ დაცვის მიზნის მიღწევასთან შედარებით – არაპროპორციული.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა.

Norris v. Ireland (განაცხადი 8225/78)

26/10/1988

ჩრდილოეთ ირლანდიაში მაშინ მოქმედი კანონმდებლობით ჰომოსექსუალური ურთიერთობა მამაკაცებს შორის სისხლისსამართლებრივ დანაშაულად კვალიფიცირდებოდა. ჰომოსექსუალი აპელიკანტი ჩიოდა აღნიშნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რომელიც განმცხადებლის შეხედულებით თავისი პირადი ცხოვრების პატივისცემის შელახვას – სქესობრივი ცხოვრების ჩათვლით და მასში გადაჭარბებულ ჩარევას იწვევდა.

სასამართლო მიიჩნევს: ირლანდიაში არ არის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, რომ ჰომოსექსუალური ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულად. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების ნაწილი, რომელიც ჰომოსექსუალიზმს ამორალურად მიიჩნევს, შეიძლება მოკირებული, შეურაცხყოფილი ან შეწუხებულ იქნეს ასეთი მოქმედებით, ეს მაინც არ უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი სანქციის დაკისრების საფუძველი, როდესაც საქმე ეხება სრულწლოვანი ადამიანების ქმედებებს.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა.

Modinos v. Cyprus (განაცხადი 15070/89)

22/04/1993

აპლიკანტი იყო ჰომოსექსუალი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა სრულწლოვან მამაკაცთან. ის იყო „ჰომოსექსუალთა გამათავისუფლებელი მოძრაობის“ პრეზიდენტი კვიპროსში. ის ჩიოდა, რომ მას ჰქონდა ცუდი წინათგრძნობა, შიში და დაძაბულობა, რომ მას გაასამართლებდნენ, რადგანაც ჰომოსექსუალიზმი კრიმინალიზებული იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კანონმდებლობის არსებობა პირდაპირ ზეგავლენას

ახდენდა აპლიკანტის პირად ცხოვრებაზე. ზემოთ მოყვანილი განჩინებების გათვალისწინებით, კვიპროსის წარმომადგენლებმა ვერ დაამტკიცეს აღნიშნული კანონის არსებობის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა.

**A.D.T. v. the United kingdom (განაცხადი 35765/97)**

31/07/2000

აპლიკანტი ჩიოდა, რომ მისი მსჯავრდება და გასამართლება, რომელიც მოხდა მის სახლში ერთზე მეტ სრულწლოვან მამაკაცთან მისი პირადი სექსუალური კავშირის გამო, ეწინააღმდეგებოდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას.

სასამართლოს შეხედულებით, ქმედება თავისი ბუნებით იყო აბსოლუტურად პირადი, ხოლო მოპასუხე სახელმწიფოს შეფასება – მწირი.

სასამართლომ მიიჩნია: არ არის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“, რომ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით აპლიკანტის ქმედება დაკვალიფიცირდეს სისხლისსამართლებრივ დანაშაულად.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა.

**სრულწლოვან ადამიანსა და მოზარდს შორის არსებული ჰომოსექსუალური ურთიერთობების კრიმინალიზაცია; სრულწლოვანება**

**L.and V. v. Austria (განაცხადი 39392/98 და 39829/98 და S.L. v. Austria (განაცხადი 45330/99) და სხვა მსგავსი საქმეები**

09/01/2003

აპლიკანტები გაასამართლეს 14 და 18 წლის ახალგაზრდა მამაკაცებთან ჰომოსექსუალური კავშირის გამო. ავსტრიის კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივ დარღვევად ითვლებოდა ზრდასრული ადამიანის ჰომოსექსუალური ურთიერთობა ახალგაზრდა მამაკაცებთან 14-დან 18 წლამდე, თუმცა ამავე ასაკის ქალებთან – არა.

სასამართლომ ვერ მოძებნა სათანადო გამართლება აღნიშნულ განსხვავებულ მოპყრობას შორის და დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან კავშირში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა.

**მიმდინარე საქმეები**

**F.J. v. Austria (განაცხადი 2362/08) ფაქტების გაცხადება; E.B. v. Austria (განაცხადი 26271/08) ფაქტების დასაბუთება; H.G. v. Austria (განაცხადი 48098/07) ფაქტების გაცხადება (და სხვა მსგავსი საქმეები)**

საქმეებში **L.and V. v. Austria da S.L.** ავსტრიის წინააღმდეგ, კანონის თანახმად, დადგინდა დარღვევა, რომლის მიხედვითაც, პოლიციას აღარ უნდა შეენახა საქმის მასალები აპლიკანტის შესახებ. აღნიშნულ საქმეში აპლიკანტები სწორედ პოლიციის მიერ ამ საქმის მასალების შენახვაზე ჩივიან.

**B. B. v. the United Kingdom (განაცხადი 53760/00)**

10/02/2004

აპლიკანტი გაასამართლეს 16 წლის არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის გამო. მაშინ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (1998-1999 წლები), 18 წლამდე ასაკის პირთან ჰომოსექსუალური კავშირი სისხლისსამართლებრივი წესით ისჯებოდა, მაშინ, როცა ჰეტეროსექსუალთან აღნიშნული ქმედება ნებადართული იყო 16 წლიდან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან ერთობლიობაში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**მიღებული ზომები** – განჩინების შესაბამისად კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა (იხილეთ ასევე, **Sutherland v. the United Kingdom** (განაცხადი 25186/94) 27.03.2001, რომლის გამორიცხვა განსახილველ საქმეთა სიიდან მოხდა მას შემდეგ, რაც ჰეტეროსექსუალებისა და ჰომოსექსუალების სქესობრივი კავშირის ერთი და იმავე ასაკიდან გახდა ნებადართული).

**Fernando dos Santos Couto v. Portugal (განაცხადი 31874/07)**

21/03/2010

განმცხადებელს მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით პირობითი პატიმრობა არასრულწლოვანთან ჰომოსექსუალური კავშირის 2 დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო. დარღვევას კვალიფიკაციას აძლევს ასეთი ქმედებების შემსწავლელი კომისია. კანონით ჰეტეროსექსუალური კავშირი არასრულწლოვანთან დანაშაულად კვალიფიცირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არ აქვს საკმარისი გამოცდილება ამ საკითხში.

**სასამართლომ არ დადგინა** კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-8 მუხლთან კავშირში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

**ჰომოსექსუალიზმის გამო დაკავება**

**მიმდინარე საქმეები**

**Adrian costin Georgescu V. Romania (განაცხადი 4867/03)** ფაქტების დასაბუთება

ჰომოსექსუალიზმის გამო აპლიკანტი დააკავეს, დაკითხეს, ფოტოები გადაუღეს, ანაბეჭდები აუღეს და ა.შ.



## ფსიქიკური ჯანმრთელობა

კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „პირადი ცხოვრება“ იცავს პირის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას.

„ფსიქიკური სტაბილურობის შენარჩუნება არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტური განხორციელების აუცილებელი პირობა“ (ბენსაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – 06.02.2001)

პირად ცხოვრებაში ჩარევა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული.

**A.G. v. Switzerland, (09/04/1997)** – სასამართლომ დაადგინა, რომ „პირის მეურვეობის ქვეშ მოქცევა წარმოადგენდა პირად ცხოვრებაში ჩარევას, რომელიც კანონით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული და სამართლებრივი მიზნები ჰქონდა.“

**Stork v. Germany, (16/06/2005)** – კონვენციის მე-8 მუხლისა და მე-5 მუხლის ნაწილის დარღვევა, განმცხადებლის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის გამო, რომელიც არ ეფუძნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

აღნიშნულ საქმეში ასევე მითითებული იყო იძულებით მკურნალობაზე. ამ შემთხვევაში სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად (არ იყო დადასტურებული, რომ განმცხადებელი უარს ამბობდა მკურნალობაზე).

**Schneiter v. Switzerland (31/03/2005)** – სასამართლომ დაადგინა, რომ განაცხადი კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის თაობაზე დაუსაბუთებელი იყო, რადგან იძულებით მკურნალობა ეფუძნებოდა კანონს და სამართლებრივ მიზნებს ემსახურებოდა. განმცხადებელმა, რომელიც მკურნალობდა ფსიქიატრიულ კლინიკაში მანიკური აშლილობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულობის გამო, სახეში ჩაარტყა ექთანს.

**Shopov v. Bulgaria, (02/09/2010)** – იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაკისრება ხუთი წლის განმავლობაში. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ხანგრძლივად მიმდინარეობდა განმცხადებლის პირადი ცხოვრების უფლებებში ჩარევა, მაგრამ აღნიშნული კანონის მიერ პერიოდული სასამართლო კონტროლი არ განხორციელებულა.

- **X. and Y. v. the Netherlands, 26/03/1985** – 16 წლის გონებრივად განუვითარებელ გოგონაზე განხორციელდა სექსუალური ხასიათის ძალადობა კერძო თავშესაფრის დირექტორის სიძის მიერ. თავშესაფარში გონებრივად განუვითარებელი ბავშვები ცხოვრობდნენ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ჰოლანდიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა 16 წელს მიღწეული გონებრივად განუვითარებელი პირების მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.
- **Bensaid v. The UK, 06/02/2001** – განმცხადებელი, რომელიც მკურნალობდა შიზოფრენიის გამო, ჩიოდა, რომ მისი ალჟირში გასახლება აუცილებელი სამედიცინო დახმარების შესაძლებლობას წაართმევს, რაც საფრთხის შემცველი იქნება მისი ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობისთვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი. განმცხადებლის ფსიქიკური ჯანმრთელობის საფრთხე ეფუძნებოდა უშუალოდ ჰიპოთეზურ ფაქტორებს და არ იყო დადგენილი ის, რომ განმცხადებლის მორალური ხელშეუხებლობა არსებითად დაირღვეოდა მისი გასახლების ფაქტით.

- **K. and T. v. Finland, 12/07/2001** – განმცხადებელი, რომლის შვილებიც მიტოვებულ ბავშვთა სახლში მოათავსეს, რამდენჯერმე იყო საავადმყოფოში ჰოსპიტალიზებული შიზოფრენიის დიაგნოზით. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა ერთ-ერთი შვილის მიმართ მიტოვებულ ბავშვთა სახლში განაწილების გამო, ხოლო აღნიშნული მუხლი არ მიიჩნია დარღვეულად მეორე შვილთან მიმართებით, რადგან იგი ადრეც იყო მოთავსებული ამგვარ თავშესაფარში განმცხადებლის თანხმობით და სასწრაფოდ საჭიროებდა განსაკუთრებულ მოვლას.

## სამართლებრივი ქმედუნარიანობის საკითხი

**Shtukaturov v. Russia, 27/03/2008** – აპლიკანტზე დანესდა მეურვეობა დედის თხოვნის საფუძველზე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ადგილობრივი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეფუძნებოდა სამედიცინო ექსპერტიზას, არ იყო საკმარისად გაანალიზებული განმცხადებლის ქმედუნარიანობის ხარისხი.

**Berkova v. Slovakia, 24/03/2009** – განმცხადებელი ფსიქიკური აშლილობით იყო დაავადებული და მასზე დანესდა მეურვეობა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან უკიდურესად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მას წართმეული ჰქონდა უფლება, შუამდგომლობით მიემართა შესაბამისი ორგანოებისათვის ქმედუნარიანობის აღდგენის თაობაზე.

**Salontaji-Drobnjak v. Serbia, 13/10/2009** – განმცხადებელზე დანესდა მეურვეობა. იგი იტანჯებოდა სასამართლო განხილვების პარანოიით. სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-8 მუხლი დარღვეულად, რადგან განმცხადებელს სერიოზულად შეეზღუდა ქმედუნარიანობა (მას უფლება არ ჰქონდა, დამოუკიდებლად განეხორციელებინა იურიდიული ქმედებები, ეშუამდგომლა ინვალიდობის პენსიის დანიშვნაზე ან გადაწყვეტილება მიეღო საკუთარი მკურნალობის თაობაზე), თავად მეურვეობის საკითხის თაობაზე გამართული ადგილობრივი სასამართლო განხილვების პროცესულური ხარვეზების გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამჟამად მიმდინარეობს საქმის განხილვა.

## იძულებითი ჰოსპიტალიზაცია

### კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი:

„ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა: (...)

ე) პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის,\* ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანნალის კანონიერი დაპატიმრება.

\* „ეს ტერმინი არ მიეკუთვნება იმ ტერმინებს, რომლებიც ერთხელ და სამუდამოდ ექვემდებარებიან ასეთ განმარტებას: ...ამ ტერმინის მნიშვნელობა მუდმივი განვითარების პროცესშია ფსიქიატრიის სფეროში მიმდინარე კვლევების განვითარების პარალელურად, ფსიქიკურად დაავადებულ პირთა უფრო მოქნილი მკურნალობის გამოყენებით და ამგვარი დაავადებებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლით...“

კონვენციასთან შესაბამისობის მიზნით, სულით დაავადებული პირის იძულებითი ჰოსპიტალიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს Winterwerp-ის საქმეში დადგენილ კრიტერიუმებს, კერძოდ:

- ობიექტური სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე დამაჯერებლად უნდა იყოს დადასტურებული, რომ პაციენტს რეალური ფსიქიკური აშლილობა აქვს;
- ფსიქიკური აშლილობის ხასიათი და ხარისხი საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას;
- ჰოსპიტალიზაცია არ შეიძლება გაგრძელდეს, თუ ამგვარი ფსიქიკური აშლილობა პირს აღარ აღენიშნება.

● **Ashingdane v. The UK, 28/05/1985** – სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი. განმცხადებელი იტანჯებოდა პარანოიდული შიზოფრენიით. იმის მიუხედავად, რომ იგი გადაიყვანეს ახალ, უფრო მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და იქ იგი იმყოფებოდა 19 თვეზე მეტ ხანს, ვიდრე ეს ესაჭიროებოდა, განმცხადებლის ყოფნის ადგილი და პირობები მუდმივად შეესაბამებოდა „სულით დაავადებულ პირთა კანონიერი დაკავების“ პირობებს.

● **Johnson v. The UK, 24/10/1997** – განმცხადებელი სასჯელს იხდიდა სხვადასხვა დანაშაულის

გამო. 1984 წელს სასამართლოს ბრძანების საფუძველზე იგი მოათავსეს მკაცრი რეჟიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. 1989 წელს გამოვიდა ბრძანება მისი ჰოსპიტალიზაციის შეწყვეტის თაობაზე, რადგან აღარ არსებობდა ამის საფუძველი. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა იმ საფუძველით, რომ ჰოსპიტალიზაცია გრძელდებოდა მისი შეწყვეტის შემდეგაც (არ არსებობდა შესაბამისი გარანტიები, განსაკუთრებით სასამართლო კონტროლი, განმცხადებლის გათავისუფლების შეფერხებაზე).

- **Aerts. v. Belgium, 30/07/1998** – განმცხადებელს ამყოფებდნენ ჩვეულებრივი რეჟიმის ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში და არა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში, რომელზეც მიუთითებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის შემსწავლელი კომპეტენტური კომისია. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან ციხის ფსიქიატრიული განყოფილება ვერ ჩაითვლებოდა სულით დაავადებულ პირთა პატიმრობაში ყოფნისათვის შესაბამის სამკურნალო დანესებულებად.
- **Nilsen v. Denmark, 28/11/1998** – სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი. განმცხადებელი იტანჯებოდა ნერვული აშლილობით. მშობლები დაობდნენ, თუ რომელ მათგანთან უნდა დარჩენილიყო იგი. ბავშვთა ფსიქიატრიულ ცენტრში განმცხადებლის ჰოსპიტალიზაცია იყო „დედამისის მიერ მშობლის უფლებების საპასუხისმგებლო განხორციელება ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე“.
- **Varbanov v. Bulgaria, 05/10/2000** – სასამართლო განხილვებისას განმცხადებელი იძულების წესით გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოსაკვლევად. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან განმცხადებლისთვის თავისუფლების წართმევას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველები, ხოლო შიდა სამართალი ვერ უზრუნველყოფდა თვითნებობის წინააღმდეგ დაცვას.
- **Hutchinson Reid v. the UK, 20/02/2003** – სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან არსებობდა საშიშროება, რომ ფსიქიატრიულ დანესებულებაში მყოფ პაციენტს შეეძლო კიდევ ჩაედინა დანაშაული (სავარაუდოდ, სექსუალური ხასიათის). მის განთავისუფლებაზე უარს, შიდა სამართალის მიხედვით, ჰქონდა საფუძველი და გამართლებული იყო.
- **Herz v. Germany, 12/06/2003** – სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან განმცხადებლის დროებითი ჰოსპიტალიზაცია მიზნად ისახავდა მისი ფსიქიკური დაავადებების დადგენას და სასამართლოს მიერ გამოკვლევა დანიშნული იყო ექიმის დასკვნის საფუძველზე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის დარღვევა, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დროებითი იძულებითი ჰოსპიტალიზაცია შეწყდა, განმცხადებელს არ ერთმევა უფლება, რომ აღნიშნულის სამართლებრივი მხარე გაასაჩივროს.
- **Nowicka v. Poland, 03/12/2003** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან განმცხადებელი 83 დღის განმავლობაში იმყოფებოდა ფსიქიატრიული გამოკვლევების ქვეშ იმ დროს, როცა მიმდინარეობდა მისი დავის განხილვა მეზობლებთან.
- **M.R.L and M.-J.D. v. France, 19/05/2004** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან მედპუნქტის შენობაში განმცხადებლის დაკავება არ იყო გამართლებული სამედიცინო თვალსაზრისით და ატარებდა მხოლოდ ადმინისტრაციულ მიზეზებს (მეზობლებთან კონფლიქტის შემდეგ განმცხადებელი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ფსიქიატრმა ვერ შეძლო ზუსტი დიაგნოზის დასმა მისი ფსიქიკური მდგომარეობის მიხედვით და გადანყვიტა გაეგზავნა იგი პოლიციის განყოფილების მედპუნქტში).
- **H.L. v. The UK, 05/10/2004** – საქმე ეხება აუტიზმით დაავადებული პირის იძულებით მოთავსებას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან არ არსებობდა საავადმყოფოს მკურნალი პერსონალისთვის შეზღუდვები და პროცესუალური ნორმები, რომლებიც მოქმედებდნენ რა, სავარაუდოდ, კეთილსინდისიერად, თავის თავზე აიღეს დაუცველი და ქმედუნარო პირის თავისუფლებისა და მკურნალობის სრული კონტროლი.
- **Enhorn v. Sweden, 25/01/2005** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან ხელისუფლებამ შიდსის ვირუსის გავრცელების აღსაკვეთად ვერ მიიჩნია სხვა,

ნაკლებად მკაცრი ზომები, ვიდრე ეს იყო განმცხადებლის იძულებით იზოლაცია. აგრძელებდნენ რა ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებით იზოლაციას 7 წელიწადზე მეტ ხანს, მათ ვერ შეძლეს დაეცვათ სამართლიანი ბალანსი შიდსის ვირუსის გავრცელების დაუშვებლობის საჭიროებასა და განმცხადებლის თავსუფლებას შორის.

- **Schneiter v. Switzerland, 31/03/2005** – განაცხადი დაუშვებლად ცნო სასამართლომ, რადგან განმცხადებლის მოთავსება ერთი კაცისათვის განკუთვნილ საკანში განხორციელდა „კანონით დადგენილი წესით“; ეს ღონისძიება არ იყო თვითნებური, რადგან განმცხადებელს უკვე ჰქონდა წარმეული თავისუფლება (იგი იმყოფებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მანიაკური აშლილობისა და ნარკოდამოკიდებულების გამო) და შესაძლოა, წარმოადგენდა საშიშროებას, როგორც საკუთარი თავისათვის, ასევე – საზოგადოებისთვისაც (კონფლიქტში იყო მამასთან და ექთანს სახეში ჩაარტყა.)
- **Storck v. Germany, 16/06/2005** – სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, რადგან განმცხადებლის კერძო კლინიკაში მოთავსება არ იყო დანიშნული სასამართლოს მიერ.
- **Gajcsi v. Hungary, (Gajcsi v. Hungary), 03/10/2006** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან სასამართლოებმა გადაწყვიტეს გაეგრძელებინათ განმცხადებლის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადა, ისე, რომ არ შეაფასეს, თუ რამდენად საშიში იყო იგი საზოგადოებისთვის, როგორც ამას შიდა კანონმდებლობა ითხოვს.
- **Filip v. Romania, 14/12/2006** – იძულებითი ფსიქიატრიული ჰოსპიტალიზაცია პროკურატურის გადაწყვეტილების მიხედვით, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი დამნაშავედ ცნეს სასამართლოს უპატივცემულობის გამო (განმცხადებლის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, ყოფილი ქმრისა და ვაჟის საჩივრის საფუძველზე). სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან არ არსებობდა იძულებითი ჰოსპიტალიზაციის საფუძველი.
- **Gulub Atanasov v. Bulgaria, 06/11/2008** – განმცხადებელი შიდა პატიმრობაში იმყოფებოდა. სასამართლოს განხილვების დანყებამდე იგი გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შესამონებლად, სადაც მან 26 დღე გაატარა. აღნიშნული ქმედება არ ემყარებოდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჯეროვანი წესით მიღებულ გადაწყვეტილებას.
- **Shopov v. Bulgaria, 02/09/2010** – ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იძულებით ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნა. სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან პროკურატურა და პოლიცია გასცდნენ სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებს, რომელშიც მითითებული იყო, რომ მკურნალობა უნდა ჩატარებულიყო დღის სტაციონარში და არა – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

ამავე საქმეებზე სასამართლომ დაადგინა შემდეგი მუხლების დარღვევა:

- 5-§3 მუხლი (დაკავებული თუ დაპატიმრებული პირის დაუყოვნებელი წარდგენა სასამართლოს წინაშე, საქმის განხილვა სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლება საქმის განხილვის განმავლობაში): **Winterwerp-ი** ჰოლანდიის წინააღმდეგ, 24/10/1979;
- 5-§4 მუხლი (თავისუფლება ალკევეთილი პირის უფლება, სასამართლო განხილვაზე მისი დაკავების კანონიერების შესაფასებლად): **Varbanov v. Bulgaria, 05/10/2000; Hutchinson Reid v. The UK, 20/02/2003;**

**Megyeri v. Germany, 12/05/1992** – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებით მოთავსებულ პირს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე, რომლითაც ითხოვდა ადვოკატის დანიშვნას მისი საქმის ყოველწლიური განხილვისას.

**Shtukaturov v. Russia, 27/03/2008;**

**Gulub Atanasov v. Bulgaria, 06/11/2008;**

**H.L. v. The UK, 05/10/2004;**

- 5-§5 მუხლი (კომპენსაციის უფლება მე-5 მუხლის დარღვევის გამო): Gulub Atanasov-ი ბულგარეთის წინააღმდეგ, 06.11.2008;
- 6-§1 (სამართლიანი სასამართლოს უფლება გონივრულ ვადაში)  
H.F. v. Slovakia, 08.11.2005 (ქმედუნარიანობის შესახებ განხილვები) Shtukaturv v. Russia, 27.03.2008

**Salontaji-Drobnjak v. Serbia, 13/10/2009**

**Nenov v. Bulgaria, 16/07/2009:** სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ ფსიქიკურად დაავადებულ განმცხადებელს, სასამართლომ არ დაუნიშნა ადვოკატი, ანუ ვერ უზრუნველყო ეფექტური დაცვა მისი სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელიც აღძრა მისმა ყოფილმა მეუღლემ იმ მიზნით, რომ გადასინჯულიყო განმცხადებლის შვილებთან კონტაქტის პირობები.

საქმეში – **C.B. v. Romania, 20/04/2010** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის (ე) ქვეპუნქტისა და მე-4 ნაწილის დარღვევა.

კერძოდ, განმცხადებლის იძულებითი ჰოსპიტალიზაცია სისხლის სამართლის საქმის განხილვის ფარგლებში, რომელიც აღძრული იყო პოლიციის საჩივრის საფუძველზე, იყო უკანონო (ჰოსპიტალიზაცია ეფუძნებოდა გამოძიებლის ეჭვებს განმცხადებლის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ასევე სამედიცინო ცნობას, რომელიც საერთო პრაქტიკის მქონე ექიმის მიერ იყო გაცემული ისე, რომ არ ჰყავდა განმცხადებელი გასინჯული; არ იყო განხილული ალტერნატიული ზომები; დაკავებისას გამოიყენეს ძალა). ამას გარდა, იძულებითი ჰოსპიტალიზაცია არ იყო სასამართლო კონტროლის მიზანი.

საქმეში – **Shtukaturv v. Russia, 27/03/2008** – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის, მე-8 მუხლისა და მე-5 მუხლის I და IV ნაწილების დარღვევა.

კერძოდ, განმცხადებლის ჰოსპიტალიზაციის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა უშუალოდ მის იურიდიულ სტატუსს, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღებამდე 10 თვით ადრე განისაზღვრა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია: არ იყო „დამაჯერებლად წარმოდგენილი“, რომ განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა ითხოვდა იძულებითი ჰოსპიტალიზაციას.

ამასთან, ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემდეგ განმცხადებელს არ შეეძლო ესარგებლა რაიმე სამართლებრივი დაცვის მექანიზმით იმისათვის, რომ გაესაჩივრებინა თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ დედის თხოვნის საფუძველზე განმცხადებლის ქმედუნარიანობის შეზღუდვა პროცესუალური ნორმების დარღვევით განხორციელდა (კერძოდ, საკითხი მხოლოდ 10 წუთის განმავლობაში იხილებოდა).

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს სასამართლოს მიერ მითითებული ღონისძიების უზრუნველყოფა (არ მისცეს განმცხადებელსა და მის ადვოკატს სასამართლოში საქმის მოსამზადებლად საკმარისი ვადა და შეხვედრების შესაძლებლობა).

**ფსიქიკური ჯანმრთელობა არმიაში**

ქვემოთ მოყვანილ საქმეებში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, კერძოდ: შესაბამისი კანონმდებლობა ცუდად არეგულირებდა წვევამდელთა სამხედრო სამსახურის კონტროლის საკითხებს.

**kilinc and Others v. Turkey, 07/06/2005** – ახალწვეული იტანჯებოდა ატიპური დეპრესიით. მან ჩაიდინა თვითმკვლელობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისას.

სასამართლომ დარღვეულად ცნო კონვენციის მე-2 მუხლი, რადგან საკითხის ნორმატიულ რეგულირებაში არსებობდა სერიოზული ნაკლოვანებები, კერძოდ, როგორ უნდა შეესწავლათ სამხედ-

რო ექიმებს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის საკითხი და როგორ ეწარმოებინათ მასზე დაკვირვება როგორც სამსახურში განვევამდე, ასევე ამის შემდეგაც.

**Abdulah Yilmaz v. Turkey, 17/06/2008** – ახალწვეულმა სამხედრო სამსახურისას თავი მოიკლა. ეს ჩაიდინა მას შემდეგ, რაც დაეკისრა სახდელი და სცემა სერჟანტმა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან სერჟანტმა მასზე დაკისრებული პროფესიული მოვალებები არაჯეროვნად შეასრულა. სერჟანტის ამოცანაა, დაიცვას მის დაქვემდებარებაში მყოფი ახალწვეულების ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმატიულ ბაზაში მრავალი ნაკლოვანებაა; უნდა მონესრიგდეს სერჟანტის ვარგისიანობის შემოწმება სამსახურისათვის, ასევე უნდა მონესრიგდეს რთულ სიტუაციებში მასზე დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, იმის მსგავსი, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეში.

**Servet Gunduz and Others v. Turkey, 11/01/2011** – ახალწვეულმა ჩაიდინა თვითმკვლელობა 2002 წელს პროვინცია ჰაკარში სამხედრო სამსახურის გავლისას. ჯარისკაცი გარდაიცვალა იმიტომ, რომ განზრახ შევიდა დანაღმულ მინდორზე თავის ხელმძღვანელთან ჩხუბის შემდეგ. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

## ახალი ტექნოლოგიები

### ინტერნეტი

#### Perrin v. The UK

(განაცხადი №5446/03; 18/10/2005)

განმცხადებელი იყო საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობდა გაერთიანებულ სამეფოში და ხელმძღვანელობდა ინტერნეტ-კომპანიას, რომლის სათავეს ოფისი განთავსებული იყო აშშ-ში. განმცხადებელს მიუსაჯეს 30 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუღებელი სექსუალური შინაარსის მქონე მასალის ინტერნეტში განთავსების გამო.

სასამართლომ დააკენა, რომ განმცხადებლის მიმართ სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისმგებლობის დაკისრება აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, რათა დაცული ყოფილიყო სხვა პირთა მორალური უფლებები. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაკისრებული სასჯელი არაპროპორციული იყო. სასამართლომ განაცხადი კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით დაუშვებლად მიიჩნია.

#### PAEFFGEN GMBH v. Germany

(განაცხადი №№25379/04, 21688/05, 21722/05 და 21770/05; 18/09/2007)

განმცხადებელი კომპანია ეწეოდა ინტერნეტით ვაჭრობას. სხვა კომპანიებმა და კერძო პირებმა სასამართლოში უჩივეს განმცხადებელს, რადგან კომპანიის რეგისტრაცია და ზოგიერთი ქსელური დომენის გამოყენება არღვევდა მათ უფლებებს სასაქონლო ნიშნებზე და/ან მათ საფირმო დასახელებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ გერმანიის სასამართლოებმა, აიძულეს რა განმცხადებელი კომპანია უარი ეთქვა სადავო დომენების გამოყენებაზე, არ დაარღვიეს სამართლიანი ბალანსი კომპანიის „ქონების“ დაცვის ინტერესებსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის (რომელიც მოცემულ საქმეზე გულისხმობდა კომპანიის მიერ მესამე პირთა სასაქონლო უფლებებზე დარღვევის შეწყვეტას). კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ განაცხადი სასამართლომ მიიჩნია დაუშვებლად.

#### Muscio v. Italy

(განაცხადი №31358/03; 13/11/2007)

საქმე ეხება კათოლიკე მშობლების ასოციაციის თავმჯდომარეს, რომელსაც ელექტროფოსტაზე ეგზავნებოდა უზნეო შინაარსის მქონე შეტყობინებები. მიუხედავად საჩივრის შეტანისა, იტალიის ხელისუფლებამ უარი თქვა მათ განხილვაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არასასურველი შეტყობინებების მიღება თავისთავად წარმოადგენდა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. თუმცა, ინტერნეტში ჩართული ელფოსტის მომხმარებლები არ უნდა მოელოდნენ მათი პირადი ცხოვრების ეფექტურ დაცვას, რადგან ისინი ბუნებრივად ხვდებიან არასასურველი შეტყობინების რისკის ქვეშ. ამასთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივარი წარუმატებელი იყო, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება და ინტერნეტ-პროვაიდერები ყოველთვის აწყდებიან ე.წ. „სპამთან“ ბრძოლის ობიექტურ სირთულეებს. ამიტომ სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ მოპასუხე სახელმწიფოსაგან მოეთხოვა დამატებითი ზომების მიღება კონვენციის მე-8 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად და განაცხადი დაუშვებლად ცნო.

#### K.U. v. Finland

(განაცხადი №2872/02; 02/12/2008)

საქმე ეხებოდა გაცნობის ინტერნეტ-გვერდზე 12 წლის ბიჭის სახელით სექსუალური ხასიათის

განხადების განთავსებას. იმ დროისათვის მოქმედი ფინეთის კანონმდებლობით<sup>1</sup> პოლიციას და სასამართლოს არ შეეძლოთ მოეთხოვათ ინტერნეტ-პროვაიდერისაგან ინფორმაცია იმ პირის შესახებ, ვინც ეს განცხადება განათავსა. ამ შემთხვევაში ინტერნეტ-პროვაიდერმა თავისი უარი ახსნა ამგვარი ინფორმაციის კონფიდენციალურობით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადების განთავსება იყო დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც არასრულწლოვანს ხდიდა პედოფილების სამიზნედ. სასამართლოს აზრით, აუცილებელი იყო ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც ინტერნეტ-მომსახურების კონფიდენციალურობის პრინციპს შეათანხმებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებთან, რითიც აღკვეთავდა დანაშაულს, დაიცავდა სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ კი – ბავშვებისა და სხვა მონყვლადი კატეგორიის ინტერესებს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

### Times Newspapers Ltd v. The UK

(განაცხადი №№3002/03 და 23676/03; 10/03/2009)

კომპანია – „Times Newspapers Ltd“ – ჩიოდა, რომ დიდი ბრიტანეთის კანონები, რომლებიც ინტერნეტში პუბლიკაციებს ეხება, კომპანიების მიმართ განმეორებით აყენებდა პასუხისმგებლობის საკითხს ცილისწამებისათვის (ანუ, ელექტრონულ არქივებში სტატიის ყოველ გახსნაზე, ხელახლა წარმოიშობოდა ცილისწამებისათვის სარჩელის აღძვრის საფუძველი) ორი სტატიის პუბლიკაციის შემდეგ, 1999 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში. სტატიები ეხებოდა ფართომასშტაბიან სქემას ფულის „გათეთრებაზე“, რომელიც, სავარაუდოდ გამოიყენებოდა „რუსული მაფიის ბოსის“ მიერ. ორივე სტატია საიტზე იყო ატვირთული მათი გამოქვეყნების დღეს. განმცხადებელმა გაზეთის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდებით სასამართლოში სარჩელი შეიტანა. განხილვების მიმდინარეობისას სასამართლოებმა მოითხოვეს ინტერნეტ-არქივიდან ორივე სტატიაზე გამოთქმული კომენტარების დართვა, რომ ეს სტატიები იყო ცილისწამების თაობაზე აღძრული საქმის განხილვების საგანი და არ შეიძლებოდა მათი გადაკითხვა ან მათზე დაყრდნობა გაზეთ „Times Newspapers Ltd“-ის იურიდიული განყოფილების შეტყობინების გარეშე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოები არ ითხოვენ სტატიების ამოღებას არქივიდან. შესაბამისად, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მოთხოვნა, შესაბამისი კომენტარები დამატებულიყო სტატიების ინტერნეტ-ვერსიებზე არ იყო პროპორციული განმცხადებლების უფლებებში ჩარევასთან, აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-10 მუხლი.

### Willem v. France

(განაცხადი №10883/05; 16/07/2009)

საქმე ეხებოდა ქალაქ სეკლენის მერის მოწოდებას – ისრაელის პროდუქციისადმი გამოეცხადებინათ ბოიკოტი. საამისოდ მან გამოიყენა მერიის ინტერნეტ-გვერდი. ქალაქის მერი შედეგად დამნაშავედ ცნეს დისკრიმინაციისკენ მოწოდების გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-10 მუხლი.

### Renaud v. France

(განაცხადი №13290/07)

განმცხადებელი ჩიოდა, რომ ასოციაციის ინტერნეტ-გვერდის მეშვეობით, რომლის თავმჯდომარეც (და ვებ-მასტერი) არის თვითონ, გავრცელდა ქალაქ სანსის მერის მიმართ ცილისწამება და საჯარო შეურაცხყოფა, რის გამოც მას დაეკისრა პასუხისმგებლობა. სასამართლომ მიიჩნია,

<sup>1</sup> სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისას შეიცვალა ნორმატიული რეგულაციები, რაც გამოწვეული იყო ახალი კანონის – „გამოხატვის თავისუფლება მასმედიაში“ – ძალაში შესვლით.



რომ განმცხადებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ იყო პროპორციული სხვა პირთა რეპუტაციისა და უფლებების დაცვის სასურველ მიზანთან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**Editorial Board of Pravoye Delo and Shetkel v. Ukraine**

**(განაცხადი №33014/05; 05/05/2011)**

საქმე, ძირითადად, ეხება უკრაინის კანონმდებლობაში შესაბამისი გარანტიების არარსებობას ჟურნალისტების მიერ ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ოდესის გაზეთისა და მისი მთავარი რედაქტორის წინააღმდეგ შეტანილი იყო სარჩელი ინტერნეტში მოპოვებული ცილისმწამებლური ინფორმაციის შემცველი წერილის პუბლიკაციის შემდეგ, 2003 წლის სექტემბერში, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნები კორუმპირებულები იყვნენ და დამნაშავეთა სამყაროს ლიდერთან მეგობრობდნენ. სასამართლოებმა დააკმაყოფილეს სარჩელის მოთხოვნა, განმცხადებლები დაავალდებულეს, რომ საბოდიშო სტატია გამოექვეყნებინათ და მოსარჩელისათვის კომპენსაციის სახით დააკისრეს 200.000 გრივნის (დაახლოებით 33 060 ევრო) გადახდა. განმცხადებლებს ამ თანხის გადახდა აღარ მოუხდათ, რადგან მოდავე მხარეებს შორის შედგა მშვიდობიანი მორიგება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო მართებული ჟურნალისტების დასჯა. კერძოდ:

„ინტერნეტის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, როგორც მასმედიის საქმიანობისათვის, ასევე აზრის გამოხატვის თავისუფლების განსახორციელებლად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლებრივი ნორმების არარსებობა, რომლებიც ჟურნალისტებს საშუალებას აძლევს ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენონ ისე, რომ არ ჰქონდეთ დასჯის შიში, ეწინააღმდეგება პრესას თავისი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციის – „საჯარო მოდარაჯის“ – განხორციელებაში.

სასამართლომ დაადგინა რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

**Mosley v. The UK**

**(განაცხადი №48009/08)**

საქმე ეხებოდა გაზეთ „News of the World“-ში და მის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას. მასში დაბეჭდილი იყო ფოტოები და ვიდეომასალები, რომლებშიც დეტალურად იყო აღწერილი ბატონი მოსლის ინტიმური ცხოვრება. განმცხადებელი ჩიოდა, რომ გაერთიანებულ სამეფოში გაზეთებს არ ევალებოდათ, წინასწარ შეეტყობინებინათ საგაზეთო სტატიების გმირებისათვის მათზე მომზადებული მასალის გამოქვეყნების შესახებ. იგი იმედოვნებდა, რომ არ დაუშვებდა ამგვარი სტატიის გამოქვეყნებას თავისი თავის შესახებ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის შეტანის მეშვეობით, რომელშიც მითითებული იქნებოდა პუბლიკაციაზე დროებითი აკრძალვის უზრუნველყოფის ზომები.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, აღნიშნა რა, რომ კონვენცია არ ავალდებულებს მასმედიას, წინასწარ გააფრთხილოს მომავალში დასაბეჭდი სტატიების გმირები იმის თაობაზე, რომ ამგვარი სტატია მზადდება გამოსაქვეყნებლად.

**მიმდინარე საქმეები**

**Jankovskis v. Lithuania**

**(განაცხადი №21575/08; 27/09/2010)**

საქმე ეხება ციხის ადმინისტრაციის მიერ მსჯავრდებული პირისათვის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის აკრძალვას. განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

## Delfi AS v. Estonia

(განაცხადი №64569/09; 11/02/2011)

საქმე ეხება ესტონეთის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ახალი ამბების ინტერნეტ-პორტალს და მისი პასუხისმგებლობის საკითხს იმ კომენტარებისათვის, რომლებიც ვებ-გვერდის მომხმარებლებმა დატოვეს მის გვერდზე. პორტალმა თავის ვებ-გვერდზე განათავსა სტატია იმ ფირმის შესახებ, რომელიც აპირებდა დაენგრია „ყინულოვანი გზები“ (გზები, რომლებიც აკავშირებდა ესტონეთის ძირითად ტერიტორიას მის რამდენიმე კუნძულთან). ამ სტატიაზე ვებ-გვერდის მომხმარებლებმა დატოვეს შეურაცხმყოფელი კომენტარები ფირმის ძირითადი აქციონერის მიმართ. ამ უკანასკნელმა კი სამოქალაქო საარჩევნო მიმართა სასამართლოს პორტალის წინააღმდეგ. სასამართლომ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება და ახალი ამბების პორტალს დააკისრა კომპენსაციის გადახდა.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

## Yildirim v. Turkey – (განაცხადი №3111/10; 31/02/2011)

Akdeniz v. Turkey – (განაცხადი №20877/10; 31/02/2011)

პირველ საქმეში თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სურდათ რა დაებლოკათ „Google.com“-ზე ერთ-ერთი პირადი გვერდი, სრულად დაბლოკეს ამ საძიებო პორტალის ყველა პირადი გვერდი, მათ შორის განმცხადებლის პირადი გვერდიც. იგი ჩიოდა, რომ წაერთვა თავის პირად გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გვერდი არაფრით უკავშირდებოდა იმ გვერდს, რომელზე ხელმისაწვდომობის დაბლოკვასაც ცდილობდა ხელისუფლება.

მეორე საქმეში თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაბლოკეს პორტალ „Myspace“-ის და „Last.fm“-ის ყველა გვერდი, საავტორო უფლებების დარღვევის გამო.

ორივე საქმეზე განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

## მონაცემთა ელექტრონული ბაზა

### S. and Marper v. The UK

(განაცხადები №№30562/04 და 30566/04; 04/12/2008)

საქმე ეხება მონაცემთა ბაზაში განმცხადებლების თითების ანაბეჭდების, უჯრედების ნიმუშებისა და დნმ-ის პროფილების<sup>2</sup> სამუდამო შენახვას მას შემდეგ, რაც სისხლისსამართლებრივი დევნა ერთ-ერთის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანით დასრულდა, ხოლო მეორის მიმართ საქმე საერთოდ შეწყდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაუშვებელია თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების ნებისმიერ ფასად გამოყენება სისხლისსამართლებრივი მართლსაჯულების სისტემაში. აუცილებელია ბალანსის დაცვა ასეთი მეთოდების ფართო გამოყენების პოტენციურ სარგებელსა და ინტერესებს შორის, რომელიც დაკავშირებულია პირადი ცხოვრების დაცვასთან. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ტექნოლოგიების მონინავე მიღწევებს იყენებს, ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა „სამართლიანი ბალანსის დაცვის“ გამო. სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ უფლებამოსილებების უპირობო და განურჩეველი ხასიათი, რომელიც დაკავშირებულია იმ პირთა თითების ანაბეჭდების, უჯრედების ნიმუშებისა და დნმ-ის პროფილების შენახვასთან, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან, მაგრამ არა დანაშაულისათვის – მსჯავრდებულები, როგორც ამას ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, ვერ უზრუნველყოფდა სამართლიანი ბალანსის დაცვას საზოგადოებრივსა და პირად ინტერესებს შორის.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

<sup>2</sup> დნმ-ის პროფილი – ეს არის ციფრული ინფორმაცია, რომელიც ელექტრონული ფორმით ინახება მონაცემთა ეროვნულ ბაზაში ინფორმაციასთან ერთად იმ პირის შესახებ, რომელსაც ის ეკუთვნის.

**Bouchacourt v. France – (განაცხადი №5335/06)**

**Gardel v. France – (განაცხადი №16428/05)**

**M.B. v. France – (განაცხადი №22115/06)**

საქმეები ეხება მონაცემთა ეროვნულ ბაზაში დამნაშავეთა მონაცემების შეტანას, რომლებიც გასამართლებულები იყვნენ (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) 15 წლის მოზარდების გაუპატიურების გამო.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ მონაცემთა შენახვის ხანგრძლივობა (მაქსიმუმ 30 წელი) არ იყო პროპორციული დასახულ მიზანთან, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის აღკვეთას ინფორმაციის შენახვის გზით. ამას გარდა, სასამართლოების, პოლიციისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, შესაძლოა განხორციელებულიყო მხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვით და შემოიფარგლებოდა მკვეთრად განსაზღვრული გარემოებებით. სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი.

**Deceuninck v. France**

**(განაცხადი №47447/08)**

საქმე ეხება ფერმერის საჩივარს მისგან იმ უჯრედების ნიმუშების აღების ბრძანებაზე, რომლებიც შეიცავდა მის გენეტიკურ ინფორმაციას. ბრძანება გაიცა იმის გამო, რომ მის მიმართ იდგა პასუხისმგებლობის საკითხი გენმოდირეცირებული ქარხლის ექსპერიმენტულ გამოყვანასთან დაკავშირებით.

განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. საქმე ამჟამად განხილვის სტადიაზეა.

## პილო თვალთვალი

**Peck v. The UK**

**(განაცხადი №44647/98; 28/01/2003)**

საქმე ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ჩანაწერის ჩვენებას, რომელიც გადაღებული იყო მერიის მიერ დამონტაჟებული ქუჩის ვიდეო კამერების მეშვეობით. მასზე განმცხადებელი დაფიქსირებული იყო ზუსტად იმ მომენტში, როდესაც ვენებს იჭრიდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მასმედიის საშუალებით ინფორმაციის გადაცემა არ იყო უზრუნველყოფილი საკმარისი გარანტიებით. ამგვარად, ადგილი ჰქონდა არაზომიერ და გაუმართლებელ ჩარევას განმცხადებლის პირად ცხოვრებაში.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**Kopke V. Germany**

**(განაცხადი №420/07; 05/10/2010)**

საქმე ეხება ფარულ ვიდეოთვალთვალს სუპერმარკეტში, რამაც გამოიწვია განმცხადებლის სამუშაოდან გათავისუფლება ქურდობის გამო.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიცვა სამართლიანი ბალანსი დაქირავებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და მისი დამქირავებლის ინტერესებს შორის, მისი ქონებისა და საზოგადოებრივი ინსტერესების დაცვის მიზნით – მართლმსაჯულების ჯეროვანი ფორმით განხორციელების გზით.

განაცხადი კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე სასამართლომ დაუშვებლად ცნო,

თუმცა აღნიშნა, რომ მხარეთა საპირისპირო ინტერესები მომავალში შესაძლოა, სრულიად სხვანაირად შეფასდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ პირად ცხოვრებაში ამ დოზით ჩარევა შესაძლებელი გახდება ახალი, უფრო და უფრო რთული ტექნოლოგიების საშუალებით.

## ელექტრონული ფოსტა

### Copland v. The UK

(განაცხადი №62617/00; 03/04/2007)

საქმე ეხება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების რექტორის პირადი ასისტენტის ელექტრონული ფოსტის თვალთვალს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ თვალთვალი არ იყო კანონით გათვალისწინებული, რადგან იმ მომენტისათვის ეროვნულ კანონმდებლობაში არ არსებობდა ამ პროცესის მარეგულირებელი ნორმები.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## თანამგზავრული ნავიგაციის სისტემა – GPS

### Uzun v. Germany

(განაცხადი №35623/05; 02/09/2010)

საქმე ეხება GPS სისტემის მეშვეობით თვალთვალს. ეს არის ამ კატეგორიის პირველი საქმე, რომელიც იხილება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო მემარცხენე რადიკალური მოძრაობის მიერ ორგანიზებულ აფეთქებებში. მასზე მიმდინარეობდა თვალთვალი GPS სისტემის მეშვეობით. მოპოვებული მტკიცებულებები გამოყენებულ იქნა მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში.

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს ბრალად ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენა, სასამართლომ მიიჩნია, რომ GPS სისტემის მეშვეობით თვალთვალი იყო პროპორციული ღონისძიება.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი.

## სატელიტური თევზი

### Khurshid Mustafa and Tarzibchi v. Sweden

(განაცხადი №23883/06; 16/12/2008)

განმცხადებლები არიან ერაყელი წარმომავლობის შვედეთის მოქალაქეები. ისინი ჩიოდნენ, რომ 2006 წლის ივნისში განმცხადებლები და მათი შვილები გამოასახლეს მათ მიერ დაქირავებული ბინიდან, რომელიც მდებარეობს რინკებოში, სტოკჰოლმთან ახლოს. გამოსახლების მიზეზი იყო ის, რომ მათ უარი განაცხადეს სატელიტური ანტენის მოხსნაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ სატელიტური ანტენა განმცხადებლებს შესაძლებლობას აძლევდა, შეენარჩუნებინათ კონტაქტი თავიანთი ქვეყნის კულტურასა და ენასთან, ენახათ სატელევიზიო პროგრამები არაბულ და სპარსულ ენებზე.

შესაბამისად, სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლი.

## პოლიციის მიერ დაპატიმრება და ადვოკატის დახმარება

სასამართლო მუდმივად ადგენს, რომ ნებისმიერი პირს, რომელსაც ბრალი ედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულში, აქვს უფლება, ეფექტურად დაიცვას ადვოკატმა; ეს წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო პროცესის ფუნდამენტურ ელემენტს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3(c) პუნქტების შესაბამისად: „ყოველ ბრალდებულს აქვს უფლება, დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“.

### Imbrosia v. Switzerland

24/11/1993

კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსი ადგენს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის ვალდებულებას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მუხლს არ აქვს კავშირი წინასასამართლო პროცედურებთან.

**სასამართლომ მრავალჯერ გაიმეორა შემოაღნიშნული პრინციპი:**

### John Murray v. united Kingdom

25/01/1996

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი ჩვეულებრივ მოითხოვს ბრალდებულის დაცვის უფლებით უზრუნველყოფას პოლიციის მიერ ჩვენების ჩამორთმევის საწყის ეტაპზეც, ეს უფლება პირდაპირ არ არის ჩამოყალიბებული კონვენციაში და შეიძლება გახდეს ამ უფლების შეზღუდვის საკმარისი საფუძველი. ამ სახის შეზღუდვის არსებობის განხილვისას, ჩრდილოეთ ირლანდიის 1987 წლის აქტის კონტექსტში, ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდებულისათვის ადვოკატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

**სასამართლოს მიერ მხედველობაში მიღებული ფაქტები:**

### Brennan v. the United Kingdom

16/10/2001

საქმე ეხება აპლიკანტის მიერ ადვოკატის დასწრების გარეშე გაკეთებულ აღიარებით ჩვენებას. სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ან მესამე (c) პუნქტების დარღვევა, რადგან John Murray-ს საქმისგან განსხვავებით, პირველი 24 საათის განმავლობაში, როცა აპლიკანტი ადვოკატის გარეშე იმყოფებოდა, მის მიერ ნათქვამი, ან ართქმულიდან დასკვნა საქმის მასალებისთვის არ მომზადებულა.

საქმე ეხება, ჰქონდა თუ არა ადგილი აპლიკანტზე შემოქმედებას განაცხადში **Magee v. the United Kingdom** (06.06.200, §40). სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3(c) პუნქტების დარღვევა. პოლიციაში დაკავების პერიოდში, აპლიკანტის მიერ მიცემულ ჩვენებას, როცა ის დაძაბულ ატმოსფეროში იმყოფებოდა და არ ჰყავდა დამცველი, არსებითი (ძირითადი) მნიშვნელობა ჰქონდა მისი ბრალდების საქმეში.

## Salduz and Dayanan v. Turkey and Brusco v. France

### Salduz v. Turkey (დიდი პალატის განჩინება)

27/11/2008

აპლიკანტს ბრალი ედებოდა და შემდეგ დამნაშავედ იქნა ცნობილი ნებართვის გარეშე PKK-ს (ქურთთა მუშათა პარტია, არალეგალური ორგანიზაცია) მხარდასაჭერად ჩატარებულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. პოლიციაში ყოფნისას აპლიკანტმა ადვოკატის დასწრების გარეშე მისცა აღიარებითი ჩვენება. სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტს შეეძლო ბრალის თაობაზე სასამართლო პროცესზე ედავა, ფაქტმა, რომ ის ადვოკატის გარეშე იმყოფებოდა პოლიციაში დაკავების პერიოდში, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მისი დაცვის უფლებას, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ის უმცირესობაში იმყოფებოდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ც) პუნქტის დარღვევა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთად (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

„ნებისმიერი პირს, რომელსაც ბრალი ედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულში, აქვს უფლება, ეფექტურად იქნეს დაცული ადვოკატის მიერ პოლიციის მიერ პირველი დაკითხვის მომენტიდან, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა არსებობს ამ უფლების შეზღუდვის აუცილებლობა.

### Dayanan. v. Turkey

13/10/2009

აპლიკანტს, რომელსაც ბრალად ედებოდა „hezbollah“-ს წევრობა, არ ჰქონდა საშუალება, ესარგებლა ადვოკატის დახმარებით პოლიციაში დაკავების პერიოდში. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შეზღუდვით (შეზღუდვა სისტემატურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც თურქეთის შესაბამისი კანონმდებლობით იყო დადგენილი) ინდივიდს ჩამოერთვა ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და ეს იყო საფუძველი იმისა, რომ სასამართლოს დაედგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი დუმილის უფლებას იყენებდა პოლიციაში წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ც) პუნქტის დარღვევა.

### Brusco v. France

14/10/2010

აპლიკანტი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო აგრესიული კამპანიის წარმართვაში, წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და დაკითხეს როგორც მოწმე მას შემდეგ, რაც მან დაიფიცა, რომ იტყოდა მხოლოდ სიმართლეს. სასამართლოს შეხედულებით, ის იყო არა მხოლოდ მოწმე, არამედ პირი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო სისხლისსამართლებრივ დანაშაულში და უნდა ჰქონოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით გარანტირებული უფლება, შეენარჩუნებინა დუმილი და არ მიეცა აღიარებითი ჩვენება.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების დარღვევა (შეინარჩუნოს დუმილი და არ მისცეს აღიარებითი ჩვენება)

ასევე იხილეთ

### Yesilkaya v. Turkey

08/12/2009

პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას აპლიკანტს უარი ეთქვა ადვოკატის დახმარების უფლების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მან დაკითხვის მწარმოებელი პოლიციის ოფიცრის წინაშე უარყო ნებისმიერი სახის კავშირი მისთვის წაყენებულ ბრალში. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ც) პუნქტის დარღვევა პირველ პუნქტთან ერთად.

**Boz v. Turkey**

09/02/2010

**სასამართლომ განმეორებით დაადგინა**, რომ ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლების სისტემატური დარღვევა, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლს.

**Yoldas v. Turkey**

23/02/2010

აპლიკანტმა ადვოკატის დახმარების უფლებაზე უარი ცხადად და ცალსახად დააფიქსირა.

**სასამართლომ არ დაადგინა** კონვენციის მე-6 მუხლის მე-3(ც) პუნქტისა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

**Dushka v. Ukraine**

03/02/2011

17 წლის არასრულწლოვნის უკანონო დაკავება და დამცველის გარეშე დაკითხვა (აპლიკანტი ამტკიცებს, რომ ის აწამეს პოლიციის განყოფილებაში, რათა ეღიარებინა ქურდობა).

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-3 მუხლის 2 დარღვევა (ადამიანის წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა/ეფექტური გამოძიების ნაკლებობა).

## პატიმართა ჯანმრთელობის დაცვა

### ფსიქიკურად დაავადებულ პატიმართა სამედიცინო დახმარება

#### Kudla v. Poland

(განაცხადი №30210/96)

ანჟეი კუდლა წინასწარ პატიმრობაში თითქმის ოთხი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. ამ ხნის მანძილზე მან ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. იგი ასევე დაავადებული იყო ქრონიკული დეპრესიით. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით იგი ჩიოდა, რომ გამოსასწორებელ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მას არ გააჩნდა შესაბამისი ფსიქიატრიული მკურნალობის შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ თვითმკვლელობის მცდელობები არ შეიძლება დაკავშირებული იყოს დაწესებულების ადმინისტრაციის რაიმე სახის აშკარა გულგრილობასთან. დადგენილი იყო, რომ ბატონ კუდლას ექიმები სინჯავდნენ და იგი რეგულარულად იღებდა ფსიქიატრიულ დახმარებას. სასამართლომ არ მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი დარღვეულად, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ ნორმის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან გააკეთონ ყველაფერი, რათა დაკავებულმა პირმა არ განიცადოს იმაზე მეტი უხერხულობა, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯეროვნად უნდა იზრუნონ დაკავებულ პირთა ჯანმრთელობასა და მათ კეთილდღეობაზე, მათთვის საჭირო სამედიცინო დახმარების აღმოჩენით.

#### Dybeku v. Albania

(განაცხადი №41153/06)

2003 წელს განმცხადებელს – ილირ დიბეკუს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა მკვლელობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შენახვის გამო. განაჩენის გამოტანის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, იგი გადიოდა მკურნალობას ქრონიკული პარანოიდული შიზოფრენიის გამო სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. განმცხადებელი მოათავსეს ჩვეულებრივ ციხეში, ერთ კამერაში ჯანმრთელი პატიმრების გვერდით. მას ეპყრობოდნენ, როგორც ჩვეულებრივ პატიმარს. განმცხადებლის მამა და ადვოკატი ჩიოდნენ, რომ ციხის საავადმყოფოს ადმინისტრაცია არ უნევედა მას ჯეროვან სამედიცინო დახმარებას, რის შედეგადაც განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. მათი საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, მიუთითა რა, რომ განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, იგი უფრო მონყვლად კატეგორიას განეკუთვნებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი პატიმარი და რომ მისი პატიმრობაში ყოფნა უფრო ამძაფრებდა შიშისა და შფოთვის შეგრძნებას. ალბანეთის ხელისუფლებამ აღიარა რა ის ფაქტი, რომ ციხეში განმცხადებელს ისევე ეპყრობოდნენ, როგორც ჩვეულებრივ, დანარჩენ პატიმრებს ანუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე, ამით გამოავლინეს ევროპის საბჭოს რეკომენდაციის დაუცველობა, რომელიც ფსიქიკურად დაავადებული პატიმრების მოპყრობას ეხება.

#### Renolde v. France

(განაცხადი №5608/05)

აპლიკანტს ბრალად ედებოდა თავის ყოფილ პარტნიორსა და მის ქალიშვილზე თავდასხმა. 2000 წელს მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე წინასწარი დაკავების საკანში. ამ მოვლენამდე რამდენიმე კვირით ადრე მას უკვე ჰქონდა მსგავსი მცდელობა. მაშინ აპლიკანტს დაესვა დიაგნოზი – „შეშლილობის მძიმე ფორმა“. დადგინდა, რომ პატიმარს წარსულში ჰქონდა ფსიქიატრიული პრობლემები. განმცხადებელს დაუნიშნეს შესაბამისი მკურნალობა. პრეპარატები მას ეძლეოდა კვირაში ორჯერ. მედიკამენტების მიღება შეეძლო ზედამხედველობის გარეშე. თვით-



მკვლელობის მცდელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავს დაესხა ზედამხედველს. სადისციპლინო კომისიამ მას 45-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა კარცერში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. მიუხედავად თვითმკვლელობის მცდელობისა და დიაგნოზისა, რაც მოწმობდა განმცხადებლის ფსიქიკურ აშლილობაზე, მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანის საკითხი არასდროს დამდგარა დღის წესრიგში. ამას გარდა, ექსპერტების აზრით, განმცხადებლის მკურნალობის კურსის არადაამაკყოფილებელ ორგანიზებას შეეძლო ხელი შეეწყო თვითმკვლელობისათვის, რადგან იგი იმყოფებოდა ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში. სასამართლომ დაასკვნა, რომ ყოველდღიური დაკვირვების არარსებობამ იმაზე, თუ როგორ იღებდა განმცხადებელი მედიკამენტებს, ნაწილობრივ ხელი შეუწყო მის სიკვდილს.

სასამართლომ ერთსულოვნად დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. სასამართლო აღშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ განმცხადებელს დაეკისრა მაქსიმალურად მკაცრი დისციპლინური სასჯელი, რომელიც ითვალისწინებდა სრულ იზოლაციას მნახველებისაგან და პატიმრებთან რაიმე სახის კონტაქტს. განმცხადებლის ფსიქიკური მდგომარეობა არ იყო გათვალისწინებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფსიქიკურად დაავადებული და თვითმკვლელობისადმი მიდრეკილი პატიმრები საჭიროებენ მათ მდგომარეობასთან შესაბამის, განსაკუთრებულ მოპყრობას.

**Raffray Taddei v. France**

**(განაცხადი №36435/07)**

განმცხადებელი დააკავეს რენეში. იგი ავადმყოფობდა მრავალი დაავადებით, მათ შორის – ანორექსიითაც. ქალბატონი ტადეი ჩიოდა, მისი ხანგრძლივი დაპატიმრებისა და ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფერისი, ჯეროვანი მკურნალობის არარსებობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გაითვალისწინეს განმცხადებლის სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობა, რაც განპირობებული იყო მისი ჯანმრთელობით. განმცხადებლის ერთი ადგილიდან მეორეში ხშირმა გადაყვანამ, ასევე მისი პატიმრობის შეჩერებაზე შუამდგომლობის განუხილველობამ (განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე) ქალბატონ ტადეი გამოიწვია ძლიერი სტრესი, რომლის ინტენსიურობამაც გადააჭარბა თავისუფლებააღკვეთილი პირის ჩვეულებრივ, გარდაუვალ სტრესულ მდგომარეობას.

**მკიმი ფიზიკური დაავადების მქონე პატიმრების სამედიცინო დახმარება**

**Khudobin v. Russia**

**(№59696/00)**

განმცხადებელი დაავადებულია შიდსით და რამდენიმე ქრონიკული დაავადებით, მათ შორის – ეპილეფსიით, ვირუსული ჰეპატიტითა და სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობით. წინასწარი დაკავებისას, რომელიც ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, განმცხადებელი ისევ დაავადდა მთელი რიგი სერიოზული დაავადებით, მათ შორის – ბრონქიტით და ფილტვების ანთებით. თავისი მდგომარეობის გამო, განმცხადებელი ხშირად ხვდებოდა ციხის საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში. ამის მიუხედავად, განმცხადებლის მამის მოთხოვნა სრული სამედიცინო შემონმების გავლაზე, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელმა ვერ მიიღო მისთვის საჭირო სამედიცინო დახმარება. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი შიდსით იყო ინფიცირებული და იტანჯებოდა მძიმე, სერიოზული ფსიქიკური დაავადებით, დროული კვალიფიციური სამედიცინო დახმარების არარსებობა და დამოუკიდებელი სამედიცინო გამოკვლევის ჩატარებაზე უარი, მასში ინვევდა დაუცველობის ძლიერ შეგრძნებას.

სასამართლომ აღიარა, რომ ციხის საავადმყოფოებში არსებული სამედიცინო დახმარება ყოველთვის არ შეესაბამება ჩვეულებრივი სამედიცინო დაწესებულების დონეს და აღნიშნა, რომ სახელმწიფოების ამოცანაა, მიაღწიონ, რომ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობა დაცული იყოს შესაბამისი ფორმით, მათთვის ჯეროვანი, აუცილებელი სამედიცინო დახმარების განვითარება.

## Mouisel v. France

### (განაცხადი №67263/01)

განმცხადებელი 15-წლიან სასჯელს იხდის. 1999 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ლიმფური ლეიკემიით იყო დაავადებული. როდესაც მისი მდგომარეობა გაუარესდა, განმცხადებელი საავადმყოფოში დროდადრო მიჰყავდათ ქიმიოთერაპიული კურსის გასაველეად. საავადმყოფოში იგი ბორკილებით გადაჰყავდათ. მისი თქმით, თერაპიის სენსიბილურობის მას ფეხებზეც ბორკილები ედო, ხოლო ერთი ხელით ასევე ბორკილით იყო მიბმული სანოლზე. 2000 წელს მან გადაწყვიტა შეეწყვიტა მკურნალობა, ჩიოდა რა მკურნალობის პროცესის დროს მის მიმართ ზედამხედველების მიერ აგრესიულ ქცევაზე. შედეგად იგი გადაიყვანეს საავადმყოფოსთან ახლოს მდებარე სხვა ციხეში. 2001 წელს განმცხადებელი გათავისუფლეს იმ პირობით, რომ ვალდებული იყო, გაეველო მკურნალობის კურსი.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი მისი პატიმრობაში ყოფნის პერიოდის განმავლობაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა, ციხის ადმინისტრაცია არ იღებდა რაიმე კონკრეტულ ზომებს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ასევე მკურნალობის ფორმის გამო, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბატონი მუიზელის ხელბორკილებით დაბმა არ იყო უსაფრთხოების რისკების თანაზომიერი. ამას გარდა, ასეთი მოპყრობა არ შეესაბამებოდა წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის დასკვნებს, რომლებიც ეხება პატიმართა გადაყვანასა და სამედიცინო მკურნალობას.

## Xiros v. Greece

### (განაცხადი №1033/07)

სავას ქსიროსი სასჯელს იხდის ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის გამო. იგი სერიოზულად დაიჭრა 2002 წელს ტერორისტული აქტის განხორციელებისას ხელში ბომბის აფეთქების გამო, კერძოდ: განმცხადებელს დაუზიანდა მხედველობა, სმენა და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა. თვალზე ჩატარებული რამდენიმე ოპერაციის შემდეგ მისი მხედველობა გაუარესდა. 2006 წელს მან იშუამდგომლა პატიმრობის შეჩერების გამო, რათა გაეველო სპეციალური მკურნალობა ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. ოთხი სპეციალისტიდან სამმა რეკომენდაცია გაუწია მის კლინიკაში გადაყვანას. საბერძნეთის სასამართლოებმა მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებელს არ აღმოუჩინეს დახმარება მხედველობის გაუარესების გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა პასუხი უნდა გაეცა ადგილობრივ სასამართლოებს განმცხადებლის შუამდგომლობაზე სპეციალურ კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, შიდა სასამართლოები ვალდებული იყვნენ, სწრაფად დაენიშნათ დამატებითი ექსპერტიზა, ვიდრე დამოუკიდებლად დაენყოთ რთული სამედიცინო პრობლემის გარკვევა. ეს მოსაზრებები ასევე იმით იყო გამყარებული, რომ მრავალი წყაროს ცნობით, მათ შორის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მოხსენების ჩათვლით, სამედიცინო დახმარების დონე ციხეში, სადაც სასჯელს იხდიდა განმცხადებელი, იყო მნიშვნელოვნად დაბალი იმაზე, რაც უნდა ყოფილიყო გარანტირებული სპეციალიზებულ კლინიკაში.

## Vasyukov v. Russia

### (განაცხადი №2974/05)

ბატონი ვასიუკოვი ამტკიცებდა, რომ იგი პატიმრობაში ყოფნისას დაავადდა ტუბერკულოზით. აპლიკანტი ასევე ამტკიცებდა, რომ მას არ აღმოუჩინეს ჯეროვანი სამედიცინო დახმარება, რადგან დიაგნოზი მოგვიანებით დაუსვეს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ჯეროვანი ფორმით დიაგნოზირება განმცხადებლის გამოკვლევასა და ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა, უზრუნველყნით განმცხადებელი საჭირო სამედიცინო მომსახურებით, რომელიც 2004 წლის სექტემბრამდე იმყოფებოდა გამო-სასწორებელ კოლონიაში.

**Logvinenko v. Russia**

14/10/2011

ბატონ ლოგვინენკოს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი და ამავე დროს დაავადებულია შიდსით, მას ასევე აწუხებს ტუბერკულოზი, ბრონქიტი, ჰეპატიტი და პნევმონია. იგი ჩიოდა შიდსის სანინალმდეგო მკურნალობის არარსებობს გამო და ასევე იმაზე, რომ საერთოდ არ ჩაუტარეს სისხლის გამოკვლევა, რათა განესაზღვრათ, ესაჭიროებოდა თუ არა გადაუდებელი ანტივირუსული თერაპია.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბატონი ლოგვინენკო იყო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი – არასრულყოფილი სამედიცინო დაკვირვებისა და მკურნალობის, ასევე მძიმე საარსებო პირობების გამო. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

**A.B. v. Russia**

14/10/2011

2004 წლის ოქტომბერში შიდსით დაავადებული განმცხადებელი, რომელიც იმყოფებოდა ციხეში, გადაიყვანეს ერთი პატიმრისათვის განკუთვნილ საკანში, სადაც ტემპერატურა ზამთარში ეცემოდა 7-10°C გრადუსამდე. მას არ მკურნალობენ შიდსის წინააღმდეგ და არ გადაჰყავდათ საავადმყოფოში თავისუფალი ადგილების არარსებობის გამო. ციხის საკნები, რომლებშიც იგი სხვადასხვა დროს იმყოფებოდა, იყო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, არ იყო ვენტილაცია, გათბობა და ცხელი წყალი, ექიმები იშვიათად ნახულობდნენ პატიმრებს და თუ ნახულობდნენ, არ აძლევდნენ მედიკამენტებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ექვსი წლის განმავლობაში განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მოწმდებოდა, სასამართლო ძალიან აღშფოთებულია ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებით იმაზე, რომ განმცხადებელი არ საჭიროებდა ანტირეტროვირუსულ მკურნალობას. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ციხეში მინიმალური სამედიცინო მომსახურების არარსებობს გამო, რაც უნდა ჩატარებულიყო შიდსის დროული მკურნალობისთვის.

**ფიზიკურად ქმედუნარო პატიმრებისადმი მოპყრობა**

**Price v. The UK**

(განაცხადი №33394/96)

ადელ პრაისი, რომელიც ინვალიდია (არა აქვს ხელ-ფეხი), ამავე დროს დაავადებული იყო თირკმლის დაავადებით. სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვისას იგი დააპატიმრეს სასამართლოსადმი უპატივცემულობის გამო. მან ერთი ღამე გაატარა პოლიციის კამერაში, სადაც ეძინა თავისი ინვალიდის სავაძელში, რადგან ჩვეულებრივი საწოლი არ იყო მორგებული ინვალიდი ადამიანებისათვის, ხოლო კამერაში, მისი თქმით, ციოდა. მომდევნო ორი დღე იგი ამყოფეს ჩვეულებრივ ციხეში, სადაც ტუალეტით სარგებლობისას იძულებული იყო მამაკაცი ზედამხედველების დახმარებით ესარგებლა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ინვალიდის სიცივეში მოთავსება, მისთვის მოურგებელი საწოლი, იმ პირობებში, როცა საპირფარეოთი სარგებლობა და ჰიგიენური პრობლემების მოგვარება მისთვის უკიდურესად რთული იყო და იძულებული გახდა დახმარება მამაკაცი ზედამხედველებისთვის ეთხოვა, უტოლდება დამამცირებელ მოპყრობას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## მოხუცებული პატიმრები

### Papon v. France

(განაცხადი №64666/01)

მორის პაპონი სასჯელს იხდიდა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში თანამზრახველობის გამო. საჩივრის შემოტანისას იგი 90 წლის იყო. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისი ასაკის ადამიანის ციხეში ყოფნა ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს და რომ ციხის პირობები, რომელშიც იგი იმყოფებოდა, არ შეესაბამებოდა მის ჯანმრთელობასა და ასაკს.

ამ საქმეზე სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბატონი პაპონის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მისი დაკავების პირობები არ იძლეოდა იმის დასკვნის საფუძველს, რომ მას სისასტიკის ზღვარზე ამყოფებდნენ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მოპყრობა თავსდებოდეს კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში. განმცხადებელს აწუხებდა გული, თუმცა მისი საერთო მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც „კარგი“.

სასამართლომ არ გამოიციხა შესაძლებლობა, რომ კონკრეტული პირობების არსებობისას მოხუცებული პირის პატიმრობაში ხანგრძლივი ყოფნა, შესაძლოა წამოჭრიდეს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში აუცილებელია ცალკე აღებული საქმის კონკრეტული მდგომარეობის შესწავლა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ კონვენციის არც ერთი წევრი სახელმწიფო არ ადგენს მაქსიმალური ასაკის ზღვარს, რომელიც გამოიციხავდა პირის პატიმრობას ან სასჯელის მოხდას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

## აბსტინენტური სიმკვრივით დაავადებულ ნარკომანებთან მოპყრობა

### McGlinchey and Others v. The UK

(განაცხადი №50390)

1998 წელს ჯუდიტ მაკგლინჩი, რომელიც ჰეროინის ხანგრძლივად მომხმარებელი იყო, გაასამართლეს და მიუსაჯეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ქურდობისათვის. ციხეში მას განუვითარდა აბსტინენტური სინდრომი, აწუხებდა ლებინება და მკვეთრად დაიკლო წონაში. განმცხადებელი გასინჯა ექიმმა. ერთი კვირის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუარესდა და იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა 1999 წელს. ქალბატონი მაკგლინჩის მშობლები ჩიოდნენ, რომ სიკვდილის წინ მათი შვილი ციხეში გახდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი.

წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის მშობლების განცხადებები იმის თაობაზე, რომ ციხის ადმინისტრაციამ არ მიაწოდა მას მედიკამენტები აბსტინენტური სინდრომის დასაძლევად და რომ კეტავდა მას კამერაში დასასჯელად, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამის მიუხედავად, სასამართლომ ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ ამოცანას – განმცხადებლისათვის აღმოეჩინა საჭირო სამედიცინო დახმარება. ამგვარად, სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი.

## პატიმართა საარჩევნო უფლება

### მიმდინარე საქმე

Gladkov v. Russia

(განაცხადი 15162/05; კომუნიკაცია შედგა 19.10.2009)

Scoppola v. Italy №3 (განაცხადი 126/05) დიდი პალატის განჩინება

22/05/2012

ეხება ბატონი სკოპოლას საჩივარს, რომელსაც ჩადენილი მკვლელობის გამო მისჯილი თავისუფლების სამუდამო აღკვეთის შესაბამისად აეკრძალა სახელმწიფო სამსახური. ის თვლის, რომ ამან გამოიწვია მისი საარჩევნო უფლების სამუდამოდ ჩამორთმევა.

არ დარღვეულა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი (თავისუფალი არჩევნების უფლება).

სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ იტალიის კანონმდებლობის თანახმად, ის პატიმრები, რომელთაც ჩადენილი აქვთ დანაშაული სახელმწიფოს ან სასამართლო სისტემის წინააღმდეგ, ან მისჯილი აქვთ არანაკლებ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, კარგავენ საარჩევნო უფლებას. შესაბამისად სასამართლომ საქმეში ჰირსტი №2 გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი 74025/01) არ მიიჩნია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი დარღვეულად.

სასამართლო კვლავ ადგენს, რომ, ზოგადად, ავტომატურად და ბუნდოვნად საარჩევნო უფლების ჩამორთმევა ყველა მსჯავრდებული პატიმრისათვის, მიუხედავად დანაშაულის ბუნებისა და ხარისხისა, არ არის თავსებადი კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლთან (თავისუფალი არჩევნების უფლება). თუმცა, დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს მიერ წარმოდგენილ არგუმენტს, რომელსაც, როგორც მესამე მხარეს, დაერთო ნება განემარტა, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს ფართო დისკრეცია დაარეგულიროს აკრძალვა, როგორც სამართალდარღვევის სახის მიხედვით, რომელიც უნდა გამოიხატოს საარჩევნო უფლების დაკარგვაში და ასევე იმაზე მითითებაში, რომ საარჩევნო უფლება მოსამართლემ უნდა ჩამოართვას ინდივიდუალურად კონკრეტულ საქმესთან მიმართებით, თუ ეს უნდა გამომდინარეობდეს კანონის ზოგადი მოთხოვნიდან.

Greens and M.T. v. U.K. (განაცხადი 60041/08 & 60054/08) პალატის განჩინება

23/11/2010

ეხება გაერთიანებული სამეფოს მიერ საკანონმდებლო ცვლილებების ხანგრძლივი დროის განმავლობაში განუხორციელებლობას, რომელიც ეხებოდა ეროვნულ და ევროპულ არჩევნებში საარჩევნო ხმის ბლანკეტურ აკრძალვას პატიმრობაში მყოფი მსჯავრდებული პატიმრებისათვის.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა (თავისუფალი არჩევნების უფლება).

**სამართლიანი დაკმაყოფილება:** სასამართლომ დაადგინა აღნიშნული მუხლის დარღვევა; 5.000 ევრო (EUR) ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

სასამართლომ დარღვევად მიიჩნია გაერთიანებული სამეფოს მიერ სასამართლოს დიდი პალატის ჰირსტი №2 განჩინების აღუსრულებლობა.

### აღსრულება

რადგანაც სასამართლომ 2.500 ერთნაირი აპლიკაცია მიიღო, გადაწყვიტა მიმართოს პილოტური განჩინების პროცედურას და დიდი ბრიტანეთის მთავრობას მისცა 6-თვიანი თვიანი ვადა დღიდან გრინსებისა და M.T. საქმეზე გადაწყვეტილების მიღებიდან, რათა მოამზადონ საკანონმდებლო ინიციატივა და მოხდეს სადავო კანონის/კანონების კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ნა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ის აღარ განიხილავს მსგავს საქმეებს საკანონმდებლო ცვლილების მომზადებამდე პერიოდში და გადაწყვიტა გამორიცხოს განსახილველ საქმეთა სიიდან მსგავსი საქმეები მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ცვლილება იქნება ინიცირებული.

## საარჩევნო უფლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის მიერ

საქმეში **frodl v. Austria** (განაცხადი 20201/04 პალატის განჩინება 08.04.2010) სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევა იმიტომ, რომ საარჩევნო უფლების ჩამორთმევაზე გადაწყვეტილება მოსამართლეს არ მიუღია. აპლიკანტი იყო პატიმარი რომელიც, ავსტრიაში იხდიდა სამუდამო პატიმრობის სასჯელს ჩადენილი მკვლელობის გამო. მას ეროვნული ასამბლეის საარჩევნო აქტის (National Assembly Election Act) საფუძველზე ჩამოერთვა საარჩევნო უფლება. აქტის მიხედვით, პატიმრებს, რომლებიც ერთ წელზე მეტი ხნის ვადით იხდიან სასჯელს განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის არა აქვთ ხმის მიცემის უფლება.

თუმცა, დიდი პალატის განჩინებით სკოპოლა №3 იტალიის წინააღმდეგ, მოსამართლის ჩარევა აშკარად ცხადი იყო. პრინციპში, პატიმართა საარჩევნო უფლების აკრძალვის პროპორციულობის უზრუნველსაყოფად ასეთი შეზღუდვა არ არის აუცილებელი იყოს ავტომატური, ზოგადი და გაურკვეველი.

### Hirst N2 v. the United Kingdom (განაცხადი 74025/01) – დიდი პალატის განჩინება

06/10/2005

იხება მსჯავრდებული პატიმრების საარჩევნო უფლების ბლანკეტურ აკრძალვას.

სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტს, დაპატიმრებულს 1980 წელს (გათავისუფლებული 1994), სახალხო აქტის 1983 (Peoples Act) III თავის საფუძველზე, ამ პერიოდის განმავლობაში და მისი სტატუსიდან გამომდინარე როგორც მსჯავრდებულ პატიმარს, ავტომატურად და გაურკვევლად (ბუნდოვნად) ჩამოერთვა საარჩევნო უფლება.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის III მუხლის დარღვევა (თავისუფალი არჩევნების უფლება).

**სამართლიანი დაკმაყოფილება:** 23.200 ევრო (EUR) ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

სასამართლომ დეტალურად აღნიშნა, რომ სასჯელის მისჯისას სისხლის სამართალში სასამართლოებმა არ მიუთითეს საარჩევნო უფლების ჩამორთმევაზე და არ იყო ცხადი, რომ არსებობდა პირდაპირი კავშირი საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და საარჩევნო უფლების დაკარგვას შორის.

### აღსრულება

07.04.2006 წელს გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში (CM) წარადგინეს განჩინების აღსრულების სამოქმედო გეგმა.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა წამოიწყეს 2-საფეხურიანი კონსულტაციის პროცესის ხელმძღვანელობა, პარლამენტისთვის აუცილებელი საკანონმდებლო რეფორმის წარდგენის მიმართულებით.

რადგანაც საკანონმდებლო რეფორმა არ იქნა მიყვანილი ბოლომდე, მინისტრთა კომიტეტმა 2009 წლის დეკემბერში შეიმუშავა **დროებითი ღონისძიება**, სადაც გამოიხატა სერიოზული შეშფოთება განჩინების აღსრულების არსებითი დაყოვნების გამო და დაჟინებით მოსთხოვა გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებას, სწრაფად მიეღოთ აუცილებელი ზომები.

2011 წლის ივნისში მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნა რომ განჩინება გრინსები და M.T. (ზემოთ ნახსენები) გამოცხადდა საბოლოოდ და გაერთიანებული სამეფოს მთავრობას 2011 წლის 11 ოქტომბრამდე მიეცა ვადა საარჩევნო კანონმდებლობის განჩინებასთან (ჰირსტი №2 და გრინსები და M.T.) შესაბამისობაში მოყვანილი საკანონმდებლო წინადადების წარდგენისათვის, მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში.

## ჟურნალისტური წყაროების დაცვა

### მუხლი 10. (აზრის გამოხატვის თავისუფლება)

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმეორებით უსვამს ხაზს, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ ინფორმაციისა და იდეის შინაარსს და არსს, არამედ მათი გადაცემის საშუალებებსაც. პრესა სარგებლობს დაცვის ფართო სპექტრით სასამართლო პრეცედენტულ პრაქტიკაში, ასევე ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის კუთხითაც.

„ჟურნალისტური წყაროების დაცვა არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პირობა პრესის თავისუფლებისათვის. ასეთი დაცვის გარანტიის არსებობის გარეშე, წყარო შეიძლება ვერ მოხდეს პრესაში და, შესაბამისად, ვერ მოხდეს საზოგადოების ინფორმირება საჯარო ინტერესის საკითხებზე. შედეგად სასიცოცხლო მნიშვნელობის საზოგადოებრივი დარაჯის – პრესის როლს შეიძლება ზიანი მიადგეს და პრესამ ვეღარ შეძლოს საზოგადოებისათვის სანდო ინფორმაციის მიწოდება. წყაროს დასახელებაზე გაცემული განკარგულება ვერ იქნება კონვენციის მე-10 მუხლთან თავსებადი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასაბუთებულია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით“.

(იხილეთ *Godvin v. the United Kingdom*)

### საქმეები, როცა ჟურნალისტებს დაევალით ჟურნალისტური წყაროების დასახელება

#### *Godvin v. the United Kingdom*

27/03/1996

საქმე ეხება „The Engineer“-ის ჟურნალისტის მიმართ გამოცემულ ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, მას დაევალია დაესახელებინა კომპანიის კონფიდენციალური კორპორაციული გეგმის მომწოდებლის ვინაობა.

სასამართლომ გადაჭარბებულად მიიჩნია ბრძანება.

**სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.**

#### *Nordisk Film & v. the United Kingdom*

08.12.2005

განაცხადი ეხება ბრძანებას, რომლითაც ჟურნალისტს დაევალია, წარმოეჩინა მის ხელთ არსებული კვლევის მასალები, რომლებიც მან მოიპოვა დანიაში პედოფილიის შესახებ დოკუმენტური ფილმის მომზადებისას, ხოლო შემდეგ ჩაბმულ იქნა პედოფილთა ასოციაციაში. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო ბრძანება პროპორციულია ჟურნალისტის აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევასთან მიმართებით, რაც დასაბუთებულია დანაშაულის პრევენციით, განსაკუთრებით ბავშვებზე ძალადობის დანაშაულის პრევენციით.

**განაცხადი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.**

#### *Voskuil v. the Netherland*

08.12.2005

ჟურნალისტმა უარი თქვა, დაესახელებინა გაზეთში გამოქვეყნებული 2 სტატიის წყარო, რომელიც ეხებოდა იარაღით უკანონოდ ვაჭრობის დანაშაულებრივ გამოძიებას. ჟურნალისტი 2 კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში დააკავეს წყაროს დასახელების იძულების მცდელობით. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ინტერესი, დაედინა წყაროს ვინაობა არ იყო საკმარისი აპლიკანტის წყაროს დაფარვის ინტერესის გადასაფარად.

**სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.**

ასევე დაადგინა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება).

### Financial Times Ltd and others v. the United Kingdom

15/12/2009

განაცხადი ეხება გაერთიანებული სამეფოს 4 გაზეთისა და ახალი ამბების სააგენტოების საჩივარს, რომელიც აღნიშნულია, რომ მათ მიიღეს ბრძანება, გამოეშკარავენინათ დოკუმენტები ბელგიური კომპანია „Interbrew“-სათვის, რომელსაც შეეძლო ჟურნალისტური წყაროს ვინაობის ამოცნობა. მან თავდაპირველად პრესაში გააკეთა განცხადება აქციების საკონტროლო პაკეტის შექმნის თაობაზე. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ჟურნალისტების მიერ ანონიმური წყაროს ვინაობის გამჟღავნების ხელშეწყობა მძიმე ეფექტს მოახდენდა ჟურნალისტურ საქმიანობაზე და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ინტერესის ბალანსი გადაიხარა ჟურნალისტური წყაროს დაცვის სასარგებლოდ.

**სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა.**

### Sanoma Uitgevers B.V. v the Netherlands

საქმე ეხება მანქანების უკანონო რბოლაზე დაბეჭდილ სტატიასთან ერთად გამოქვეყნებულ ფოტოსურათებს. ჰოლანდიური ჟურნალების გამომცემელი კომპანია, მიუხედავად ჟურნალისტების დიდი წინააღმდეგობისა არ გაეხმაურებინათ წყაროს ამოსაცნობად საჭირო მასალა, აიძულეს მათი პოლიციისათვის გადაცემა, რომელიც იმავდროულად სხვა დანაშაულს იძიებდა. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტი კომპანიის „აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა“ არ არის განერილი კანონში, არ არსებობდა ადეკვატური სამართლებრივი დაცვის პროცედურები აპლიკანტი კომპანიისთვის, რათა მას დამოუკიდებლად შეეფასებინა, გამოძიების ინტერესებმა გადააჭარბეს თუ არა საზოგადოებრივ ინტერესებს ჟურნალისტური წყაროს დაცვის ასპექტში.

**სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა**

### ჟურნალისტების სახლისა და სამუშაო ადგილების ჩხრეკა, მასალების კონფისკაცია

#### Roemen and Scmitt v. Luxemburg

25/02/2003

ეხება ლუქსემბურგის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტის სახლის წინასწარ გაუფრთხილებელ ჩხრეკას, რაც მოჰყვა მთავრობის მინისტრის მიერ გადასახადების გადახდის თაღლითობაზე დაწერილ სტატიას. ჩხრეკის ორდერის მქონე გამოძიებამ ფართომასშტაბიანი მოკვლევა ჩაატარა. სასამართლომ დაადგინა, რომ გატარებული ზომები არ იყო პროპორციული და საკმარისად დასაბუთებული.

#### ერნსტი ბელგიის წინააღმდეგ

15/07/2003

ეხება ბელგიური გაზეთის ოფისისა და 4 ჟურნალისტის სახლის ჩხრეკას სერიოზული რაზმის მიერ, Liege-ს სააპელაციო სასამართლოსთან არსებული სახელმწიფო იურიდიული სამსახურის წევრების გასამართლებასთან დაკავშირებით. დარღვევა ეხებოდა ძალიან მგრძნობიარე სისხლისსამართლებრივ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის გაჟონვას. სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს დასაბუთება არ იყო საკმარისი ფართომასშტაბიანი ჩხრეკისა და მასალის კონფისკაციის გასამართლებლად.

**ორივე საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებს უნდა მიემარ-**



თათ სხვა ზომებისთვის, ვიდრე ეს ჟურნალისტების სახლებსა და ოფისებში ჩატერებული ჩხრეკა და მასალების კონფისკაციაა. მათ უნდა დაეკითხათ შესაბამისი მოხელეები არეულობისა და უნესრიგობის თავიდან ასაცილებლად.

**Tillack v. Belgium**

27/11/2007

გერმანული ყოველკვირეული ჟურნალ „სტერნის“ ჟურნალისტი ჩივის მის საცხოვრებელ სახლსა და ოფისში ჩხრეკისა და კონფისკაციის ჩატარების შესახებ, რაც მოჰყვა ევროპულ ინსტიტუციებში დარღვევების არსებობის შესახებ სტატიის გამოქვეყნებას. სტატია მომზადებული იყო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურიდან მონოდებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ბელგიური სასამართლო ხაზს უსვამდა, რომ ჟურნალისტის უფლება, არ დაასახელოს თავისი ინფორმაციის წყარო, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უფრო პრივილეგირებულად, ვიდრე წყაროს ნარმომავლობის კანონიერებისა და უკანონობის დადგენის საკითხია, ეს არის ინფორმაციის მიღების უფლების შემადგენელი ნაწილი. ბელგიური სასამართლოს მიერ ჩხრეკის გასამართლებლად დასახელებული მიზეზები მიჩნეულ იქნა არასაკმარისად.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**Martin and Others v. France (განაცხადი 30002/08)**

12/04/2012

საქმე ეხება გამომძიებელი მოსამართლის მიერ ყოველდღიური ჟურნალ „Midi Libre“ -ს ჩხრეკაზე ნებართვის გაცემას. ჩხრეკის მიზანი იყო დაედგინა, თუ რა გარემოებებსა და პირობებში მოიპოვეს ჟურნალისტებმა აუდიტის სამსახურის კონფიდენციალური ანგარიშის პროექტი, რომელიც ეხებოდა ლამგედოკი-რუსოლინი რეგიონის მენეჯმენტს.

სასამართლომ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა

**მიმდინარე საქმე**

**Uitgeversmaatschappij De Telegraaf B.V. and others v. the Netherlands**

კომუნიკაცია შედგა 2010 წლის 18 მაისს

საქმე ეხება გაზეთის გამომცემელი კომპანიისგან ეროვნული სადაზვერვო სამსახურში შედგენილი დოკუმენტების კონფისკაციას, აღნიშნულ კომპანიაში მომუშავე 2 ჟურნალისტის თვალთვალსა და სატელეფონო საუბრების მოსმენას. განმცხადებლები ამტკიცებენ, რომ დოკუმენტაციის წარდგენის ბრძანება სინამდვილეში მიმართული იყო ჟურნალისტური წყაროს დასადაგენად.

საჩივარი ეხება კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) და მე-10 (აზრის გამოხატვის თავისუფლება) მუხლებს.

**ნაწილობრივი გადაწყვეტილება**

18/05/2010

## რასობრივი დისკრიმინაცია

### არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

#### 35 East African Asians v. The UK

06/03/1978

გაერთიანებულ სამეფოში შესვლა ან საცხოვრებლად დარჩენის აკრძალვა აზიური წარმომავლობის პირთათვის, რომლებიც ცხოვრობენ ბრიტანეთის ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე (კენია, ტანზანია ან უგანდა).

კომისიამ დაადგინა, რომ არ არსებობს საქმის წარმოების გაგრძელების აუცილებლობა, რადგან განმცხადებლებს საბოლოოდ დართეს გაერთიანებულ სამეფოში შესვლის ნება. ამის მიუხედავად, განმცხადებლების მიმართ მაინც დადგინდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მათ ეპყრობდნენ, როგორც „მეორეხარისხოვან მოქალაქეებს“. კომისიამ აღნიშნა, რომ რასობრივი დისკრიმინაცია გარკვეულ მდგომარეობაში შესაძლებელია, მივიჩნიოთ დამამცირებელ მოპყრობად.

#### Cyprus v. Turkey

10/05/2001

საქმე ეხება სახელმწიფოთა შორის დავას, რომლის თანახმადაც, 1994 წელს კვიპროსმა თურქეთის წინააღმდეგ განაცხადით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ჩრდილოეთ კვიპროსში არსებული სიტუაციის გამო, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც გაიყო კვიპროსის სახელმწიფოს ტერიტორია.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან „განსახილველ პერიოდში დისკრიმინაციამ მიაღწია სისასტიკის ისეთ ზღვარს, რომ ღირსების შემლახავ მოპყრობად გადაიქცა“.

თავის დადგენილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ ნახევარკუნძულ კარპასზე მცხოვრები კვიპროსელი ბერძნების დისკრიმინაცია „მხოლოდ იმ მოტივით, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ ამ საზოგადოებას“, უნდა ახსნილიყო მხოლოდ „იმ ნიშნებით, რომლებიც განარჩევდა მათ კვიპროსელი თურქებისაგან, კერძოდ კი, მათი ეთნიკური წარმომავლობით, რასით და რელიგიით“.

თურქეთის მიერ ტერიტორიებისა და მოსახლეობის ორად გაყოფის ჩვეულებამ, ასახვა ჰპოვა იმ პირობებში, რომლებშიც ცხოვრობდნენ კვიპროსელი ბერძნები ნახევარკუნძულ კარპასიდან. ეს პირობები იყო „დამამცირებელი და ანგრევდა თავად ადამიანური ღირსებისადმი პატივისცემის ცნებას“.

### უფლებამოსილების პოროტად გამოყენება

#### Glimmerveen and Hagenbeek v. The Netherlands

11/10/1979

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ ისინი გაასამართლეს რასობრივი დისკრიმინაციის მოწოდების ბუკლეტების შენახვისათვის მათი გავრცელების მიზნით და ასევე მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის ხელის შეშლისათვის. განაცხადში ისინი მიუთითებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი და პირველი ოქმის მე-3 მუხლი.

განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ „განმცხადებლები ცდილობდნენ გამოეყენებინათ [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია] საწინააღმდეგო ქმედებების განსახორციელებლად“, კერძოდ კი, „ისეთი იდეების გასავრცელებლად, რომლებიც შეიცავდა რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნებს“.

## იმიგრაცია

### Abdulaziz, Cabales and Balkandali v. The UK

28/05/1985

იმ დროისათვის არსებული საემიგრაციო წესების თანახმად, განმცხადებლების მეუღლეებს უარი ეთქვათ დარჩენილიყვნენ მათთან ან მათთან ერთად ეცხოვრათ გაერთიანებულ სამეფოში, სადაც განმცხადებლები მუდმივად ცხოვრობდნენ კანონიერად. განმცხადებლები, რომლებიც იყვნენ ფილიპინური და ეგვიპტური წარმომავლობის ქალბატონები, ჩიოდნენ, რომ ისინი გახდნენ რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი. ქალბატონმა აბდულაზიზმა თავისი მომავალი მეუღლე, რომელიც პორტუგალიის მოქალაქე იყო, გაიცნო მაშინ, როცა ის დროებით იმყოფებოდა გაერთიანებულ სამეფოში. ქალბატონი კაბალესი გათხოვდა ფილიპინებზე, სადაც მან თავისი ქმარი გაიცნო შვედურულაში ყოფნისას. ქალბატონი ბალკანდალის ქმარი იყო თურქეთის მოქალაქე, რომელიც იმყოფებოდა გაერთიანებულ სამეფოში სტუმრად, ხოლო შემდეგ უკვე – სტუდენტის რანგში, სადაც მათ შეეძინათ ბავშვი.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, სქესობრივი დისკრიმინაციის კუთხით, მაგრამ არა რასობრივი დისკრიმინაციის თვალსაზრისით.

### Nachova and Others v. Bulgaria

(განაცხადი №43577/98 და №43579/98)

აპლიკანტები ამტკიცებდნენ, რომ ბოშათა მიმართ აგრესიულმა დამოკიდებულებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი იმ მოვლენებში, რომლის დროსაც განმცხადებლები – 21 წლის ორი მამაკაცი – პოლიციელებმა დახვრიტეს დაკავებისას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-2 მუხლთან ერთად, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ ჩაატარეს ჯეროვანი გამოძიება იმის თაობაზე, იყო თუ არა რასობრივი ზიზღი აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მიზეზი.

### Timishev v. Russia

(განაცხადი №55762/00 და 55974/00)

განმცხადებელს უარი უთხრეს ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე შესვლაზე, რადგან ეთნიკურად ჩეჩენი იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-4 ოქმის მე-2 მუხლთან ერთად, რადგან განმცხადებლის გადაადგილება იყო შეზღუდული, უშუალოდ ეთნიკური წარმომავლობის გამო. ამგვარი მოპყრობა წარმოადგენს რასობრივ დისკრიმინაციას.

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებელს უარი ეთქვა თავისი შვილების სკოლაში მიღებაზე.

„ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე დისკრიმინაცია წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. რასობრივი დისკრიმინაცია არის განსაკუთრებით აღმამფოთებელი ფორმა დისკრიმინაციისა, რომელიც თავისი სახიფათო შედეგებით ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოითხოვს გულმოდგინე და გადამწყვეტ რეაქციას. ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება რასიზმთან ბრძოლაში და ამავე დროს გაამყაროს დემოკრატიული საზოგადოების ხედვები, სადაც განსხვავებულობა აღიქმება არა როგორც საშიშროება, არამედ როგორც გამდიდრების წყარო.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ განსხვავება მოპყრობაში, რომელიც ეყრდნობა უშუალოდ ან გადამწყვეტ მომენტში ადამიანის ეთნიკურ წარმომავლობას, არ შეიძლება ობიექტურად იყოს გამართლებული თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც აშენებულია პლუ-

რალიზმისა და სხვა კულტურის მიმართ პატივისცემის პრინციპებზე“.<sup>1</sup>

რაც შეეხება ასეთ საქმეებში მტკიცების ტვირთს, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი განმცხადებელმა წარმოადგინა მის მიმართ განსხვავებული მოპყრობის მაგალითები, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, დაამტკიცოს, რომ ეს განსხვავება იყო გამართლებული (იხ. ტიმიშევის გადაწყვეტილება, §57).

## თავისუფალი არჩევნების უფლება

### Aziz v. Cyprus

(განაცხადი №69949/01)

განმცხადებელს უარი ეთქვა ამომრჩეველთა სიაში ჩანერაზე საპარლამენტო არჩევნებისას, იმ საფუძველზე, რომ კვიპროსელი თურქები არ შეიძლებოდა დარეგისტრირებულიყვნენ კვიპროსელი ბერძნების საარჩევნო სიაში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლთან ერთად, რადგან განსხვავებული მოპყრობა იმის გამო, რომ აპლიკანტები იყვნენ კვიპროსელი თურქები, არ შეიძლებოდა ობიექტურად და გონივრულად გამართლებული ყოფილიყო, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა კვიპროსელ თურქებს, რომლებიც განმცხადებლის მსგავს მდგომარეობაში იყვნენ, არ შეეძლოთ საერთოდ მიეღოთ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

### Sejdic and Finci v. Bosnia and Herzegovina

(განაცხადი №27996/06 და 34836/06)

ებრაული და ბოშა წარმომავლობის პირთათვის თავიანთი კანდიდატურის დაყენების უფლების არარსებობა საპარლამენტო ასამბლეის თემთა პალატასა და სახელმწიფო პრეზიდენტში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლთან ერთად, რადგან განმცხადებლებს უფლება არ ჰქონდათ, თავიანთი კანდიდატურები დაეყენებინათ თემთა პალატის არჩევნებზე.

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-12 ოქმის I მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლებს უფლება არ ჰქონდათ, თავიანთი კანდიდატურა დაეყენებინათ პრეზიდენტის არჩევნებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს ხელისუფლების განაწილების მექანიზმები, რომლებიც ავტომატურად არ ახდენენ ეთნიკური უმცირესობების, რომლებიც არ მიეკუთვნებიან „ძირითად ერს“ (ბოსნიელები, ხორვატები და სერბები), სრულ განდევნას.

მაშინ, როცა კონვენციის მე-14 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას „კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების“ განხორციელებისას, კონვენციის მე-12 ოქმის I მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლება“, შემოაქვს რა ამგვარი საშუალებით დისკრიმინაციის საერთო აკრძალვა.

## სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

### Remli v. France

23/04/1996

განმცხადებელი ალჟირელი წარმომავლობისაა. იგი ამტკიცებდა, რომ მისი საქმე არ განიხილა სამართლიანმა სასამართლომ, რადგან ერთ-ერთმა მსაჯულმა აღიარა, რომ რასისტი იყო.

<sup>1</sup> Sampanis-სი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (05.06.2008) – სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა პირველი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლების ბავშვების სკოლაში სწავლება და შედეგად ისინი განათავსეს სპეციალურ კლასებში, მათი ბოშური წარმომავლობის გამო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან მსაჯულთა სასამართლომ ვერ უზრუნველყო თავისი მიუკერძოებლობა, მაშინ როცა „კონვენცია ნებისმიერ ადგილობრივ სასამართლოს ავალდებულებს, რომ დარწმუნდეს – არის თუ არა ის მოცემული შემადგენლობით „მიუკერძოებელი სასამართლო, თუკი ეს იხილება არგუმენტის მოყვანით, რომელიც იმთავითვე არ წარმოადგენს აშკარად უსაფუძვლოს“ (§48).

**Gregory v. The UK**

25/02/1997

განმცხადებელი არის აფრიკული წარმომავლობის. იგი ამტკიცებდა, რომ მსაჯულთა სასამართლომ მისი საქმის განხილვისას რასობრივი ნიშნით განახორციელა დისკრიმინაცია.

სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი არ იყო დარღვეული, რადგან სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ „ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ სასამართლო მიუკერძოებელია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილიდან გამომდინარე“ და უზრუნველყო „დამატებითი გარანტიები, რათა გაეფანტა ნებისმიერი ეჭვი ამასთან დაკავშირებით“, კერძოდ, მისცა „ნათლად ფორმულირებული დამატებითი ინსტრუქციები მსაჯულებს“, რის შემდეგაც მას შეეძლო გონივრულად ევარაუდა, რომ შედეგად „ნებისმიერი რისკი ცრურწმენაზე პრაქტიკულად ნეიტრალიზებული იყო“.

**Sander v. The UK**

09/05/2000

განმცხადებელი აზიური წარმომავლობისაა. იგი ჩიოდა, რომ მისი საქმე განიხილა რასიტრულმა მსაჯულთა სასამართლომ.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა, რადგან ერთ-ერთმა მსაჯულმა მოსამართლეს მისწერა წერილი, სადაც გამოთქვა შიში, რომ სხვა მსაჯულები არ იყვნენ მიუკერძოებლები, რადგან ღიად აკეთებდნენ რასისტული ხასიათის შენიშვნებსა და ხუმრობდნენ ამ თემაზე. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელს და ნებისმიერ ობიექტურ დამკვირვებელს გაუჩნდებოდა დასაბუთებული ეჭვი სასამართლოს ობიექტურობაში, რომელიც არ გაქარწყლდა არც მსაჯულთა მიერ მეორე დღეს დაწერილი კოლექტიური წერილით და არც სხდომის თავმჯდომარე მოსამართლის შესავალი სიტყვით, რომლითაც მოსამართლემ შეახსენა მსაჯულებს ვალდებულება, იყვნენ მიუკერძოებლები.

**აზრის გამოხატვის თავისუფლება და რასიზმი**

**Jersild v. Denmark**

23/09/1994

ჟურნალისტი გაასამართლეს იმის გამო, რომ მან სატელევიზიო ინტერვიუ აიღო ექსტრემისტული ახალგაზრდული ჯგუფის – „მწვანე ქურთუკების“ წევრებისაგან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**Feret v. Belgium**

16/07/2009

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-10 მუხლი. განმცხადებელი იყო პოლიტიკური პარტია „ნაციონალური ფრონტის“ თავმჯდომარე. იგი გაასამართლეს დისკრიმინაციული და აგრესიული მოწოდებებისათვის მას შემდეგ, რაც შეიტანა საჩივარი, რომელიც ეხებოდა პარტიის მიერ საარჩევნო პერიოდში გავრცელებულ პროკლამაციებს.

## CICAD v. Switzerland

განმცხადებელი – ასოციაცია „ანტისემიტიზმისა და დეფამაციის წინააღმდეგ გაერთიანებათა-შორისი კოორდინაცია“ – ამტკიცებს, რომ შვეიცარიის სასამართლოებმა დაარღვიეს მისი უფლება აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით და დააკისრეს (სასამართლოებმა) სამოქალაქო პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მან პროფესორ O.-ს (ჟენევის უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტოლოგიაში) უწოდა ანტისემიტი. ეს კი მოხდა მას შემდეგ, რაც 2005 წელს პროფესორმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „ისრაელი და სხვა“.

ამჟამად საქმე იხილება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

## მოქალაქეობა

### Gaygusuz v. Austria

16/09/1996

უმუშევარ პირს გადაუდებელ სოციალურ დახმარებაზე ეთქვა უარი, იმ მოტივით, რომ მას არ ჰქონდა ავსტრიის მოქალაქეობა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლთან ერთად. სასამართლომ განმარტა, რომ „ავსტრიელებისადმი და არაავსტრიელებისადმი განსხვავებული მოპყრობა გადაუდებელი სოციალური დახმარების განეცასთან დაკავშირებით, არ იყო „ობიექტურად და გონივრულად დასაბუთებული“.

## სასაზღვრო ენა

საქმე ეხება „ბელგიაში საგანმანათლებლო პროცესში ენების გამოყენების შესახებ კანონების ზოგიერთ ასპექტს.“ (23/07/1968)

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად, რადგან რამდენიმე მოსწავლეს არ ჰქონდა შესაძლებლობა ფრანგულენოვანი სკოლის ხელმისაწვდომობაზე ექვს მუნიციპალურ რაიონში, რომლებიც ბრიუსელის სიახლოვეს იყვნენ და გააჩნდათ განსაკუთრებული სტატუსი, რაც განპირობებული იყო მათი მშობლების საცხოვრებელი ადგილით.

## საქმიანი ენა და თურქეთში ქართული ენის გამოყენება

*Uluzoy and Others v. Turkey*; 03/05/2007 – მუნიციპალურ თეატრში ქართულ ენაზე სპექტაკლის დადგმის აკრძალვა;

*Irfan Temel and Others v. Turkey*; 03/03/2009 – 18 სტუდენტი უნივერსიტეტში არ დაუშვეს ორი სასწავლო სემესტრის განმავლობაში იმის გამო, რომ ისინი ითხოვდნენ ფაკულტატური მეცადინეობების ქართულ ენაზე ჩატარებას;

### Birk-Levy v. France

06/10/2010

საქმე ეხება საფრანგეთის პოლინეზიის პარლამენტში ტაიბურ ენაზე სიტყვით გამოსვლის აკრძალვას.

სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო და განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იცავს „ლინგვისტურ თავისუფლებას“.

# რეპროდუქციული უფლებები

## დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები

Evans v. The UK

(განაცხადი №6339/05)

განმცხადებელი ნატალი ევანსი დაავადებული იყო საკვერცხეების სიმსივნით. დაავადებული ორგანოს ამოკვეთამდე, მან და მისმა პარტნიორმა მიმართეს ექსტრაკორპორალურ განაყოფიერებას. მიღებული ექვსი ემბრიონი საცავში მოათავსეს. წყვილს შორის ურთიერთობები ვერ აენ-ყო. განმცხადებლის პარტნიორმა უკან გაითხოვა თანხმობა ემბრიონების გამოყენებაზე, რად-გან არ სურდა ყოფილიყო ქალბატონი ევანსის შვილების გენეტიკური მამა. ეროვნული კანონ-მდებლობის თანახმად, ასეთ შემთხვევაში ემბრიონები უნდა განადგურდეს. ამგვარად, ქალბა-ტონ ევანსს წაერთვა შესაძლებლობა, ოდესმე თავისი გენეტიკური შვილები ჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უთანაგ-რძობდა განმცხადებელს, მაინც არ მიიჩნია დარღვეულად კონვენციის მე-2, მე-8 და მე-14 მუხ-ლები. სასამართლოს აზრით, შექმნილ ემბრიონებს არ გააჩნდათ სიცოცხლის უფლება; ევროპის სახელმწიფოებში ამ საკითხზე კონსენსუსი არ არის; თანხმობის წესი ნათლად იყო ფორმულირე-ბული ეროვნულ კანონმდებლობაში, ქალბატონი ევანსისათვის ცნობილი იყო ამის შესახებ პრო-ცედურების გავლამდე და საქმეში დაპირისპირებულ მხარეთა შორის დაცული იყო სრული ბალანსი.

Dickson v. The UK

(განაცხადი №44362/04)

განმცხადებელი კირკ დიქსონი მკვლევლობისათვის იხდიდა 15-წლიან სასჯელს. მან იშუამდგომ-ლა მიეღო ნებართვა ხელოვნურ განაყოფიერებაზე, რაც მის მეუღლეს, ლორენს დაფეხმძიმების შესაძლებლობას მისცემდა. ლორენი დაიბადა 1972 წელს და ქმრის გათავისუფლების შემდეგ მას დაფეხმძიმების ნაკლები შანსი ექნებოდა. განმცხადებლის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო ერთსულოვანი, მაგრამ მაინც დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან არ იყო დაცული სამართლიანი ბალანსი პირად და საზოგადო ინტერესებს შორის. ამჟამად განმცხადებელი სასჯელს იხდის ღია ტიპის ციხეში და მას უფლება აქვს პერიოდულ შვებულებაზე. შედეგად, პატიმრებთან მიმართებით რეპროდუქციული დამხმა-რე ტექნოლოგიების გამოყენებაზე უფლების მიცემის საკითხი გადაისინჯა.

S.H. and Others v. Austria

(განაცხადი №57813/00)

საქმე ეხება ავსტრიელ წყვილებს, რომლებსაც სურდათ ექსტრაკორპორალური განაყოფიერე-ბით ბავშვების გაჩენა. ერთ-ერთ წყვილს ესაჭიროებოდა დონორის სპერმა, მეორეს კი – დონო-რის კვერცხუჯრედი. ავსტრიული კანონმდებლობა საერთოდ კრძალავს სპერმისა და კვერცხუჯ-რედის დონორობას ექსტრაკორპორალური განაყოფიერებისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, ევროპაში შეიმჩნევა ტენდენცია ექსტრაკორპორალური განაყოფიერებისათვის დონორის მასალის გამოყენებაზე, მაგრამ შესამჩნევი კონსენსუსი მხოლოდ ახლა გამოვლინდა და არ ემყარება ძველ სამართლებრივ პრინციპებს. ავსტრიელი კანონმდებელი ცდილობდა ისეთი სიტუაციისათვის თავის არიდებას, როდესაც ორ ქალბატონს შეეძლო პრეტენ-ზია გამოეთქვა ერთი და იმავე ბავშვის ბიოლოგიურ დედობაზე. ავსტრიის სახელმწიფო სიფრთხი-ლით მიუდგა სადავო საკითხის გადაწყვეტას, რამაც რთული ეთიკური პრობლემა წარმოშვა. პირებს, რომლებსაც სურდათ უშვილობის მკურნალობა, შეეძლოთ საზღვარგარეთ წასვლა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მოთხოვნები არ იყო დარღვეული. ამის მიუხედავად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სწრაფი სამეცნიერო და იურიდიული პროგრესი დამხმარე რეპრო-დუქციული ტექნოლოგიების სფეროში იმსახურებს წვერი სახელმწიფოების მხრიდან მზარდ ყუ-რადლებას.

## Vo v. France

(განაცხადი №53924/00)

პაციენტების გვარის დამთხვევის გამო წარმოიშვა გაუგებრობა და ექიმმა, რომელიც სინჯავდა ფეხმძიმე განმცხადებელს, დაუზიანა საშვილოსნო, რამაც გამოიწვია სამედიცინო აბორტის გაკეთების საჭიროება. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს, მომხდარი დაეკვალიფიცირებინათ, როგორც გაუფრთხილებლობით ბავშვის სიკვდილი.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-2 მუხლი და აღნიშნა, რომ იმ მომენტისათვის არ იყო სასურველი და შესაძლებელი აბსტრაქტულად გაეცა პასუხი კითხვაზე, რომ შეიძლება თუ არა ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი მივიჩნიოთ „პირად“, კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნის საჭიროება, რადგან არსებობდა დაცვის მექანიზმები, რომლებიც განმცხადებელს შესაძლებლობას აძლევდა, დაემტკიცებინდა ექიმის შეცდომა და მოეთხოვა კომპენსაცია.

## Draon v. France (განაცხადი №1513/03)

Draon & Maurice v. France (განაცხადი №11810/03)

განმცხადებლები არიან დაბადებით ინვალიდი ბავშვის მშობლები. ბავშვის ინვალიდობა ექიმების შეცდომების გამო, არ იყო დადგენილი ორსულობისას. განმცხადებლებმა მიმართეს ადგილობრივ სასამართლოებს იმ სამედიცინო დანსებულებების წინააღმდეგ, რომლებიც ატარებდნენ დიაგნოსტიკას. 2002 წლის 4 მარტს, როდესაც მათი სარჩელები იხილებოდა, ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომლის თანახმადაც, განმცხადებლებს ჩამოერთვათ უფლება პასუხისმგებელი ექიმებისა და საავადმყოფოებისგან, მიყენებული ზიანის გამო, მოეთხოვათ კომპენსაცია „განსაკუთრებული ხარჯებისათვის“, რაც დაკავშირებული იყო ბავშვის ინვალიდობასთან. ეს კანონი გამოიყენეს განმცხადებლების შემთხვევაში და მათთვის მიკუთვნებულ კომპენსაციაში არ იყო მითითებული „განსაკუთრებული ხარჯები“.

სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული კანონი წარმოადგენდა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევას საქმის განხილვებთან მიმართებით, რომლებიც მისი ძალაში შესვლის მომენტისას უკვე დაწყებული იყო და მიმდინარეობდა.

## R.R. v. Poland

(განაცხადი №27617/04)

ექიმებმა (რომლებიც აბორტის წინააღმდეგ გამოდიან) შეგნებულად თქვეს უარი ჩაეტარებინათ ქალბატონისათვის გენეტიკური ტესტი. იგი მესამე ბავშვზე იყო ორსულად და არსებობდა საშიშროება, რომ ნაყოფს ჰქონდა სერიოზული გენეტიკური ანომალიები. პირველი ულტრაბგერითი გამოკვლევის შემდეგ, რომლის პასუხის შედეგადაც წარმოიშვა ეჭვი ნაყოფის შესაძლო დეფორმაციის თაობაზე. საშვილოსნოდან პუნქციის აღებამდე გავიდა ექვსი კვირა. ეს იმას ნიშნავდა, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა შესაძლებლობა შეგნებულად აერჩია, გაეგრძელებინა ორსულობა, თუ ჩაეტარებინა სამედიცინო აბორტი, რადგანაც, კანონის თანახმად, აბორტის ვადა უკვე ამონურული იყო. შედეგად, განმცხადებლის შვილი დაიბადა ქრომოსომის ანომალიით (ტერნერიის სინდრომი<sup>1</sup>). განმცხადებელი ჩიოდა, რომ მას მარტოს უნებდა დანარჩენი ორი ბავშვის აღზრდა, რადგან მესამე ბავშვის გაჩენისთანავე მეუღლემ მიატოვა. განმცხადებელი მიუთიებდა, რომ არსებული სიტუაცია ანგრევს მისი და მისი შვილების ცხოვრებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან განმცხადებლის მიმართ, რომელიც იმყოფებოდა უკიდურესად მონყვლად მდგომარეობაში, ექიმები მოიქ-

<sup>1</sup> გენეტიკური დაავადება რომელიც 2500 გოგონადან შესაძლოა, ერთს დაემართოს. დაავადებულებს აღნიშნვბათ მონოქრომოსომულობა, საშუალოზე დაბალი სიმაღლე. როგორც წესი, ასეთი გოგონები უნაყოფოები არიან. ისინი შესაძლებელია სხვა დაავადებებითაც დაავადდნენ, რომელთა შორისაა ღვიძლისა და გულის უკმარისობა, ჰიპერტონია, სიმსუქნე, დიაბეტი, კატარაქტა, ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა, ართრიტი. ზოგიერთ მათგანს აღნიშნება ცნობიერების პრობლემები.



ცნენ არაკორექტულად, დაამცირეს ის და ასევე, პასუხი შეკითხვაზე – ესაჭიროებოდა თუ არა განმცხადებელს გენეტიკური ტესტის გავლა – უგულვებელყოფილი იყო პროკრასტინაციის, არა-ორგანიზებულობის, ასევე საჭირო კონსულტაციისა და ინფორმაციის არარსებობის გამო.

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ, პოლონეთის კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფდა ეფექტური მექანიზმების დაცვას, რაც განმცხადებელს საშუალებას მისცემდა დაედგინა დიაგნოზი და აღნიშნულის შედეგად მიეღო გაცნობიერებული გადაწყვეტილება – გაეკეთებინა თუ არა აბორტი.

იმის გათვალისწინებით, რომ პოლონური სამართალი აბორტის გაკეთების ნებას რთავდა ნაყოფის განუვითარებლობის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ არსებობდეს სამართლებრივ-პროცესუალური მექანიზმები, რომლებიც ფუნქციონირებენ უზრუნველყოფს სრულყოფილი და სანდო ინფორმაციით ნაყოფის მდგომარეობის შესახებ.

სასამართლო არ დაეთანხმა პოლონეთის ხელისუფლებას, რომ პრენატალურ დიაგნოსტიკაზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკაში ნიშნავდა აბორტზე ხელმისაწვდომობას. ქალებს შესაძლოა, სურდათ ამ დიაგნოსტიკის გავლა სხვადასხვა მიზეზით. და ბოლოს, სასამართლო შეგვანსებებს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან ჯანმრთელობის დაცვის სისტემა იმგვარად მოაწყონ, რომ მედპერსონალის მიერ სინდისის თავისუფლებაზე თავიანთი უფლებების განხორციელება პროფესიულ კონტექსტში ხელს არ უშლიდეს პაციენტს მისთვის ხელმისაწვდომი იყოს ის მომსახურება, რაზედაც მას კანონიერი უფლება აქვს.

## ფეხმძიმი ქალის ჯანმრთელობის დაცვა

### Tysiac v. Poland

(განაცხადი №5410/03)

ფეხმძიმი განმცხადებელი დაავადებული იყო ახლომხედველობის მძიმე ფორმით. მან შეიტყო, რომ მშობიარობის შემდეგ მისი მხედველობა მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა. სამედიცინო აბორტის გაკეთებაზე მას უარი ეთქვა. ბავშვის დაბადების შემდეგ თვალის ბადურაში სისხლჩაქცევა განუვითარდა და შედეგად დაინვალიდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან განმცხადებელს არ ჰქონდა ეფექტური მექანიზმი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენილიყო, შეესაბამებოდა თუ არა ეს სიტუაცია იმას, რომ ნებადართულიყო აბორტი.

### A., B. and C. v. Ireland

(განაცხადი №25579/05)

ირლანდიაში მცხოვრები სამი ქალბატონი სურვილის საწინააღმდეგოდ დაფეხმძიმდნენ. ისინი ჩიოდნენ, რომ ირლანდიაში აბორტის აკრძალვის გამო იძულებულები იყვნენ ამ პროცედურის ჩასატარებლად გამგზავრებულიყვნენ გაერთიანებულ სამეფოში, რაც წარმოადგენდა მათი ჯანმრთელობისათვის რისკს და დამამცირებელი იყო. ირლანდიაში აბორტის გაკეთება ან მასში მონაწილეობა (როგორც დედის, ასევე ექიმის მხრიდან) დანაშაულად მიიჩნევა. ამის მიუხედავად, არსებობს კონსტიტუციური უფლება აბორტის გაკეთებაზე იმ შემთხვევაში, თუ დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ერთ-ერთი განმცხადებელი დაავადებული იყო სიმსივნით და იმყოფებოდა რემისიის სტადიაზე. მან არ იცოდა ფეხმძიმობის შესახებ და გაიარა ისეთი პროცედურები, რომლებიც სასტიკად აკრძალულია ფეხმძიმი ქალებისათვის. იგი მიიჩნევდა, რომ ფეხმძიმობა გამოიწვევდა ავადმყოფობის რეციდივს და ამის გამო მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ირლანდიამ არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა: სამედიცინო თვალსაზრისით აბორტის გაკეთებაზე კონსტიტუციური უფლება. ამგვარად, დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი განმცხადებელთან დაკავშირებით, რომელიც ონკოლოგიური დაავადების რემისიის სტადიაზე იყო და მას არ ჰქონდა შესაძლებლობა ეიძულები-

ნა სასამართლოები და ირლანდიის საავადმყოფოები, ელიარებინათ მისი კონსტიტუციური უფლება სამედიცინო აბორტის კანონიერად გაკეთებაზე. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმას, რომ საკითხის გარკვევისას – წარმოადგენს თუ არა ფეხმძიმობა სიცოცხლის რისკს ქალისათვის – სუფევდა სრული გაურკვევლობა და რომ სისხლისსამართლებრივი დევნის საშიშროება თავის მხრივ წარმოადგენდა „მნიშვნელოვნად დამაბრკოლებელ“ ფაქტორს როგორც ქალისათვის, ასევე ექიმებისთვისაც.

## იქსლენდის სტერილიზაცია

### K.H. and Others v. Slovakia

(განაცხადი №32881/04)

რვა სლოვაკმა ქალბატონმა, რომლებიც ეთნიკურად ბოშები არიან, საკეისრო კვეთის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მეტად ვეღარ დაფეხმძიმდებოდნენ. განმცხადებლებმა სასამართლოში შეიტანეს საჩივარი საავადმყოფოს წინააღმდეგ და მიუთითეს, რომ შეტყობინების გარეშე გაუკეთეს სტერილიზაცია საკეისრო კვეთისას.

სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან არ არსებობდა განმცხადებლების ანკეტების ასლების მიღების შესაძლებლობა, დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

### I.G., M.K. and R.H. v. Slovakia

(განაცხადი №15966/04)

სამი სლოვაკი ქალბატონი, რომლებიც ეთნიკურად ბოშები არიან და ორი მათგანი ჯერ კიდევ არასრულწლოვანია, ამტკიცებდა, რომ მათ ამყოფებდნენ ე.წ. „ბოშათა პალატებში“, სადაც ჩაუტარდათ სტერილიზაცია ყოველგვარი შიტყობინებისა და თანხმობის გარეშე საკეისრო კვეთისას. განმცხადებლები ჩივიან სოციალური სტატუსის დაკარგვის გამო, ასევე თავიანთ პარტნიორებთან არსებული პრობლემებისა და ოპერაციის შემდგომი უარყოფითი შედეგების გამო.

სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად მიიჩნია.

### V.C. v. Slovakia

(განაცხადი №18968/07)

განმცხადებელს, რომელიც ეთნიკურად ბოშაა, მეორე ბავშვის გაჩენის შემდეგ ჩაუტარდა სტერილიზაცია. საბოლოო და შეგნებული თანხმობა ამ პროცედურის ჩატარებაზე, მას არ გაუცია. მან ხელი მოაწერა ფორმულარს თანხმობის შესახებ ჯერ კიდევ მშობიარობისას ისე, რომ არ აცნობიერებდა, თუ რას ნიშნავდა ასეთი ხელმოწერა და მისი უკან გამოთხოვა შეუძლებელი იყო. ამასთან, განმცხადებელს უთხრეს, რომ თუკი ის გადაწყვეტდა მესამე ბავშვის გაჩენას, ერთ-ერთი მოკვდებოდა. ამის შემდეგ იგი ძალიან შეაფინროვეს ბოშათა საზოგადოებაში. მისი უნაყოფობის გამო ქმარმა მიატოვა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სტერილიზაციისა და ასევე იმის შედეგად, თუ რა გზებით იქნა მიღებული განმცხადებლისაგან თანხმობა, სავარაუდოდ, განმცხადებელმა განიცადა შიში, მღელვარება და არასრულყოფილების გრძნობა. იგი დაზარალდა როგორც ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად, ასევე დაენგრა ოჯახი და ბოშათა საზოგადოებაში თანაცხოვრების პერსპექტივები. მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ექიმები განზრახ საზიანოდ მოქმედებდნენ განმცხადებლის საწინააღმდეგოდ, ვერ იქნა წარმოდგენილი, თუმცა სასამართლოს აზრით, მათ გამოავლინეს განმცხადებლის უფლებების მიმართ უდიდესი უპატივცემულობა. ამგვარად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად. ამის შემდეგ ამოქმედდა კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ სტერილიზაციის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის ნერილობითი თანხმობიდან 30 დღის შემდეგ. კანონი ასევე ავალდებულებს ალტერნატიული კონტრაცეპტივების გამოყენების, მისი შედეგებისა და ოჯახის დაგეგმვის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის დაუბრკოლებელ მიწოდებას.

## სახლში მშობიარობა

### Ternovsky v. Hungary

(განაცხადი №67545/09)

განმცხადებელი ჩიოდა, რომ თავისი სურვილის შესაბამისად ვერ შეძლო სახლში მშობიარობა, რადგან მეანებმა და სამედიცინო პერსონალმა ვერ აღმოუჩინეს მას დახმარება, ვინაიდან პასუხისმგებლობის დაკისრებას მოერიდნენ (ბოლოდროინდელ პრაქტიკაში არსებობდა ამგვარი შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მაგალითი).

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს მართლაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, ემშობიარა სახლში, ვინაიდან მედიკების მიმართ მუდმივად იყო პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხე, რადგან არ არსებობდა ზუსტი და სრულყოფილი კანონმდებლობა, რითიც ეს საკითხი დარეგულირდებოდა. ამგვარად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

### Gereb v. Hungary

(განაცხადი №64516/10)

განმცხადებელი დააკავეს ფეხმძიმე ქალის მშობიარობისას დახმარების აღმოჩენის დროს, 2010 წლის ოქტომბერში. იგი იყო საერთაშორისო დონეზე აღიარებული სპეციალისტი სახლში მშობიარობის საკითხებში და გამოცდილი მეან-გინეკოლოგი. მას ბრალად ედება დანაშაულებრივი გულგრილობა, რაც გამოიხატა შემდეგში: მან ვერ უზრუნველყო ისეთი პირობების შექმნა, რომელიც თავიდან ააცილებდა ყოველგვარ გართულებას სახლში დაგეგმილი მშობიარობისას, რითაც ბავშვისა და დედის სიცოცხლე და კეთილდღეობა საფრთხეში ჩააგდო.

განმცხადებელი ჩივის, რომ იგი დააკავეს ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე, რითაც დადასტურდებოდა გამოძიების ეჭვები მის მიმართ. ამჟამად საქმე იხილება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

## პირის საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება

### დიდი პალატის გადაწყვეტილება

Von Hanover v. Germany

(განაცხადი 40660/08 და 60641/08; 07/02/2012)

აპლიკანტები არიან პრინცესა ფონ ჰანოვერი და მისი მეუღლე – პრინცი ერნსტ აგუსტ ფონ ჰანოვერი. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ისინი უჩიოდნენ გერმანიის ადგილობრივ სასამართლოებს, რომლებმაც მათი მოთხოვნის მიუხედავად არ აკრძალეს 2 ფოტოს (სადაც ისინი ასახულნი არიან თავიანთი არდადაგების პერიოდში) შემდგომი გამოქვეყნება. ფოტო გადაღებული იყო მათი თანხმობის გარეშე. ეს ფოტო გამოჩნდა 2 გერმანულ ჟურნალში 2002 – 2004 წლებში. მათ განაცხადეს, რომ სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის განჩინება – ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (განაცხადი 59320/00) (იხილეთ ქვევით).

*სასამართლომ არ დაადგინა* კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

### პალატის გადაწყვეტილება

Peck v. the United Kingdom

(განაცხადი 44647/98; 28/01/2003)

ეხება ამონარიდს ქუჩაში დამონტაჟებული კამერიდან (CCTV), რომელზეც გამოსახული იყო აპლიკანტი დანით ხელში. ამას მოჰყვა აპლიკანტის გამოსახულების ფართო მასშტაბით ბეჭდვა და ვიდეოს ტრანსლირება.

სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება)

Von Hanover v. Germany

(განაცხადი 59320/00; 24/06/2004)

განაცხადი ეხება პრინცესა კაროლინას პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოების 2 სერიის გამოქვეყნებას გერმანულ ჟურნალებში 1993 და 1997 წლებში. საქმემ გაიარა 3 ინსტანცია გერმანიის სასამართლო სისტემაში, მოხვდა ფედერალურ სასამართლოში 1995 წელს და ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში – 1999 წელს. მან დასაშვებად არ ცნო სარჩელი.

*სასამართლომ დაადგინა*, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

ჰანოვერის პრინცესა კაროლინას სხვა განაცხადი, რომელიც ფოტოების დაბეჭდვას ეხებოდა, 2012 წელს განიხილა დიდმა პალატამ.

Sciacca v. Italy

(განაცხადი 50774/99; 11/01/2005)

ეხება ქალბატონი შკიაცცა-ს ყოველდღიურ გაზეთში დაბეჭდილ ფოტოებს, დავალიანებისა და გადასახადებისათვის თავის არიდებისათვის დაწყებული სამართალწარმოების კონტექსტში.

*სასამართლომ დაადგინა* კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ**

(განაცხადი 71678/01; 17/10/2006)

განაცხადი ეხება ბატონი გურგენიძის ფოტოს გაზეთში გამოქვეყნებას მთელ რიგ სტატიებთან ერთად, რომელიც ბრალს სდებდა მას სახელგანთქმული მწერილის ხელნაწერის მოპარვაში.

**სასამართლომ დაადგინა** კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

**Verlagsgruppe News GmbH v. Austria №2**

(განაცხადი 10520/02; 14/12/2006)

აპლიკანტი არის ვენაში დაფუძნებული ყოველკვირეული ჟურნალ „News“-ის მფლობელი და მბეჭდავი კომპანია, რომელსაც აეკრძალა ავსტრიელი ბიზნეს მაგნატის ფოტოს დაბეჭდვა მის მიმართ დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდების გამო გამოძიების დაწყებაზე დაწერილ სტატიასთან ერთად კონტექსტში.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა (აზრის გამოხატვის თავისუფლება).

**Tonsberg Blad AS Haukom v. Norway**

(განაცხადი 510/04; 01/03/2007)

განმცხადებლები არიან ადგილობრივი გაზეთის გამომცემელი და რედაქტორი, რომელიც იმავდროულად იყო ხელმძღვანელიც. მათ დაეკისრათ კომპენსაციის გადახდა ნორვეგიის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული კომპანიის ვიცე აღმასრულებელი პრეზიდენტისთვის, რადგან მასზე დაიბეჭდა სტატია და ფოტო დაუსაბუთებელი ბრალდებით, რომ მისი მუდმივი საცხოვრებლის შესახებ მოთხოვნები არ შეესაბამებოდა მის ქონებას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

**Mgn Limited v. The United Kingdom**

(განაცხადი 39401/04; 18/01/2011)

განაცხადი შემოიტანა საგამომცემლო კომპანია “MgnMLimited“-მა, რომელიც ჩივის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე, რადგანაც:

ადგილობრივმა სასამართლოებმა კომპანიის მიერ ცნობილი მოდელის – ნაომი კემბელის პირად ცხოვრებაში ჩარევად მიიჩნია, მის მიერ “Daily Mirror“-ში მოდელის შესახებ ნარკოდამოკიდებულების შესახებ სტატიების დაბეჭდვა მისი და მისი ფოტოების გამოქვეყნება. კომპანიას დაევალა „მოგების სარგებლის“ გადახდა, რომელიც შეთანხმებული იყო კემბელსა და მის ადვოკატს შორის აღნიშნულ საქმეზე.

**სასამართლომ არ დაადგინა** მე-10 მუხლის დარღვევა, პირად ცხოვრებასთან მიმართებით. მაგრამ დაადგინა მე-10 მუხლის დარღვევა “MgnMLimited“-სთვის „მოგების სარგებლის“ დაკისრების გამო.

**Mosley v. the UK**

(განაცხადი 48009/09; 10/05/2011)

განმცხადებელი მაქს მოსლეი არის „ფორმულა ერთის“ მმართველი ორგანოს, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი. საქმე ეხება სტატიების, ფოტოებისა და ვიდეომასალის გამოქვეყნებას მსოფლიო მასშტაბის გაზეთის ახალ ამბებსა და მის ვებ-გვერდზე, სადაც გამჟღავნდა ბატონი მოსლეის სექსუალური ცხოვრების დეტალები. ბატონი მოსლეი ჩივის, რომ გაერთიანებულმა სამეფომ არ დააკისრა ვალდებულება გაზეთებს, წინასწარ შეატყობინოს განზრახული პუბლიკაციის შესახებ, რათა მიეცეთ შესაძლებლობა, თავიდან აირიდონ ასეთი პუბლიკაციები, დროებითი სასამართლო აკრძალვების მეშვეობით.

*სასამართლომ არ დაადგინა* კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, კონვენცია არ ავალდებულებს მედიას წინასწარი შეტყობინებები გაუგზავნოს სტატიამი მოხსენიებულ პირებს.

## დაუშვებელი განაცხადი

Mineli v. Switzerland

(განაცხადი 14991/02; 14/06/2005-ის გადაწყვეტილება)

ეხება სტატიას, რომელიც გამოქვეყნდა ყოველკვირეულ ჟურნალში, სადაც იურისტი და ჟურნალისტი ბატონი მინელი, რომელიც ხშირად მონაწილეობდა საჯარო დებატებში მედიაში, მოხსენიებულ იქნა ბრაკონიერად თავის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდებოდა მის მრჩევლობას სუპარმარკეტების ქსელში. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ის ჩიოდა, რომ ტერმინ „ბრაკონიერის“ ხმარებით და ამ ტერმინის გვერდზე მისი ფოტოს დაბეჭდვით შეილახა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

*სასამართლომ დაუშვებლად ცნო* აღნიშნული განაცხადი, და მიიჩნია, რომ ცხოვრების გასაჯაროების შემთხვევაში ვერ მოითხოვ საზოგადოებისგან პირადი ცხოვრების აბსოლუტურ დაცვას.

## სექსუალური ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები

### ქორნინება

Schalk and Kopf v. Austria

(განაცხადი №30141/04)

განმცხადებლები ერთსქესიანი წყვილია, რომლებიც ერთად სტაბილურად ცხოვრობენ. მათ თხოვნით მიმართეს ავსტრიის ხელისუფლებას ქორწინების ნებართვაზე. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განუცხადეს იმ მოტივით, რომ ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ ორ სანი-ნააღმდეგო სქესის ადამიანებს შორის. სასამართლოებმა მხარი დაუჭირეს ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციას ამ საკითხის თაობაზე.

თავიდან სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელთა შორის არსებული ურთიერთობები თავსებადი იყო „ოჯახურ ცხოვრებასთან“, ზუსტად ისევე, როგორც ორი სანიანააღმდეგო სქესის ადამიანების თანაცხოვრება მსგავს სიტუაციაში. ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ერთსქესიან წყვილებს მისცეს ქორწინების უფლება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავად იცის, თუ როგორ უნდა შეაფასოს ამ საკითხის საზოგადოებრივი აუცილებლობა და პასუხი აგოს ამაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქორწინების ცნებას აქვს სოციალური და კულტურული კონოტაციის ღრმა საფუძვლები, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საზოგადოების მიხედვით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-12 მუხლი და მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

### შვილად აყვანა

Frette v. France

(განაცხადი №36151/97)

ჰომოსექსუალ მამაკაცს უარი ეთქვა ბავშვის აყვანაზე წინასწარი ნებართვის გაცემაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონდათ მართლზომიერი და დასაბუთებული უფლებამოსილება, მიეჩნიათ, რომ გასაშვილებელი ბავშვების ინტერესები უპირატესია განმცხადებლის მართლზომიერ ინტერესებსა და მის არჩევანზე ცხოვრების წესის არჩევისას.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით. მეორე მხრივ, დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა სამართლიანი განხილვის კუთხით.

E.B. v. France

(განაცხადი №43546/02)

მარტოხელა გასათხოვარ ქალბატონს, რომელსაც წარსულში ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა მეორე ქალბატონთან, უარი ეთქვა ბავშვის აყვანაზე წინასწარი ნებართვის გაცემაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი ქალბატონის ჰომოსექსუალიზმი გახდა გადამწყვეტი ფაქტორი, ნებართვის გაცემაზე მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული კანონმდებლობა არ უკრძალავს მარტოხელა ადამიანებს შვილად აყვანას, შესაბამისად, ასეთ უფლებას აძლევს მარტოხელა ჰომოსექსუალებსაც.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით.

## Gas and Gubois v. France

(განაცხადი №25951/07)

განმცხადებლები არიან ქალბატონები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ. საქმე ეხება პირველი განმცხადებლისათვის უარს, რომ ეშვილა მეორე განმცხადებლის შვილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-14 მუხლი და მე-8 მუხლი, რადგან: სასამართლო მიიჩნევს, რომ აპლიკანტების სამართლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება ითქვას, რომ შეესაბამება ქორწინებაში მყოფი წყვილის მდგომარეობას, როდესაც საკითხი ეხება მეორე მშობლის მიერ შვილად აყვანას. სასამართლო ასევე ვერ ხედავს რაიმე განმასხვავებელ მტკიცებულებას მოპყრობაში, რაც ეფუძნება აპლიკანტების სექსუალურ ორიენტაციას. სანინააღმდეგი სქესის წყვილებს რომლებიც სამოქალაქო თანაცხოვრებაში იმყოფებოდნენ, ასევე აკრძალვდათ, რომ ერთ-ერთ პარტნიორს აყვანა ბავშვი. აპლიკანტების არგუმენტებზე დაყრდნობით, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში მყოფი სანინააღმდეგო სქესის წყვილებს შეეძლოთ გვერდი აეგლოთ ზემოხსენებული აკრძალვისათვის ქორწინებით, სასამართლომ კვლავ გაიმეორა თავისი მოსაზრებები ერთსქესიან წყვილთათვის ქორწინების ხელმისაწვდომობაზე (განჩინება შალკი და კოპფი ავსტრიის ნინააღმდეგ).

## Salgueiro da Silva Mouta v. Portugal

(განაცხადი №33290/96)

მამას უარი ეთქვა ბავშვის ერთობლივ აღზრდაზე მისი ჰომოსექსუალობის გამო. პორტუგალიური სასამართლოების გადაწყვეტილებები დიდწილად ეფუძნებოდა იმას, რომ განმცხადებელი იყო ჰომოსექსუალი და რომ „ბავშვი უნდა ცხოვრობდეს ტრადიციულ პორტუგალიურ ოჯახში“.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამგვარი განსხვავება, რომელიც დაფუძნებულია სქესობრივ ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არ შეესაბამებოდა კონვენციას. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან მიმართებით.

## J.M. v. The UK

(განაცხადი №37060/06)

განქორწინების შემდეგ ყოფილმა ქმარმა მიიღო ბავშვებზე მეურვეობის უფლება, ხოლო ცოლს დაეკისრა ბავშვების აღზრდაში მიეღო ფინანსური მონაწილეობა. 1998 წელს განმცხადებელმა ინტიმური ურთიერთობა დაამყარა სხვა ქალთან და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. იმ მომენტისათვის მოქმედი წესები ითვალისწინებდა გადამხდელისათვის ალიმენტის ოდენობის შემცირებას, თუკი ის ახალ ურთიერთობებს იწყებდა (მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა ქორწინება), თუმცა ერთსქესიან ურთიერთობებს ეს წესი არ ეხებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ წესები ალიმენტის შესახებ, რომლებიც მოქმედებდა სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე, იყო დისკრიმინაციული ერთსქესიან წყვილებთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა კონვენციის პირველი ოქმის 1 მუხლთან მიმართებით.

## სამუშაოზე დაქირავება

Lustig-Prean and Beckett v. The UK – (№№ 31417/96 ანდ 32377/96)

Smith and Grady v. The UK – (№№ 33985/96 ანდ 33986/96)

Perkins and R. v. The UK – (№№ 43208/98 ანდ 44875/98)

Beck, Copp and Bazeley v. The UK – (№№ 48535/99, 48536/99 ანდ 48537/99)

განმცხადებლები გარიცხეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან მათი ჰომოსექსუალური ორი-



ენტაციის გამო, მას შემდეგ, რაც ჩატარდა გამოძიება ამ საკითხზე.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლებთან მიმართებით მიღებული გადაწყვეტილებები თავისთავად წარმოადგენდა განსაკუთრებით სერიოზულ ჩარევას მათ პირად ცხოვრებაში, რაც განხორციელდა „დამაჯერებელი და ნონადი საფუძვლების“ გარეშე. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. ზოგიერთ საქმეზე ასევე დადგინდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა. საქმეზე – Beck, Copp და Bazeley: არ მიიჩნია დარღვევულად კონვენციის მე-3 მუხლი.

## სოციალური უზღაბები

### Mata Estevez v. Spain

(განაცხადი №56501/00)

ჰომოსექსუალ წყვილს მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ უარი ეთქვა პენსიის მიღებაზე.

ესპანური კანონმდებლობა მარჩენლის დაკარგვის შემდეგ დახმარების გაცემაზე ისახავდა მართლზომიერ მიზანს (ქორნიების კავშირით გამყარებული ოჯახის დაცვა) და განსხვავებული მოპყრობა შესაძლოა განხილულიყო, როგორც სახელმწიფოს შეფასების ზღვარის არეალში გადასაწყვეტი საკითხი. სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო.

### P.B. and J.S. v. Austria

(განაცხადი №18984/02)

ჰომოსექსუალ პარტნიორს საოჯახო სამედიცინო დაზღვევაზე ეთქვა უარი. ავსტრიის კანონმდებლობაში 2007 წლის ივლისში შეტანილ ცვლილებებამდე მხოლოდ დაზღვეული პირის ახლო ნათესავთან საპირისპირო სქესის პარტნიორი შეიძლება ჩაითვალოს კმაყოფაზე მყოფ პირად.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ იმ პერიოდთან დაკავშირებით, რომელიც 2007 წლის ივლისს წინ უსწრებდა, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით. ცვლილებების შედეგად, რომელიც 2007 წლის ივლისში შევიდა, კანონი ნეიტრალური გახდა დაზღვეული პირის სექსუალური ორიენტაციის მქონე პარტნიორის მიმართ, რამაც, სასამართლოს აზრით, ბოლო მოუღო დარღვევებს.

## საცხოვრებელი პენიის არენდაზე უზღაბა

### Karner v. Austria

(განაცხადი №40016/98)

ჰომოსექსუალ პირს უარი ეთქვა, არენდის ხელშეკრულება გაეფორმებინა საცხოვრებელზე მისი პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ.

სასამართლო ვერ დაეთანხმება, რომ ოჯახის დაცვისათვის აუცილებელი იყო ყველა ზომის მიღება, ერთსქესიან წყვილთათვის საცხოვრებელი ფართის არენდით გაცემაზე უარის ჩათვლით. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით.

### Kozak v. Poland

(განაცხადი №13102/02)

ჰომოსექსუალ პირს უარი ეთქვა, არენდის ხელშეკრულება გაეფორმებინა საცხოვრებელზე მისი პარტნიორის გარდაცვალების შემდეგ.

სასამართლო ვერ დაეთანხმება, რომ ოჯახის დაცვისათვის აუცილებელი იყო ყველა ზომის მიღება, ერთსქესიან წყვილთათვის საცხოვრებელი ფართის არენდით გაცემაზე უარის ჩათვლით. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით.

## შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

### Baczkowski and Others v. Poland

(განაცხადი №1543/06)

განმცხადებლები იბრძვიან ჰომოსექსუალთა უფლებების დასაცავად. 2005 წელს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აუკრძალა მათ ვარშავის ქუჩებში მსვლელობა, რომლის მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიქცევა უმცირესობის, ქალების და ინვალიდების მიმართ გამოხატული დისკრიმინაციისათვის. მსვლელობა ბოლოს მაინც შედგა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მსვლელობა შედგა, მაგრამ განმცხადებლები მაინც იდგნენ იმ რისკის წინაშე, რომ მსვლელობა არ ჩატარებულყო. მათ განკარგულებაში იყო მხოლოდ post hoc საშუალებები ღონისძიების ჩატარებაზე უარის გასაჩივრებისათვის. გონივრული იყო ვარაუდი, რომ მსვლელობის ჩატარებაზე უარის რეალური მიზეზი ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან იყო ჰომოსექსუალობის მიუღებლობა. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების დარღვევა.

### Alekseyev v. Russia

(განაცხადი №№4916/07, 25924/08 და 14599/09)

საქმე ეხება მოსკოვის ხელისუფლების მიერ მრავალჯერ (2006, 2007, 2008 წლებში) გაცემულ უარს იმის თაობაზე, რომ ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველები ითხოვდნენ გეი-პარადის მონაწილას.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მითითებული მსვლელობის ჩატარების აკრძალვა არ იყო აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. შემდგომში სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლებს არ ჰქონდათ ეფექტური ზომები აღნიშნული აკრძალვების გასაჩივრებისათვის და რომ აკრძალვები ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს სქესობრივი ორიენტაციის ნიშნით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11, მე-13 და მე-14 მუხლების დარღვევა.

## ჰომოფობია და არაადამიანური მოპყრობა ციხეში

### Vinsent Stasi v. France

(განაცხადი №25001/07)

საქმე ეხება ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ პატიმრის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მოცემული საქმის გარემოებებისა და დადგენილი ფაქტების გათვალისწინებით, ადმინისტრაციამ გაატარა ყველა შესაძლებელი ღონისძიება, რაც მისგან იყო მოსალოდნელი, განმცხადებლის ფიზიკური ზემოქმედებისაგან დასაცავად.

სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა.

## სექსუალური ორიენტაცია და ე.წ. Hate Speech

### Vejdeland and Others v. Sweden

09/02/2012

საქმე ეხება აპლიკანტების მიმართ წაყენებულ ბრალდებას საშუალო სკოლის უფროსი კლასელებისათვის 100-ზე მეტი ლიფლეტის დარიგების თაობაზე. ეს სასამართლოებმა განხილეს როგორც ჰომოსექსუალების მიმართ მხარდასაჭერი ღონისძიება. აპლიკანტებმა ლიფლეტები გა-

ავრცელეს ორგანიზაცია „Nationa Youth“-ის დავალებით. ისინი სარეკლამო ფურცლებს ტოვებდნენ მოსწავლეთა ტუალეტებში. ლიფტებში აღნიშნული იყო, რომ ჰომოსექსუალიზმი „ანომალიური სექსუალური მიდრეკილებაა“, „აქვს მორალურად დესტრუქციული გავლენა საზოგადოებაზე“ და პასუხისმგებელია შიდსის გავცელებაზე. აპლიკანტებმა განაცხადეს, რომ მათი მიზანი არ იყო ჰომოსექსუალიზმის მხარდაჭერა და ამტკიცებდნენ, რომ მათი საქმიანობის მიზანი იყო დებატების დანყება და შვედურ სკოლაში ამ კუთხით განათლების შეტანა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ეს მტკიცებები მოიცავდა სერიოზულ და საზიანო მოსაზრებებს, თუმცა ისინი არ იყო პირდაპირ მიმართული მოწოდებები აგრესიული (სიძულვილის) აქტებისაკენ. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სექსუალურ ორიენტაციაზე დაფუძნებული დისკრიმინაცია იყო ისეთივე სერიოზული, როგორც „რასობრივ, წარმომავლობასა და კანის ფერის“ საფუძველზე არსებული დისკრიმინაცია.

სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი, რადგან აპლიკანტის უფლებებში ჩარევა წარმოადგენდა დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ ღონისძიებას.

## სოციალური უზრუნველყოფა

ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია იცავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს (როგორცაა სიცოცხლის უფლება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და სამართლიანი სასამართლოს უფლება). ამასთან, ევროპის საბჭოს სხვა ინსტრუმენტები, კერძოდ, **ევროპის სოციალური ქარტია**, ეხება ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს (როგორცაა საცხოვრებლის, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, სამართლებრივი დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის უფლებები).

თუმცა, „არ არის მკვეთრად გამიჯნული ეკონომიკური და სოციალური უფლებების სფეროები კონვენციით დაცული სფეროსგან“; მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი „აყალიბებს, თუ რა არის არსებითად სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ბევრ მათგანს სოციალური ან ეკონომიკური ხასიათი აქვს“ (**Airey v. Ireland**, 9 ოქტომბერი 1979). ეს საქმე მათ შორის სოციალურ კეთილდღეობასაც უკავშირდება.

### სამედიცინო დახმარება

#### მკურნალობის საფასურის გადახდა

**Nitecki v. Poland**

**21 მარტი, 2002 (განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი)**

მოსარჩელე, რომელსაც ჰქონდა ძალიან იშვიათი და ფატალური შედეგის გამომწვევი დაავადება, აცხადებდა, რომ არ გააჩნდა ფინანსური სახსრები მკურნალობის საფასურის დასაფარავად. იგი ჩიოდა სასამართლოში, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი განუცხადეს მკურნალობის სრული საფასურის დაფარვაზე (ზოგადი დაავადებების დაზღვევის სქემის მიხედვით მხოლოდ 70% დაიფარა).

სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი შესაძლოა, განხილულიყო კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის თვალსაზრისით (სიცოცხლის უფლება), სადაც ჩანს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ორგანოები პიროვნების სიცოცხლეს რისკის ქვეშ აყენებენ მისთვის სამედიცინო დახმარებაზე უარის თქმით, რისი უზრუნველყოფის ვალდებულებაც მათ აიღეს მთელი მოსახლეობის წინაშე, მაგრამ ეს არ განუხორციელებიათ ბატონი ნიტეკის შემთხვევაში.

### ავადმყოფი უცხოელის გაქვევება (დეპორტაცია)

**D. v. the United Kingdom**

**1997 წლის 2 მაისის განჩინება**

სანტ კიტსტელი მოსარჩელე (კარიბის ზღვის აუზი, გაერთიანებულ სამეფოში ჩამოსვლისას დააკავეს კოკაინის ფლობისათვის და მიუსაჯეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღმოჩნდა, რომ იგი დაავადებული იყო აივ-ინფექციით. მის გათავისუფლებამდე აპლიკანტის სანტ კიტსტში დეპორტაციის ბრძანება გაიცა. იგი ამტკიცებდა, რომ დეპორტაცია შეამოკლებდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობას, რადგან იმ სახის მკურნალობა, რომელსაც მას გაერთიანებულ სამეფოში უწევდნენ, ხელმისაწვდომი არ იყო სანტ კიტსტში. იგი ასევე ჩიოდა, რომ გაერთიანებული სამეფოდან გაძევება მას სილატაკეში ცხოვრებას უქადდა.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ უცხოელებს, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი და გაძევებას ექვემდებარებოდნენ, არ ჰქონდათ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენის მოთხოვნის უფლება სამედიცინო, სოციალური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით, რომლითაც ისინი ამ სახელმწიფოსგან სარგებლობდნენ ციხეში ყოფნის პერიოდში. თუმცა, მოსარჩელის საქმის გარემოებები გამონაკლისს წარმოადგენდა. დაავადების სიმძიმისა და მისი მკურნალობაზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, არსებობდა სერიოზული საფრთხე, რომ სანტ კიტსტში არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობები შეამცირებდა მისი სიცოცხლის ხანგრძლი-

ვობას და განირავდა მას საშინელი ტანჯვისათვის. აქედან გამომდინარე, მისი დეპორტაციის შესახებ ბრძანების აღსრულება წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას (არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა).

## სოციალური კეთილდღეობა, ცხოვრების მინიმალური სტანდარტის გარანტია

**Panecko v. Latvia**

**28 ოქტომბერი, 1999 (განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი)**

საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს (თავდაპირველად – ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე და ლატვიის „მუდმივი მაცხოვრებელი არა-მოქალაქე“, შემდეგ – რუსეთის მოქალაქე და ამის შემდგომ – უკრაინის მოქალაქე) ლატვიაში დარჩენის უფლება, საკმაოდ გრძელვადიანი წარმოების საგანი იყო. მას დაუფროვდა მნიშვნელოვანი საგადასახადო ვალდებულებები და ჩიოდა მისი არასაიმედო მდგომარეობის შესახებ ლატვიაში და ასევე უფასო სამედიცინო დახმარების მიღების უფლების არქონის თაობაზე.

სასამართლომ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ კონვენცია არ იძლევა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების, როგორცაა მუშაობის უფლება, უფასო სამედიცინო დახმარების, ან ფინანსური დახმარების მიღების მოთხოვნის უფლება, სახელმწიფოსგან მიღების გარანტიებს, ცხოვრების კონკრეტული სტანდარტის შენარჩუნების მიზნით. თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ პიროვნების საცხოვრებელი პირობები შეიძლება განხილულ იქნეს მე-3 მუხლთან მიმართებით (არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), თუ ეს პირობები სიმკაცრის მინიმალურ დონემდე დადის. თუმცა, ეს არ იყო ქ-ნი პანცენკოს შემთხვევა.

**Larioshina v. Russia**

**23 აპრილი, 2002 (განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი)**

მოსარჩელე მოხუცი ქალბატონია, რომელიც ცხოვრობდა თავის პენსიასა და სხვა სოციალურ დახმარებებზე. იგი ამტკიცებდა, რომ ეს არასაკმარისი იყო ცხოვრების ნორმალური პირობების შესანარჩუნებლად.

სასამართლომ დაადგინა: მოსარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ პენსია და სხვა დახმარებები არასაკმარისი იყო ცხოვრების ნორმალური სტანდარტის შესანარჩუნებლად, შესაძლოა მოქცეულიყო მე-3 მუხლის რეგულირების ქვეშ (არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა). თუმცა, ქალბატონი ლარიოშინას შემთხვევაში არ დაფიქსირებულა სიღატაკის ზღვრული დონე, რათა დადგენილიყო აღნიშნული მუხლის დარღვევა.

## სოციალური დახმარების გაცემისას არსებული დისკრიმინაცია

რა პირობებში შეიძლება სოციალური დახმარება გაუტოლდეს კონვენციით დაცულ „საკუთრებას“?

ამ რთულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ვცრელი და განვითარებადი პრეცედენტული სამართალი. აღსანიშნავი განჩინებები მოიცავს:

**Muller v. Austria** (16 დეკემბერი 1974, ადამიანის უფლებების შესახებ ევროპული კომისიის გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ): „სოციალური უსაფრთხოების სქემაში შენატანის გადახდის ვალდებულებამ შესაძლოა... წარმოქმნას საკუთრების უფლება ამ გზით დაგროვებულ ქონების ნაწილზე“.

**Stec and others v. the United Kingdom** (6 ივლისი 2005, გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობის შესახებ, დიდი პალატა): „თუ... ხელშემკვრელ სახელმწიფოში ძალაშია კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ხდება გადახდების გადახდა სოციალური დახმარების – პირობადადებული, ან წინასწარი გადახდის ფორმით – აღნიშნული კანონმდებლობა უნდა მივიჩნიოთ როგორც საკუთრებას“.

რების ინტერესის წარმომშობი, რომელიც დაცულია კონვენციის 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით იმ პიროვნებების მიმართ, რომლებიც აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს“.

## სქესობრივი დისკრიმინაცია

### Wessels-bergervort v. the Netherlands

(4 ივნისი, 2002; განჩინება)

მოსარჩელე და მისი მეუღლე მთელი თავიანთი ცხოვრება ჰოლანდიაში ცხოვრობდნენ. მოსარჩელის ქმარი 19 წლის მანძილზე მუშაობდა და იხდიდა სოციალური დაცვის მოსაკრებელს გერმანიაში. მას ერიცხებოდა დაოჯახებული ხანდაზმული პირის პენსია ჰოლანდიაში. პენსია შეუმცირდა 38%-ით იმ 19 წლისათვის, რომლის განმავლობაშიც მას არ გადაუხდია მოსაკრებელი ამ ქვეყნისათვის. ამავე პროპორციით შეუმცირდა აპლიკანტს პენსია. მან იჩივლა, რადგან მისი პენსიის ოდენობა განისაზღვრა იმ პერიოდთან მიმართებით, რომლის განმავლობაშიც მისი მეუღლე იხდიდა მოსაკრებელს აღნიშნულ ქვეყანაში, მაშინ, როდესაც თუ პირიქით იქნებოდა, ასე არ მოხდებოდა (იმ შემთხვევაში, თუ ცოლი იქნებოდა პირი, რომელიც მოსაკრებელს საზღვარგარეთ იხდიდა).

სასამართლომ განაცხადა, რომ აღნიშნულ სიტუაციაში არ არსებობდა განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და სამართლიანი საფუძველი. სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში (საკუთრების დაცვა).

## ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია

### Gaygusuz v. Austria

(1996 წლის 16 სექტემბრის განჩინება)

მოსარჩელე იყო ავსტრიაში მცხოვრები თურქეთის მოქალაქე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ავსტრიაში, სანამ ასევე დიდი ხნით უმუშევარი არ დარჩა. ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი უთხრეს მას „გადაუდებელი დახმარების“ სახით პენსიაზე დანამატის მიცემაზე იმ მიზეზით, რომ აპლიკანტი არ იყო ავსტრიის მოქალაქე.

სასამართლომ დაადგინა, რომ „გადაუდებელი დახმარების“ სახით დანამატის მიცემა დაკავშირებული იყო უმუშევართა სადაზღვევო ფონდში შენატანის გადახდასთან, რაც ბატონი გაიგუსუსის შემთხვევაში ასე ხდებოდა კიდევ. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ აპლიკანტს უარი მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე უთხრეს, ხოლო ავსტრიელებისა და არაავსტრიელების მიმართ განსხვავებული მოპყრობა „არ იყო ობიექტური და საფუძვლიანად დასაბუთებული“. დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში. (საკუთრების დაცვა).

### Koua Poirrez v. France

(2003 წლის 30 სექტემბრის განჩინება)

მოსარჩელე იყო საფრანგეთში მცხოვრები კოტდივუარის (სპილოს ძვლის სანაპიროს რესპუბლიკა) მოქალაქე. საფრანგეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული ადამიანისთვის განკუთვნილი ფულადი დახმარების გაცემაზე მისი მოქალაქეობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტს ჰქონდა საფრანგეთში გაცემული მონობა, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და, ამასთან, იშვილა საფრანგეთის მოქალაქემ (21 წლის ასაკში).

სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთ სოციალურ დახმარებას, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, შეუძლია წამოჭრას მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე. არ არსებობს საფრანგეთის

(ან სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი ურთიერთდაცვის შეთანხმებაზე, რაც არ წარმოადგენ კოტილიუვარის შემთხვევას) მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის განსხვავებული მოპყრობის არანაირი ობიექტური და საფუძვლიანი გამართლება სოციალური დახმარების მიცემის კუთხით. დადგინდა მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლთან ერთობლიობაში. (საკუთრების დაცვა).

## სოციალური დახმარების დაუსაბუთებელი შეწყვეტა

**Kjartan Asmundsson v. Iceland**

(2004 წლის 12 ოქტომბრის განჩინება)

აპლიკანტი სერიოზულად დაშავდა საზღვაო ტრალერზე და იძულებული გახდა მეზღვაურობისთვის თავი დაენებებინა. მისი შეზღუდული შესაძლებლობები 100%-ით შეფასდა, რაც მას უფლებამოსილს ხდიდა, მიეღო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გათვალისწინებული დახმარება მეზღვაურთა საპენსიო ფონდიდან. იმის საფუძველი კი იყო ის, რომ მას აღარ შესწევდა უნარი, გაეგრძელებინა სამუშაო, რომელსაც ასრულებდა ამ ინციდენტამდე. 1992 წელს, ფონდის ფინანსური სირთულეების გამო, შეზღუდული შესაძლებლობების შეფასებაში ცვლილებები შევიდა: განმსაზღვრელი ფაქტორი იყო არა ის, რომ პირს აღარ შეეძლო იმავე სამუშაოს შესარულება, არამედ განიხილებოდა ჰქონდა თუ არა პირს ნებისმიერი სამუშაოს შესრულების უნარი. მოსარჩელის შეზღუდული შესაძლებლობები ხელახლა შეფასდა 25%-ით. რადგანაც დონე 35%-ზე ნაკლები იყო, ფონდმა შეწყვიტა პენსიის გადახდა.

სასამართლოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, დაედგინა, რამდენად ლეგიტიმური იყო ფონდის ფინანსური სირთულეები, მაშინ, როდესაც 689 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პენსიონერი კვლავ, ჩვეულებრივად იღებდა დახმარებას ისე, როგორც ახალი წესების მიღებამდე იყო დადგენილი. მაშინ როდესაც 54-მა პირმა აპლიკანტის ჩათვლით, სრულად დაკარგა პენსიის მიღების უფლება; სასამართლოს აზრით, ეს ქმედება იყო გადაჭარბებული და არაპროპორციული. სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი (საკუთრების დაცვა) მიიჩნია დარღვეულად.

## სოციალური დახმარების მინიჭებისა და გადახდის პროცედურის დაცვის მიქანიზმები

**დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება**

**Kovachev v. Bulgaria**

ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1997 წლის 28 ოქტომბრის მოხსენება და მინისტრთა კომიტეტის 1998 წლის 11 ივნისის რეზოლუცია (კონვენციის ძველი რედაქციის 32-ე მუხლი)

მოსარჩელემ ადგილობრივ სასამართლოებში იჩივლა მისი, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის, დახმარების გაზრდაზე უარის თქმის გამო. სასამართლოებმა საქმის არსებითი მხარის განხილვაზე უარი განაცხადეს, რადგან სოციალური კეთილდღეობის რეგულაციები არ იძლეოდა სასამართლოში გასაჩივრების საშუალებას და მსგავს საქმეებში ექსკლუზიური იურისდიქცია მინიჭებული ჰქონდათ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეს უნდა ჰქონოდა უფლება, ედავა მის მოთხოვნაზე დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება).

## სასამართლო პროცესის დაჩქარების მოთხოვნა

**Mocie v. France**

8 აპრილი, 2003

მოსარჩელემ მიმართა ადგილობრივ სასამართლოებს სამხედრო ინვალიდობის პენსიის გაზრდის

მოთხოვნით. პროცესის პირველი ნაწილი დაიწყო 1988 წელს და ჯერ კიდევ მიმდინარე საქმეს წარმოადგენდა, მაშინ, როდესაც ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 15 წლის შემდეგ; პროცესის მეორე ნაწილი დაახლოებით 8 წელი გაგრძელდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ინვალიდობის პენსია აპლიკანტის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. წარმოებები, რომელთაც უნდა გაეუმჯობესებინათ განმცხადებლის პენსია მისი ჯანმრთელობის გაუარესების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო აპლიკანტისთვის, რაც მოითხოვდა „განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას“ უწყებების მხრიდან. სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა (გონივრულ ვადაში სამართლიანი სასამართლოს უფლება).

## ადმინისტრაციული/სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება

**Burdov v. Russia**

7 მაისი, 2002

აპლიკანტს, რომელიც მონაწილეობდა ჩერნობილის ბირთვული კატასტროფის ადგილზე მიმდინარე სასწრაფო სამუშაოებში, ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რისთვისაც ეკუთვნოდა კომპენსაცია. კომპენსაციის მოთხოვნა დააკმაყოფილა ადგილობრივმა სასამართლომ, მაგრამ მოსარჩელე ჩიოდა, რომ კომპენსაციის გაცემა არ მომხდარა სახსრების ნაკლებობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სასამართლო განაჩენის შეუსრულებლობა სახსრების ნაკლებობის მომიზეზებით, არ იყო სწორი. ბატონ ბურდოვს უნდა მიეღო კუთვნილი სარგებელი სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევა.

## მიმდინარე საქმეები

**Gegia v. Georgia**

კომუნიკაცია შედგა 2009 წლის 12 მაისს.

აპლიკანტი 1949 წლიდან 1986 წლამდე მუშაობდა საჯარო პროკურატურაში პროკურორად. იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მას დაენიშნა პენსია მომსახურე პროკურორის ხელფასის საფუძველზე, რომელიც უნდა მიეღო მთელი ცხოვრების მანძილზე. 2005 წელს ძალაში შევიდა კანონი, რომელმაც გააუქმა აღნიშნული დებულება და ბატონი გეგიას პენსია შესაბამისად შემცირდა. მოსარჩელემ სარჩელი შეიტანა ადგილობრივ სასამართლოში კანონის უკუქცევაზე, თუმცა – უშედეგოდ. მთავარი საკითხი იყო იმის დადგენა, შეუმცირდა თუ არა მოსარჩელეს პენსია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევით.

**Thior v. Switzerland**

კომუნიკაცია შედგა 2009 წლის 12 სექტემბერს

მოსარჩელე დაიბადა სენეგალში 1996 წელს. ტვინის დაზიანების გამო მას შეზღუდული აქვს სწავლის უნარი. 2002 წელს იგი დედასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა შვეიცარიაში. აპლიკანტის დედა ცოლად გაჰყვა შვეიცარიის მოქალაქეს, რომელიც არ არის მოსარჩელის მამა. აპლიკანტის დედამ სახელმწიფო უწყებებისგან მოითხოვა მოსარჩელის სპეციალურ სკოლაში სწავლის საფასურის დაფარვა. მას მოთხოვნაზე უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო, ასევე მის მშობლებსაც, რომლებიც ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, არ უცხოვრიათ შვეიცარიაში უწყვეტად 10 წლის განმავლობაში და ერთი წლის მანძილზე არ გადაუხდიათ მოსაკრებელი საჯარო სოციალური დაზღვევის სისტემაში. სადავო საკითხია



ის, თუ რამდენად წარმოადგენს მოსარჩელის სპეციალურ სკოლაში სწავლის საფასურის გადახდაზე უარის თქმა მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ცალკე – ან მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) – ერთობლიობაში დარღვევას.

**Mauriello v. Italy**

**კომუნიკაცია შედგა 2009 წლის 5 ოქტომბერს.**

აპლიკანტი მუშაობდა სასამართლოს მბეჭდავად 1990 წლიდან 2000 წლამდე და ჯამში გადაიხადა 45,000 ევრო საჯარო მოხელეთა ეროვნული დაზღვევის ფონდში. იგი იძულებული იყო, წასულიყო სამსახურიდან მაქსიმალური საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. იქიდან გამომდინარე, რომ მას საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში არ გადაუხდია მოსაკრებელი იმისათვის, რომ მიეღო სამსახურებრივი პენსია სამსახურის დატოვების შემდეგ, მიმართა ადგილობრივ სასამართლოებს მისთვის 70 წლამდე მუშაობის უფლების გაგრძელების მიზნით. მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მის მიერ გადახდილი მოსაკრებელი გადაირიცხა სოციალური დაზღვევის ეროვნულ ფონდში, სავალდებულო ასაკის, ინვალიდობისა და გადარჩენილთა სქემის ფარგლებში ანგარიშის გახსნის მიზნით. აპლიკანტი ახლა მხოლოდ გადარჩენილთა პენსიას იღებს. მთავარი საკითხი, რომელიც სასამართლომ უნდა გადანეციტოს, არის ის, თუ რამდენად წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სამსახურებრივი პენსიის შემცირება, სხვა ყოველგვარი სარგებლის გარეშე, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების დაცვა) დარღვევას.

## ტერორიზმი

**მე-15 მუხლი (უკან დახევა საგანგებო მდგომარეობის დროს)** – ეს ნორმა სახელმწიფოს ანიჭებს უფლებას, ცალმხრივად გადაუხვიოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულების დაცვისას ცალკეულ გამონაკლის გარემოებებში.<sup>1</sup> ზოგიერთი წევრი-სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში იყენებს ამ ნორმას.

### Lawless v. Ireland

01/07/1961

ვალდებულებებისაგან უკან დახევის განაცხადი ირლანდიამ გააკეთა 1957 წელს, ჩრდილოეთ ირლანდიაში მომხდარი ტერაქტების შემდეგ. აპლიკანტი ეჭვმიტანილი იყო „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ წევრობაში. იგი ამტკიცებდა, რომ სასამართლოს გარეშე დააპატიმრეს და 1957 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით ამყოფეს სამხედრო ციხეში, რომელიც მდებარეობდა ირლანდიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-7 მუხლი.

### Ireland v. The UK

18/01/1978

ვალდებულებებისაგან უკან დახევის განაცხადი გაერთიანებულმა სამეფომ ჩრდილოეთ ირლანდიაში მდებარე თავის ადმინისტრაციასთან მიმართებით გააკეთა 1970 წელს და მომდევნო წლებშიც რამდენჯერმე გაიმეორა.

### Brannigan and Mc Bride v. The UK

25/05/1993

შემდგომი განაცხადი ვალდებულებებისაგან უკან დახევის თაობაზე გაკეთდა 1989 წელს ჩრდილოეთ ირლანდიასთან მიმართებით.

### Aksoy v. Turkey

18/12/1996

განაცხადი თურქეთის ხელისუფლების მიერ ვალდებულებებისაგან უკან დახევის შესახებ გაკეთდა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის მიმართ, თურქეთის უსაფრთხოების ძალებსა და ქურთთა მუშათა პარტიის წევრებს შორის მომხდარი შეტაკებების გამო.

### A. and Others v. The UK

19/02/2009

განაცხადი გაერთიანებული სამეფოს მიერ უკან დახევის შესახებ გაკეთდა აშშ-ში მომხდარი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

<sup>1</sup> „ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან უკან დახევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და ასევე იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.“

## 1. (ეჭვმიტანილი) ტერორისტები პატიმრობაში

### Lawless v. Ireland

01/07/1961

#### (სასამართლოს ისტორიაში პირველი გადაწყვეტილება)

განმცხადებელი ეჭვმიტანილი იყო „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ წევრობაში. იგი ამტკიცებდა, რომ სასამართლოს გარეშე დააპატიმრეს და 1957 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით ამყოფეს სამხედრო ციხეში, რომელიც მდებარეობდა ირლანდიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-7 მუხლი.

### სასტიკი მოპყრობა

კონვენციის მე-15 მუხლში ნათლადაა მითითებული, რომ ზოგიერთი ზომის გამოყენება დაუშვებელია განსაკუთრებული მდგომარეობის დროსაც. მაგალითად, კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან წამების აკრძალვა) არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს უკან დახევას.

### Frerot v. France

12/06/2007

განმცხადებელი მემარცხენე ექსტრემისტთა მოძრაობის ყოფილი წევრია. მას 1995 წელს მიუსაჯეს 30-წლიანი პატიმრობა ტერორისტული საქმიანობისათვის. იგი ჩიოდა ციხეში პირადი ჩხრეკის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-3, მე-8, მე-13 მუხლები და მე-6 მუხლის I ნაწილი.

### Ramirez Sanchez v. France

04/07/2006

განმცხადებელი, ცნობილი როგორც „ტურა კარლოსი“ და მსოფლიოში 1970-იან წლებში ყველაზე საშიში ტერორისტი, ჩიოდა განმარტოებით პატიმრობაში ყოფნის გამო, რაც 8 წლის მანძილზე გრძელდებოდა. იგი ტერორისტული საქმიანობისთვის იხდიდა სასჯელს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-3 მუხლი, განმარტოებით პატიმრობაში ყოფნის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-13 მუხლი, რადგან ფრანგულ კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემდა განმცხადებელს, გაესაჩივრებინა განმარტოებითი პატიმრობის გაგრძელება.

### Ocalan v. Turkey

12/05/2005

საქმე ეხება განმცხადებლის თურქეთში გადაყვანის პრობებს და შემდგომ პატიმრობას. იგი იყო ქურთთა მუშათა პარტიის ყოფილი ლიდერი და სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი თავისი აქტიური მოღვაწეობის გამო, რაც მიზნად ისახავდა თურქეთის ტერიტორიის ნაწილის გამოყოფას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-3 მუხლი, სასიკვდილო განაჩენის გამოტანის გამო; დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები; ასევე კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი ამავე მუხლის მე-3 ნაწილთან ერთად.

## Martinez Sala v. Spain

02/11/2004

სასამართლომ დაადგინა, რომ ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ განახორციელეს ოფიციალური ეფექტური გამოძიება აპლიკანტების საჩივარზე, რომელშიც მითითებული იყო 1992 წლის ზაფხულში პოლიციის საპატიმროში დაკავებისას მათ მიმართ განხორციელებული სასტიკი მოპყრობის თაობაზე. ეს მოხდა ბარსელონის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე. განმცხადებლების დაკავება უკავშირდებოდა ტერორისტულ საქმიანობაში მათ მიმართ არსებულ ეჭვს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არაეფექტური გამოძიების გამო დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, ხოლო განმცხადებლების მიერ მითითებული არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის ფაქტები არ მიიჩნია დადგენილად და, შესაბამისად, დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი.

## Alsoy v. Turkey

18/12/1996

აპლიკანტი, როგორც ეჭვმიტანილი ქურთთა მუშათა პარტიის წევრობასა და ტერორისტულ საქმიანობაში, დააპატიმრეს 1992 წელს. განმცხადებელი ჩიოდა, რომ უკანონოდ დააპატიმრეს და ციხეში აწამებდნენ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3, მე-5 და მე-13 მუხლები.

## Ireland v. The UK

18/01/1978

1971 წლის აგვისტოდან 1975 წლის დეკემბრამდე გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობდნენ სასამართლოს ნებართვის გარეშე პირთა დაკავების უფლებამოსილებით. საქმე ეხებოდა ირლანდიის ხელისუფლების საჩივრებს ამ უფლებამოსილების ფარგლებსა და მათ განხორციელებაზე, კონკრეტულად – ფსიქოლოგიური ზეწოლის ხერხების გამოყენებაზე (კედელთან დგომის იძულება, კაპიუშონის ჩამოცმა, ხმაურიანი ზემოქმედება, უარი ძილზე, საკვებსა და წყალზე) იმ პირთა დაკითხვისას, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ტერორისტულ საქმიანობაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთმა მეთოდებმა გამოიწვიეს ძლიერი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-5 და მე-14 მუხლები.

## Babar Ahmad and Others v. The UK

06/07/2010

საქმე ეხება ექვს საერთაშორისო ტერორისტს – ბაბარ აჰმადს, ჰარონ რაშიდ ასვატს, სიედ ტაჰლა აჰსანს, მუსტაფა კამალ მუსტაფას (ცნობილია, როგორც აბუ ჰამზა), ადელ აბდულ ბარის და ხალედ ალ-ფავაზს – რომლებიც დააკავეს გაერთიანებულ სამეფოში და მიმდინარეობს მათი აშშ-ში ექსტრადიციის პროცედურა.

სასამართლომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ:

- არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ ბატონები: აჰმადი, აჰსანი, აბუ ჰამზა, ბარი და ალ-ფავაზი ექსტრადირებულები იქნებოდნენ აშშ-ში (განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში);
- არ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, ექსტრადიციის შემდეგ, სავარაუდოდ, მათთვის გამოტანილი ხანგრძლივი პატიმრობის გამო.

სასამართლომ გადადო ბატონი ასვატის განაცხადის განხილვა, რადგან საჭირო იყო მხარეთა მოსაზრებების წარმოდგენა. განაცხადში საუბარი იყო მისი შიზოფრენიით დაავადებისა და პატიმრობის შესაბამისობაზე ბროადმორის საავადმყოფოში, საიდანაც იგი უნდა გადაეყვანათ განსაკუთრებული რეჟიმის ციხეში.

სასამართლომ ასევე გადაწყვიტა, რომ გააგრძელოს თავისი მითითება გაერთიანებული სამეფოსათვის (39-ე მუხლის თაობაზე), რომ აპლიკანტების ექსტრადიცია არ შეიძლება მანამ, სანამ გადაწყვეტილება ძალაში არ შევა, ან თუ საქმე განსახილველად გაედაცემა დიდ პალატას რომელიმე მხარის მოთხოვნით.

**Omar Othman v. The UK**

17/01/2012

აპლიკანტი (ასევე ცნობილი, როგორც აბუ ქატადა) ასაჩივრებდა მის გადაყვანას იორდანიაში, სადაც დაუსწრებლად გაასამართლეს სხვადასხვა ტერორისტული აქტის ჩადენაში. სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ მოპოვებული დიპლომატიური გარანტიები იორდანიის მთავრობისგან იყო შესაბამისი ბატონი ოთმანის დასაცავად და არ არსებობდა არაადამიანური მოპყრობის რისკები. სასამართლომ, ამის მიუხედავად, მაინც დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, რადგან აღნიშნა, რომ შესაძლოა, იორდანიაში წამების შედეგად ყოფილიყო მოპოვებული ჩვენებები ხელახალი სასამართლო განხილვისათვის. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტის საკითხის განხილვისას ადგენს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რომელიც ასახავს საერთაშორისო კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ წამების შედეგად მოპოვებული ჩვენება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.

**H.R. v. France**

22/09/2011

განმცხადებელი საფრანგეთში იხდის სასჯელს ტერორისტული საქმიანობის გამო. იგი აცხადებს, რომ ალჟირში ექტრადიციის შემთხვევაში სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშ დადგება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ აპლიკანტი ალჟირში იქნება დეპორტირებული.

**Beghal v. France**

06/09/2011

განმცხადებელი საფრანგეთში იხდის სასჯელს ტერორისტული საქმიანობის გამო. იგი აცხადებს, რომ ალჟირში ექტრადიციის შემთხვევაში სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშ დადგება.

სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო, რადგან აპლიკანტის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და დროებითი დაკავების გათვალისწინებით, მისი დეპორტაცია უკვე შეუძლებელია. შესაბამისად, იგი აღარ მიიჩნევა კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დარღვევების მსხვერპლად.

**Daoudi v. France**

03/12/2009

განმცხადებელი ალჟირის მოქალაქეა. იგი დააპატიმრეს და გაასამართლეს საფრანგეთში, როგორც ალ-ქაიდასთან დაკავშირებული რადიკალურ-ისლამისტთა დაჯგუფების წევრი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო პარიზში აშშ-ს საელჩოზე სუიციდური თავდასხმების მოწყობაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ განმცხადებელს გადასცემდნენ ალჟირის მხარეს.

**Saadi v. Italy**

28/02/2008

განმცხადებლის ტუნისში დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი (სადაც, მისი თქმით, 2005 წელს დაუსწრებლად გაასამართლეს და მიუსაჯეს 20-წლიანი პატიმრობა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის გამო).

**Shamayev and Others v. Georgia and Russia**

12/04/2005

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვევა კონვენციის მე-3 მუხლი, თუ ბატონი გელოგაევის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება აღსრულებოდა (განმცხადებელი ჩეჩნეთის კონფლიქტში მონაწილეობდა და რუსეთის ხელისუფლების მიერ მიჩნეული იყო ტერორისტად).

**Chahal v. The UK**

15/11/1996

სასამართლომ დაადგინა, რომ სინქების სეპარატისტული მოძრაობის მხარდამჭერი, რომლის მიმართაც, სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გამოვიდა გაძევების დადგენილება, რეალურად იყო სასტიკი მოპყრობის რისკის ქვეშ ინდოეთში დეპორტაციის შემთხვევაში (ინდოეთის მხარის მიერ წარმოდგენილი გარანტიები სასამართლოსათვის არ იყო დამაჯერებელი). სასამართლომ დაადგინა, რომ გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებით დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

**Ben Khemais v. Italy**

24/02/2009

განმცხადებლის ტუნისში დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვევა კონვენციის მე-3 და 34-ე მუხლები (სადაც დაუსწრებლად გაასამართლეს და მიუსაჯეს 10-წლიანი პატიმრობა ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის გამო).

**Mamatkulov and Askarov v. Russia**

04/02/2005

უზბეკეთის ოპოზიციური პარტიის ორი წევრი ეჭვმიტანილი იყო ბომბის აფეთქებასა და უზბეკეთის პრეზიდენტზე ტერორისტული თავდასხმის მცდელობაში. ისინი გაიქცნენ თურქეთში.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების უზბეკეთში ექსტრადიციით არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი. ამასთან, თურქეთის მხარემ ვერ დაიცვა დროებითი ღონისძიების მოთხოვნები, რამაც სასამართლოს შეუქმნა წინააღმდეგობა, შეეფასებინა რეალური რისკი, რომელიც აპლიკანტების თურქეთიდან უზბეკეთში ექსტრადიციის შემთხვევაში იარსებებდა. სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის 34-ე მუხლი.

**კონვენციის მე-5 მუხლის საკითხები**

**(თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება)**

კონვენციის მე-5 მუხლით დაუშვებელია პირის დასაკითხად დაკავება მხოლოდ ინფორმაციის მოპოვების მიზნით (დაკავებისას უნდა არსებობდეს განზრახვა – უკიდურეს შემთხვევაში პრინციპული მაინც, რომ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე).

**Murray v. The UK**

28/10/1994

აპლიკანტი დააპატიმრეს ირლანდიის რესპუბლიკური არმიისათვის ფულის შეგროვების გამო.

**O’Hara v. The UK**

16/10/2001

განმცხადებელი არის პარტია – „შინ ფეინის“ გამორჩენილი წევრი, რომელიც დააპატიმრეს ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ ჩადენილ მკვლელობაში მონაწილეობის გამო.

არც ერთ ზემოხსენებულ საქმეზე არ დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა: სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების დაკავება, ტერორიზმში ეჭვმიტანილობის გამო, იყო მოსამზადებელი ოპერაციის გეგმის ნაწილი, რომლის ჩატარების საფუძველს იძლეოდა ტერორისტული საქმიანობის შესახებ არსებული მტკიცებულებები და სადაზვერვო ინფორმაცია. დაკავებები ასევე აკმაყოფილებდა „პატიოსანი ეჭვისა და გონივრული დასაბუთების“ სტანდარტებს.

**Foc, Campbell and Hartley v. The UK**

30/08/1990

განმცხადებლები პოლიციელებმა დააპატიმრეს ჩრდილოეთ ირლანდიაში. იმ პერიოდში პოლიციელებს ჰქონდათ უფლებამოსილება (ამჟამად გაუქმებულია), რომ ნებისმიერი პირი, ვინც ეჭვმიტანილი იყო ტერორიზმში, შეიძლება დაეკავებინათ 72 საათის განმავლობაში. სასამართლომ დაასკვნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი, რომ „დასაბუთებული ეჭვის“ საფუძველზე დაეკავებინათ განმცხადებლები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი.

**დაუყოვნებელი წარდგენის უფლება მოსამართლის ან კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე**

დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ, კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. იგი აღჭურვილია უფლებით, რომ მისი საქმე სასამართლომ განიხილოს გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში.

**Brannigan and Mc Bride v. The UK**

25/05/1993

ირლანდიის რესპუბლიკური არმიის სავარაუდო წევრების დაკავება იმაზე მეტი ხნით, ვიდრე ეს **ბროგანის** საქმეშია ასახული, არ არღვევს კონვენციის მოთხოვნებს, რადგან გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დასაბუთებული განაცხადი წარმოადგინეს კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული კონვენციიდან უკან დახვევის საკითხთან დაკავშირებით.

არ დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილის დარღვევა.

**Brogan and Others v. The UK**

29/11/1988

ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციამ დააკავა ტერორიზმში ეჭვმიტანილი ოთხი პიროვნება და თით-

ქმის ხუთდღიანი დაკითხვების შემდეგ გამოუშვეს ბრალის წარდგენისა და სასამართლოში გადაყვანის გარეშე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოთხოვნა „დაუყოვნებლობის“ თაობაზე არ იყო დაცული, რადგან განმცხადებლები თითქმის ხუთდღიანი დაკითხვების განმავლობაში არ იყვნენ წარდგენილები.

სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი მიიჩნია დარღვეულად.

## ბანუსაზღვრელი დროით დაკავება

### A. and Others v. The UK

19/02/2009

განაცხადი ეხება პატიმრობას კანონით დადგენილი ნორმების მიხედვით მაღალი უსაფრთხოების პირობებში, რომელიც ითვალისწინებს ტერორიზმში ეჭვმიტანილი სხვა ქვეყნის მოქალაქეების დაკავებას განუსაზღვრელი ვადით სახელმწიფო მდივნის განკარგულების საფუძველზე. სასამართლომ დაადგინა, რომ აპლიკანტების დაკავებას არ მიუღწევია სისასტიკის ზღვარისთვის, რომ დარღვეულად მივიჩნიოთ კონვენციის მე-3 მუხლი. ამის მიუხედავად, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილის მოთხოვნები, რადგან განმცხადებლები (მაროკოელისა და ფრანგის გარდა, რომლებმაც გაერთიანებული სამეფოს დატოვება არჩიეს) არ დაუკავებიათ დეპორტაციის მიზნით. ამას გარდა, სასამართლომ, ისევე როგორც ამ საკითხის განმხილველმა ლორდთა პალატამ, დაადგინა, რომ ვალდებულებებისაგან უკან დახვევის ზომები, რომლებიც ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების განსაზღვრული ვადით დაკავების უფლებას იძლევიან, ატარებდნენ გაუმართლებელ, დისკრიმინაციულ ხასიათს ქვეყნის მოქალაქეებისა და არამოქალაქეების მიმართ.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV და V ნაწილები.

## კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საკითხები

### Salduz v. Turkey

27/11/2008

საქმეში განვითარებული მოვლენებისას განმცხადებელი არასრულწლოვანი იყო. იგი დააპატიმრეს, როგორც უკანონო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო ეჭვმიტანილი პირი. დემონსტრაცია მხარს უჭერდა ქურთთა მუშათა პარტიას. შედეგად იგი გაასამართლეს აღნიშნული პარტიის მხარდაჭერისათვის. აპლიკანტს პოლიციაში ყოფნისას არ მიუწვდებოდა ხელი ადვოკატის მომსახურებაზე, მაშინ, როცა მისი საქმე სახელმწიფოს უშიშროების იურისდიქციის ქვეშ ხვდებოდა და შესაბამის სასამართლოს უნდა განეხილა, მიუხედავად მისი არასრულწლოვნებისა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის III ნაწილის დარღვევა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილთან ერთად.

### Heaney and McGuinness v. Ireland

21/12/2000

საქმე ეხებოდა აპლიკანტების დუმილის უფლებას და ასევე საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის უფლებას. ისინი დაკავებულები იყვნენ ტერორიზმში ეჭვმიტანილების სტატუსით.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.



## 2. ტერორიზმის მსხვერპლი

სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ტერორისტული აქტების წინააღმდეგ, რათა დაიცვას ყოველი ადამიანის ფუნდამენტური უფლებები თავისი იურისდიქციის ფარგლებში.

### Icyer v. Turkey

12/01/2006

აპლიკანტი ჩივის კონვენციის მე-8 მუხლსა და კონვენციის პირველი ოქმის I მუხლზე დაყრდნობით, რომ თურქეთის ხელისუფლებამ უარი განუცხადა სოფელში თავის სახლში დაბრუნებაზე, საიდანაც იგი გამოასახლეს 1994 წელს, რეგიონზე ტერორისტული თავდასხმის საფრთხის გამო. საქმე ეხებოდა დარღვეული უფლების ეფექტურ აღდგენას კომისიაში მიმართვის გზით, რომელიც კანონის თანახმად შეიქმნა ტერორიზმის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციის გასაცემად.

განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი (სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კანონი ითვალისწინებდა გონივრულ კომპენსაციას და რომ განმცხადებელს შეეძლო, თავისუფლად დაბრუნებულიყო თავის სოფელში). ამ განაცხადის მსგავსად, სასამართლომ ასეთი 1500-მდე განაცხადი მიიჩნია დაუშვებლად.

### Finogenov and Others v. Russia,

Chernetsova and Others v. Russia, (20/12/2011)

განმცხადებლები არიან ტერორისტული დაჯგუფების მიერ მძევლად აყვანილი მსხვერპლების ნათესავები. 2002 წლის ოქტომბერში მოსკოვში მდებარე თეატრ „დუბროვკაში“ ჩეჩენმა სეპარატისტებმა მძევლად აიყვანეს მშვიდობიანი მოსახლეობა. ტერაქტის თავიდან აცილებისა და მძევლების გათავისუფლების მიზნით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ალყაში მოექციათ შენობა და სამაშველო ოპერაციის დროს გამოეყენებინათ სპეციალური გაზი.

სასამართლომ დაადგინა, რომ მძევლების გათავისუფლების მიზნით სპეციალური გაზის გამოყენებით არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არაადეკვატური და სარისკო ოპერაციის დაგეგმვის გამო დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. არაეფექტური გამოძიებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გულგრილობის გამოვლენის ფაქტების გამო ასევე მიიჩნია კონვენციის მე-2 მუხლი დარღვეულად.

## 3. ტერორიზმის პრევენცია

სახელმწიფოს მიერ ტერორიზმთან ბრძოლაში გამოყენებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის და კანონის უზენაესობის პრინციპებს და ექვემდებარება შესაბამის კონტროლს. ამასთან, გამორიცხული უნდა იყოს ნებისმიერი ფორმით თვითნებობა, დისკრიმინაციული თუ რასისტული მოპყრობა.

სახელმწიფოს მიერ სხვა პირთა დაცვისა და თავდაცვის მიზნით ძალის გამოყენება (მე-2 მუხლი). კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი ამართლებს ძალის გამოყენებას თავდაცვის მიზნით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს „აბსოლუტურად აუცილებელია“.

### McCann and Others v. The UK

27/09/1995

ირლანდიის რესპუბლიკური არმიის სამი წევრი, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ტერორისტული აქტის მომზადებაში (მათ მოქმედებაში უნდა მოეყვანათ ავტომობილში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მონწყობილობა დისტანციური მართვის პულტით) ცეცხლსასროლი იარაღით დახოცეს გიბრალტარში SAS-ის ჯარისკაცებმა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან ოპერაცია შესაძლებელი იყო დაგეგმილიყო და ჩატარებულიყო ისე, რომ ეჭვმიტანილთა მოკვლის საჭიროება არ დამდგარიყო.

#### **Armani da Silva v. The UK**

##### **(მიმდინარეობს განხილვა)**

საქმე ეხება ლონდონის მეტროში ბრაზილიის მოქალაქის დახვრეტას, რომელიც პოლიციელმა შეცდომით მიიჩნია თვითმკვლელი ბომბის ამფეთქებლად. საქმე ეხება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას.

#### **პოლიტიკური პარტიების დაშლა (მე-11 მუხლი)**

**თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ,**

**30/01/1998**

საქმე ეხება თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტიის დაშლას და მისი ლიდერებისათვის ნებისმიერი სხვა პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობის აკრძალვას. სასამართლომ მიიჩნია, რომ პარტიის დაშლა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის“, მიუთითა რა იმაზე, რომ საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებდნენ კავშირს თურქეთის სახელმწიფოში თურქეთის გაერთიანებულ კომუნისტურ პარტიასა და ტერორიზმის პრობლემას შორის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო კონვენციის მე-11 მუხლი.

#### **Herri Batasuna and Batasuna v. Spain, 30/06/2009**

##### **Etxebarria and others v. Spain,**

##### **Herritarren Zerrenda v. Spain**

პირველი საქმე ეხებოდა პოლიტიკური პარტიების Herri Batasuna-ს და Batasuna-ს დაშლას, სავარაუდოდ, ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“-სთან კავშირის გამო.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელი პარტიების პროგრამა ეწინააღმდეგებოდა „დემოკრატიული საზოგადოების“ ცნებას და სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ესპანურ დემოკრატიას. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-11 მუხლი.

მეორე და მესამე საქმე ეხებოდა არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენების აკრძალვას, რომელიც განცხადებელს დაუწესდა უკანონოდ ცნობილი პოლიტიკურ პარტიებთან კავშირისა და მათ ღონისძიებებში მონაწილეობის გამო (კერძოდ, Herri Batasuna-ს და Batasuna-ს პარტიები).

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის პირველი ოქმის მე-3, მე-10 და მე-13 მუხლები.

#### **მსგავსი საქმეებია:**

##### **Socialist Party and others v. Turkey, 25/05/1998**

##### **Freedom and Democracy Party v. Turkey, 08/12/1999**

##### **Yazar, Karatas, Aksoy and the People's Labour Party v. Turkey, 09/04/2002**

## გამოსატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები

(კონვენციის მე-10 მუხლი)

**Purcell and Others v. Ireland,**

**Brind v. The UK, 09/05/1994**

**(ორივე განაცხადი სასამართლომ დაუშვებლად ცნო)**

განმცხადებლები ჩიოდნენ კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, დირექტივებისა და დადგენილებების მითითებით, რომ ინტერვიუ/მოსხენებების ტრანსლირების შეზღუდვა ტერორისტული ორგანიზაციების სახელით გამოსვლისას, ისეთი როგორცაა ირლანდიის რესპუბლიკური არმია, ან მათი მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება, წარმოადგენდა მათი უფლებების დარღვევას. პირველ საქმეზე სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დირექტივა შეესაბამებოდა ეროვნული უსაფრთხოების ზომებს, ასევე ემსახურებოდა არეულობებისა და დანაშაულის აღკვეთას. მეორე საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა მსახიობის ხმის გამოყენებაზე ინტერვიუს ტრანსლირების დროს თავისთავად წარმოადგენდა ჩარევას, რომელიც ატარებს შეზღუდვის ხასიათს.

**Association Ekin v. France**

17/07/2001

საქმე ეხება ბასკური კულტურის შესახებ წიგნის გავრცელებას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ წიგნში არ იყო ძალადობისკენ მოწოდება, ან სეპარატიზმის პროპაგანდა და მივიდა დასკვნამდე, რომ განმცხადებლის თავისუფლებაში ჩარევა – გამოეხატა თავისი აზრი – არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

**Falakaoglu and Saygili v. Turkey**

19/02/2006

განმცხადებლები ჩიოდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გამო, რომელიც ტერორიზმის პრევენციის აქტის საფუძველზე მიიღო სასამართლომ. მათ ბრალად ედებოდათ სტატიების პუბლიკაცია, რომლებშიც სახელმწიფო პირები წარმოდგენილები იყვნენ ტერორისტული ორგანიზაციების სამიზნეებად.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლი.

**Leroy v. France**

02/10/2008

განმცხადებელი კარიკატურისტი, რომელმაც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის თემაზე გამოაქვეყნა ნახატი. იგი ჩიოდა მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების გამო, რომლის მიხედვითაც დამნაშავედ ცნეს ტერორიზმის მხარდაჭერაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-10 მუხლი.

**Urper and Others v. Turkey**

20/10/2009

განმცხადებლები ჩიოდნენ პუბლიკაციისა და გაზეთის გავრცელების აკრძალვაზე, რომელშიც სასამართლოების აზრით, ტერორისტული ორგანიზაციების მხარდამჭერი პროპაგანდა იყო.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-10 მუხლი.

მსგავსი საქმეები:

Gozel and Ozer v. Turkey, 06/07/2010

Turgay and Others v. Turkey, 15/06/2010

## პირად ცხოვრებაში ჩარევა (კონვენციის მე-8 მუხლი)

NADA v. Switzerland

(საქმე გადაეცა დიდ პალატას, მიმდინარეობს განხილვა)

საქმე ეხება აკრძალვების მთელ რიგს, რომელიც დანესდა „შავ სიაში“ შეყვანილი ერთი პირის მიმართ. აკრძალვები ხელისუფლებამ დაანესა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციების საფუძველზე, როგორც „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ წინააღმდეგ არსებული ზომები.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ მის მიმართ დარღვეულია კონვენციის მე-5, მე-8 და მე-13 მუხლები.

Gillan and Quinton v. The UK

12/01/2010

საქმე ეხება გაერთიანებულ სამეფოში 2000 წლის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის აქტის 44-47-ე თავების მიხედვით პოლიციისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას – გააჩერონ და გაჩხრიკონ ინდივიდები დარღვევის ირგვლივ არსებული დასაბუთებული ეჭვის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეზე დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი.

Klass and Others v. Germany

06/09/1978

განმცხადებლები ხუთი გერმანელი ადვოკატია. ისინი ჩივიან გერმანიაში არსებული კანონმდებლობის გამო, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს უფლებას აძლევს, აკონტროლონ მათი მიმონერა, მოუსმინონ სატელეფონო საუბრებს მათთვის ყოველგვარი შეტყობინების გარეშე. ტერორიზმის და შპიონაჟის მრავალნაირი ფორმის არსებობის გათვალისწინებით, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საკანონმდებლო დონეზე საიდუმლო თვალთვალი განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და ასევე – დანაშაულის აღკვეთის მიზნით.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-8 მუხლი.

## 4. სხვადასხვა

Sabanchiyeva and Others v. Russia

(დაუსრულებელი საქმე)

ხელისუფლებამ უარი განაცხადა სავარაუდო ტერორისტების გვამების მათი ნათესავებისათვის გადაცემაზე. სასამართლომ განაცხადა დაუშვებლად ცნო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

## პროფესიული კავშირების უფლებები

### პროფესიული კავშირების უფლებების ფარგლები

კონვენციის მე-11 მუხლი (შეკრებისა და გაერთიანების უფლება): ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის – პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად“.

საქმეზე – **National Union of Belgian Police v. Belgium (27/19/1075)** – სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა; ამის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბდა პროფესიული კავშირების თავისუფლების ძირითადი პრინციპები:

- პროფესიული კავშირის შექმნის უფლება და პროფესიულ კავშირში გაერთიანება საკუთარი არჩევანის მიხედვით;
- უფლება, იყოს მოსმენილი და უფლება „დაიცვათ პროფკავშირის წევრების პროფესიული ინტერესები პროფესიული კავშირის ქმედების გზით, რომლის განხორციელებისა და განვითარებისთვის წევრ-სახელმწიფოებმა უნდა ნება დართონ და გახადონ შესაძლებელი“ (§39).

ამ საქმეზე განმცხადებელი პროფესიული კავშირი ჩიოდა, რომ სახელმწიფომ აღიარა იგი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მეტად წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, რომლის წინაშეც შინაგან საქმეთა სამინისტრო, კანონის თანახმად, ვალდებული იყო, ეწარმოებინა კონსულტაციები.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-11 მუხლი: განმცხადებელ პროფესიულ კავშირს ჰქონდა მთავრობასთან ურთიერთქმედების სხვა საშუალებები, გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციებისა.

ამას გარდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბელგიის საერთო პოლიტიკა, რომელიც უკავშირდებოდა იმ ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებას, რომელთაც უნდა ეწარმოებინა კონსულტაციები, თავისთავად არ წარმოადგენს პროფესიული კავშირების თავისუფლებასთან შეუთავსებელ ქმედებას. სახელმწიფოს ამ საკითხის გადაწყვეტა თავის მიხედულებისამებრ შეუძლია.

პროფესიული კავშირის შექმნის უფლების განხორციელების პირობები წევრი სახელმწიფოს შეფასების ზღვარის ფარგლებში თავსდება. მაგალითად:

#### Schmidt and Dahlström v. Sweden (06/02/1976)

განმცხადებლები პროფესიული კავშირის წევრები არიან. ისინი ჩიოდნენ, რომ უარი ეთქვათ კონკრეტული რეტროაქტიული სარგებლის მიღებაზე, რომლის მიღების სრული უფლებაც ჰქონდათ, როგორც ორგანიზაციის წევრებს გაფიცვაში მონაწილეობისათვის.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-11 მუხლი: კონვენციის მე-11 მუხლი „წარმოადგენს პროფესიული კავშირის თავისუფლებას როგორც გაერთიანების ერთ-ერთ ფორმას ან განსაკუთრებულ ასპექტს“, მაგრამ „არ უზრუნველყოფს რაიმე განსაკუთრებულ მოპყრობას სახელმწიფოს მიერ პროფესიული კავშირის წევრების მიმართ, როგორცაა სარგებლის რეტროაქტიულობა, მაგალითისათვის ხელფასის გაზრდა, რომელიც გამომდინარეობს ახალი კოლექტიური ხელშეკრულებიდან“.

ამგვარად, კონვენციის მე-11 მუხლი არ უზრუნველყოფს:

- პროფკავშირებისათვის კონსულტაციებში მონაწილეობის უფლებას (National Union of Belgian Police ბელგიის წინააღმდეგ);
- რეტროაქტიული სარგებლის უფლებას, რომელიც გამომდინარეობს კოლექტიური შეთანხმებიდან (Schmidt and Dahlström SvedeTis winaaRmdeg; Satilmis v. Turkey, 17/07/2007);

- უფლებას გაფიცვაზე (Schmidt and Dahlstrom შვედეთის წინააღმდეგ; §36: „მე-11 მუხლი ... თითოეულ სახელმწიფოს უტოვებს იმ საშუალებების არჩევნის უფლებას, რომლებიც გამოყენებული იქნება [კოლექტიური მოღვაწეობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად]. გაფიცვის უფლების მიცემა უდავოდ წარმოადგენს ამგვარი ხასიათის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა(ც).
- პროფესიული კავშირის წევრების უფლება, არ იყვნენ გადაყვანილნი სხვა თანამდებობაზე ან სხვა ადგილას. მაგალითად:

#### Akat v. Turkey

20/09/2005

განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ ისინი სხვა ადგილას, ან/და სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს სამუშაოდ, მათი პროფესიულ კავშირთან კუთვნილების გამო (პროფკავშირში წევრობის გამო).

სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-11 მუხლი: იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლები იყვნენ სახელმწიფო მოხელეები და შესაძლებელი იყო მათი გადაყვანა სახელმწიფო სამსახურის საჭიროებებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ეს გადაყვანა წარმოადგენდა შეზღუდვას ან დარღვევას, რომლებიც აზიანებს თავად მათი უფლების არსს გაერთიანებაზე, ან ის, რომ განმცხადებლებს წაერთვათ პროფესიულ კავშირში მოღვაწეობის შესაძლებლობა თავიანთი ახალი თანამდებობის რანგში ან ახალი სამუშაო ადგილის გამო.

#### რეგისტრაცია

#### Sindicatul „Pastorul cel Bun” v. Romania

31/01/2012

საქმე ეხება კავშირს, რომელიც დააფუძნეს სასულიერო და მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებმა.

დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი: სასამართლომ დაადგინა, რომ Sindicatul „Pastorul cel Bun“-ის რეგისტრაციაზე უარი პროფესიული კავშირის რეესტრში, წარმოადგენდა მათი უფლების დარღვევას გაერთიანების თავისუფლებაზე.

#### გამოსატვის თავისუფლება

#### Heinisch v. Germany

(განაცხადი №28274/08; 21/07/2011)

საქმე ეხება ავადმყოფი მოხუცებულების მომვლელი მედის სამსახურიდან გათავისუფლებას იმ მიზეზით, რომ მან თავისი დამქირავებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, რადგან, სავარაუდოდ, სამედიცინო მომსახურებაში არსებობდა ნაკლოვანებები და ხარვეზები.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.

#### Sisman v. Turkey

(განაცხადი №1305/05)

საქმე ეხება ყოველწლიური საპირველმართო დემონსტრაციის მხარდასაჭერად პროფესიული კავშირების პლაკატების გაკვრას ისეთ ადგილებზე, რომლებიც ამისთვის არაა განკუთვნილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-11 და მე-13 მუხლები.

**Palomo Sanchez and Others v. Spain**

(განაცხადი №№28955/06, 28957/06, 28959/06 და 28964/06)

განმცხადებლები სამსახურიდან გაათავისუფლეს შეურაცხმყოფელი კარიკატურის პუბლიკაციის გამო, რომელზეც ასახული იყო კომპანიის თანამშრომლების მიერ საკადრო რესურსების განყოფილების უფროსისათვის სექსუალური ხასიათის მომსახურება. განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ დაირღვა მათი გამოხატვის თავისუფლების უფლება და რომ მათი გათავისუფლების რეალური მიზეზი იყო მათი პროფკავშირებში საქმიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასევე დაირღვა მათი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებაც.

2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებით (აგილერა ხიმენესი და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ) სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმცხადებლების მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისას არ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებებს და, შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-10 მუხლი. საქმე დიდმა პალატამაც განიხილა და ასევე დაადგინა, რომ არ იყო დარღვეული კონვენციის მე-10 მუხლი.

**Vellutini and Michel v. France**

06/10/2011

მუნიციპალური პოლიციის ოფიცერთა კავშირის პრეზიდენტისა და გენერალური მდივნისათვის ბრალდების წაყენება ქალაქის მერის საჯაროდ ცილისწამების გამო, იმ მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც გაკეთდა მათი, როგორც კავშირის ოფიციალური წევრების (ხელმძღვანელი პირების), უფლებამოსილების ფარგლებში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი: პოლიტიკური შეურაცხყოფა პროფკავშირის საქმიანობის კონტექსტში დაფარულია გამოხატვის თავისუფლების უფლებით.

**პროფესიულ კავშირში გაერთიანების ან არგაერთიანების უფლება**

**Young, James and Webster v. The UK**

13/08/1981

განმცხადებლების საჩივარი ეხებოდა ე.წ. „დახურული საამქროს“ შეთანხმებას (საწარმოსა და პროფკავშირს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ იმ პირების სამსახურში მიღებას, რომლებიც არსებულ საწარმოში სამუშაოზე მიღების თაობაზე განაცხადის შეტანისას არიან არსებული პროფკავშირის წევრები), რომელიც ბრიტანეთის რკინიგზასა და რკინიგზის მუშაკთა სამ პროფკავშირს შორის გაფორმდა.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა: ე.წ. „დახურული საამქროს“ შეთანხმება უნდა იცავდეს ინდივიდთა აზრის თავისუფლებას (იხილეთ ასევე: სიბსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Sibson v. The UK*; 20/04/1993).

**Sigurdur A. Sigurjónsson v. Iceland**

30/06/1993

განმცხადებელი ტაქსის მძღოლია. იგი იძულებული იყო ან განეწვერებულყო საავტომობილო ასოციაცია „ფრამში“, ან არადა დაკარგავდა ლიცენზიას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა: „კონვენციის მე-11 მუხლი ასევე მოიცავს გაერთიანების ნეგატიურ უფლებასაც“. (§35)

**Gustafsson v. Sweden**

25/04/1996

საქმე ეხება პროფკავშირის ქმედებას (რესტორნის ბოიკოტი და ბლოკადა) განმცხადებელთან მიმართებით, რომელმაც უარი განაცხადა, ხელი მოეწერა კოლექტიურ შეთანხმებაზე საზოგადოებრივი კვების სფეროში.

კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა: სახელმწიფომ უნდა მიიღოს „გონივრული და აუცილებელი ზომები გაერთიანების თავისუფლებაზე ნეგატიური უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფისათვის“, თუმცა განმცხადებლის უფლებების შეზღუდვა მოცემულ საქმეში იყო უმნიშვნელო.

**Sorensen and Rasmussen v. Denmark**

11/01/2006

განმცხადებლები ჩიოდნენ დანიასი არსებულ ე.წ. „დახურული საამქროს“ შეთანხმების არსებობაზე, რომელიც უკავშირდებოდა სამსახურში მიღებას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა: იმან, რომ განმცხადებლებს აიძულებდნენ კონკრეტულ პროფკავშირში გაწევრებას, ზიანი მიაყენა თავად გაერთიანების თავისუფლების უფლების არსს, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-11 მუხლით. სასამართლომ დაადგინა, რომ დანიამ ვერ დაიცვა ნეგატიური უფლება გაერთიანებაზე, ანუ უფლება, არ შესულიყო პირი პროფკავშირში. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნეგრი სახელმწიფოები პრაქტიკულად არ უჭერენ მხარს „დახურული საამქროს“ შეთანხმებას და რომ ზოგიერთი ევროპული ინსტრუმენტი „ამკარად მიუთითებს იმაზე, რომ ამგვარი შეთანხმების გამოყენება შრომის ბაზარზე არ წარმოადგენს პროფკავშირის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობის შეუცვლელ საშუალებას“ (§75).

**პროფკავშირის უფლება, თვითონ დაადგინოს საკუთარი შიდა წესები და აირჩიოს წევრები**

**Johansson v. Sweden**

07/05/1990

განმცხადებელი ჩიოდა შვედ ელექტრიკოსთა პროფკავშირის წევრებზე დაკისრებულ ვალდებულებაზე, რომლის თანახმადაც, მონაწილეობა უნდა მიიღონ საცხოვრებლის კოლექტიური დაზღვევის ხელშეკრულებაში.

სასამართლომ განაცხადა დაუშვებლად ცნო (ამკარად დაუსაბუთებლობის გამო): პროფკავშირის გადაწყვეტილება თავისი წევრების სავალდებულო მონაწილეობაზე საცხოვრებლის კოლექტიური დაზღვევის ხელშეკრულებაში, განაწესის თანახმად, მისი კომპეტენციის სფეროში თავსდება.

სასამართლომ დაადასტურა, რომ არსებობს „პროფკავშირის უფლება, თვითონ დაადგინოს საკუთარი შიდა წესები და თვითონვე განაგოს საკუთარი საქმიანობა“.

**Associated Society of Locomotive Engineers & Firemen (ASLEF) v. The UK**

27/02/2007

პროფკავშირს არ შეეძლო თავისი ერთ-ერთი წევრის გარიცხვა, რომელიც პოლიტიკური პარტიის წევრი იყო და პროფკავშირის მიმართ გამოხატულ მტრულ პოზიციას უჭერდა მხარს (საქმე ეხებოდა „ბრიტანეთის ნაციონალურ პარტიას“ – ლეგალურად მემარჯვენე რადიკალურ ორგანიზაციას, რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც „ნაციონალური ფრონტი“.)



დადგინდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პროფკავშირები არ წარმოადგენენ პოლიტიკურად ნეიტრალურ ორგანოებს, რომელთა ერთადერთი მიზანია თავიანთი წევრების კეთილდღეობა. ხშირად მათი საქმიანობა იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს და გააჩნიათ მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულებები სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე. ამასთან, პროფკავშირები არ ასრულებენ იმ საზოგადოებრივ როლს, რომლის გამოც ისინი იძულებულნი არიან თავიანთ რიგებში იყოლიონ ცალკეული წევრები იმისათვის, რომ უფრო გააფართოონ თავიანთი მიზნები და უფლებამოსილების ფარგლები.

## კოლექტიური მოლაპარაკებები

### Swedish Engine Drivers' Union v. Sweden

06/02/1976

განმცხადებელია პროფკავშირი, რომელიც ჩივის კოლექტიური მოლაპარაკების ნაციონალური ბიუროს მიერ მათთან კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმებაზე, რაზედაც უარი მიიღეს. თუმცა ამ მომენტამდე ბიურომ მსგავსი ხელშეკრულებები გააფორმა პროფკავშირების ძირითად ფედერაციებთან და ზოგიერთ დამოუკიდებელ პროფკავშირთანაც.

კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა: ბიუროს საერთო პოლიტიკა, რომელიც იმ ორგანიზაციების რაოდენობის შემცირებას ეხება, ვისთანაც კოლექტიურ ხელშეკრულებას აფორმებენ, თავისთავად არ იყო პროფკავშირების თავისუფლებასთან შეუთავსებელი და სახელმწიფოს შეფასების ზღვრის ფარგლებში თავსდება. კონვენციის მე-11 მუხლი არ ითვალისწინებს რაიმე კონკრეტულ დამოკიდებულებას პროფკავშირთან, მაგალითად, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების უფლებას (§39).

### Wilson, National Union of Journalists and Others v. The UK

02/07/2002

აპლიკანტები ჩიოდნენ, რომ ისინი იძულებული იყვნენ, ან მოეწერათ ხელი პირად კონტრაქტზე და ამასთან, უარი ეთქვათ პროფკავშირების უფლებებზე, ანდა დათანხმებულიყვნენ იმაზე, რომ მათი ხელფასი გაიზრდებოდა იმაზე ნაკლებად, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო.

კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა: გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანახმად, დამქირავებლის კოლექტიურ მოლაპარაკებაში ჩართვის ვალდებულების არარსებობა არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-11 მუხლის მოთხოვნებს.

ამ განჩინებაში სასამართლომ დაადგინა, რომ კოლექტიური მოლაპარაკება, არ წარმოადგენს პროფკავშირების უფლებების ეფექტურად განხორციელების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ერთ-ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელთა დახმარებითაც პროფკავშირებს შეუძლიათ დაიცვან თავიანთი წევრების ინტერესები (§44).

დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი: ის, რომ დამქირავებლებს უფლება ჰქონდათ გამოეყენებინათ ფინანსური სტიმული რათა აეძულებინათ დაქირავებულები, უარი ეთქვათ პროფკავშირების მნიშვნელოვან უფლებებზე, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა, როგორც პროფკავშირებთან მიმართებით, ასევე, თითოეული განმცხადებლის მიმართ. „სახელმწიფომ თვალყურს უნდა ადევნოს იმას, რომ არაფერმა შეზღუდოს პროფკავშირების წევრთა უფლებები და გამოიყენოს პროფკავშირი თავის წარმომადგენლად მოლაპარაკების წარმოებისას დაქირავებულთან თავისი ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით“ (§46).

დიდი პალატის განჩინება საქმეზე – დემირ და ბაიკარა თურქეთის წინააღმდეგ (*Demir and Baykara v. Turkey*) – კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების უფლება წარმოადგენს „ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას; შესაძლოა, პროფკავშირების წევრთა უფლებების დაცვის ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებასაც“.

## Demir Baykara v. Turkey

12/11/2008

უკუქმედითი ეფექტით კოლექტიური შეთანხმების გაუქმება იმის თაობაზე, რომ პროფკავშირებმა კოლექტიური შეთანხმება დადეს ადმინისტრაციასთან და აპლიკანტებისათვის – მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისათვის პროფკავშირის შექმნის აკრძალვის დანესება.

დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი განმცხადებლების მიერ პროფკავშირის შექმნის უფლებაში ჩარევის გამო;

დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი კოლექტიური შეთანხმების უკუქმედითი ძალის გაუქმების გამო.

გაერთიანების უფლებების შემადგენელი ელემენტების ჩამონათვალი ამოუწურავია. იგი „განახლდება შრომითი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ“ (§146). „შრომითი სამართლის განვითარება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, ასევე ნევრი სახელმწიფოების პრაქტიკის განვითარება ამ საკითხთან დაკავშირებით“ (§§147-152) სასამართლოს აძლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ „დამქირავებელთან კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებაზე უფლება გახდა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი „პროფკავშირების შექმნის უფლებისა და მასში საკუთარი ინტერესების დასაცავად განეკუთვნება“, რომელიც დადგენილია კონვენციის მე-11 მუხლით. ამასთან, სახელმწიფო უფლებას იტოვებს, აუცილებლობის შემთხვევაში, მიხედულებებისამებრ, მინიჭოს განსაკუთრებული სტატუსი წარმომადგენლობით პროფკავშირებს“ (§154).

## გაფიცვისა და მშვიდობიანი შეკრების უფლება

### Ezelin v. France

26/04/1991

განმცხადებელი იყო გვადელუპის ადვოკატთა პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე. მის მიმართ დადგა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი საჯარო მანიფესტაციაში მონაწილეობის გამო, რომელიც ორგანიზებული იყო გვადელუპის სხვადასხვა დამოუკიდებელი მოძრაობის ქალაქ ბას-ტერის პროფკავშირების მიერ. მანიფესტაციის დროს ისმოდა შეურაცხმყოფელი შეძახილები (სასამართლოს ორი გადაწყვეტილებით პატიმრობა მიესაჯა და ჯარიმები დაეკისრა სამ აქტივისტს საჯარო შენობების დაზიანებისათვის).

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა: მართალია, სასჯელი ძირითადად ატარებდა მორალურ ხასიათს. სასამართლომ მიიჩნია, რომ „მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობის უფლება (მოცემულ შემთხვევაში დემონსტრაცია არ იყო აკრძალული) იმდენად დიდი მნიშვნელობის მატარებელია, რომ არანაირ გარემოებებში არ შეიძლება მისი შეზღუდვა, თუნდაც ადვოკატების შემთხვევაში, თუკი დაინტერესებული პირი ღონისძიების მსვლელობისას არ სჩადის რაიმე აკრძალულ ქმედებებს“.

### Wilson, National Union of Journalists and Others v. The UK

02/07/2002

„კოლექტიური მოლაპარაკებების ნებაყოფლობითობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დამქირავებლის მიერ არალიარებულ პროფკავშირებს უფლება უნდა ჰქონდეთ, მიიღონ აუცილებელი ზომები, [და თუ საჭიროა] გაფიცვების ორგანიზების ჩათვლით, იმისათვის, რომ დაარწმუნოს დამქირავებელი, გააფორმოს მათთან კოლექტიური ხელშეკრულება იმ საკითხებზე, რომლებიც, პროფკავშირების აზრით, მნიშვნელოვანია მისი წევრებისათვის“ (§46).

**Barraco v. France**

05/03/2009

განმცხადებელს, სატვირთო მანქანის მძღოლს, პასუხისმგებლობა დაეკისრა ავტომაგისტრალის გადაკეცივის გამო. თავის 17 კოლეგასთან ერთად იგი მონაწილეობდა „ოპერაცია ლოკოკინაში“, რომელიც ორგანიზებული იყო გაერთიანებული სატრანსპორტო პროფკავშირების კომიტეტის მიერ ნაციონალური პროტესტის დღის ფარგლებში.

კონვენციის მე-11 მუხლი არ დარღვეულა: მოძრაობის სრული და მრავალჯერადი ბლოკირება ავტომაგისტრალზე გასცდა დასაშვები უხერხულობის ფარგლებს, რაც ასეთი აქციების დროს გარდუვალია ხოლმე. ამასთან, რამდენიმე საათის განმავლობაში განმცხადებელს საშუალება ჰქონდა, განეხორციელებინა მშვიდობიანი შეკრების უფლება.

**Danilenkov and Others v. Russia**

30/07/2009

რუსეთის დოკერთა კავშირის წევრები გაათავისუფლეს სამსახურიდან საპორტო კომპანიის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული ორკვირიანი გაფიცვის გამო, რომლის დროსაც წამოყენებული იყო ხელფასის გაზრდის, შრომითი პირობების გაუმჯობესების, ჯან-მრთელობის დაცვისა და სიცოცხლის დაზღვევის მოთხოვნები.

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-11 მუხლთან ერთად: სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ნათელი და ეფექტური სასამართლო დაცვა პროფკავშირების წევრობის გამო განხორციელებული დისკრიმინაციისაგან.

**საჯარო სექტორის პროფკავშირების უფლებები**

**Tum Haber Sen and Cinar v. Turkey**

21/02/2006

საჯარო სექტორის თანამშრომელთა პროფკავშირების დაშლა იმ საფუძვლით, რომ სახელმწიფო მოხელეებს უფლება არა აქვთ, შექმნან პროფკავშირები.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა: „სახელმწიფო როგორც დამქირავებელი“ ვალდებულია, პატივი სცეს პროფკავშირების საქმიანობას და უზრუნველყოს მისი ეფექტური განხორციელება.

**Satilmis v. Turkey**

07/17/2007

განმცხადებლები საჯარო სექტორის მუშაკები არიან, რომლებთანაც კონკრეტული ვადით გაფორმებულია ხელშეკრულებები. მათ დაეკისრათ სამოქალაქო პასუხისმგებლობა პროფკავშირების მიერ ორგანიზებულ აქციაში მონაწილეობის გამო, რომელიც ეხებოდა ავტომობილისტების მოთხოვნას, უფასოდ გაევლოთ ფასიან გზაზე.

დაირღვა კონვენციის მე-11 მუხლი: სასამართლომ აღნიშნა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ არ მიუთითა, გააჩნდათ თუ არა სახელმწიფო მოხელეებს თავისი უფლებების დაცვის სხვა საშუალებები. სახელმწიფო სექტორში პროფესიული კავშირების უფლებების შეზღუდვა მხოლოდ „დამაჯერებელი და მყარი არგუმენტების“ შემთხვევაში იქნება გამართლებული.

დიდი პალატის განჩინება საქმეზე – Demir Baykara v. Turkey, 12/11/2008 – სასამართლომ დაადგინა, რომ „სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები“ არ შეიძლება ამოირიცხონ კონვენციის მე-11 მუხლის სფეროდან. მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც ეროვნულ ხელისუფლებას შეუძლია, არის ის, რომ მათთვის შემოიღოს „კანონის ფარგლებში არსებული შეზღუდვები“, კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით (§107).

ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის ორი დარღვევა: პირველი განმცხადებლების მიერ პროფკავშირების შექმნის უფლებებში ჩარევის გამო; მეორე – კოლექტიური შეთანხმების უკუქმედითი ძალის გაუქმების გამო.

### **Enerji Yapi-Yol Sen v. Turkey**

01/04/2009

საჯარო სექტორის თანამშრომლებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ერთდღიან ეროვნულ გაფიცვაში მონაწილეობის გამო, რომლის მოთხოვნაც იყო დაქირავებულთა უფლებების აღიარება კოლექტიური შეთანხმებისას.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-11 მუხლი.

### **Kaya and Seyhan v. Turkey**

15/09/2009

მასწავლებლებისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება ეროვნულ გაფიცვაში მონაწილეობის გამო, რომელიც ორგანიზებული იყო მათი პროფკავშირის მიერ.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-11 მუხლი.

# ქალაქობა ქალების წინააღმდეგ

## ოჯახური ქალაქობა

### Kontrova v. Slovakia

(განაცხადი №7510/04)

2002 წლის 2 ნოემბერს განმცხადებელმა მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა საკუთარი ქმრის წინააღმდეგ მასზე თავდასხმისა და ელექტროსადენებით ცემის გამო. მოგვიანებით პოლიციის განყოფილებაში ქმართან ერთად დაბრუნებულმა უკან გაითხოვა საჩივარი. 2002 წლის 31 დეკემბერს, მორიგი ჩხუბის დროს, ქმარმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მათი გოგონა და ვაჟი, დაბადებულები 1997 და 2001 წლებში. განმცხადებელს არ მიუღია არანაირი კომპენსაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა ბავშვების სიცოცხლე. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებელმა ვერ მიიღო კომპენსაცია, რის შესახებაც სტრასბურგის სასამართლოში საკითხის განხილვა ამჟამადაც მიმდინარეობს.

### Bevacqua and S. v. Bulgaria

(განაცხადი №71127/01)

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ქმარი გამუდმებით სცემდა. იგი სამი წლის ვაჟთან ერთად (მეორე განმცხადებელი) წამოვიდა ქმრისგან და შეიტანა განაცხადი განქორწინებაზე. მისი სიტყვებით, ქმარმა არც ამის შემდეგ შეწყვიტა მისი ცემა. განმცხადებელი თავის ვაჟთან ერთად ოთხი დღის განმავლობაში იმყოფებოდა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის არსებულ თავშესაფარში. ერთ-ერთი ვერსიით, პოლიციამ იგი გააფრთხილა, რომ ბავშვის გატაცების გამო მის წინააღმდეგ შესაძლოა, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმე. საბოლოოდ ადგილობრივმა სასამართლომ დაადგინა შეთანხმება განმცხადებელსა და მის ქმარს შორის ბავშვის რიგ-რიგობით აღზრდის თაობაზე. განმცხადებლის სიტყვებით, ქმარი არ იცავდა შეთანხმების პირობებს. ქმრის წინააღმდეგ წაყენებულმა ბრალდებამ ცემის თაობაზე შემდგომ ძალადობას გაუწია პროვოცირება. მან შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომ ბავშვი მას გადასცემოდა დროებით აღსაზრდელად, თუმცა ეს საკითხი არ განხილულა პრიორიტეტული თანმიმდევრობით. განქორწინებიდან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღო ადგილობრივმა სასამართლომ ოფიციალური გადაწყვეტილება, რომ ბავშვს დედასთან უნდა ეცხოვრა. მომდევნო წელს განმცხადებელს კვლავ სცემა ყოფილმა ქმარმა. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე მას უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ ეს იყო „პირადი საქმე“, რომელიც მოთხოვდა კერძო განხილვას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, ვინაიდან, ბულგარეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ მიიღეს აუცილებელი ზომები განმცხადებლის ქმრის დასასჯელად და მასზე კონტროლის დასაწესებლად. სასამართლომ ასევე გაუსვა ხაზი იმას, რომ განმცხადებელსა და მის ქმარს შორის არსებული კონფლიქტი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს ცოლ-ქმარს შორის არსებულ „პირად საქმედ“, რითაც ვერ შეძლეს, დაეცვათ განმცხადებლების ოჯახური ცხოვრება.

### Branko Timasic and Others v. Croatia

(განაცხადი 46598/06)

ქმარმა დახოცა თავისი ცოლ-შვილი და შემდეგ თავიც მოიკლა. ინციდენტი მოხდა მისი ციხიდან გათავისუფლებიდან ერთი თვის შემდეგ, სადაც იგი სასჯელს იხდიდა თავისი ცოლ-შვილის მკვლელობის მუქარის გამო. თავდაპირველად ციხეში ყოფნისას გადაწყდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მას უნდა გაეწყო იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი, რომელიც განთავისუფლების შემდეგაც უნდა გაგრძელებულიყო. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ განთავისუფლების შემდეგ ამგვარი მკურნალობა უნდა შეწყვეტილიყო. საქმეზე განმცხადებლები არიან მოკლული დედა-შვილის ნათესავები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი დედისა და ბავშვის გარდაცვალების გამო. ხორვატიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა პრაქტიკულად ვერ უზრუნველყვეს დადგენილი იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის კურსის ჩატარება. მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაადასტურა, რომ ამგვარ მკურნალობას ცოლ-შვილის მკვლელს გათავისუფლებამდე ციხეში ფსიქიატრი უტარებდა.

## Opuz v. Turkey

### (განაცხადი №33401/02)

მრავალი წლის განმავლობაში განმცხადებელი და დედამისი იმყოფებოდნენ თავდასხმებისა და საშიში მუქარის ქვეშ განმცხადებლის ქმრის მხრიდან. მოძალადის მიმართ მხოლოდ ერთხელ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რადგან განმცხადებლებს უკან გამოჰქონდათ პოლიციაში შეტანილი განცხადებები, თუმცა აქვე განმარტავდნენ, რომ ამას აკეთებდნენ შიშის გამო, რადგან ქმარი მოკვლით ემუქრებოდა. მოგვიანებით ქმარმა შვიდჯერ მიაყენა დანიტ ქრილობები თავის ცოლს, რაზეც დააჯარიმეს 385 ევროთი. ქალბატონები არაერთხელ მიმართავდნენ საჩივრით პოლიციას და ირწმუნებოდნენ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ქმარს ყოველი დაკითხვის შემდეგ ათავისუფლებდნენ. ბოლოს, როდესაც განმცხადებლებმა გადაწყვიტეს წასვლა და მოძალადის მიტოვება, ამ უკანასკნელმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა სიდედრი, რაც ახსნა იმით, რომ მისი ღირსება იყო შელახული. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში საქმის გასაჩივრების შემდეგ ის გათავისუფლდა და, განმცხადებლის თქმით, კვლავაც აგრძელებდა მუქარას.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა სიდედრის მკვლელობის გამო და კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა – სახელმწიფოს მხრიდან ცოლის დაუცველობის გამო. თურქეთმა ვერ შეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რაც ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემოღებას და მსხვერპლთა დაცვას ეხებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა არსებული საშუალებებიც კი არ გამოიყენეს, ისინი წყვეტდნენ საჩივრების განხილვას, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ეს „ოჯახური საქმე“ იყო და იგნორირებას უწევდნენ იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ეს საჩივრები შედიოდა.

სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებით იმ საფუძვლით, რომ განმცხადებლებზე განხორციელებული ძალადობა განპირობებული იყო მათი სქესის გამო. ოჯახური ძალადობის მსხვერპლებად, ძირითადად, ქალები გვევლინებიან, ხოლო სასამართლოების დისკრიმინაციული პასიურობა წამახალისებლად მოქმედებდა მოძალადეებზე. მიუხედავად ამ სფეროში ჩატარებული რეფორმისა, სასამართლო ხელისუფლების მხრიდან რეაგირების არარსებობა და მოძალადეთა დაუსჯელობა იმის მაჩვენებელია, რომ თურქეთს არ სურს ამ პრობლემის გადაჭრა. პოლიციის თანამშრომლები ცდილობენ დაარწმუნონ დაზარალებული ქალები, გაიტანონ თავიანთი საჩივრები. ხშირია საქმისწარმოების გაჭიანურების შემთხვევები. სასამართლოებს გამოაქვთ ლმობიერი განაჩენი, ეყრდნობიან რა ღირსებასა და ტრადიციებს.

## E.S. and Others v. Slovakia

### (განაცხადი №8227/04)

2001 წელს განმცხადებელმა მიატოვა ქმარი და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა, რადგან დაადანაშაულა იგი მისი და მისი ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობა-სა და ასევე მათი ერთ-ერთი გოგონას მიმართ სექსუალურ ძალადობაში. ორი წლის შემდეგ ქმარს მიუსაჯეს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა ძალადობისა და სექსუალური დანაშაულის ჩადენის გამო. თუმცა, განმცხადებლის მოთხოვნა ქმრის გასახლების თაობაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რაც განმარტა იმით, რომ საკუთრების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ განქორწინების შემთხვევაში. განმცხადებელი იძულებული გახდა თავისი ბავშვებით დაეტოვებინა საკუთარი სახლი, მეგობრები და ოჯახი.

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს განმცხადებლისა და მისი ბავშვების დაუყოვნებელი დაცვა მოძალადე ქმრისა და მამისაგან, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევას.

**A. v. Croatia**

**(განაცხადი №55164/08)**

განმცხადებლის ან უკვე ყოფილი ქმარი, რომელიც დაავადებული იყო პოსტ-ტრავმული შოკით, პარანოიით, ფობიებითა და ეპილეფსიით, მრავალი წლის განმავლობაში ფიზიკურად ძალადობდა ცოლზე, ემუქრებოდა მოკვლით და მუდმივად აყენებდა შეურაცხყოფას თავისი მცირეწლოვანი გოგონას თანდასწრებით. განმცხადებელმა ქმრისგან მალულად მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დაცვა. სასამართლომ უარყო მისი თხოვნა, რადგან განმცხადებელს უშუალო საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ხორვატიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სასამართლოების მითითებების ჩათვლით, არ შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობები და არ შეეცადნენ, შეესწავლათ განმცხადებლის ქმრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც, სავარაუდოდ, იყო მისი აგრესიული მოქმედების მიზეზი, ასევე გაურკვეველი დარჩა საკითხი, ჩაუტარდა თუ არა ყოფილ ქმარს ფსიქიატრიული მკურნალობა.

**Hajduova v. Slovakia**

**(განაცხადი №2660/03)**

განმცხადებლის ან უკვე ყოფილი ქმარი მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მას შემდეგ, რაც იგი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას თავს დაესხა ცოლს და მოკვლით დაემუქრა. შეშინებული და დაჭრილი განმცხადებელი ბავშვებთან ერთად წამოვიდა სახლიდან და თავი საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეაფარა. საავადმყოფოდან გამოწვევის შემდეგ ქმარმა არ გაიარა აუცილებელი მკურნალობა და განაახლა მუქარა ცოლის მიმართ. განმცხადებლის საჩივარი, რომ მისმა ქმარმა საავადმყოფოში არ გაიარა მკურნალობის კურსი, არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთი ვალდებული იყო, უზრუნველყო თავისი მოქალაქეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ოჯახური ძალადობისგან დაუცველ მსხვერპლს. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი იმ საფუძველით, რომ, მართალია, განმცხადებლის ქმარი საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ აღარ დასხმია მას თავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გრძელდებოდა მუქარა და მისი სისრულეში მოყვანა არ იყო უსაფუძვლო. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი ვალდებულების შესრულება, მოეთავსებინათ მოძალადე ფსიქიატრიულ სტაციონარში, სადაც იგი გაივლიდა მკურნალობის კურსს.

**Kalucza v. Hungary**

**(განაცხადი №57693/10)**

საქმე ეხება უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ქალბატონი კალუკზას დაუცველობას მისი მოძალადე პარტნიორისაგან, რომელთან ერთადაც იგი იძულებით ცხოვრობდა ერთ ბინაში. განმცხადებელმა მრავალჯერ მიმართა სამოქალაქო სარჩელით სასამართლოს საკუთრების საკითხის გადასაჭრელად.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ მიიღეს შესაბამისი ზომები განმცხადებლის დასაცავად მისი ყოფილი პარტნიორის ძალადობრივი ქმედებებისგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ შეტანილი საჩივრები სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე რეაგირების გარეშე დარჩა, ასევე რეაგირების გარეშე დარჩა მისი სამოქალაქო სარჩელიც მოძალადე პარტნიორის ბინიდან გასახლების თაობაზე.

## გენიტალიების მოკვეთა

(Genital Mutilation)

(სქესობრივი ორგანოების დაზიანება)

Izevbekhai v. Ireland

(განაცხადი №43408)

განმცხადებელი და მისი ორი ქალიშვილი ამტკიცებდნენ, რომ ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში მათ ემუქრებოდათ გენიტალიების მოკვეთა, რაც წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. მათი მტკიცებით, პირველი განმცხადებლის გოგონა ერთი წლის ასაკში გარდაიცვალა სისხლდენით, რაც გამოიწვია ამგვარმა „ოპერაციამ“, რომელიც ჩაატარა ერთ-ერთმა „უხუცესმა“. განმცხადებლის ოჯახმა დატოვა ნიგერია და ჩამოვიდა ირლანდიაში, ვინაიდან ქმრის ნათესავები მასზე ახდენდნენ ზეწოლას, რადგან მოითხოვდნენ, რომ განმცხადებლის ორ გოგონასაც უნდა ჩატარებოდა მსგავსი პროცედურა. მათი მოთხოვნა თავშესაფარზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს გაუჩნდა „სერიოზული ეჭვი“ განმცხადებლის პირველი გოგონას დაბადებასა და გარდაცვალების მიზეზზე. ამას გარდა, განმცხადებლის ოჯახი ნიგერიაში მიეკუთვნებოდა შეძლებულ და სოციალურად უზრუნველყოფილ ფენას. თავად განმცხადებელმა მიიღო კარგი პროფესიული განათლება, ხოლო მისი ქმარი და ნათესავები ეწინააღმდეგებოდნენ ქალების გენიტალიების მოკვეთას. არც განმცხადებელი და არც მისი ქმარი არ ცდილან, მიემართათ პოლიციისათვის მათი ქალიშვილების თაობაზე, ეთხოვათ დახმარება ან გადასულიყვნენ ჩრდილოეთ ნიგერიაში, სადაც ამგვარი შემთხვევები ძალიან იშვიათად ხდება. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ნიგერიაში დაბრუნების შემთხვევაში განმცხადებელსა და მის ქმარს შეუძლიათ, დაიცვან თავიანთი შვილები. შესაბამისად, განაცხადი დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

Ameredo v. Austria

(განაცხადი №8969/10)

განმცხადებელი დაიბადა 1973 წელს და ნიგერიიდან გამოიქცა 2003 წელს, რათა თავი დაეღწია გენიტალიების იძულებითი მოკვეთისაგან. მისი და უკვე გარდაიცვალა ამგვარი პროცედურის შედეგად. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სოფლის მცხოვრებლები მოკლავენ მას, თუკი ის ოპერაციაზე უარს განაცხადებს. დედამისმაც უთხრა, რომ უნდა დათანხმებულიყო. განმცხადებლის თხოვნა თავშესაფარზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მას ჰქონდა პროფესიული მომზადება და მუშაობის გამოცდილება, იგი სპეციალობით მკერავი იყო და მას ნიგერიაში შეეძლო, დამოუკიდებლად და ოჯახის დახმარების გარეშე ეცხოვრა. განმცხადებლის საჩივარი სასამართლომ დაუშვებლად ცნო.

## გაუპატიურება

X and Y v. the Netherlands

(განაცხადი №8978/80)

განმცხადებელი, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილი გოგონაა და ფსიქიკურად განუვითარებელ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობდა, გააუპატიურა თავშესაფრის დირექტორის ნათესავმა იმავე დღეს, როცა მას 16 წელი შეუსრულდა (ჰოლანდიაში ამ ასაკიდანაა სექსუალური თანაცხოვრება დაშვებული). ამ მოვლენამ ტრავმა მიაყენა მას, მაგრამ, გონებრივი განუვითარებლობის გამო, ვერ შეძლო საჩივრის შეტანა. საჩივარი განმცხადებლის მამამ შეიტანა მისი სახელით, მაგრამ საქმის წარმოება ამის საფუძველზე არ დაწყებულა, რადგან, კანონის თანახმად, საჩივარი თავად დაზარალებულს უნდა შეეტანა. სასამართლოებმა აღიარეს, რომ ამ თვალსაზრისით კანონმდებლობა დასახვეწი იყო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან ჰოლანდიის სისხლისსა-



მართლებრივ კანონმდებლობაში „აუცილებლად“ უნდა არსებობდეს ამგვარი სიტუაციის ეფექტური დაცვის მექანიზმები.

**Aydin v. Turkey**

(განაცხადი №23178/94)

განმცხადებელი არის ახალგაზრდა გოგონა (ქურთი ეროვნების თურქეთის მოქალაქე), რომელიც განვითარებული მოვლენებისას იყო 17 წლის. იგი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე თავისი ოჯახის ორ წევრთან ერთად დააკავეს. განმცხადებელს სცემეს, თვალები აუხვიეს, გახადეს და მოათავსეს ავტომობილის საბურავში, შემდეგ ძლიერი წყლის ჭავლის ქვეშ მოაქციეს. ამის შემდეგ სპეცგანყოფილების თანამშრომელმა ის გააუპატიურა, რის შემდეგაც ერთი საათის განმავლობაში რამდენიმე ადამიანი სცემდა. სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა ისეთმა ექიმმა, რომელსაც არ ჰქონდა გაუპატიურების შემთხვევების გამოცდილება. ექიმმა დაადასტურა გაუპატიურება. განმცხადებელმა ასევე განაცხადა, რომ მისი ოჯახის მიმართ ხელისუფლების წარმომადგენლები ახორციელებდნენ მუქარას და აიძულებდნენ, უკან გაეტანა თავისი საჩივარი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ დაკავებული გოგონას გაუპატიურება უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებით მძიმე და საშინელი მოპყრობის ფორმად, რამაც მსხვერპლს მიაყენა მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა. სექსუალური ძალადობის შედეგად განმცხადებელს თავი უნდა ეგრძნო დამცირებულად და ტრავმირებულად, როგორ ფიზიკურად, ასევე ემოციურადაც. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებელზე განხორციელებული ფიზიკური და სულიერი ძალადობა, ასევე განსაკუთრებით სასტიკი ფორმით მისი გაუპატიურება, აუცილებლად უნდა დაკვალიფიცირდეს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. ამას გარდა, ოფიციალური პირის მიერ დაკავებულის გაუპატიურება განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეესწავლათ შესაბამისი გამოცდილების მქონე, დამოუკიდებელ ექიმებს, რაც არ მომხდარა. სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება არაეფექტური იყო და განმცხადებელს არ ჰქონდა კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

**M.C. v. Bulgaria**

(განაცხადი №39272/98)

14 წლის განმცხადებელი გააუპატიურა ორმა მამაკაცმა. იგი ტიროდა და მომხდარის შემდეგ დედამ წაიყვანა საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა დაადასტურეს გაუპატიურების აქტი. რამდენადაც შეუძლებელი იყო იმის დადგენა, უწევდა თუ არა ის წინააღმდეგობას მოძალადეებს, სისხლის სამართლის საქმე დამნაშავეთა მიმართ არ აღიძრა.

სასამართლომ დარღვევულად მიიჩნია კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები და ხაზი გაუსვა საერთო ტენდენციას, რომლის თანახმადაც, გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის დასადგენად მნიშვნელოვანი ელემენტია თანხმობის არარსებობა. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა გოგონები, ხშირად არ არიან იმ მდგომარეობაში, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ფსიქოლოგიური მიზეზებიდან გამომდინარე (პასიურად ნებდებიან ან დისლოციურობას ავლენენ), ან შემდგომი ძალადობის შიშით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა აღკვეთოს იძულებითი სექსუალური აქტები, მაშინაც კი, როცა მსხვერპლი არ უწევს ფიზიკურ წინააღმდეგობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე ჩატარებული გამოძიება არაეფექტური იყო, ისევე როგორც ბულგარეთის კანონმდებლობა ამ საკითხთან მიმართებით.

**Maslova and Nalbandov v. Russia**

(განაცხადი №839/02)

განმცხადებელი გამოიძახეს რაიონის პოლიციის განყოფილებაში ჩვენების მისაცემად. პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა იგი აიძულეს, ელიარებინა მკვლელობაში თანამონაწილეობა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას ხელბორკილი დაადო, სცემა და გააუპატიურა. ამის შემ-

დეგ განმცხადებელი კიდევ რამდენიმე პოლიციელმა სცემა და სასტიკად აწამა აირწინალის თავზე ჩამოცმითა და ელექტროშოკით. განმცხადებელს ნება დართეს საპირფარეოში გასულიყო, სადაც იგი შეეცადა თვითმკვლელობას (გადაიჭრა ვენები). განმცხადებელი დაკითხა სამმა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა გამომძიებელმა, რომლებიც კვლავ აგრძელებდნენ მის გაუპატიურებას. მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა განმცხადებლის გაუპატიურებისა და წამების ფაქტი, ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიიჩნიეს საჭიროდ მტკიცებულებების შეგროვება, რადგან არ იყო დაცული სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პროცედურა პროკურატურის თანამშრომლების მიმართ. საქმე მტკიცებულებათა არარსებობის გამო შეწყდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მონათხრობი დასტურდებოდა შთამბეჭდავი და არაორაზროვანი მტკიცებულებების მნიშვნელოვანი რაოდენობით. ამას გარდა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ დაკავებული პირის გაუპატიურება უნდა განიხილებოდეს, როგორც ცუდი მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და ოდიოზური ფორმა, რადგან მოძალადეს შეეძლო, ესარგებლა მსხვერპლის უმწეო მდგომარეობით. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის აქტები, განსაკუთრებით – გაუპატიურების მრავალი ეპიზოდი, უნდა განიხილებოდეს, როგორც წამება, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. სასამართლომ არაეფექტური გამოძიების გამო ასევე მიიჩნია დარღვეულად კონვენციის მე-3 მუხლი.

## ქალაქობა და სოციალური იზოლაცია

N. v. Sweden

(განაცხადი №23505/09)

განმცხადებელი ავღანეთის მოქალაქეა, რომელსაც ქორწინების გარეშე ინტიმური კავშირი ჰქონდა მამაკაცთან შვედეთში. იგი ამტკიცებდა, რომ ავღანეთში დაბრუნების შემთხვევაში მას ემუქრება სოციალური იზოლაცია, ხანგრძლივი პატიმრობა ან თუნდაც სიკვდილით დასჯა. მისი თხოვნა თავშესაფრის მოთხოვნაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ავღანეთში ქალები ხშირად ხდებიან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი იმ შემთხვევაში, თუ მათზე შემუშავდა მოსაზრება, რომ ისინი არ ასრულებენ ტრადიციების, საზოგადოებისა და სამართლებრივი სისტემის მიერ მათზე დაკისრებულ როლს. მხოლოდ ის ფაქტიც კი, რომ იგი ცხოვრობდა შვედეთში, შესაძლოა, განხილულიყო როგორც მიუღებელი საქციელი. ასევე ის ფაქტი, რომ მას სურდა ქმართან განქორწინება, რადგან არ სურდა მასთან თანაცხოვრება, გამოიწვევდა მისი სიცოცხლისათვის საშიშ შედეგებს. შიტიური კანონი ქალებს ავალდებულებს, დამორჩილდნენ მამაკაცის სექსუალურ მოთხოვნილებებს და მისი ნებართვის გარეშე ცოლს არ შეუძლია სახლის დატოვება. მოხსენების თანახმად, ავღანელი ქალების 80% არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება განიხილავს როგორც მართლზომიერ ქმედებას და არ სჯის კანონით. მარტოხელა ქალები ან ქალები, რომლებსაც არ გააჩნიათ ქმრის მფარველობა, ხვდებიან მუდმივ შეზღუდვებს როგორც პირად, ასევე პროფესიულ ცხოვრებაში და განწირულები არიან სოციალური იზოლაციისთვის. ამკარაა, რომ ქალებს, რომლებსაც ოჯახებში მამაკაცი არ ეხმარებათ, ხშირად არსებობს სახსრები არა აქვთ.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ავღანეთში დეპორტაციის შემთხვევაში დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი.

## პატიმრობაში მყოფი ქალებისადმი არაადამიანური მოპყრობა

Yazgul Yilmaz v. Turkey

(განაცხადი №36369/06)

16 წლის განმცხადებელი ჩიოდა, რომ მასზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა პოლიციის განყოფილებაში ყოფნისას. მას განმარტოებით ჩაუტარდა გინეკოლოგიური შემოწმება, რისი ნებართვაც არც მისგან და არც მისი კანონიერი წარმომადგენლისაგან არ აუღიათ. მოგვიანებით იგი გაამართლეს და გაათავისუფლეს, რის შემდეგაც მას განუვითარდა პოსტტრავმული სტრე-

სი და ჩავარდა დეპრესიაში. განმცხადებლის მტკიცება მის მიმართ დაკავების დროს ძალადობრივი ქმედებების გამოყენების თაობაზე დადასტურდა შემდგომი სამედიცინო შემოწმებითაც. გამოსასწორებელი დაწესებულების ექიმების მიმართ არ დადგა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის მოქმედი კანონი არ მოიცავდა აუცილებელ გარანტიებს პატიმრობაში მყოფ ქალებთან მოპყრობის საკითხთან მიმართებით და აუცილებელი იყო დამატებითი გარანტიები დაკავებულ პირთა გინეკოლოგიური შემოწმებისათვის, განსაკუთრებით – არასრულწლოვანთა მიმართ. ზოგადი პრაქტიკა გულისხმობდა დაკავებულ ქალების ავტომატურ შემოწმებას, რათა პოლიციელების მიმართ არ ყოფილიყო წარდგენილი ტყუილი ბრალდება მათ მიერ სექსუალური ძალადობის ჩადენაზე. თუმცა, ამგვარი პრაქტიკა ეწინააღმდეგებოდა დაკავებულ ქალების ინტერესებს და არ ჰქონდა სამედიცინო დასაბუთება. განმცხადებელი ჩიოდა სექსუალურ ძალადობაზე და არა გაუპატიურებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებდა გინეკოლოგიურ შემოწმებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ არ შეიცავდა არასრულწლოვან პირთა მიმართ დაკავშირებულ ნორმებს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა ორი მიმართულებით: განმცხადებლის გინეკოლოგიური შემოწმება მისი პოლიციაში ყოფნისას და დამნაშავე პირთა გამოსავლენად ჩატარებული არაჯეროვანი გამოძიების გამო.

## ქალაქი საზოგადოებრივ ადგილებში

### Ebcin v. Turkey

(განაცხადი №19506/05)

განმცხადებელი იყო მასწავლებელი. მას სახეზე შეასხეს მუავა, როდესაც სამსახურში მიდიოდა. ინციდენტის შედეგად განმცხადებელს დაუზიანდა თვალი, ყური და პირი. ამას გარდა, განუვითარდა სიმსივნე.

სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი გაჭიანურებით. ინციდენტიდან გავიდა 13 წელი, მაგრამ საქმე ისევ განიხილებოდა ადმინისტრაციულ სასამართლო ინსტანციებში და არანაირი კომპენსაცია განმცხადებელს არ მიუღია. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები.

## საკიბელო

პრეცედენტული სამართალი	
ევროკავშირთან მიმართებით .....	7
ბავშვის დაცვა .....	13
ბავშვთა უფლებები .....	20
კოლექტიური გაძევება .....	25
მრწამსის (რელიგიური მოსაზრებების) გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა .....	27
პერსონალური მონაცემების დაცვა .....	31
სიკვდილით დასჯის გაუქმება .....	39
დაკავება და ფსიქიკური ჯანმრთელობა .....	43
თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებული პირობები და მოპყრობა პატიმრების მიმართ .....	45
„დუბლინური საქმეები“	
„დუბლინური“ სამართალი .....	51
გარემოს დაცვა და პრეცედენტული სამართალი .....	53
გაძევება და ექსტრადიცია .....	59
ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ექსტრა-ტერიტორიული იურისდიქცია კონვენციის პირველი მუხლი (ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება) .....	65
იძულებითი შრომა და ტრეფიკინგი .....	77
რელიგიის თავისუფლება .....	82
გენდერული იდენტობა .....	92
სიძულვილის ენა (Hate speech) .....	96
ჯანმრთელობის დაცვა .....	105
ჰომოსექსუალიზმი: სისხლისსამართლებრივი ასპექტები .....	110
ფსიქიკური ჯანმრთელობა .....	113
ახალი ტექნოლოგიები .....	119
პოლიციის მიერ დაპატიმრება და ადვოკატის დახმარება .....	125
პატიმართა ჯანმრთელობის დაცვა .....	128
პატიმართა საარჩევნო უფლება .....	133
ჟურნალისტური წყაროების დაცვა .....	135
რასობრივი დისკრიმინაცია .....	138
რეპროდუქციული უფლებები .....	143
პირის საკუთარი გამოსახულების დაცვის უფლება .....	148
სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები .....	151
სოციალური უზრუნველყოფა .....	156
ტერორიზმი .....	162
პროფესიული კავშირების უფლებები .....	173
ძალადობა ქალების წინააღმდეგ .....	181







საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 ტელ.: (995 32) 2 93 42 85  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

The Supreme Court of Georgia  
32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 2 93 42 85  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)